644
1996

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცისარი

3-4

1996

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზურაბ გორგილაძე

კოხტა კოლხი

პიპას, ჩემს ძმას, პიპას

ორსანტიას,
ქარიატას,
ქაფათსა და მარტვილს
თავს წაჰყრია გაზაფხულის ჭიჭვიანი ჭვარტლი.
აბლავლებულ ჭალაკებში, ნამუხლარში დევთა
ენგურს მიაქეს მთვარესავით სამეგრელოს სევდა.
და იქ, სადაც რუხთან რუხი ბოკვერები წვანან,
მღერას მზისდა ტკივილისას ღვთაებრივი ნანა.

„არ წამოჰკრა ფეხი ამ ქვებს და არც დააბიჯო,
ბონდოია, ნანასქუა, ბონდოია, ბიჭო“.

წუთისოფლის უკმარობით, სიყვარულის ბეგრით,
მიირხევა სანახებში ძვალხოშორი მეგრი.
კვალში მისდევს ოჩოპინტრე, თუთარჩელაც მისდევს,
დაფნის ჯვარზე გაუკრიათ ოჯალეში — ქრისტე.
და მწვანიან წყლისპირებში, წელწაფრენილ ცირებს,
ხელისგულზე მზე უდევთ და საყვედური მცირე.

„კანჭა კვიცზე გადევნებას, ჩვენ მოგვხედო გიჯობს,
ბონდოია, შე უღმერთო, ბონდოია, ბიჭო“.

წამით ხვიჩა ვარსკვლავები მიწკურავენ თვალებს.
მოდექი და ეს ციგლიგა ცანგალები თვალე...
ბებერ ქვათა მხურვალება მოიჩრდილე ხელით...
მღერის ვიდაც შორეულში, ოდოიას მღერის.

როგორც წითელბატონები და მირონის წვეთა
ტანზე აყრის საქართველოს ეს უკვდავი სევდა.
ბონდოია მიდის, მიდის...
და კოლხეთის ველზე
ოდოიას აღარ უსმენს, ოდოიას ეძებს.

და მე მესმის, და მე ვიცი
და უღმერთოდ მჯერა,
როგორც ნისლში კვალარეულ ხვიჩასა და ჩელას,
აქ, კოლხეთის ბინდბუნდებშ.,
ჭტერს ჩქამიც რომ დაღავს,
ბონდოია ოდოიას იპოვის და ნახავს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცისკარი

მარტი-აპრილი № 3-4

საქართველოს მწერალთა კავშირის
სალიტერატურო და საზოგადოებრივ-პოლიტიკური
ყოველთვიური ჟურნალი

დაარსებულია
1852 წ.
აღდგენილია
1957 წ.

თბილისი
1996

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

გამოიღვიძე, ძნარო!

3. ფსალმუნები — გაგრძელება. ებრაულიდან თარგმნა **ჯემალ აჯიაშვილმა**

პოეზია და პროზა

7. გივი ალხაზიშვილი — ლექსები

18. გივი მაღულარია — შეხვედრა გამჭირხეს. რომანი. გაგრძელება

33. ჯანხუდ კორაია — ლექსები

37. ზაზა თევარაძე — სიტყვები. მოთხრობა

114. ერეკლე სალღლიანი — ლექსები

117. სოფიკო ტყეშელაშვილი — ლექსები

118. ნუგზარ ზაზანაშვილი — ლექსები

120. თენგიზ გოგოლაძე — ორი ნოველა

124. ოთარ მეოტიშვილი — ლექსები

126. ჯუმბერ სანთაძე — გერმანელები. ნოველები

ახალი თარგმანები

135. სვეტლანა ალილუევა — ფიგნი შვილიშვილთათვის. დასასრული. რუსულიდან თარგმნა **ჯუმბერ თითმერიამ**

წერილები

144. დიანა ჟღენტი — დემნა შენგელაიას თხზულებათა ენისა და სტილის ზოგიერთი საკითხი

სელოვნება

148. ეკა გუნთაიშვილი — „ვეძებ, ვიბრძვი და ამ ბრძოლას სულსა და გულს ვფირავ“

გამოსათხოვარი

159. ბაღრი ჭოხონელიძე

მთავარი რედაქტორი
ზაურ კალანდია

სარედაქციო საბჭო:

გალათერ არაბული
ირაკლი გაზაძე
ბიორგი გაკანიძე
(მთ. რედაქტორის მოადგ.)
ლევან გალაზონია
ელზა მეტრეველი
ჯემალ ქირია
(პასუხისმგებელი მდივანი)

საკონსულტაციო საბჭო

ნოდარ გრიგალაშვილი
გივი გეგეჭკორი
დავით თედორაძე
ზაზა თევარაძე
ემზარ კვიტაიშელი
რევაზ მიშველაძე
დავით მჯელური
გიგი სულაკაური
მიხეილ ქვლივიძე
ჯანსუღ ღვინჯილია
შადიმან შამანაძე
ნუგზარ შუბაიძე
როსტომ ჩხეიძე
ჯანო ჯანელიძე

მორიგე რედაქტორი:
ჯემალ ქირია

ეროვნული ბიბლიოთეკა

20614

ფსალმუნები

ფსალმუნი 55

ლოტბარისადმი. სიმღერიან საკრავზე.
მოძღვრება დავითისა.

2. ისმინე, ღმერთო, ჩემეული ლოცვა-ღაღადი,
ნუ განუდგები ვედრებას ჩემსას.

3. მომაყურადე,
მომაპყარ სმენა,
მოთქმით აღმოვთქვამ ჯოველ სიტყვას
და მე ვძრწუნდები

4. მოშულართა ხმით,
უკეთურთა გულარძნილობით,
თავს რომ მატეხენ უსჯულოებას
და შეუვალი სისასტიკით მავიწროებენ.

5. ჩემი გული კი
ბორგნეულად წრიალებს ჩემში,
სიკვდილის ელდა მიწეწავს გულ-გვამს.

6. შიშმა და ზაფრამ
დამრია ხელი
და საშინელმა შეძრწუნებამ
გარემომიცვა.

7. და ცრემლით ვამბობ:
„ნეტავ მქონდეს ფრთენი მტრედისა,
ავფრინდებოდი,
ვპოებდი სადგურს.

გაგრძელება. დასაწ. იხ. „ცისკარი" № 1, 2, 3, 4, 5, 6, 7-8, 1993, წ., 1. 1994 წ., 1-2, 3-4, 5-6, 7-8, 1995 წ., 1-2 1996 წ.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

8. მივიქცეოდი სიშორეში,
აჰა, ესერა,
უდაბნოს ჩრდილში დავივანებდი,

9. რომ სახიზარში შევხიზნოდი
დაუხანებლად
გრიგალს და
ქარებს —
უდაბურ ქარებს.

10. განკვეთე მათი ენა-პირები,
დაანელე და
დანთქე, უფალო,
რადგან ქიშპი და ძალადობა
დაძრწის ქალაქში.

11. გარეუელიან დღენიადაგ
ზღუდე-გალავნებს
და ბოროტება,
ცილი და
ზაკვა
მიდი-მოდიან წიაღთა შიგან.

12. წიაღთა შიგან ბინადრობს შური
და უკეთურთა ქვებუდანობას
ვერ იშორებენ მისეული ქუჩაბანდები.

13. რამეთუ მტერი კი არ მკილავს
შესალანძღავად —
მაშინ როგორმე ავიტანდი გაკილვას მისას —
ან ცუდად კი არ მამუნათებს
მოძულე ჩემი —
მის მუნათებსაც დავითმენდი ბოლოს და ბოლოს,

14. არამედ კაცი — მოყვასი ჩემი,
სწორფერი ჩემი,
ტოლი და
სწორი,

15. ვისთანაც ვბჭობდით,
საამოდ ვხმობდით
და საღვთო სახლში ვიდოდით ერთად.

16. დაე, სიკვდილი მეყსეულად დაატყდეთ თავზე,
ცოცხლად შეერთონ ქვესკნელის წიაღს,
რადგან მტრობას და
ბოროტებას გარემოუცავს
საცხოვრისი და
სამკვიდრო მათი.

17. მე კი ღმერთისკენ აღვავლენ ლოცვას
და შემეწევა უფალი ჩემი.

18. მწუხრზე,
დილით და
შუადღისას შევევედრები,
შევტირებ მას და
შეისმენს ჩემს ხმას.

19. მან სული ჩემი უშფოთველად გამოარიდა
მოსისხარებს და მოშველარს ჩემსას,
როს მრავალკეცად შემომერტყა
ლაშქარი მათი.

20. ისმენს ღმერთი და
ყოველთაგანს შემუსრავს იგი,
რომელი ჰგიეს დასაბამიდან —
რადგან მათი გზა უცვლელია კვლავინდებურად
და აღარ აკრთობთ გამჩენის შიში.

21. აღმართეს ხელი ნათესავთა შესამუსრავად,
შეაგინეს და
შელანძღეს აღთქმა.

22. გაქლესილია ერბოსავით
მათი ტუჩები,
გულში კი უდულთ
ბოღმა და
შური,
ნელსაცხებელს ჰგავს მათეული სიტყვა ყოველი,
თვით კი არიან ფიცხელ და
სასტიკ —
ზეამოწვდილი მახვილის დარად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

23. მიანდე უფალს შენეული ტვირთი და
კირთი,

ის შეგისარფებს საზრუნავს შენსას,
არ დასცემს წმინდანს უკუნითი უკუნისამდე.

24. და შენ მათ, ღმერთო,
ჯოჯოხეთში ჩააპირქვავებ,
რომ ყველა მზაკვარს,
ყველა სისხლისმსმელს
დღე მოესწრაფოს წუთისოფლის ნახევარგზაზე,

მე კი,
უფალო,
გსასოებდე უკუნისამდე.

ებრაულიდან თარგმნა
ჯემალ აჯიაშვილმა

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ეროვნული ბიბლიოთეკა

გივი ალხაზიშვილი

●

მე არ ვფიქრობ არაფერზე,
მე არ მახსოვს არაფერი,
ვზივარ ჩემთვის და სარკმელი
მათვალიერებს,
მზის ნამცეცები მათვალიერებენ,
მბრწყინავი სივრცე მისრუტავს,
ცაში გაბნეული ბგერები დამეძებენ,
სიჩუმეში ჩამალული სიტყვები
მპოულობენ,
თვითონ მოდიან ხეები, ყვავილები,
სხივები...

მე არ ვფიქრობ არაფერზე,
მე ფიქრი მეძებს.

1. სიჩუმის ოთახი

ლამპის შუქი თრთის მის სუნთქვაზე და მე ვხედავ: იგი აქ არის, ყველაზე უფრო ღრმა და ბებერი საოცრება — ჩემი სიჩუმე. იგი ოთახში იმალება, განდევნილი ქალაქის ქუჩებიდან, მრავალსართულიან სახლების ეზოებიდან და მყვირალა ოთახიდან გამეგებული.

იგი აქ არის, მისი სუნთქვა აღსავსეა ამოუთქმელ სიტყვათა სულით და იმ სიტყვათა ნამცეცები ერთდროულად თრთიან ჩემში და ჰაერშიც და გულმოდგინედ რაღაცას ქსოვენ, ოდესღაც ხილულს, თითქოს გაგონილს, უხმო ბგერებში ჩამალულ განცდებს...

ყოველივე, რაც სიჩუმემ შეისრუტა, დაიმახსოვრა და რაც დუმილის გარსმა შთანთქა, თითქოს თანდათან იღვიძებს ჩემში პირველყოფილ მთრთოლვარებით და სიჩუმის სული ცოცხლდება ჩემს არსებაში და მე, თანდათან, მოაზროვნე მდუმარებად გარდასახული, ვგრძნობ სიჩუმის ძალადობას და შემკრთალი ვაღებ სარკმელს, რათა ოთახში შემოვუშვა სიცოცხლის ხმები.

2. სარკმელი

მე არ ვიცი, ვინ მენატრება, მაგრამ ისე მენატრება, რომ
მუდამ ვეძებ და სახლიდან გაქცევას ვცდილობ;
სივრცეებში მომწყურდა ფრენა და უცნობ გზებზე ხეტია-
ლი უმისამართოდ.

მე არ ვიცი, ვინ მენატრება, მაგრამ ჰაერი თითქოს
მისი სურნელებით არის აღსავსე და გაზაფხულის მოყვავილე
ბაღს უნებლიეთ მივყავარ საღღაც, მწვანე ბურუსში, სადაც
წარსული გასუსულა და, მერამდენედ,
ბალახივით ჩუმად ამოდის.

დაბრუნება

1.

უნდა დავბრუნდე,
რადგან იქით ფიქრის გზაც კი აღარ არსებობს,
იქ სიბნელეა, სიბნელეა შეუღწეველი.

2.

რა სითბოა ამ სახლის ჭერქვეშ
და სარკმელი მზით ავსებული —
მუდამ ცისკენ რომ იხედება,
ახლა ოთახს ათვალიერებს,
სადაც მე ვზივარ,
წყვდიადიდან დაბრუნებული
და საკუთარ დამარცხებას ჩუმად ვზეიმობ.

ვერ გავიქეცი,
რადგან იქით ფიქრის გზაც კი აღარ არსებობს
და სიბნელეა, სიბნელეა შეუღწეველი.

3.

ნუ გაიკვირვებ, რომ ბალახის ხილვაც მაკვირვებს,
რომ ეს კედლებიც, ჩემს სიჩუმეს რომ აგროვებენ,
განსაცვიფრებლად მომნატრებია,
რომ ყველა სიღრმე,
სადაც თითქოს ჩააღწია გონების თვალმა,
იყო სიბნელის ზედაპირი, სხვა არაფერი.

მე აქედან ვერ გავიქცევი
და ჩემს სხეულში, როგორც საკანში
მოვიხდი სასჯელს,
რადგან იქით ფიქრის გზაც კი აღარ არსებობს
და სიბნელეა, სიბნელეა შეუღწეველი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

ჩემი თვალებიდან გაღწეული დარდი
ღრუბელივით მიდის სადღაც
და მეც კვალდაკვალ მივდევ
ჩრდილივით.

ალბათ, ოდესმე დასრულდება
ჩვენი მსვლელობა
და მე — ჩემივე ტკივილის მორჩილს,
სხვა სიცოცხლე მომენატრება.

წარსული

ყოველი ნაბიჯი წარსულიდან გაქცევაა და, ამავე დროს, წარსულის გაგრძელებაა. მეჩვენება, რომ ვშორდები წარსულს, დიახ, მეჩვენება, რადგან იგი ჩემთან ერთად განაგრძობს წინსვლას; ჩემთან ერთად იცვლება და ვითარდება. წარსული არაა გარდაცვლილი დრო, იგი სათავეა და სათავეს ვგრძნობ მდინარესავით.

წარსულის ალბომი

ტილოზე დარჩა მკაცრი მონასმი —
მტკივანი სულის ნაკვალევი:
რა უმანკოა მზერა მონაზვნის,
რა ნაღვლიანია სუნთქვა აკვარელის...

შენც გენატრებოდა მსგავსი ბედი —
საყდარი გზითა და ახოთი,
ახლა სასთუმალთან გიზის ფბედი,
თავიც კი მოგწონს ჯაყოთი.

ხანდახან ძაინც თუ იხსენებ
იმ დღეებს, იმ წუთებს იღლიანს.
ნიღაბი, ნიღაბი მოიხსენი,
ცრემლები გამხლელენ ნიღბიანს.

ვინ იცის, ვინ სად წავიდოდა,
ვინ სად დარჩებოდა ბედის ანაბარა.

თავზე დამწრიალებს შავი ტოტი,
ეს შავი ლექსი დამემ დამაბარა.

ხანდახან ჩემი ძარღვებიდან
ამოსვლას ლამობს წითელი ვარდი,
როცა ყინულები გალღვებიან
და წუთი მენატრება საამო ვარდნის.

სადა ვარ, რატომ ვარ — ვერ ვერკვევი,
სინამდვილე სიცრუემ წაშალა,
შენი სახეები, როგორც ბერიკები,
ხმაურით იკლებენ გზა-შარას.

საბრალოვ, როცა მარტო რჩები
თვალში თუ ცრემლი ამოვიდა,
რომელ დროს იგონებ გამორჩევით,
ვის ნატრობ წარსულის ალბომიდან?!

●

რა მდუმარეა მაშინ სოფელი,
გზებს რომ გაჰყურებს მთვარით
მოფენილს,
როცა ჩემს სათქმელს ამბობს
ვარსკვლავი

და გულში უზის ღრუბლის გობელენს.
მოვიდა ჩემი მახარობელი,
მიმოიფანტა ნათლის წვეთებად,
წვიმს ვარსკვლავებად ზესთასოფელი
და უშორესზე შორს იხედება.

ᲚᲝᲓᲘᲜᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

1.

შებინდებისას გაცოცხლდება მკვდარი გონება,
შებინდებისას მისი ძარღვები
მოდიდებული მდინარეებივით ერთვიან
ზღვაღქცეულ გულს;
შებინდებისას მისი მზერა ისე ღრმავდება,
რომ თვითონაც ეშინია საკუთარი სიღრმის.

ამ დროისათვის მისი ოთახი
ოთხ კედელში მოქცეული სივრცე როდია
ან საკანი, სადაც დღისით პირქვე ესვენა
გონწართმეული, —
ოთახი ნელა მიიწევს მაღლა
და გადადის სხვა სამყაროში.
იგი იწყებს ნამდვილ სიცოცხლეს შებინდებისას.

რაც მუდამ არ ჩანს,
იგი უფრო მეტად არსებობს
და კიდევ უფრო მეტად იგრძნობა
მისი სიშორის სიახლოვე ამოუცნობი.

აი, დროის და სივრცის სიჩუმე
და მიუკლეველ სიტყვათა თრთოლვით
გაღვიძებული ღამის ჰაერი
ფერკრთალ სახეზე ელამუნება
უხმო ბგერების უნაზეს ფრთებით.

და მისი ფიქრი — გულიდან გულში მოხეტიალე
და სულების ხმათა შემკრები,
აღსავსეა ირეალურ ხილვათა შუქით
და კონტურებით, დროდადრო რომ დაფრენენ სადღაც, —
არა თვალებში
და არც გრძნეულ წარმოსახვაში,
არამედ სულში, სულის სიღრმეში,
დროის და სივრცის მდუმარებაში.

2.

მას ენანება სიკვდილისათვის
დაკარგული დრო
და სიბნელეში ჩაწურული წლების სიამე —
არარაობის ექოსავით ესმის ჟამიჟამ
და სინანულით ნათდებიან მისი თვალები,

ის, რაც თვალებმა გადაივიწყეს,
საუბედუროდ, სისხლს ახსოვს ახლაც
და სისხლის ჩქამი
დავიწყების ყინულსაც აღღობს
და დნება, დნება ყოველივე:
სახლი, ვარსკვლავი
და სიტყვაც დნება
და ჰაერი ინახავს სიტყვებს წიგნებზე დდხანს
დროისა და სივრცის სუნთქვაში.

3.

ყოველ საღამოს ვიღაცას ელის,
დაბადებიდან ვიღაცას ელის,
მოლოდინია სიცოცხლის ბიძგი
და, ამავე დროს, სიცოცხლის მკვლელი.

და გაორებულ ლოდინის სულში
არსებობს იგი შუქ-ჩრდილის მსგავსი,
მისი სხეული სავსეა მიწით,
სულს ენატრება ზესკნელის გარსი;

სადაც, ოდესღაც გაადწევს ალბათ,
გამოიკვეთა ლოდინის არსი,
ტრის ბგერებად დაშლილი სიტყვა
და შებინდების მცოცავი ხავსი.

●

ზოგჯერ სიტყვებს მთვარე მკარნახობს,
ეს მაშინ, როცა ღამის წყვდიადში
ვგრძნობ საკუთარ ამოობას
და ის სიტყვები
ზეცის სუნთქვაში ამოზრდილი ფრთების მსგავსია, —
სხვა ქვეყანაში, სხვა სივრცეში მიმაქროლებენ.

●

ამ კედლებს შორის არის სივრცე,
სადაც, ხანდახან, ვტოვებ ჩემს ფიტულს და სიტყვებთან
ერთად მივდივარ, რადგან სიტყვებში უფრო მკაფიოდ მოის-
მის ჩემი გულისცემა, ვიდრე სხეულში.

სიტყვებს ჩემი სიცოცხლე მიაქვთ.

ტრიპტიქი

1. უცნობი

არ ვიცი ჩვენი დროის ნამდვილი სახელი...
არ ვიცი, ჩვენი დრო მართლა თუ არსებობს.
არ ვიცნობ არცერთ ახლობელს,
მითუმეტეს არ ვიცნობ უცნობს, —
ის უცნობი მე ვარ, მე ვარ, მე ვარ...

2. ჩაბრუნებული მზერა

უნებლიე შორისდებულმა
ჩააქრო სივრცე
და თვალმა საკუთარ სიღრმეში ჩაიხედა.

3. მხატვრის თვალები

დარბაზში თვალები დაძვრებიან:
თაფლისფერი, მომწვანო, შავი
და ცისფერი თვალები.

დარბაზის ჰაერს თვალები აფერადებენ
და ისინი დაძვრებიან კედლებზე,
გარდაცვლილი მხატვრის ტილოებზე
და უფრო ხშირად — ერთმანეთის სულში.

კალიებივით დახტიან
სიტყვის ნამცეცები
და უაზროდ არჩეულ ბგერათა შორის
იმარჯვებს ზ-ანი:
და ზუზუნებს, ზუზუნებს, ზუზუნებს,
ზრიალებს, ზრიალებს, ზრიალებს,
ზოგჯერ კი ზმუის და იზმორება დარბაზი.

სად წავიდნენ გარდაცვლილი მხატვრის თვალები?!

მოშრიალე კაბები ბადებენ ხელოვნურ ნიავს
და თვალებით გაფერადებული ჰაერი
თანდათან ივსება მოდარბაზეთა ნაირგვარი სუნით.

სურათები იშმუშნებიან,
რადგან ზოგიერთის დაჟინებული მზერა
ზეთის საღებავივით ედღაბნება ტილოს
და ლაქებად აჩნდება მოქათქათე კედელს.

შამპანური კოცნის ალისფერ ტუჩებს
და მერამდენედ ახსენებს ტუჩების პატრონს,
რომ დღესაც ივიეე განმეორდება
რომელიღაც სახელოსნოში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიღაც რაღაცას ამბობს
მხატვრის მდიდარ შემოქმედებაზე
და მე ვხედავ, როგორ კედებიან სიტყვები
მთქმელის ბაგესთან
და მსმენელთა ყურებთან,
დარბაზის ჰაერში კედებიან სიტყვები
და ჰაერი, მკვდარი სიტყვებით დამძიმებული,
ფანჯრისაკენ მიიწევს
და იმ სივრცეში გაღწევას ლამობს,
სადაც ცხოვრობენ გარდაცვლილი მხატვრის თვალები.

თვალებით საუბარი

უცნობი მზერა
ისეთივე ნატვრას ასხივებს,
როგორსაც შენი მრუში თვალები.

გრძნობ უნებლიე სიახლოვის ბედნიერებას,
ამჩნევ მის ღიმილს —
ყვავილივით რომ იშლება მარჯნის ბაგეზე.

რასაც თვალები ამბობენ ახლა,
სიტყვით არ ითქმის.

●

შოთა ჩანტლაძის სახსოვრად

მეტროს გვირაბიდან ამოდიან ლანდები,
ამდენი რაინდები და ქალბატონები
ლანდებად ქცეულან,
ლანდები არ ინდობენ ერთმანეთს,
ისინი ქრებიან ზეზეულად.

ღამეს ანათებენ მშიერი თვალები —
ყველაფრის შთანმთქმელი,
ლანდები არსებობენ ბალანდებით
და გულში ჩაკლული სათქმელით.

დადიან ლანდები-ტალანტები,
გაქექილ ქურთუკებში ჩამძვრალან,
დღეს ნებისმიერი ქურდი უკეთ არსებობს
და ნებისმიერი ნაძირალა.

ვის უნდა პოეტი, მეცნიერი ან რაფსოდი,
საწყალო, პირფერულად ახსოვდი
მთავარს და ნაკაცარს,
გრძელდება ყაჩაღური აბსურდი
ანუ სასიკვდილო დაქანცვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იარეთ, ლანდებო, მშიერი მარშებით
სახლიდან სახლამდე,
იარეთ, იარეთ, ქართველო „მორეულებო“,
ვიდრე საქართველოს ახერები დახრავდნენ.

იზრდება სასაფლაო და კვდება ქალაქი თანდათან,
მკვიდრდება ტერორი სისხლიან ბანდათა.

ეს ჩემი ქვითინი, ოდა თუ კანტატა
ან ხმით ნატირალი,
მიართვით მსახიობს, მუშას და კანდიდატს,
გნებავთ — ნაძირალას.

მოდით, წურბელებო, მოდით, ვირთაგვებო,
მსუქანო მღრღნელებო,
თქვლიფეთ საქართველო, ხვრიპეთ ჩვენი სისხლი,
სანამდე გენებოთ.

ჩვენ მაინც მოვდივართ, ამაყად მოვდივართ —
მშ..ერი ლანდები,
ჩვენ მუდამ მოვდივართ,
არასდროს ვთავდებით.

●

ეს ძველი ქუჩა და ძველი სახლი,
ძველი სიჩუმე ხავსიან ყორის,
სურვილი ლოცვის და თავის დახრის
და ნატვრის ცრემლი სურვილთა შორის...

და ნატვრის ცრემლით თუ ნატვრის თვალით
მოულოდნელად დანახულ ხედებს
დაეფინება სინათლე მკრთალი,
ცოდან ფრთებით რომ ჩამოაქვთ მტრედებს.

აქ ფეთქავს ჩემი დიდედას ლანდი
და ბიბლიური თვალების სიღრმე.
მე ამ თვალებში რა მშვიდი ვჩანდი,
დღეს კი სატანა სიცოცხლეს მიმღვრევს.

მაგრამ გულს ჩემსას — ფიქრების საყდარს
და თვალებს, როგორც ამ საყდრის სარკელს,
აქ ყველაფერი უცვლელი დახვდა
და ახალს მხოლოდ სახელებს ვარქმევ.

ისევ ვაგრძელებ მოწაფურ წერილს,
რომელიც, თითქოს, შევწყვეტე გუშინ
და თვალი ჩემი — გართული მზერით,
ჩაძირულია წარსულის გულში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღვერთო, შეუნდე...

პური და წყალი, ღამე და ბახი,
ფიქრის მუსიკა ყოვლისმომცველი,
იღვიძებს ჩემში ვინმე მლოცველი,
მომფერებელი სიტყვათა ბაღის.

ჯვარი და დოქი, ჩუქურთმა ტაძრის,
ჩუმი შრიალი ათასწლეულის —
უძველეს წიგნში გადარწეული
და მივიწყება ქალაქის, მკაცრის.

დაუნდობელთა სახეებს წაშლის
და გამინათებს თვალებს ფსალმუნი,
თავისთვის ქრება წყენის ალმური
და სინანული გუბდება ხმაში.

შეუნდე, ღმერთო, ბოროტის ქომაგს,
შეუნდე, რადგან მათ არ უწყიან...
შენი წიგნები უქმად უწყვიათ
და აღმერთებენ, საწყლები, სტომაქს.

სიზმარ-ცხადი

არც დღე, არც ღამე,
არც წარსული, არც მომავალი
და აღარც აწმყო,
არც ნაცნობი, აღარც მავანი...

მხოლოდ სიზმარი, კვლავ სიზმარი —
თან უცხადესი
და ვრცელი ყანა,
ხორბლით არა, ცრემლით ნათესი.

ჟღალი არწივი დამაფრინდა
ბეჭზე კლანჭებით,
ძლივს გავექეცი, დავემალე,
ახლაც აქ ვრჩები.

აქ, სადაც ისევ სიზმარია
და უცხადესი
არის ეს ყანა, არა ხორბლით, —
სისხლით ნათესი.

გამოვა რამე?
რას უცდიან ნეტავ ესენი,
რას მოიმკიან, საბრალონი,
სისხლის მთესველნი?!

უცნობის მონატრება

ღიღინ-ღიღინით ტყისკენ რომ წახვალ,
ყვავილს რომ დაკრეფ, ჩაუვლი ძეძვებს,
მოგენატრება უცნობის ნახვა,
შენს გულისცემას მუდამ რომ ეძებს.

რა შეუმჩნევლად იღვიძებს ვიღაც,
უარმყოფელი ხავსიან დარდის,
შემოგაჩერებს მხიარულ ნიღაბს
და შენთან ერთად სიმღერით დადის.

ეთამაშება სურვილებს თამამს
ისე, თითქოსდა თამაში არ გსურს,
არის ნაცნობი მარტოდენ თემა, —
იგი რაღაცით წააგავს წარსულს.

შეგეფეთება უცნობის მზერა,
განათებული ნაცნობი ნატვრით...
ცაზე კი არა, სისხლშიაც მზეა
და ფერებია შეშლილი მხატვრის.

ღამის რვეულიდან

ამ სიბნელეში ფეთქავს ნათელი,
ნათელი უფლის სიტყვებში სუფევს.

მილულე თვალი და ილოცე,
ვიდრე გულში სიყვარული
აღმოცენდება,
ვიდრე სიტყვები განათდებიან
და სიბნელეს განერიდები.

წყველა-კრულვით უფრო მეტად
ბნელდება სული
და შენც ღამეს ემატები, ღამის ნამცეცო.

საბრალოა,
ვინც წყვდიადში ვერაფერს ხედავს
და „თელასის“ იმედით ცხოვრობს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საღამოვდება
დასაბამიდან რამდენჯერ ითქვა:
საღამოვდება!

ჩამუქებული ქედების ფონზე
ჩანს დასავლეთით
თრიმლისფერი ღრუბლის ნაფლეთი —
უკანასკნელი სახსოვარი ჩამავალ მზისა,
საღამოვდება, გზირსაც და მზირსაც,
შეიერ ვლახაკს და მაძღარ მოხელეს,
ეს ზამთრის ღამე ალბათ ეყოფათ
დათრგუნულებს და მეამბოხეებს.
ღა ისევ, ისევ საღამოვდება,
არ ეიორდება სასწაული თითქოსდა
თავლწინ,
ბანდისფერ არწივს უსასრულო ფრთები
ეზრდება
და ჩამუქებულ სივრცეებს არწევს.

●

თვალს ვარიდებ იმ დღეებს,
რადგან იქ შენ ხარ
და იქ, ახლაც, ვარდები ცხოვრობენ.

მათი ფურცლები ხმოვნებად იშლებიან
ღამეში,
ხოლო სურნელი ისე ვრცელდება
ამჩატებულ ჰაერში,
რომ ჰაერსაც ეშინია იქით გახედვა,
სადაც უხილავი ვარდები ცხოვრობენ.

ღმერთო ჩემო, მათი სუნთქვა
როგორ აღწევს აქამდე?!
. . . . .
თვალს ვარიდებ იმ დღეებს...

●

აკვიატებული მოტივი, აკვიატებული ფიქრი, აკვიატებული თვალები, აკ-ვიატებული თემა...

ბოლოს — სრული გაუცხოება:

ვიღაც, სადღაც, რაღაც, რატომღაც...

კრგავენ საგნები და მოვლენები წონას, ფორმას, განცდას, მნიშვნელობას, ყოველივე ერთფეროვან ნისლში დაინთქა.

თითქოს იდუმალი ქალბატონი,

თითქოს... თითქოს... თითქოს...

მობეზრებული მოტივი, მოსაწყენი ფიქრი, ამოშრეტილი თვალები, ამო-წურული თემა... და ძლივს გადატანილი ავადმყოფობა — სიყვარული რომ ერქვა სახელად.

ისევ ზარის ხმა —

გარეუბნის ეკლესიიდან აღწევს ჩემამდე, ძლივსღა აღწევს, ჩემშიეე წყდება მისი ექო უკანასკნელი.

●

ისევ ფიქრის პარკში ვფუნფუსებ,
ვქსოვ საკუთარ სიმყუდროვეს
და სიჩუმის უხილავი ძაფით
მიბმული ვარ იმ სიტყვაზე,
პირველად რომ აღმოცენდა
სამყაროს სულში.

ისევ ფიქრის პარკში ვშრიალებ,
აქ სიჩუმეს საკუთარი სუნთქვაც კი ესმის
და გულისცემა ისე ერწყმის ფიქრს,
რომ იგი ფეთქავს.

ეს სტრიქონიც ძაფივით ბზინავს
ღამის შუქზე,
რადგან ცისკენ იხედება,
სადაც ვარსკვლავები ციმციმებენ
კოსმიური მუსიკის თანხლებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

ალსავსე ვარ სინათლის წვეთებით,
როგორც კაჟი ნაპერწკლებით და ცეცხლის სუნით.

ღამის წყვდიადში ჩემი სიტყვები
ფოსფორივით იწყებენ ნათებას,
როცა დაღლილ სულს
უხილავის სუნთქვა აცოცხლებს,
როცა სიყვარულს მაგნიტივით იზიდავს სული.

მე ვარ წარსულის ნაღვლიანი ექო —
საუკუნეებს ადევნებული;
მე ვიცი, რომელმა ზარმა გამოსცა ჩემი ხმა,
მახსოვს, მახსოვს, ვისი ექო ვარ.

●

ღამე რომ ივსება უთვალავი ყვავილის სურნელით,
სისხლში რომ წვეთავს მთვარის მოწყენილი ღიმილი,
ქაშინ იბადება ღრუბლივით სიტყვა,
უპმო, მაგრამ გულში ჩამწვდომი,
რომელიც არასდროს, არავის უთქვამს,
იგი არსებობს დასაბამიდან დღემდე,
როგორც ბიძგი სხვა სიტყვების ამოსათქმელად.

თვითონ კი იმალება, იმალება,
ჩვენს თვალებში, ჩვენს ძარღვებში,
ჩვენს გულებში იმალება,
როგორც ჩვენი უმწეობის დასტური.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გივი მალულარია

შეხვედრა გამზირზე

რომანი

XIII

ბერიკაცს გამზირი არა მარტო უცხო და უღიმღამო ეჩვენებოდა, არამედ ისევე გამრუდებული და გაურჩებული, როგორც დღევანდელი დღე იყო, ერთადერთი დღე ცხოვრებაში, როცა უფერულდებოდა, უფასურდებოდა ის ვარაუდი, ბოლომდე გამართლებული რომ ეგონა. არადა, ვერაფრით ვერ გაეგო, რამ აუმღვრია დღეს გუნება, რამ ამოაგდო კალაპოტიდან — არც ავად იყო, არც ოჯახში უჭირდა რამე, არც სამსახურიდან ითხოვდნენ და არც საცხოვ ჰქონდა საქმე. უბრალოდ, მოენატრა ფეხით გავლა, იმის გახსენება, რაც ერთ დროს სიხარულს ჰგვრიდა და ამის გამო არ უნდა დასჯილიყო, სანანებლად არ უნდა გაბდღვიდა საქმე. ალბათ, არც გაუხდებოდა, შიგნით რომ რაღაც არ მორღვეულიყო, უდროო დროს არ გაბზარულიყო. ახლა კი ისიც ეხამუშებოდა, რაც ადრე ახარებდა, და ისიც უსახური ეჩვენებოდა, რაც ერთ დროს ქუჩისა თუ შენობის მშვენებად მიაჩნდა. გამზირი გამდაბიურდა, გაუპიროვნდა და ისე დაკარგა პირვანდელი სახე და განუმეორებელი კოლორიტი, რომ ეს მას მხედველობიდან გამორჩა და მთელი სისრულით მხოლოდ ახლა შეიგრძნო. აქამდე არ ახსოვდა, არ აინტერესებდა და ამიტომ არც შეუმჩნევია, როგორ შეიცვალა თბილისის მოსახლეობა, როგორ მომრავლდნენ და გამრავალრიცხოვდნენ ისინი, ვისაც ქალაქში თავი უფრო დაცული, „კულტურულად“ უფრო გაშინაურებული, გარეგნულად უფრო დამშვენებული ეგონა. მათთვის არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა იმას, რამდენად მოუწყობელი, დაულაგებელი, უთავბოლო იყო ქალაქის დაწნეხილი ცხოვრება და როგორ აღარიბებდა ადამიანს სულიერად, როგორ ათავისუფლებდა პასუხისმგებლობისაგან, როგორ აჩვევდა ქურდობასა და ბოზობას. გამზირზე მოედინებოდა ერთმანეთში ათქვეფილი ბრბო, ახალი რასა, შეიძლება უფრო ენერგიული, უფრო სიცოცხლისუნარიანი, მაგრამ ნიველირებული, ფიქრსა და განსჯას გადაჩვეული, წამხედური. თუ ვინმეს რამე მოეწონებოდა, მოსწონდათ სხვებსაც, თუ ვინმე რამით ერთობოდა, ერთობოდნენ სხვებიც. შეიძლება ქალაქის ერთი სამად გაბრდა, გაუპიროვნება იყო იმის მიზეზი, რომ ხალხი დადაბლდა, გაშავავერმანდა, გასუქდა, გაუზეშდა. ამ გამზირზე მის ბავშვობაში ისეთი ქალები და მამაკაცები დადიოდნენ, რომ ყველა საკრებულოს დაამშვენებდნენ, ახლა კი ჩექმებსა და ტყავის პალტოებში გამოწყობილი, მოთმინებასა და სიფაქიზეს მოკლებული ქალები ჯარისკაცებივით დაბიჯებდნენ და ისე

გაგრძელება. დასაწყ. იხ. „ცისკარი“, № 7-8, 1995 წ., № 1-2, 1996 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შერბოდნენ მაღაზიებში, კაფეებსა და სამაქარლამოვებში, როგორც დაპროგრამირებული. მათზე უფრო დარბაისლურად, დირსეულად არც მამაკაცები გამოიყურებოდნენ. უაზრო, უშინაარსო, პროვინციული ამბიციებით შეპყრობილი სახეები სიყალბეს, უზნეობას მტვრიან ჰაერთან ერთად ისრუტავდნენ და იმასაც კი აუზამსებდნენ, რაც ჯერ კიდევ გახამსებული არ იყო.

ბერიკაცმა ხელი ისე ჩამოისვა სახეზე, თითქოს მტვერი ჩამოიწმინდა და ისევ ცხრა მთას იქით გადაიხვეწა, აფორიაქებულ მოგონებებს დაედევნა.

კრასნოიარსკი ენისეის ორივე ნაპირზე გაშენებული დიდი დაბა უფრო იყო, ვიდრე ქალაქი. ერთმანეთს მიჰყვებოდნენ ფიჭვის მორებისაგან ნაგები ერთ და ორსართულიანი სახლები. ქუჩები მოუკრწყლავი იყო, მაგრამ ზამთარში თოვლი და ყინვა ფარავდა და მტკიცე საფარი ჰქონდათ, ზაფხულში კი, თუ წვიმა მოვიდოდა, ცხენები მუხლებამდე ეფლობოდნენ ტალახში და უწიქმოდ კაცი მეორე მხარეს ვერ გადავიდოდა. ერთადერთი ხსნა ის იყო, რომ ტროტუარებზე ფიცრებს აგებდნენ და რკინიგზის ბაქანივით ამაღლებდნენ. მხოლოდ ცენტრალურ ქუჩაზე იდგა ქვის სახლები, რომლებიც ძირითადად ხელისუფლების 'ადგილობრივ ორგანოებს', ქალაქის ადმინისტრაციას და სკოლებს ეჭირათ.

ქალაქის დაგეგმარება ჯერ კიდევ 1928 წელს დაუწყიათ, მაგრამ მთელი საუკუნის მანძილზე მის უბნებს დიდი არაფერი შემატებია. მარცხენა ნაპირი, ტერასებზე რომ იყო შეფენილი, უფრო მჭიდროდ იყო დასახლებული, ვიდრე მარჯვენა. მარჯვენა მთლიანად ვაკეს ეჭირა და ქარხნებსა და საწარმოებს სწორედ ამ გაშლილ მინდორზე აშენებდნენ. იმ დროს, იგი რომ კრასნოიარსკში ჩავიდა, მხოლოდ ორი ქარხანა შენდებოდა — სამდინარო გემების შემკეთებელი და ცელულოზის გამომმუშავებელი. იმდენი ხე-ტყე, რამდენიც მდინარეში და მის ორივე ნაპირზე ეყარა, სიცოცხლეში არ უნახავს. ეს უფრო ხეების სასაფლაო იყო, ვიდრე საწყობი. ამ სწორ, კანგაუცლელ, საუკუნოვან მორებს არც პატრონი ჰყავდა და არც დამფასებელი. ისინი ისე იყვნენ ჩაყინული მდინარეში, როგორც დაუმარხავი მკვდრები, რომელთაც სიცოცხლე ნაადრევად მოუსწრაფეს, გამოყენებით კი ვერაფერში გამოიყენეს და ამ სინესტესა და ყიამეთში გასახრწნელად, დასალპობად დაყარეს. დათოელილ შტაბელებსაც კი ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს შტაბელებად ყინვისაგან გაშეშებული მკვდრები ეწყო, და ამ შთაბეჭდილებას კიდევ უფრო ამძაფრებდა რაღაცნაირი, არამაქვეყნიური მდუმარება. ხეების სასაფლაოზე უფრო დიდი სასაფლაოს წარმოდგენა ძნელი იყო. ამ სასაფლაოდან უკურნებელი სევდა და გაშავებული ნაღველი მოედინებოდა და მათი შხეფები ისე თოშავდა ირგვლივ ყველაფერს, რომ სიცოცხლის ყოველგვარ ნიშანწყალს უგულებელყოფდა და კოსმიურ იდუმალებაში იძირებოდა.

კრასნოიარსკში სიზარმაცე, საქმისადმი აგდებული დამოკიდებულება და ლოთობა ისეთივე ჩვეულებრივი მოვლენა იყო, როგორც დედის გინება, და ამიტომ ყოველი აქ წამოწყებული საქმე კუს ნაბიჯით მიიწევდა წინ. განსაკუთრებით ზამთრის ბურუსიან დღეებში, როცა დღისა და ღამის ერთმანეთისაგან გარჩევა ჭირდა, როცა ვათენებდა, გამოფხიზლება, რადაცისათვის ხელის წაკვრა და ისევ არყით სავსე ჭიქის პირზე მოყუდება ისევე აუჩქარებლად ხდებოდა, რომ სიზანტისაგან დროსაც კი უვიწროვდებოდა თვალები. ამ რიტმში იყო ჩართული ის სამშენებლო ობიექტიც, რომლის თავარ ინჟინრადაც დანიშნეს. ახალი თანამდებობის პირის, უცხო კაცის გამოჩენას აქაურებისათვის არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა, არც მტრულად ხედებოდნენ და არც მოყვრულად, რადგან დედაქალაქიდან მოვლინებულები და უკან გაბრუნებულები ბევრი უნახავთ, აქ ფეხმოკიდებულები კი ძალიან ცოტა. ქალაქს ცხოვრების თა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვისი წესი, თავისი საზომი, თავისი რიტმი ჰქონდა და ვინც ვერ შეეგუებოდა, ვერ შეიცვლიდა თავის ზნესა და ჩვევას, უკან უნდა გაბრუნებულიყო, რაც არც მის ხასიათს შეესაბამებოდა და არც მის მიზნებს. კრასნოიარსკში იგი იმიტომ ჩამოვიდა, რომ როგორც სპეციალისტსა და ორგანიზატორს თავი გამოეჩინა, პარტიისა და მთავრობის ყურადღება დაემსახურებინა და მასაც რგებოდა წილად ის გაელესა და პრიველეგიები, რითაც ფუნქციონერები და თანამდებობის პირები შეუზღუდავად სარგებლობდნენ. ყველა სხვა გზა ხელის მომცარველი, დამფუჭველი იყო. აქ ჩარჩენა გაღლობებას, გაუკაცურებას უდრიდა. ამიტომ მთელი ძალ-ღონე უნდა დაეძაბა და ისეთ ორბატაზე გასულიყო, რომ ვერც აქ�ური ორგანოს მუშაკებს დაებარებინათ ადვილად და ვერც მოსკოვის დაუკითხავად გაებედათ რამე. ამისათვის კი მშენებლობის ადგილიდან დაძვრა, საკვშორო კორესპონდენტების დაინტერესება, ადგილობრივი ადმინისტრაციის გულის მოგება იყო საჭირო. საქმანი, უნარიანი, კვალიფიციური სპეციალისტის სახელი მანამდე უნდა მოეხვეჭა, სანამ ქარხნის მშენებლობა დამთავრდებოდა, რადგან აქ, სადაც რაღაც შენდება და ცარიელ სივრცეს იკავებს, თავის გამოჩენა გაცილებით უფრო ადვილია, ვიდრე ამუშავებულ საწარმოში.

მშენებლობას თითქმის არავინ ხელმძღვანელობდა. არაფერი იყო მოგვარებული და მოწესრიგებული — არც მომარაგება, არც ტრანსპორტი, არც კადრები; არ ხდებოდა საქმის წარმოება, აღრიცხვა, ანგარიშგება. ერთადერთი ინჟინერი, რომელიც მშენებლობას უძღვებოდა, ნახატებს ძლივს კითხულობდა და შრომის ორგანიზაციაზე წარმოდგენა არ ჰქონდა. კიდევ უფრო უწიგნური იყვნენ მისი ხელქვეითნი, რომელთაც „პრარაბებს“ ეძახდნენ, მაგრამ ამ სიტყვის მნიშვნელობა ცოტა მათგანმა იცოდა. რაც შეეხება მუშახელს, ქარხანას პატიმრები ამშენებდნენ და ტექნიკური პერსონალის უთაურობის გამო ისედაც დასუსტებულებს, კიდევ უფრო მეტი ჯაფა ადგებოდათ.

ყველაფერი თავიდან დასაწყები, გადასაადგილებელ-გადმოსაადგილებელი, გასაზეთ-გასაპოხი იყო. აქაურები რომ საქმეში არ გამოადგებოდნენ, ამას დიდი მიხვედრა არ უნდოდა. ამიტომ მათივთ ისეთი საქმე უნდა გამეკეთებინა, სადაც ჭკუაზე მეტად ბრძანების შესრულების ნიჭია საჭირო. ასეთი ნიჭი კი მათ მარილაც ჰქონდათ და შეიძლება ჭარბადაც. მხოლოდ ეს იყო, რომ კარგი საქმის მწარმოებლისა და გამოცდილი ბუხჰალტრის პოვნა ჭირდა. ასეთები ან ვადამოხდილებს, ანდა შემთხვევით ქალაქში ჩარჩენილებს შორის უნდა ეძებნა. ძებნას იმ დღიდან შეუდგა, რა დღესაც მშენებლობის ყველა ავ-კარგი გაიავალისწინა. მაშინ სასტუმროში ცხოვრობდა, სასტუმროში კი არა, ხახ ორსართულიან ბარაკში, რომლის პირველ სართულზე რესტორანი იყო გახსნილი. უფრო იაფი რესტორანი არსად შეხვედრია და ამიტომ საუზმესაც იქვე მიირთმევდა და სადილსაც, მხოლოდ ვახშმობის დროს ერიდებოდა ძირს ჩამოსვლას. სალამობით რესტორანში ისეთი სმა და ღრეობა იმართებოდა, რომ, ჯერ ერთი, ყურთასმენა არ იყო, მეორეც, უჩხუბრად და უსისხლოდ იშვიათად თავდებოდა საღამო. მიუხედავად ამისა, დილით ყველაფერი დალაგებულ-დასუფთავებული, გაქთქათებული ხვდებოდა, ოფიციანტი ქალები დაუზარებლად ემსახურებოდნენ და ამავარ მომსახურებაში ზედმეტს არაფერს თხოულობდნენ.

ერთ დღეს, სადილობის ჟამს, რესტორანში შემოვიდა ახალგაზრდა, შავებში ჩაცმული ქალი, რომელსაც სიარულზეც ეტყობოდა და მაგიდასთან ჯ
იმაზეც, რომ აქაური არ იყო. მის ქცევაში თავისუფლების ისეთი ელემენტები შეინიშნებოდა, რასაც განაღლება უფრო იძლევა, ვიდრე აღზრდა. შეიძლება აქ ჩამოსვლამდე უკვე სადღაც მსახურობდა და ცხოვრების ისეთ მხარეებს იცნობდა, რასაც ამ ქალაქში ვერ

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეიძენდა. ყოველ შემთხვევაში, არც საწყალი ჩანდა, არც მოტეხილი და არც ისე შეშინებული, რომ საკუთარი თავი ვერ დაეცვა. მართალია, სახე ფერმკრთალი, დამწუხრებული ჰქონდა, მაგრამ ჯანმრთელი, ენერგიული და თამამი ქალი რომ იყო, ამაზე ოფიციანტებთან საერთო ენის გამონახვა და შესანიშნავი მადა მეტყველებდა. არ დაიკლო არაფერი, რასაც კი მოერეოდა. შეიძლება სამგლოვიარო დღეების შემდეგ ეს იყო მისი პირველი გამოსვლა დღის სინათლეზე, შეიძლება მხოლოდ ახლა მეცა იმის შესაძლებლობა, რომ საკუთარი თავისათვის მიეხედა.

რესტორანში, მათ გარდა, კიდევ ერთი წყვილი იჯდა, რომელთაც რაღაც ჰქონდათ გასარკვევი და სხვებისთვის არ ეცალათ. ამტომ გადაწყვეტა ბედნიერი შემთხვევა ხელიდან არ გაეშვა და რადაც უნდა დაჯდომოდა, გაეგო, ვინ იყო, რა კვალიფიკაცია ჰქონდა. ფერმკრთალი და დამწუხრებული ახლა ჩანდა, მაგრამ როგორც კი ძაძებს მოიშორებდა, საქმიანიც აღმოჩნდებოდა და უნარიანიც. ამიტომ მოელი სითამამე მოიკრიბა, მის მაგიდას მიუახლოვდა და დაჯდომის ნებართვა სთხოვა. ქალი ერთხანს შემფასებლური მზერით აკვირდებოდა და, რიცა დარწმუნდა, მისგან არც უსაფრთხოებლა იყო მოსალოდნელი და არც უხამსობა, წყნარად უთხრა:

— დაბრძანდით!

მან თავისუფალი სკამი გამოსწია, დამგლოვიარებული ქალის პირისპირ დაჯდა და ღიმილით უთხრა:

— არ გეგონოთ, რომ საქმე არაფერი მაქვს და იმდენად უტიფარი ვარ, რომ თქვენისთანა დამგლოვიარებულ ქალთან დრიოს გატარება მოვისურვე, უბრალოდ, ჩემზე დიდი ქალაქიდან ჩამოსული, განათლებული, საქმიანი ქალის შთაბეჭდილება მოახდინეთ და ვიფიქრე, თუ აქედან ხვალვე არ მიემგზავრება, იქნებ გამომადგეს იმ მძიმე საქმეში, რომელსაც კარი სპეციალისტების გარეშე თავს ვერ გავართმევ-მეთქი.

— ვინ ბრძანდებით?

— ვემოშემკეთებელი ქარხნის მთავარი ინჟინერი. თანამდებობა მაქვს ასეთი, თორემ ქარხანა ჯერ კიდევ ასაშენებელია.

— თუ ასეთი მძიმე საქმე ნებაყოფლობით იკისრეთ, ვაქკაცი კაცი ყოფილხართ, მაგრამ მე რაში გამოგადგებით: არც მშენებელი ვარ და არც ვემებისა გამეგება რამე.

— მშენებლები და მექანიკოსები მე არ მჭირდება. მე მჭირდება ენერგიული, წიგნიერი ადამიანი, რომელსაც საქმის წარმოება არ გაუჭირდეს.

— უბრალოდ რომ ვთქვათ, კანცელარიის გამგე.

— თუნდაც ასე იყოს.

— რომელსაც მანქანაზე ბეჭედაც ეცოდინება და საქმიან მიმოწერასაც გაართმევს თავს?

— თანაც ისე, რომ ქარხნის ინტერესები დაიცვას.

— გასაგებია. ამის გამოცდილება მე მართლაც მაქვს და თქვენ ძალიან მახეელი თვალი გქონიათ.

— მადლობა ღმერთს, ალღომ არ მიღალატა, მაგრამ მთავარია არა ჩემი აღმოჩენა, არამედ თქვენი თანხმობა. ახლა ისეთ მდგომარეობაში ვხედავთ, რომ შეიძლება არც მუშაობის თავი გაქვთ და არც ამაზე ლაპარაკი იყოს საჭირო?

— შეგიძლიათ შეუკვეთოთ ცოტაოდენი კონიაკი ან არაყი? ახლა ზმა რომ ამოვიღო, მეტი სიმხნევე მჭირდება, — უთხრა ქალმა და თავი ასწია, თვალი ვაუსწორა.

— დიდი სიამოვნებით.

ამ რესტორანში კონიაკს თითქმის არავინ სვამდა, რატომღაც მიღებული არ იყო, უცხოობდნენ და ამიტომ ისიც ისევე იაფი ღირდა, როგორც დანარჩენი ყველაფერი. მან იმ ოფიციანტ ქალს, რომელიც მგლოვიარე მანდილოსნის მაგიდას ემსახურებოდა, ერთი ბოთლი კონიაკი, შოკოლადი და ყავა შეუკვეთა და ახალგაცნობილ ქალს ჰკითხა:

— იქნებ ეწევით?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— საერთოდ არ ვეწევი, მაგრამ ახლა არც პაპიროსზე ვიტყოდი უარს.

ოფიციანტმა კონიაკს და შოკოლადს „კაზბეკის“ კოლოფიც მოაყოლა.

მან ჭიქები შეავსო, შოკოლადი დატეხა და მგლოვიარე ქალს გაუწოდა.

— მიირთვით.

— ვმადლობთ. ცოტათი გავთბი და გონს მოვედი. თქვენ დღეს მხსნელად მომეელინეთ.

— აი, ამას კი აღარ მოველოდი.

ქალმა კონიაკი გადაკრა, ცოტა ფერზე მოვიდა და ენა გაეხსნა.

— ამ ქალაქში მე მართლაც თეთრი ყვავივით ვარ, მით უმეტეს — ამ ძაძებში. ექვსი თვე ავადყოფ ქმარს ვუვლიდი, ორი კვირა მის გამოგლოვებასა და დამარხვას მოვუნდი. აქ არავინ მყავს, არავის ვიცნობ, გარდა იმ დიასახლისისა, ვისთანაც გავჩერდი და ამიტომ ყველაფერი მე დამაწვა მხრებზე. ხარჯს რომ თავი დავანებოთ, ჩვენში მიცვალებულის დასაფლავებაც კი პრობლემაა. ყველაფერზე ჭირისუფალმა უნდა იზრუნო, ყველა საბუთი თხოვნითა და მოთმინებით უნდა მოიპოვო. ამ სირბილსა და ტრირილში არა მარტო დავიღალე, ცოტათი დავიბენი კიდეც. რაც თან ჩამომყვა და რაც აქ მერგებოდა, შემომეხარჯა. ახლა იმ ნივთებსა და ტანსაცმელს ვყიდი, რასაც შემიძლია შევეწალო, მაგრამ ვზის ფულს მაინც ვერ მოვუყარე თავი.

— სადაური ხართ?

— მოსკოველი.

— ქმარს რა დაემართა?

— ჩემი ქმარი ვეოლეგი იყო, თანაც იმდენად ნიჭიერი, რომ სტაჟირებისათვის ამერიკაში გაგზავნეს. ამერიკიდან დაბრუნების შემდეგ გეოლოგიისა და მინერალოგიის სახალხო კომისარიატში მუშაობდა. მეც იქ ვმუშაობდი ჯერ მდივნად, შემდეგ კანცელარიის გამგედ. დავქორწინდით ამ ხუთიოდე წლის წინათ. ზრდილობიანი კაცი იყო, არაფერზე არ მიხრწნებოდა, თავისი საქმე უყვარდა და თავის დარგში ერთ-ერთ საუკეთესო სპეციალისტად თვლეს ბოლ. შარშან რატომღაც ამოიჩემეს, სხვა თვალით დაუწყეს ყურება, ალბათ იმის გამო, რომ ამერიკაში იყო ნამყოფი, და სამუშაოდ ამ ყინვებისა და ცივი ქარების ქვეყანაში გადმოისროლეს. მუშაობა ძირითადად ველზე უხდებოდა. სპეცტანსაცმელი არ ჰქონდა, კარავზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. ერთხელ, შემოდგომაზე, როცა აქ ამინდი უეცრად იცვლება, საშინელმა თოვლ-ჭყაპმა მოუსწრო, თავით ფეხამდე გაილუმპა; ამასობაში გამოიდარა, ყინვამ მოუჭირა და როცა საავადმყოფოში მიიყვანეს, სიცხისაგან იწვოდა. ფილტვების ანთებას ჭლექი დაერთო. გახდა, გაყვითლდა, წვერმოშვებული წმინდანს დემსგავსა. მე რომ ჩამოვედი, უკვე სისხლს ანთხევდა. ექვსი თვე საავადმყოფოდან ფეხი არ გამომიდგამს. სიკვდილის სიახლოვეს და ჩვენმა უმწეობამ კიდევ უფრო დაგვაახლოვა, ერთმანეთის იმედით დავვტოვა. არაფერს ვთაკლობდი, არაფერს ვერიდებოდი, მინდოდა როგორმე გამომეგლიჯა სიკვდილის კლანჭებიდან, მაგრამ მთელმა ჩემმა თავდადებამ ამაოდ ჩაიარა. გულს ის მიკლავს, რომ მისი გადასვენება ვერ შევძელი და საფლავი ამ გაყინულ მიწაზე გაეუთხარე.

ქალმა კიდევ ერთი ჭიქა კონიაკი გადაკრა, პაპიროსს მოუკიდა და ისე მოქაჩა, თითქოს შვებასა და სიმშვიდეს მოუტანდა.

— ახლობელი თუ გყავთ ვინმე? — ჰკითხა კაცმა.

— მამა და დედინაცვალი, მაგრამ მათთან ურთიერთობა კარგა ხანია გავწყვიტე და ამ ურთიერთობის აღდგენის არავითარი სურვილი არა მაქვს.

— ბინა მაინც გექნებათ მოსკოვში, ცოლ-ქმარი სადღაც ხომ ცხოვრობდით?

— გვქონდა ერთი ოთახი კომუნალურ ბინაში, ჩვენმა უწყებამ მოგვცა, მაგრამ მოსკოვიდან უკვე ექვსი თვეა წამოსული ვარ და, როგორც ერთმა მეგობარმა ქალმა მომწერა, იმ ბინიდან მე უკვე ამომწერეს და ახალდაწნაურებული თანამდებობის პირი ჩაწერეს.

— ყველაფერი ერთბაშად დაგიკარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გავთ, — ქმარიც, ბინაც, სამსახურიც, მაგრამ თქვენს მდგომარეობაში მყოფ ადამიანს ახლა დაბმარება უფრო სჭირდება, ვიდრე თანაგრძნობა, და ამიტომ უარს ნუ იტყვით იმაზე, რაც შემოგთავაზეთ. დაიწყეთ მუშაობა, ხელფასები აქ გაზრდილია, დრო სწრაფად გაივლის, დაგეზოგებათ ფული, გაიმართებით წელში და თუ აქაურობას მაინც ვერ შეეგუებით, იქ გადახვალთ საცხოვრებლად, სადაც მოგესურვებათ.

— ძალიანაც რომ მინდოდეს, აქაურობას ასე უცბად ვერ მივატოვებ. გზის ფულზე რომ არაფერი ვთქვა, ფული იმისთვისაც მჭირდება, რომ საფლავი ცოტათი მაინც დავამსგავსო საფლავს, გვარი და სახელი მაინც არ დავუკარგო ჩემს უბედურ მეუღლეს. გარდა ამისა, მეც მჭირდება გონს მოსვლა, სხვა საზრუნავსა და საფიქრალზე გადართვა, და ამის საუკეთესო საშუალება მუშაობის დაწყებაა.

— მერიდებოდა თქვენი ასე მოურიდებლად გაცნობა, მაგრამ, როგორც ზედავთ, ეს არა მარტო საჭირო, აუცილებელიც კი ყოფილა.

— აკი გითხარით, მხსნელად მომევლინეთ-მეთქი.

— როდის შეუდგებით მუშაობას?

— დღეს რა დღეა?

— ხუთშაბათი.

— ორშაბათს რომ გამოვცხადდე, დაგვიანებული ხომ არ იქნება?

— არა, ოღონდ გაფრთხილებთ, იქ არავითარი კანცელარია არ არსებობს, ყველაფერი თავიდანაა დასაწყები.

— მით უკეთესი, აბურდულ-დაბურდულ საქმეებში გარკვევას საქმის თავიდან დაწყება სჯობია.

— თუ ფული არა გაქვთ, ნუ მომერიდებით. ავანსის აღებამდე ცოტას დაგიტოვებთ.

— დღეს მართლაც ბედნიერ ფეხზე ავმდგარვარ. ფული მართლაც არა მაქვს, მაგრამ ასი მანეთი მეყოფა.

მან ოფიციანტი იხმო, ანგარიში გაუწორა, შემდეგ ქალს ასი მანეთი ჩაუდო ჩანთაში და წამოდგა.

— მაპატიეთ, მეჩქარება, უამრავი საქმე მელოდება. აბა, თქვენ იცით, ორშაბათს გელოდებით.

— დიდი მადლობა და კარგად ბრძანდებოდეთ. ვფიქრობ, ერთად მუშაობა არ გავიჭირდება, — უთხრა მგლოვიარე ქალმა და ისიც წამოდგა.

ბუხჰალტერიც ასე მოულოდნელად, შემთხვევით იპოვა. ქუჩაში ქართულ ლაპარაკს მოჰკრა ყური, შეჩერდა და მოსაუბრეებს გაეცნო. ერთი კრასნოიარსკში შვიდიოდე წლის წინათ გადასახლებული ქართველი აღმოჩნდა, ძველი ნაციმბირალი, ნაკატორღალი სოციალისტი, რომელსაც კრასნოიარსკის დატოვების უფლება არ ჰქონდა, მაგრამ მის ფარგლებში მიმოსვლას არავინ უშლიდა. ძებნას მხოლოდ მაშინ დაუწყებდნენ, თუ კომენდატურაში დროზე არ გამოცხადდებოდა და რეგისტრაციას არ გაივლიდა. ხმა ხორხისმიერი ჰქონდა, გურულად უქცევდა. მეორე — ნასამართლევი და სასჯელმოხდილი თბილისელი ებრაელი იყო. არ უნდოდა შინ ხელცარიელი დაბრუნებულიყო და ისეთ სამსახურს ეძებდა, სუფთაც რომ ყოფილიყო და შემოსავლიანიც. საუბარში გაირკვა, რომ ებრაელი სპეციალობით ბუხჰალტერი იყო, სწორედ ისეთი ვინიერი და გამჭრიახი კაცი, როგორიც სჭირდებოდა, და იქვე, ქუჩაში შეთანხმდნენ, რომ ერთად იმუშავებდნენ და ერთმანეთს მხარში ამოუდგებოდნენ.

მოსაგვარებელი ყველაზე მთავარი და მნიშვნელოვანი საქმე დარჩა — კვალიფიციური სპეციალისტებისა და შრომით დაინტერესებული მუშახელის მოზიდვა. კრასნოიარსკის მახლობლად, ქალაქიდან ოთხი კილომეტრის დაშორებით, უზარმაზარი ბანაკი იყო გაშენებული, სადაც ათი ათასზე მეტი პატიმარი იხდიდა სასჯელს. ერთ დიდ კოლონად დაწყობილი, დაახლოებით სამასი კაცი, დილით მოჰყავდათ სამუშაოზე და საღამოს უკან მიჰყავდათ. სამშენებლო ობიექტს ირგვლივ ეკლიანი მავთულხლართი ჰქონდა შემოვლებული, კუთხეებში კი საგუშაგო კოშკები იდგა. შაშხანებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეიარაღებულ ჯარისკაცებს ძაღლები ახლდათ თან. პატიმრებს ცუდად ექცეოდნენ, ცუდად კვებავდნენ, ცუდად აცმევდნენ. შიმშილისაგან გამოფიტულებს ქანცის გაწყვეტამდე ამუშავებდნენ, მაგრამ სასურველ შედეგს მაინც ვერ აღწევდნენ. პატიმრები მაინც ახერხებდნენ ძალ-ღონის დაზოგვას, მხოლოდ იმდენის გაკეთებას, რამდენისთვისაც არ დასჯიდნენ. ასე რომ არ მოქცეულიყვნენ, ორ თვეში გასძვრებოდათ სული. მაშინ არც კომპრესორები არსებობდა, არც ექსკავატორი და არც ბულდოზერი. ყველაფერი ხელით კეთდებოდა და გაყინულ მიწასთან ბრძოლად ბევრი მთგანი ჩაიყვანა მიწაში. პატიმრის ბედით, შრომის პირობებით, არსებობით, არავინ იყო დაინტერესებული და ეს უზარმაზარი პოტენციალი ამაოდ იფლანგებოდა. მან სწორედ ამ პოტენციალის ნაყოფიერად გამოყენება განიზრახა, მაგრამ ამისათვის კრასნოიარსკის მხარის ბანაკების სამმართველოს უფროსს, პოლკოვნიკ ზვიაგინცევს უნდა დაკავშირებოდა და მასთან თუ მეგობრული არა, საქმიანი ურთიერთობა მაინც დაემყარებინა. ზვიაგინცევი უკმური, ძმიმე ხასიათის კაცი იყო, მთელი სიცოცხლის მანძილზე ან თვითონ სჯიდა ვინმეს, ან სხვებს ასჯევინებდა და უამრავი ცოდვა ჰქონდა ჩადენილი. ღამღამობით, ალბათ, კოშმარები აწვალებდა, რადგან როგორც ჯი სამსახურს თავს დააწევდა და ქუჩაში გამოვიდოდა, მაშინვე სპეცსასადილოში შედიოდა და არაყს ჩაის ჭიქებით სვამდა. ხშირად, შინ უფრო მიჰქონდათ, ვიდრე მიჰყავდათ. სამსახურიდან, ალბათ, იმიტომ არ ხსნიდნენ, რომ პარტიისა და მთავრობის წინაშე დიდი დამსახურება მიუძღოდა. ერთხელ, როცა ერთ-ერთი თანბირიდან გამოვიდნენ, ზვიაგინცევი რესტორანში დაპატიჟა, რაზეც პოლკოვნიკი სიამოვნებით დათანხმდა. არაფერი უყვარდა ისე, როგორც მდიდრული სუფრა და არყის სმა. როცა სუფრა გააწყეს, უკმური სახე ცოტათი გაუადამიანურდა, მუნდირის ზედა ღილები შეიხსნა, ჭაღარა თმაზე ხელი გადაისვა. რამდენიმე წამს ზვიაგინცევი უხერხულად ცქმუტავდა, ტუჩებს აცმაცუნებდა, ხელებს იფშვნეტდა. მან ეგრაფინის კვერდით მდგარ ჩაის ჭიქას ხელი დაავლო, ზვიაგინცევს წინ დაუდგა და პირამდე გაუვსო. პოლკოვნიკმა ჭიქას დახედა, მართლა პირამდეა სავსე თუ არაო, შემდეგ აკანკალებული ხელით დასწვდა და ბოლომდე დაცალა.

— თუ არ დავლიე, ისე ლუკმას ვერ ჩავიდებ პირში, — თქვა და მოზრდილ პურის ნაჭერს ხიზილალა კარაქივით წაუსვა. ენისეის ზემო შენაკადებში უძვირფასეს თევზს იჭერდნენ, ნაირნაირი ხიზილალა კი იქაურებს კასრებით ედგათ სახლში.

როცა ზვიაგინცევმა უკანასკნელი ლუკმა გადაყლაპა, მან ისევ გაუვსო ჩაის ჭიქა, პოლკოვნიკი ისევ სიხარულით დასწვდა და როცა დალია, უკვე იმ ხასიათზე იყო, რომ მასთან ლაპარაკი შეიძლებოდა.

— ახლა მითხარი, რა გინდა. ტყუილ-უბრალოდ შენ მე რესტორანში არ დამპატიჟებდი. ვიცი, რა წუპაკები და ძაღლის გავარდნილებიც ხართ.

ზვიაგინცევის სიტყვებისთვის ყურადღება არ მოუქცევია. პირსისხლიანი კაცი იყო და სხვაგვარად ლაპარაკი არ შეეძლო.

— საოზოვარი მაქვს თქვენთან, პოლკოვნიკო.

— ჰოდა, დროზე მითხარი, თორემ მერე ყვირილით რომ ქვეყანა აიკლო, მაინც ვერაფერს შემასმენ.

— შენებელი ინჟინერები მჭირდება, ერთი ხუთი კაცი მაინც. არა მგონია, ამდენ პატიმარს შორის ხუთი კაცი არ გამოიძებნოს. თუ ეს ძნელი საქმე არაა და მხოლოდ თქვენზეა დამოკიდებული, მომიძებნეთ და შენებლობაზე გამომიგზავნეთ.

— რატომ მოქალაქეებს შორის არ ეძებ?

— რომ იყვნენ, ვინ მამაძაღლი, მაგრამ არ არიან, ხოლო ვინც არის, ინჟინრად არ ვარგა.

— აბა, რა გეგონათ? ყველანი ბრმები,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვირეშმაკები და სალახანები ხარო, თქვენი ცხვირის იქით არ იხედებით. რომ იხედებოდეთ, გეცოდინებოდა, რომ ყველაფერი, საუკეთესო და საქმეში გამოსადეგი, ჩვენს ხელშია. ვითომ რაღაცა გეხმით, დიპლომები გიდევთ ჯიბეში, ხინამდვილეში კი არაფრის დანახვა, არაფრის დაფასება არ იცით. ახლოლ მაშინ გაგახსენებით, როცა გაგიჭირდებათ.

უნდოდა გახუმრებოდა, რაღაც ისეთი ეთქვა, საუბარი ცოტათა მაინც რომ შეემსუბუქებინა, მაგრამ ზვიადინცევისთანა ხალხს ხუმრობა ჭირის დღესავით სძულდა და ამიტომ თავი შეიკავა.

— იცით, პოლკოვნიკო, ქარხანას მე ჩემთის არ ვაშენებ, სახელმწიფოს საკუთრებაა; სახელმწიფოს საკუთრებაა ის ხალხიც, თქვენ რომ გაბარიათ, და თუ არ დამეხმარებით, თუ ინჟინრებს არ მომიძებნით და მუშახელს არ დამიმატებთ, ეს იმას ნიშნავს, რომ არ გინდათ სახელმწიფოს დაეხმაროთ.

— თავიდან ვიცოდი, გარეწარი და დეგაგური რომ იქნებოდი. საერთოდ, შენისთანები ყველანი დემაგოგები არიან. მე არ მითქვამს, რომ არ მინდა დაგეხმარო, მე ვთქვი, დანახვა და დაფასება არ იცით-მეთქი.

— თუ ქარხანას დროზე ავაშენებთ და დროზე ავამუშავებთ, ამას მთავრობა თქვენც დაგმადლებთ, პოლკოვნიკო.

— ვინ მოახსენებს მთავრობას, რომ რაც აქ შენდება და კეთდება, ყველაფერ ამაში ღომის წილი სწორედ მე მიმიძღვის?

— პატიოსან სიტყვას გაძლევთ, მე მოვახსენებ, და იცით, რატომ? თქვენი დახმარების გარეშე ის ქარხანა მართლაც არ აშენდება.

— აი, ეს უკვე სხვა ლაპარაკია, თორემ რა გამოდის? ეხმარები ათას ვიგინდარას, უგზავნი ხალხს, ხოლო როცა საქმე დაჯილდოებაზე მიდგება, არავის ახსოვხარ.

— ვის არ ახსოვხართ?

— იმ გაიძვერებს, რომელთაც პრემიებით ჯიბეების გასქელება და ორდენების მკერდზე მიტყეპება უყვართ. დამისახი, თუ კაცი ხარ, არაფი!

— ჯერ საქმე მოვათავოთ, პოლკოვნიკო.

— საქმე მოთავებულია. გამოვიგზავნი იმ შენს ინჟინრებს და ვნახოთ, როგორ დამიფასებ. ახლა კი მომეშვი შენი სასულელებით და დამიხსნი არაფი.

მან ისევ გაუსწო ჩაის ჭიქა. ამ ჭიქის დალევის შემდეგ ზვიადინცევს ხმა არ ამოუღია. თვითონ ისხამდა და რაც უფრო მეტს სვამდა, მით უფრო უმძიმდებოდა სახე, მით უფრო პირქუში და მურდალი ხდებოდა. ბოლოს ისე გაალეშა, რომ ეტლით წაიღეს შინ. პოლკოვნიკის ასე დათრობა აქ არავის აკვირვებდა, საკვირველი ის იქნებოდა, რომ არ დამთვრალიყო.

ზვიადინცევი არავითარ იმედს არ იძლევდა იმისა, რომ მისი თხოვნა გაახსენდებოდა, მაგრამ მოხდა სასწაული და ორი კვირის შემდეგ იმ პატიმრებს შორის, რომლებიც დილით ობიექტზე მოიყვანეს, ხუთი ინჟინერი აღმოჩნდა. მათი გვარები ზვიადინცევმა ტელეფონით აცნობა. მან ხუთივე დაიბარა, გაესაუბრა, ჰკითხა, სადაურები იყვნენ, სად ჰქონდათ დამთავრებული უმაღლესი სასწავლებელი, დამოუკიდებლად თუ აუშენებიათ რამე, და პასუხით კმაყოფილი დარჩა. ორს საზღვარგარეთ ჰქონდა უმაღლესი დამთავრებული, დანარჩენებს კი მოსკოვსა და პეტერბურგში. სამშენებლო ობიექტი მან ხუთ ნაწილად დაჰყო, თითოეულს თავისი უბანი ჩაუბარა და ყველა სხვა მოვალეობისაგან გაათავისუფლა. თანაც სთხოვა, მუშახელი თვითნ შეერჩიათ, მათთვის ყველაზე დიდი ულუფა გამოეწერათ და თუ რამე ხელს შეუშლიდათ, უშუალოდ მისთვის მიემართათ.

ორ კვირაში ამუშავდა კანცელარია, ბუხჰალტერია, საწარმოო განყოფილება, გაჩნდა ტრანსპორტი, მასალა; ის მექანიზმებიც კი აწყვეს, რომელთა აწყობის იმედი არავის ჰქონდა. ობიექტს იმდენი დაუხარჯავი ფული აღმოაჩნდა, რომ ეფლანგათ, მაინც ვერ გაანაავებდ-

ნენ. მშენებლობაზე აღრე დასაქმებული მოქალაქეები მან ზონის გარეთ გაიყვანა და ისეთი საქმეების გაკეთება დაავალა, რის გაკეთებაც პატიმრებს არ შეეძლოთ. ერთ-ორ თვეში საქმე აეწყო, უაზრო შრომას აზრი მიეცა. ამასობაში გაზაფხულდა კიდეც. პატიმარი ინჟინრები არა მარტო მთელ მშენებლობას ხელმძღვანელობდნენ, არამედ მუშაზელსაც, მასალის დროულად მოზიდვასაც, მექანიზმებსაც რაციონალურად იყენებდნენ, პატიმრებსაც უადვილებდნენ შრომას და საწარმოსაც უზოგავდნენ სახსრებს. ერთი წლის შემდეგ ქარხნის ყველა კორპუსი, დოკი, ბრძმედი, დამზმარე სახელოსნოები მზად იყო. წუნი არაფერს დაედებოდა. ადგილობრივ ხელისუფლებას თავისი არაკომპეტენტურობით საქმე რომ არ გაეჭიანურებინა, მიმღები კომისია მოსკოვიდან გამოიძახა. „პრავდასა“ და „იზვესტიის“ ადგილობრივი კორესპოდენტები ობიექტზე მოიწვია, მთელი ქარხანა დაათვალიერებინა, გაუმასპინძლდა და რეპორტაჟები გააშანშალებინა. მოსკოვში არაფრით არ ელოდნენ ქარხნის მშენებლობის ასე მალე დამთავრებას და ადგილზე ჩამოსული კომისია ყველაფერს ეჭვის თვალით უყურებდა, უკირკიტებდა, გულმოდგინედ ამოწმებდა, მაგრამ როცა დარწმუნდნენ, რომ ყველაფერი გეგმის მიხედვით იყო აშენებული და, თანაც, მასალისა და ხელფასის ფონდის გადაუხარჯავად, აქტი იქვე შეადგინეს და ხელი მოაწერეს, რასაც რესტორანში პატარა ბანკეტი მოჰყვა. ბანკეტს პარტიის სამხარეო კომიტეტის მდივანი და ქალაქის საბჭოს თავმჯდომარეც ესწრებოდა. ცხადია, მათ მიმართაც ბევრი სანაქებო სიტყვა ითქვა. ამასობაში „პრავდასა“ და „იზვესტიაში“ რეპორტაჟებიც დაიბეჭდა. ერთი თვის შემდეგ მოსკოვიდან მძიმე მრეწველობის კომისრის მიერ ხელმოწერილი ბრძანება მოვიდა, სადაც მადლობას უხდიდნენ პარტიის სამხარეო კომიტეტის მდივანს, ქალაქის საბჭოს თავმჯდომარეს და მას. ბრძანებაში გამოტოვებული იყო ზვიადგინცევი, რომლის გვარი მან საგანგებოდ შეატანინა სიაში კომისიის წევრებს, მაგრამ ეტყობა, ამ უწყების ხსენებას საერთოდ ერიდებოდნენ და როგორც კი გაიგეს, ვინ იყო, მაშინვე გადაშალეს. ზვიადგინცევი იმის გამოც გასკდებოდა გულზე, რომ ფულადი პრემიები საკმაოდ დიდ თანხას შეადგენდა, მაგრამ ახლა მას იმ-ხელა ავტორიტეტი ჰქონდა, რომ ზვიადგინცევი ვერაფერს დააკლებდა. პარტიის სამხარეო კომიტეტის მდივანთან დაახლოებამ მისი პარტიაში მიღებაც დაჩქარა. ბიუროს სხდომაზე არავინ არაფერში დაეჭვებულა, არავინ არაფერში გამოდავებია, ფორმალური კითხვების შემდეგ ხმა მისცეს და გამოუშვეს. იმ დღეს თანამშრომლებმა დაპატიჟეს, ამაგი დაუფასეს, გულუხვად გაუმასპინძლდნენ. თუმცა რატომ არ უნდა დაეპატიჟებინათ და დაეფასებინათ? თითოეულ მათგანს საკმაოდ მოზრდილი თანხა ედო ან ჯიბეში, ანდა სალარაში. განსაკუთრებით — თბილისელ ებრაელს და კანცელარის გამგეს, ვალენტინა გლუშკოვას, რომელიც კარგა ხანია მისი საყვარელი იყო, მაგრამ ამ ურთიერთობის აფიშირებას არც ერთი ცდილობდა და არც მეორე. ისინი იმ დედაბრის სახლში ხვდებოდნენ ერთმანეთს, სადაც გლუშკოვა იყო გაჩერებული. დედაბერს ფულს უხდიდნენ, საჭმელ-სასმელს არ აკლებდნენ და ამიტომ ენას არ ატარტარებდა.

იგი უკვე პარტიის წევრი იყო, როცა მოსკოვიდან მისი გემოშემკეთებელი ქარხნის დირექტორად დანიშნეს ბრძანება მოვიდა. ამას არ მოელოდა, ვარაუდადაც კი არ გაუვლია გულში. დირექტორობას შინ დაბრუნება ერჩია, მაგრამ დაუფიქრებლად აჩქარება არ უყვარდა, ჯერჯერობით წარმოდგენა არ ჰქონდა, რა ვითარება იყო საქართველოში, აქ კი ხელის მოთბობის, თავის გამოჩენის შესაძლებლობა ეძლეოდა და რატომ უნდა ეკრა ხელი იმ სიკეთისათვის, რასაც უბრძოლველად სთავაზობდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

XIV

იმ წლის ივლისი, ციმბირის ყველაზე თბილი თვე, თითქმის უსაქმოდ, უზრუნველად გაატარა, მაგრამ ხელფასსაც ღებულობდა და პრემიასაც. ზოგჯერ ნაცნობებს და თანამშრომლებს სანადირდ ან სათევზაოდ მიჰყავდათ, ზოგჯერ ბილიარდს თამაშობდა, ზოგჯერ ვარჯიშობდა, ერთხელ გემითაც კი გაისეირნა ჩრდილოეთისაკენ, ენისეის პირქუში, უკაცრიელი, დიადი ნაპირები მოინახულა, იქაური, ბეწვივით ფერიდან ფერში გადამდინარე საღამოების ცქერით დატკბა, იდუმალი ბუნებისა და უბიწობის სისპეტაკით განიმსჭვალა. მისი თანამგზავრები უხას ხარშავდნენ, არაყს სვამდნენ, თევზაობდნენ და ნადირობდნენ, მაგრამ პირადად მას არც უთევზაავა და არც უნადირია. იმ დროს სხვა საფიქრალი ჰქონდა და იმ საფიქრალს თავის მოობა სჭირდებოდა. დირექტორობას რომ შეიშნობდა და მოირგებდა, ამაში ეჭვი არ ეპარებოდა, მთავარი ბაო ქარხნის ძრავებით, დაზგებით, ჩარხებით, ამწეებით აღჭურვა, მათი დროულად მოპოვება, კრასნოიარსკში ჩამოზიდვა და დამონტაჟება. ყოველივე ამას მოფიქრება, მიხედვა, მოგვარება სჭირდებოდა. სანამ რაღაც მოიფიქრებდა და საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებდა, კრასნოიარსკის ყველა გარეუბანი შემოიარა. ხალხი უსახსროდ, უწესოდ, უგუნურად ცხოვრობდა. სიყვარულსა და სიხარულს მათი ნესტიანი ქოხებიდან ფეხი ჰქონდა ამოკვეთილი. ზაფხულის ნათელ დღეებს მზოლოდ ქალაქის ირგვლივ მუქად შემოჯარული ტყეები და მდინარის პირას აღმართული, გაშავებული შტაბელები ჩრდილავდა. უბეგავაროთებული მდინარე ვერცხლისფრად ბრწყინავდა და მდორედ მიედინებოდა ჩრდილოეთისაკენ, და დაუსახლებელი მიწისაკენ, რომლის არსებობას აქაური ლეგენდები საეჭვოს ხდიდა, მაგრამ ამ ლეგენდების საფუძვლიანობას ის ადასტურებდა, რომ ჩრდილოეთით მდებარე მიწა-წყალი მართლაც მდიდარი იყო ხე-ტყით, თევზით, ბეწვეულით, ოქროთი, ვერცხლით, პატიოსანი თვლებით და იმხელა სივრცეებით, რომ სასივრცეოოში ვერ ეტეოდნენ. მოელი ეს ქონება ზაფხულობით კრასნოიარსკში მოედინებოდა და ჩალის ფასად იყიდებოდა. შეზარხოშებული მრეწველები ზოგჯერ ერთ ბოთლ არაყში სიასამურის გამოყვანილ ბეწესაც კი იძლეოდნენ. შავ ბაზარზე მეტისმეტად შეღავათიან ფასებში იყიდებოდა ოქროს ფზენილი, დაუმუშავებელი პატიოსანი თვლები, ნაირ-ნაირა ბეწვეული. მარიფათიანი კაცი აქ ერთ ზაფხულში გამდიდრდებოდა, მაგრამ ჩეკას, როგორც ყველგან, არც აქ ეძინა, მუშაობის თავის მეთოდები ჰქონდა და საიმედო აგენტურა ჰყავდა. მარიფათიან კაცს ჯერ აცლიდნენ საქმიანობას, ქონების დაგროვებას, შემდეგ კი თავს ესხმოდნენ და პირწმინდად ფცქვნიდნენ. თუ ვინმე ხმას ამოიღებდა, ოქმს შეუდგენდნენ, დაამტკიცებინებდნენ, გასამართლებდნენ, თუ არადა, წართმეულს იტოვებდნენ, მას კი გარეთ უშვებდნენ. ჩამორთმეული ქონება თვალსა და ხელს შუა ქრებოდა და შემდეგ მის კვალს ვერავინ აგნებდა.

ყველაზე დამახასიათებელი ამ მტვრიანი ქალაქისათვის მაინც ის იყო, რომ ხალისიანი ფერები და ფერადოვნება არ უყვარდა, არ უყვარდა რაიმეს გადაღება, გადაკეთება, განახლება. ყველა ფერს ჭარბობდა მტვრისა და ნესტისაგან გაშავებული ხის ფერი და ეს ერთფეროვნება ყოველვვარ ინიციატივას, ყოველგვარ ფანტაზიას ახშობდა. მიუხედავად ამისა, ახალი წყობა, ახალი ეკონომიკა, ახალი ლოზუნგები ამ შორეულ მხარეშიც მტკიცედ იკიდებდა ფეხს, ცხოვრების ის ყველა სფეროში იჭრებოდა და იმათაც კი ბოჭავდა და ათვინიერებდა, ვისაც ავაზაკის ფიზიონომია და კაცის კვლის მოთხოვნილება ჰქონდა. ამგვარი ფიზიონომია ადგილობრივ მკვიდრთა შორის ბევრს ამშვენებდა და თუ სიფხიზლეში არა, სიმთვრალეში მაინც იკმაყოფილებდნენ ატავისტურ ჟინს, მაინც იწყმედდნენ სულს. აქაური სისხლი არა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარტო მღვრიე და მჩქეფარე იყო, არა მარტო ეზმაურებოდა იმ ბუნებას, ირგვლივ რომ ერტყა, არამედ მისი ცირკულაცია ხორცსა და სულს ხან აღიზიანებდა, ახელებდა, ხანაც აღუნებდა, აწლუნგებდა და ან სისხლის დანთხევას ითხოვდა, ანდა ცრემლის დაღვრას.

როცა აზრი საბოლოოდ მომწიფდა და ყველაფერი ისე დალაგდა, როგორც ამას ბურუსით მოცული სინამდვილე მოითხოვდა, მან ხანგრძლივი მოელინება გაიფორმა, მატარებელში ჩაჯდა და მოსკოვში ჩავიდა, სადაც ისევ თანაინსტიტუტელები და თანაკურსელები მოინახულა. მათი დახმარებით არც იმათი გაცნობა გაუჭირდა, რომელთა რეზოლუციასაც ბრძანების ძალა ჰქონდა. სადაც ერთი ხერხი არ ჭრიდა, მეორეს იშველიებდა; სადაც მეგობრობა და ნაცნობობა ფეხებზე ეკიდათ, მდიდრულად გაწყობილ სუფრასა და საჩუქრებს აფასებდნენ; სადაც პროვინციელ ადმინისტრატორებს არად აგდებდნენ, ზემოდან დარეკილ ზარს უსიტყვო ემორჩილებოდნენ. ბიუროკრატების შეჯაჭვრარება და დაყოლიება აღვილი საქმე არ იყო, მაგრამ ბოლოს და ბოლოს ყველა აუღებელი ციხესიმაგრის აღება შეძლო და, რაც სჭირდებოდა, თითქმის ყველაფერი დაიორია. არც ერთი ჩარხი და არც ერთი დაზგა არ დაკლებია იმ სიას, მოსკოვში რომ ჩაიტანა და იმათ უდებდა წინ, ვისაც ყოველივე ამის მოცემა შეეძლო. საერთო ენის გამონახვა არც რკინიგზელებთან გასჭირვებია. არაფს მოსკოვშიც ისეთივე ძალა ჰქონდა, როგორიც კრასნოიარსკში. საქმე რომ არ შეფერხებულიყო, მანამდე არ დაიძრა დედაქალაქიდან, სანამ ყველაფერი რკინიგზაზე არ მიზიდა და ვაგონებში ჩატვირთა. დაზგები და ჩარხები გზაში რომ არ გაეძარცვათ ან განზრახ არ გაეფუჭებინათ, წინასწარ იძახებდა დეპეშით იმ თანამშრომელს, რომელიც უკვე ქარხნის შტატში ირიცხებოდა, და თითოეულ კაცს თითოეულ ვაგონს აბარებდა. ამ საქმის ბოლომდე მიყვანას საკმაო დრო დასჭირდა. ზოგიერთი თანამდებობის პირი კერკეტა კაკალივით იყო, ერთი დარტყმით ვერას დაკალებდი. რამე რომ დაგეტყუებინა, აქეთ-იქიდან უნდა გებაგუნებინა, თანაც ისე, ვერ გაეგო, ვინ რომელი მხრიდან უბაგუნებდა. ერთმა სალახანამ კი მისი თუ გაფუჭება არა, დამცირება, აბუჩად აგდება მოინდომა.

მაშინ იმპორტული დაზგები ჰქონდათ მიღებული და რამდენიმე ცალის დათრევა მოინდომა. დაზგების გაცემაზე იმ სალახანას უნდა მოეწერა ხელი. იცოდა, რა კაციც იყო და ამიტომ ერთი კარგი ნაცნობი მიუგზავნა. ის ნაცნობი, რა თქმა უნდა, უარით გამოისტუმრა და თანაც ასეთი სიტყვები დასცდა: „რატომ ვაძლევთ ამ „ტუზემეცს“ ძვირადღირებულ, დეფიციტურ ჩარხებსა და დაზგებს, ვინ მოვდია, რა წითელი კოჭია, საინტერესოა, ვინ მფარველობს, ვინ უმაგრებს ზურგს. შეგვჭამეს, აგვიკლეს ამ გადამოიელებმა. ჩემი ნება რომ იყოს, ყველას კინწისკვრით გავყრიდი მოსკოვიდან“ და ა. შ. და ა. შ. იმ ნაცნობმა, რომელიც მიუგზავნა, ყველაფერი ეს მას უამბო, მან კი არც აცია, არც აცხელა და მის კაბინეტში იმ დრის შევიდა, როცა კომუნისტური პარტიის გაშოვინისტებული წევრი მარტო იყო.

კარდაკარ საიარულს, მოსაცდელებში ჯდომას და კაბინეტებში ფეხის შედგმას შეჩვეული იყო და ამიტომ არც კაბინეტების მოცულობა აკვირვებდა, არც მათი პატრონების დიდაკცური, სერიოზული, მბრძანებლური, მაგრამ უნდო, უცხვირპირო და უსულგული გამომეტყველება. ის ტიპი, მის წინ რომ იჯდა და უზარმაზარი საწერი მაგიდა ბუნკერივით ჰქონდა აფარებული, სტუდენტობის დროს ისეთ დაჯგუფებებს ეტანებოდა, ველიკორუსული შოვინიზმის ელფერი რომ დაჰკრავდათ. ისინი რევოლუციასაც უჭერდნენ მხარს, დიქტატურასაც და ტოტალიტარიზმსაც, მაგრამ ეს ტოტალიტარიზმი უნდა ყოფილიყო იმპერიალისტური, რაღაც ნაციზმის მაგვარი, რომელსაც მიზნად მსოფლიოს დაპყრობა უნდა დაესახა და არა ეროვნული

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანასწორობა. საბჭოთა კავშირის, ანუ რუსეთის ყოველ წარმატებას ტაშისცემითა და ზარზეიმით ხვდებოდნენ, დემონსტრაციებში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ, და თუ მაინც დაბოღმილები იყვნენ, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ რუსეთს არარუნი მარაოდა. აი, ეს აცოფებდათ, ბრაზით ახრჩობდათ. ერთხელ, ჯერ კიდევ ნეპის დროს, მათ ღრეობას შეესწრო კაფეში. ისეთი მთვრალები იყვნენ, არავისა და არაფერს უწევდნენ ანგარიშს. ყოფლიჩინობდნენ, ილანძღებოდნენ, პატრიოტულ სიმღერებს ბღაოდნენ, სუფრასთან ათამდე კაცი იჯდა. მართლა იდეით შეპყრობილი ან მართლა რადიკალი მათ შორის ერთი-ორი თუ იქნებოდა. უეცრად ლაგუტინმა ამეტირა, ფეხზე წამოიჭრა, ხელში ჭიქა აიღო და იმის მაგვარად, რომ სადღეგრძელო ეთქვა, იოსიფ ვისარიონოვიჩს დაუწყო ლანძღვა, სულ ხეპრე, ვიგინდარა და აღმოსავლელი დესპოტი ეძახა. ეტყობა, ცოტათი იმ საქმის კურსშიც იყო, რაც მაშინ გერმანიაში ხდებოდა, ყოველ შემთხვევაში, ალფრედ როზენბერგის „XX საუკუნის მითი“ თუ წაკითხული არა, გაგონილი მაინც ჰქონდა, რადგან წიგნი ქებით მოიხსენია. ლაგუტინსა და მის შეფებს კომუნისტობას ფაშისტობა ერჩიათ, მაგრამ ხელისუფლების სათავეში არარუსები იდგნენ და რასიზმს, მით უმეტეს — ველიკორუსულ რასიზმს არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებდნენ. ოცაანი წლების ბოლოს დაწყებულმა რეპრესიებმა ლაგუტინსა და მისთანებს ხმა ჩააწყვეტინა, ხოლო როცა ოცდაათიანი წლების არნახული რეპრესიები დაიწყო, მაშინდელი ულტრაპატრიოტები პირწავარდნილ ინტერნაციონალისტებად იქნენ. ახლა ეს ნაციონალისტ-ინტერნაციონალისტი საჯიმის მოადგილე იყო, ჯიბეში პარტიის მანდატი ედო, დიდ კაბინეტში იჯდა და თავი ქედაღლერად ეჭირა. როცა წინ დაუდგა, ლაგუტინმა არ იცოდა, როგორი ტონი აერჩია, ოფიციალური თუ ამხანაგური, მაგრამ ბოლოს მაინც ამხანაგური არჩია.

— დავიქეი, რას აკეთებ, როგორ ხარ?

— ჰკითხა და სკამზე მიუთითა.

— გულზე რომ არ გეხატები, კი ვიცი, მაგრამ არ მეგონა, ჩემს ჯავრს თუ ქარხანაზე იყრიდი, ის ქარხანა თქვენთვის, რუსებისათვის შენდება და არა ჩვენთვის, ქართველებისათვის, — უპასუხა მან.

— რა შუაშია აქ რუსი და ქართველი, წესიერად მითხარი, რა პრეტენზიები გაქვს ჩემთან, რომელ ქარხანაზე მელაპარაკები?

— იმ ქარხანაზე, კრასნოიარსკში რომ აშენდა და თუ არ აღიჭურვა, ვერ იმუშავებს.

— მერედა, შენ რა გესაქმება იმ ქარხანასთან?

— ის მესაქმება, რომ იმ ქარხნის დირექტორი მე ვარ და არ მინდა ამდენი შრომა წყალში ჩამეყაროს.

— აი, ეგ კი არ ვიცოდი, — იცრუა ლაგუტინმა ისე, რომ სახეზე ერთი ძარღვიც კი არ შეტოკებია. — შენ, ჩემო ძმაო, მთელი ჩვენი საწყობების გაძარცვა მოინდომე. ეს კი კაი საქმე არაა. შენ რომ ყველაფერი გავატანოთ, სხვას რაღა მივცეთ, სხვასაც ხომ უნდა მუშაობა?

— საწყობები ისეა გადაჭედილი, რომ ახალთახალი დაზგები და ჩარხები ღია ცის ქვეშ ყრია და იჟანგება.

— ვინ გითხრა, რომ ღია ცის ქვეშ ყრია და იჟანგება?

— ვის უნდა ეთქვა, ჩემი თვალით ვნახე.

— რასაც შენი თვალით ნახავ, ყველაფერი მართალი კი არ არის. იმ დაზგებსა და ჩარხებს პატრონი ჰყავს და დღეს ან ხვალ გაიტანენ. ყველას როდი აქვს იმის დრო, მოსკოვში ჩამოვვისახლდეს და ყელში ხელი წაგავჭიროს.

— ახლა გასაგებია, რატომ არ მიშვებდა შენი მდივანი შენთან. თუ ყელში ხელს წაჭერისა ასე გეშინია, მეტ ჭკუასა და წინდახედულებას უნდა იჩენდე.

— შენ რა, აქ ჭკუის სასწავლებლად მოხვედი?

— არა, მე საქმეზე მოვედი, მაგრამ, ეტყობა, საქმე ჩვენ სხვადასხვანაირად

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვესმის. შენ თუ გგონია, იმ ჩარხებს შენი თანამემამულე უკეთესად მოიხმარს, ძალიან ცდები.

— რა აბეზარი ხალხი ხართ ეს კავკასიელები. სანამ კაცს მოთმინებიდან არ გამოიყვანთ, არ მოეშვებით.

— სამაგიეროდ ჩვენ, „ინტერნაციონალის“ ნაცვლად, „ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲯᲐᲛᲘᲔᲠᲘᲡ“ ვმღერით და ჩვენს კერას ვემსახურებით.

— ეს უკვე პროვოკაციაა!

— რა მოხდა მერე, ახლა რაიმეს პირში თქმასა და სიმართლეს პროვოკაციას ეძახიან.

— გირჩევნია ახლავე ადგე და გახვიდე აქედან, თორემ შეიძლება აქ ისეთი კაცი შემოვიდეს, რომელიც ჩვენზე უკეთ ერკვევა, რა არის სიმართლე და რა პროვოკაცია.

— შემოვა და შემოვიდეს. მე ისეთი რამ მაქვს სათქმელი, რითაც ის კაცი უთოდ დაინტერესდება.

— მაინც, რა გაქვს სათქმელი?

— თუნდაც ის, რომ ერთი ჩვენი ინსტიტუტის სტუდენტი დიდ ბელადს ხეტრეს, ვიგინდარასა და აღმოსავლელ დესპოტს ეძახდა. თუ დაინტერესდნენ, არც მოწმეების მოძებნა გაუჭირდებათ.

ლაგუტინი გაშრა, გაფითრდა, სავარძელზე გადაესვენა და თვალები გადაუტრიალდა. გულწასული კაცისა და ქალის მეტი რა უნახავს, მაგრამ სახკომის მოაღვილე მკვდარს უფრო ჰგავდა, ვიდრე გულწასულს. ზუსტად ისეთი ფერი ედო, მიცვალებულებს რომ აღევთ. მისი არც მთლად გადარევა უნდოდა და არც მოკვლა, მაგრამ რას წარმოიდგენდა, ასე თუ გადაიქცეოდა. ამიტომ დაიბნა, დფრთხა, არ იცოდა, რა ეღონა. ლაგუტინის უეცარი სიკვდილი ათასგვარ ეჭვს წარმოშობდა, საქმეს გაართულებდა, შეიძლება ისეთ ჭაობშიც კი ჩაეთრია, საიდანაც შშრალი ვერ ამოვიდოდა. რაც უნდა იყოს, სახკომობას არაფერი უკლდა და თავის მოვალეობას ასრულებდა. ერთხანს გაუნძრევლად იჯდა, ეგონა, თავისით მობრუნდებოდა, შემდეგ წამოდგა, მაჯა გაუსინჯა და ცოტათი დამშვიდდა. სხვა რომ ვერაფერი მოიფიქრა, წყალს დაუწყო ძებნა. კუთხეში, მაგიდაზე წყლით სავსე გრაფინი და ორი თხელი ჩაის ჭიქა იდგა. ლაგუტინი მხოლოდ მას შემდეგ მოვიდა გონს, როცა მთელი ჭიქა წყალი სახეში შეასხურა. დაზაფრულსა და დარტიანებულს, სავარძელში წამოჯდომა გაუჭირდა. ფართოდ გახელილ თვალებს მართლაც იმ ქვეყნიდან დაბრუნებულივით აცეცებდა. მოძრაობის უნარი და ადამიანის ფერი კი მხოლოდ მაშინ დაუბრუნდა, როცა ქვედა უჯრიდან კონიაკი გამოიღო და პირდაპირ ბოთლიდან მოსვა. ახლა მის წინ სულ სხვა კაცი იჯდა — თმაჩამოშლილი, შიშნაჭამი, გასაცოდავებული.

ლავუტინის მობრუნება ლაგუტინზე ნაკლებად არც მას გახარებია.

— რა ვქნათ, ლავუტინ, დავრჩეთ ამხანაგებად, დავიფიწყოთ წარსული, თუ დავაღალატოთ და დავასამართოთ ერთმანეთი? — ჰკითხა ისე, რომ მის ხმაში რაც შეიძლება ნაკლები მუქარა ყოფილიყო.

ლაგუტინმა თმა გადაივარცხნა, საყელო გაისწორა და მილეული ხმით უთხრა:

— ერთი სიცოცხლე მე უკვე გავთავე...

— არაფერი არ მოხდებოდა, ასე რომ არ გაყოყოჩებულიყავი და ცოტაოდენი კაცობა გამოეჩინა.

— მართალი გითხრა, შენთან შეხვედრა ცოტათი მაშინებდა. ვიცოდი, რომ საქმის გაჭიანურებისათვის სამაგიეროს გადამიხდიდი, რაღაცას გამომიჩხრეკდი, ამაფორიაქებდი, მაგრამ ამ მხრიდან დარტყმას არაფრით არ მოველოდი. ახლა შენ ყოველთვის შეგიძლია ჩემი შანტაჟირება.

— მე ის კაცი არა ვარ, ვინმეს შანტაჟირება რომ ვიკადრო. შენი მე არაფერი მინდა და რაც გთხოვე, ისიც არა ჩემთვის, არამედ ქარხნისათვის მინდა.

— მაჩვენე ერთი, რას ითხოვ?

— იმაზე მეტს არაფერს, რაც ქარხანას სჭირდება.

— მომეცი!..

მან საქაღალდიდან ქაღალდები ამოიღო და ლაგუტინს გაუწოდა. ლაგუტინმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველ მოთხრობას მსხვილი, წითელი ფანქრით წააწერა: „დაუყოვნებლივ გაეცით“ და მდივანს უბრძანა, მასთან არავინ შეეშვა. შემდეგ იმავე უჯრედან, სადაც კონიაკი ჰქონდა შენახული, ჭიქები ამოიღო, მის პირდაპირ დაჯდა და იმ ერთ ბოლო კონიაკს ისე გამოუყვანეს წარვა, რომ ერთმანეთისათვის ულიარსა და უკადრისი არაფერი უთქვამთ.

მას შემდეგ არსად არავითარ დაბრკოლებას არ გადაყრია. როცა მოსკოვიდან უკანასკნელი ვაგონი გაისტუმრა, მატარებლის ბილეთი აიღო, რაც ფული გადარჩა, ერთი ნაცნობი, თბილისელი ინჟინრის ხელით ცოლ-შვილს გაუგზავნა და ისევ დაადგა ციმბირის გაუთავებელ გზას. შეიძლება ამდენი სიფრთხილე საჭირო არც იყო, შეიძლება მისი ასავალ-დასავალი აღარავის აინტერესებდა, მაგრამ სულელური მდგომარეობიდან გამოსავლის პოვნა გაცილებით უფრო ჭირდა, ვიდრე გონივრულიდან. ჯერჯერობით იმ ქეყანას, სადაც ამდენს ჯახრობდა, წყმა შემობრუნებისა არაფერი ეტყობოდა. ამიტომ ვერ ენდობოდა იმ ლოგიკას, რომლითაც ხელისუფლება და მისი ორგანოები ხელმძღვანელობდნენ. მართალია ციმბირი შორს იყო, ყინვა წარბებსა და წამწამებს უთეთრებდა, მაგრამ ცივ ციმბირში მას არც სცეოდა და არც შიოდა. პირიქით, შემოსავლიც ბევრად მეტი ჰქონდა და საკავშირო ორბიტაზე გასვლის შანსიც.

მოსკოვში გატარებულმა დღეებმა საბოლოოდ დაარწმუნა, რომ რეპრესიები საგრძნობლად შესუსტებულიყო. ვინც დასასჯელი ან მოსაკვდნებელი იყო, დასაჯეს და მოაკვდინეს, ვინც დასაშინებელი და დასამონებელი — დააშინეს და დაიმონეს. დაზაფრულებს ერთხანს აღარც იარლიყს მიაკერებდნენ და არც ჟლეტას დაუწყებდნენ. ეს კი მასაც ძალევდა შესაძლებლობას იმათ მარაქაში გარეულიყო, ვისაც თანამდებობებს ურიგებდნენ, აწინაურებდნენ, თავიან-ფეხებიანად ყიდულობდნენ. დრო იცვლებოდა, იცვლებოდა ლოზუნგებიც და ცხოვრებისეული ორიენტირებიც. და მას არავითარი უფლება არ ჰქონდა ყველაფერი ეს არ გაეთვალისწინებინა, ორიენტირები არ გადაეადგილებინა. მოსკოვში ისიც იგრძნობოდა, რომ დაუცველი ადამიანები სულ უფრო მეტად თავისუფლდებოდნენ სინდისისა და პატიოსნებისაგან და თავის გასატანად ისეთ იარაღს იყენებდნენ, როგორიცაა ბაიძვერობა, უტიფრობა, უზნეობა, ვერაგობა, გაუტანლობა; ცხოვრებიდან იდევნებოდა ღვთიური და ინერგებოდა ეშმაკისეული. ეს პროცესი ადამიანების გარეგნობაზეც ახდენდა გავლენას — დღითიდღე მატულობდნენ მეჭეჭიანები, ტყლეპიანები, მიბრეცილ-მობრეცილები და კლეტულობდნენ ჯიშიანები, შნოიანები, სანდომიანები. სორობიდან გამომძვრალნი მიჩვეული იყვნენ ძრომიალს და ამიტომ სივიწროვეს არაფრად აგდებდნენ, მიჩვეული იყვნენ ნასუფრალით კვებას და ამიტომ იაფფასიანი სასადილოები ღვთის წყალობად ეჩვენებოდათ, მიჩვეული იყვნენ ქურდობას და მოსაპარავი არ ელეოდათ. ქალაქი ივსებოდა ჭუჭყით, სიბილწით, სიმრუშით. შემოდგომის დამეებით დათალხული ქუჩები სიცივისაგან იკრუნჩხებოდნენ, ჩაბნელებული სახლები თვალდავსილებივით შეჰყურებდნენ ერთმანეთს და ეს ყველაფერი შეკრული და შესუდრული იყო ავადმყოფური ფანტასმაგორიით, რომლის ჩამოგლეჯა, დახევა, დანაკუწება იმათ თვალში, ვისაც სიბინძურისა და სიმრუშის გარეშე ცხოვრება არ შეეძლო, დიდი უბედურება, მეორედ მოსვლა, ქვეყნის დაქცევა იქნებოდა.

როცა კრასნოიარსკში ჩავიდა, ვაგონები ჯერ კიდევ არ იყო მოსული, მაგრამ ნამზავრსა და ნაჯახირევს მათი დარდი არ ჰქონდა. ვაგონებს ვერავინ მოიპარავდა, ვერავინ მოითვისებდა. ქურდბაცაცებს ამგვარი ბარგის გაფუჭება-გაოხრება უფრო ეხერხებოდათ, ვიდრე გამოყენება. ასეთი ზნე არა მარტო ქურდბაცაცებს სჭირდათ, არამედ მთელ აქურ მოსახლეობას. ბუნებას ისე ექცეოდენ, როგორც მტერსა და დუშმანს — ძირკვავდნენ, წიხლავდნენ, აპარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტახებდნენ, რის გამოწოვაც შეიძლებოდა, წოვდნენ და როცა ძუძუს მოსწყდებოდნენ, დუქმორეული დაბორიალებდნენ, სწორედ იმ ჭაში აფურთხებდნენ, საიდანაც წყალს სვამდნენ. ყველაფერი ეს საგანგაშო, საეჭვალო იყო. ბუნება კვნესოდა, მელოტდებოდა, ხავსითა და ჭანჭყობით იფარებოდა, მიუკარებელი, მკაცრი და უხეში ხდებოდა. ამ უაზრო რბევას, ჩეხვას, ხოცვა-ჟლეტას ალავმვა, აკრძალვა სჭირდებოდა, მაგრამ, ჯერ ერთი, აქაურებს მისნაირი გადამთიელი ვერ გადაკეთებდა, მეორეც — მაშინ მას ამისათვის არ ეცალა. მთავარი იყო კორპუსება გაეთბო, ბრმეული გაემართა, დაზგები და ჩარხები დაემონტაჟებინა, ელექტროდენი და წყალი გაეყვანა. ყველაფერ ამას ხალხი, სპეციალისტები სჭირდებოდა. ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია ისე დაიწყეს, რომ სპეციალისტების მომზადებისათვის არ უზრუნვიათ. ახლა კი სანლით სამებარი იყვნენ და შედეგს არც სანლით ძებნა იძლეოდა. ამიტომ ისევ ძველ ხერხს მიმართა, მაგრამ ზვიადინცევი აღარ დაუთვრია. მას შემდეგ, რაც არც მაღლობა გამოუცხადეს და არც პრემია მისცეს, მასთან შეხვედრას და მოლაპარაკებას აზრი აღარ ჰქონდა. გარდა ამისა, პარტიის სამხარეო კომიტეტის მდივანი ახალი კაცი იყო, ლენინგრადიდან გამოგზავნეს და მასთან მორიგება, მისი მხარდაჭერის მოპოვება უფრო ადვილი იქნებოდა. ამიტომ ბევრი არ უფიქრია, ყველა მოსაზრება მოკლედ, დამაჯერებლად ჩამოაყალიბა და საკითხი სამხარეო კომიტეტის პირველსავე კრებაზე დააყენა: „ამხანაგებო, — მიმართა მან ადგილობრივ ფეოდალებს. — თქვენ ჩემზე უკეთ მოგეხსენებათ, თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს პარტია და ხელისუფლება გემთშემკეთებელი ქარხნის ამუშავებას. უამქარხნოდ ამ მხარის ათვისება გაჭირდება. რამდენადაც ვიცი, ამ საკითხით თვით იოსიფ ვისარიონოვიჩია დაინტერესებული. დიდად დაგვიზარა სახკომიც. ქარხნის მოელი აღჭურვილობა გზაშია, დღეს თუ არა, ხვალ აქ იქნება. ხელს მხოლოდ ის გვიშლის, რომ სპეციალისტები არა გვყავს და ამ ქალაქში მათ ვერ ვიპოვით. ერთადერთი გამოსავალი ისაა, რომ სპეციალისტები იმ პატიმრებს შორის ვეძებოთ, რომლებიც ამ მხარეში იხდიან სასჯელს. უნდა შედგეს სიები, სადაც აღნიშნული იქნება თითოეული მათგანის ასაკი, პროფესია, კვალიფიკაცია და სასჯელის ვადა. წინაღმდეგ შემთხვევაში ქარხნის გაშვება მეტისმეტად გაჭიანურდება, ჩაგვეშლება გეგმები, დაგვზარჯება უამრავი ფული, რისთვისაც, რა თქმა უნდა, თავზე ხელს არ გადაგვისვამენ, მით უმეტეს, თუ ჩვენი უყაირათობის ამბავი იოსიფ ვისარიონოვიჩის ყურამდე მივიდა. მეტი მე სათქმელი არაფერი მაქვს, ახლა ყველაფერი თქვენზეა დამოკიდებული“.

ზვიადინცევს ისეთი სახე გაუხდა, თითქოს პირთან მიტანილი არაყი ხელიდან გამოსტაცესო. ერთხანს იბორძიკა, რაღაცის თქმა უნდოდა, ერთიორჯერ უწმაწურადაც შეიგინა, მაგრამ მალე მიხვდა, რომ სისულელეს როშავდა და დატუქსული ბავშვივით გაჩუმდა. თავისი უხეშობით, სისასტიკითა და ლოთობით მან უკვე ბევრს მოაბეზრა თავი, აღარც მისი დამსაზურება ფასობდა ისე, როგორც ერთ დროს და, მიუხედავად ძველი ორდენებისა და ისტორიულ მოვლენებში მონაწილეობისა, მაინც ხვდებოდა, რომ დიდხანს ამ მხარეში და ამ თანამდებობაზე არ აბოგინებდნენ. ამიტომ იმ დღეს არც აყალმაყალი აუტეხია და არც მკერდზე უბაგუნებია ხელი.

გაგრძელება შემდეგ ნომერში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯანსუღ კორძაია

ეს დღე მხოლოდ ერთხელ და
მხოლოდ ჩემთვის თენდება,
შენკენ მოვქრი,
მომელის
შენი ამომზევება.

შენკენ მოვქრი, მომაფრენს
გზა, ოცნება, ფიქრი და
ხილვა-გაელვებული
შენი მოლოდინიდან.

ეს დღე მხოლოდ ერთხელ და
მხოლოდ ჩემთვის თენდება,
შენკენ მოვქრი,
მომელის
შენი ამომზევება.

გაპაჟრება ეკლესიასტესთან

სწორედ დღეს ვდაობ!
გაუგონარი
დროის მხილველის შეძრულ გონებით,
როს დაილწა მსასოვარი
ტაძრები ველურ სტიქიონებით;

როს მოსკდა ჟამი —
აღმგველი ლავა,
მოსკდა —
ყველაფრის წამლეები ზვავი
და რჩება ცეცხლის გრიგალის კვალად
ნანგრევის
ბუღი,
მტვერი და
შავი.
ხელთა მაქვს შენი ღვთიური წიგნი,
ჩავყურებ ჟამთა შენეულ ქარგას,
გაოგნებისგან ქვავდება ფიქრი —
ეს დრო
ქარგაში
არც ერთ დროს
არ გავს...

შენს განუზომელ და მაღალ სიბრძნეს
მე ქედს ვუხრიდი და ახლაც ვუხრი,
სიბრძნეს... და ხილვის უსაზღვრო
სივრცეს,
სიბრძნეს... და სულის უსაზღვრო
წუხილს.

და შენი განსჯის და გულის მსჯავრი
ჩემთვის არაფერს ტოვებს სადაოდ,
... რომ ყველაფერი დევნაა ქარის,
... რომ ყველაფერი არის ამაო...

მე სულ სხვას ვდაობ!
ხომ მარწმუნებდი
მმოსველი მოსეს სჯულის და ტაძრის,
რომ მიაგენი ჟამთა ბრუნებს,
ჟამთა ტრიალის აზრსა და საზრისს;

რომ ისევ იმ გზებს,
რაც გავიარეთ,
ხელახლა მივდევეთ კვლავ და თავიდან,
რომ ყველაფერი წრეზე ტრიალებს
უკუნისამდე — დასაბამიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროც!
და აქ ვდაობ.
აქ, დღეს და ახლა,
როს დრო — უცნობი, დრო — უეცარი
მოსკდა, ვით ველურ სტიქიის ტალღა
და სისხლში ცურავს ჩემი ტაძარი.

ეს დრო,
ჩემი დრო,
უგონო ჟამი,
ჟამი ქაოსის, ნგრევის და შიშის,
ცეცხლისფრთიანი ავი გრიგალი
ვერ ვპოვე მე შენს ღვთაებრივ წიგნში.
არ გყვედრი!
შენ ხომ გაშიფრე ასეზის
დრო, ყოველი შრის წვდომის იმედით,
წარმოუდგენელს როგორ და რა გზით,
რისთვის და რატომ წარმოიდგენდი?

ხომ გაგიშალა გონებამ თვალწინ
ყველა გამოელილ დროის ნახატი,
უკვე არსებულ ყველა ჟამს გასწვდი,
არყოფილს როგორ დაინახავდი?

ჟამთა და დროთა ნიშატს და დეტალს
შემმეცნებელის ჭვრეტით არჩევდი,
ჟამს,
რაც არ ჩანდა
არსად და... ვერსად,
რა ძალისხმევით ალმოაჩენდი?

ხომ დაგაფიქრე!
და მე კი არა,
სულ უცნობმა დრომ თავის ზვავებით,
ჩვენს მკერდებზე რომ გადაიარა
თავაწყვეტილი დინოზავრებით.

ჟამი,
ეს ჟამი
შენს ქარგას მირღვევს
და ეჭვი მიმდვრევს სულს და გონებას,
რომ ყველაფერი — ალბათ და იქნებ —
არ არის ძველის განმეორება.
რას ბრძანებ ახლა?
შენ რომ განსაჯე —
არც ერთ დროს
ეს დრო,
ჩემი დრო
არ გავს
და ვხედავ: შენი სულის განგაშებს
და ჩემს დროს ფრთხილად უსინჯავ
მაჯას.

... დრო უცნობი და ვერჩახატული
შენს წიგნში და შენს ჟამთა გამმაში,
ვერნაფიქრალი,
ვერდანახული,
ვერმიგნებული
წარმოსახვაშიც;

დრო,
როცა გუნდრუკს უკმევენ ღალატს,
დრო,
როცა უფალს არ ცნობენ ღმერთად,
დრო,
როცა კრავენ ცოდვების გალას
და
ყველა მცნებას არღვევენ ერთად.

დრო —
ცეცხლოვანი სტიქიის ზვავი,
დრო —
საოცრება ჟამთა ბრუნების,
დრო —
კაცის მიერ საკუთარ თავის
საკუთარ სულის განადგურების.

... შენს განუზომელ ცოდნას და სიბრძნეს
მე ქედს ვუხრიდი და ახლაც ვუხრი,
სიბრძნეს...
და განსჯის ღვთაებრივ მიზნებს,
სიბრძნეს...
და გრძნობის უსაზღვრო წუხილს,

და მომიტევე ეს შესიტყვება
(შენს წიგნს ჩართული შტრიხი
მცირედი).
. . . . . .
ჩვენ გადავრჩებით!
ნათელ მიზნებად
დავრეკავთ ზარებს... ღმერთის იმედით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტაძარში

ღვთის ნებას ითხოვ,
ითხოვ და ელი,
მოლოდინს ქარგავ წარმოსახვებით
და ელვარებენ ზეციურ ელვით
განათებული წმინდა ხატები.

ელი... და ზეცა გაიმედებს და
ელი... და ზეცა გეიმედება,
ღმერთს თხოვ, ნათელი გაიმეტოს და
ზეცად მიიწევს შენი ვედრება.

ზეცად მიიწევს...
და გულით ელი,
მოლოდინს ქარგავ წარმოსახვებით
და ელვარებენ ზეციურ ელვით
გაბრწყინებული წმინდა ხატები.

ვინ დაგაჯერებს?

ახლა,
როდესაც მისით იწყება
ალტაცებებიც და კაეშანიც,
როს მას უპყრია
შენი ფიქრების
ყველა ზარი და
ყველა ეჭვანი,

ვინ დაგაჯერებს
ირეალური
ამ სილამაზის
მლოცველს და მმოსავს,
რომ სხვა ზარებით
და სხვა ეჭვნებით
შეიძლებოდა ამ ქვეყნად მოსელა?!

ვინ დაგაჯერებს...
მისით იწყება
ალტაცებებიც და კაეშანიც
და ხელთ უპყრია
შენი ფიქრების
ყველა აზრი და
ყველა ეჭვანი.

მხოლოდ აქ, ჯვართან

მხოლოდ აქ, ჯვართან,
ცის ფონზე ფრესკად
აელვარებულ ხილვასთან — ჯვართან,
როცა ანთია მზე მარჯნის ცეცხლად
და ბოლომდე ხსნის
ლაჟვარდი ფარდას,
მხოლოდ აქ წვდები
ჭეშმარიტ ზეცას,
ზეცის სიღრმეს და სიმაღლეს, —
ჯვართან.

და ყველაფერს, რაც ჩემთვის

...და ეს განცდა: „ჩემია“
ცისფერ იდუმალებად
ახლავს ყველა აღქმას და
ერთვის ყველა ზმანებას
და ყველაფერს, რაც იყო
და ყველაფერს, რაცაა
და ყველაფერს,
რაც ჩემთვის
საქართველოს განცდაა.
განცდას
მყინვარწვერის და
უშბის ამაყ სიმაღლის,
შურის ციხის ბურჯების
სიმტკიცის და სიმაგრის;
ერთვის
შოთას სტრიქონს და
სტრიქონს გალაკტიონის,
მტკვრის ტალღების შრიალს და
ცისფერ ზარებს სიონის,
ახლავს
სვეტიცხოველის
ზეცად წასულ ხატებას
და აჩრდილად ილიას

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნათელ ამონათებას,
განცდას
მთაწმინდისა
და მისი ზეცის ფერების
და უწმინდეს საფლავებს
დიდი მთაწმინდელების,
ახლავს
კრწანისს, მარაბდას,
გონიოს და მარტყოფს და
გორგასალის ისრების
მიზიდვას და გატყორცნას,
ალავერდის გუმბათს და
ველათს — აღმაშენებლის
და ბაგრატის ჩუქურთმებს
ჯვრით და
მზით და
მტევნებით.
ალაზნის ველს — მოოჭვილს
ქარვის მინანქარებით,
ერთვის
მრავალჟამიერს
მოგუგუნე ბანებით;
თამარ მეფის ხსოვნას და
„დედა ენის“ ფოლიანტს,
დიდგორს —
აზრის,
გონების
და მახვილის გოლიათს.
აკაკის ჩანგს!
ვეფხვის და
მოყმის უკვდავ ბალადას.
თეთრი ჩიჩილაკებით
ამონთებულ კალანდას.
და ყველაფერს, რაც იყო
და ყველაფერს, რაცაა
და ყველაფერს,
რაც ჩემთვის
საქართველოს განცდაა.

არ დასრულდება

არ დასრულდება!
შენ უფრო ცხადად
და სულ ბოლომდე
უნდა გაიგო
და უნდა ჩაწვდე, რომ ჩემთვის რაც ხარ, უსასრულოა და უთარიღო,
რომ ჩემს სიცოცხლეს
ჟამიდან ჟამში
ექოდ გადააქვს
შენზე ოცნება,
შენზე ოცნება, როგორც სამყაროს გაბრწყინება და გახხეოსნება.
არ დასრულდება!
შენ უფრო ცხადად
და სულ ბოლომდე
უნდა გაიგო
და უნდა ჩაწვდე, რომ ჩემთვის რაც ხარ, უსასრულოა და უთარიღო.

იყო და ის, რაც იყო

იყო და ის, რაც იყო,
ფიქრს თან ახლავს ბლონდებად,
შარშანდელი აგვისტო
ისევ მიახლოვდება.

მოდის, კვლავ იმ ზარებით,
მოდის, კვლავ იმ ფერებით,
ისევ — მზისფერ ზმანებით,
ისევ — ბედისწერებით.

იყო და ის, რაც იყო,
ფიქრს თან ახლავს ბლონდებად,
შარშანდელი აგვისტო
ისევ მიახლოვდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზაზა თვარაძე

სიტყვები

(ლევან ჟვონიას ხსოვნას)

გაზაფხულის ერთი მშვენიერი მზიანი დილა იყო, როდესაც სოფელ №-ის მისადგომებთან, ტყის პირას გამოჩნდა რამდენიმე ცხენოსანი და მათ კვალდაკვალ მოჭრიალე ხარებშებშული მოჩარდახული ურემი. უფროსი მოგზაურთა შორის, ხანდაზმული, წვერულვაშშეკერცხლილი ჭარმაგი ვაჟკაცი, ქურანა მერანზე შემომჯდარიყო და დინჯად მოუძღოდა წინ მხლებელთ; იგი გამოწყობილი იყო შინდისფერ ჩოხა-ახალუხში, რომლის ზემოდან მოეკედო სიასამურის ყურთმაჯეკიანი ჯუბაჩა, თავზე ეხურა იქრომკედით გაწყობილი შავი ყაბალახი, ფეხთ ეცვა ტყავის ყელიანი საცვეთები, მის წელს ამშვენებდა მამაპაპური ვერცხლის მოსევადებული ხანჯალი, განიერ ბეჭებს უკნიდან თოფის ლულას ამოეყო თავი.

იგი იჯდა ქურანა ფაშატზე, რომელსაც ხშირ-ხშირად ამოჭკრავდა ხოლმე ფერდებში ქუსლს და ჩუმი ხმით შეუძახებდა. ცხენიც, რომელიც ეტყობოდა დაჩვეული იყო პატრონის ხმას, ყოველ მის შემოძახილზე ფეხს აუჩქარებდა და თანდათანობით აახლოებდა მხედარს სოფელ №-თან, რომლისგანაც ახლა მეოთხედი საათის საკალნეკი თუ იქნებოდნენ დაშორებული.

ამ პირველი მხედრის კვალდაკვალ საურმე გზას მიუყვებოდა მისი ამალა, რომელიც შედგებოდა ორი ახალგაზრდა ცხენოსნის, მეურმისა და ჩარდახიან ურემზე მყოფი სამი ქალისა და ხუთიოდე მცირეწლოვანი ბავშვისაგან.

ერთი ამ ცხენოსანთაგანი ულვაშშელილი ჭაბუკი იყო, მეორე — ჯერ კიდევ პირტიტველა ყმაწვილი. ორივეს ტანთ ეცვა ძვირფასი შალის ჩოხა-ახალუხი და ტყავის მოკლე ჯუბაჩები. მათი ხანდაზმული წინამძღოლის მსგავსად წელზე მათაც ამაყად შემოერტყათ ვერცხლით მოსევადებული ქამარ-ხანჯლები და ზურგზე მოეგდოთ გრძელლულეანი ხირამის თოფები.

ერთ მათგანს, ამ ორს შორის უფრო ყმაწვილი რომ ჩანდა, მაჯაზე ჩამოეკიდა დაწნული ტყავის მომსხო მათრახი, რომელსაც აღმართებში მსუბუქად შემოკრავდა თავის ლურჯა ბედაურს და ზოგჯერ იმდენადაც წამოეწეოდა წინამძღოლს, რომ მხარსაც კი უსწორებდა.

მისი ულვაშშელილი თანამგზავრი დინჯად მოაქვეკქვებდა ზერდაგ ულაყს და ხანგამოშვებით მზრუნველი თვალით გადახედავდა უკან ჭრიალით მომავალ ურემზე მყოფ ჯალაბობას.

„ჰოოო! რა ნახე, შე ტიალო!“ — შეჰყვირა წინ მიმავალმა თავის ბედაურს და სადავე ძლიერად მოზიდა. გონიერმა პირუტყვმა...

...სამწუხაროდ, აღარ დამცალდა შემეტყო, თუ რა ჩაადინა იმ მომენტში გონიერმა პირუტყვმა, რადგან სწორედ ამ დროს გაისმა კარებზე ზარის ხმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადრეული ზამთრის მოქუფრული, ცივი დილა იყო.

ცა მთლიანად დაეფარა რუხი ფერის ღრუბელს.

არ წვიმდა. არც თოვლი მოდიოდა. მხოლოდ ხანდახან დაჰქროლებდა სუსტი ნიავი და ქუჩის გასწვრივ მდგარ ჭადრის ხეებზე შერჩენილ გაყვითლებულ ფოთლებს შეარხევდა. ფანჯრიდან იღვრებოდა დილის მოთეთრო-მონაცრისფრო ნაღვლიანი შუქი, რომელიც ნაზად მოჰფენოდა ოთახის ყოველ კუთხე-კუნჭულს. ამ შუქზე მკრთალად ლაპლაპებდა ოთახის კუთხეში მდგარი განჯინა, ფანჯარასთან მდგარი დიდი მაგიდა და მოპირდაპირე კედელთან მდგარი პიანინო. მე მაგიდასთან ვიჯექი და ჩემს წინ გადაშლილ წიგნს ჩავყურებდი. ზარის ხმაზე თავი აეწიე და განჯინაზე მდგარ საათს გავხედე — თერთმეტის ნახევარი ხდებოდა. სახლში მარტო ვიყავი. არავის ველოდი. გადაწყვეტილი ქონდა, ეს დილა გონების სასარგებლო საქმიანობაში გამეტარებინა და ვიმედოვნებდი, რომ ხელს არავინ შემიშლიდა.

ვიჯექი, ვკითხულობდი. თან მიხარიოდა, რომ ვიჯექი და ვკითხულობდი, რადგან, დამეთანხმებით, ჩვენს არეულ და მსწრაფლწარმავალ ცხოვრებაში არცთუ ხშირია წუთები, როდესაც გარეგანი და შინაგანი ფაქტორების ბედნიერი თანხვედრის წყალობით საშუალება გეძლევა საკუთარ თავთან განმარტოდე და რაც გინდა ის აკეთო, — როცა აბსოლუტურად არავინ გზღუდავს და ხელს არაფერი გიშლის.

მაგრამ ახლა ამ მოულოდნელმა ზარმა გაფანტა ჩემი რომანტიული, ნახევრად სევდიანი, ტკბილად ეგოცენტრული განწყობა და დამაბრუნა კვლავ ამ პრაქტიკული მოვალეობებით აღსავსე რეალობაში, სადაც არსად ჩანდა არც სოფელი და არც ქურანა ფაშატზე ამხედრებული გამოთაყვანებული კაცი.

ბარბაცით ავდექი, კარს მივაშურე, თან იმედი ქქონდა, რომ ეს იქნებოდა მხოლოდ მეზობელი, ტელეფონზე დარეკვის თხოვნით.

მაგრამ კარი რომ გამოვაღე, ხელში შემრჩა ჩემი მეგობარი ლევანი, რომელიც თვალებგაბრწყინებული, უცნაური მზერით მიყურებდა.

მას ეცვა მუქი ფერის რეგლანის პალტო, ეკეთა ნაქსოვი შარფი და გადაღეღილი პალტოდან მოუჩანდა ძვირფასი მატერიის კუბოკრული პიჯაკი. მუხლებს უფარავდა სქელი მაუდის შარვალი, ფეხთ ეცვა და ასე შემდეგ. ქუდი არ ეხურა. იგი აბსოლუტურად თავშეშვილი იყო, თუ არ ჩავთვლით ჭადრის გამხმარი ფოთლის პატარა ნაფლეთს, რომელიც მის ხვეულ თმაში გაჩხერილიყო და მისდა შეუმჩნეველად, ვინ იცის, რამდენი ხანი თან დაჰყვებოდა.

მხარზე მოვედო ტყვიის კარგა მოზრდილი ჩანთა, რომელსაც განსაკუთრებული სიფრთხილით ავლებდა ხელს — ჩანდა, შიგ რაღაც ისეთი ედო, რაც, — მისი აზრით, — ჩვენს ერთფეროვან ყოველდღიურობას მცირე ხნით მაინც გაახალისებდა.

— ვაჰ! ამ დილაადრიან რამ შეგაწუხა! — შეეძახე მეგობრული ირონიით.

— კარგია, რომ სახლში დამხვდე! — უცნაური ხმით მიპასუხა ლევანმა და ჩემი გვერდის ავლით პირდაპირ ჩემს ოთახში შეაბიჯა.

კარი მივკეტე და თან შევყევი.

იგი პალტოს გაუხდელად მისჯდომოდა მაგიდას, ჩანთა წინ დაედო და მონუსხულივით დასჩერებოდა.

მეც ინტერესით დავხედე ჩანთას. ჩვეულებრივი ჩანთა იყო. „ალბათ, ვისკი თუ უდევს!“ — ვიფიქრე ოპტიმიზმით.

ორიოდე წუთს ხმაამოუღებლივ დაჰყურებდა თავის ხელსაბაგს, მერე თავი ასწია და მეცნებე მზერა მომაპყრო.

„ჰოო, როგორც ჩანს, უფრო იშვიათი რამ არის. იქნებ ჯინია?“ — გავიფიქრე და ვკითხე:

— რას შერება, როგორა ხარ, ახალი ხომ არაფერია?

ლევანი მდუმარედ მიყურებდა. მის თვალებში რაღაც უცნაური ნაპერწკლები დახტოდა.

— დამუნჯდი? — ვკითხე გაკვირვებულმა.

მან ჩანთას მიაჯრო თვალი და უაზროდ მკითხა:

— იცი, აქ რა არის?!

უცერად ვიგრძენი, მისი ხმის ტონის მიხედვით თუ რაღაც სხვა მანქანებით, რომ ჩანთაში არც ვისკი იყო, არც ჯინი და, საერთოდ, არც სხვა რამ დასალევი.

—რა არის?

— გამოიცანი.

მე ჩავახველე და სკამზე ჩამოვჯექი.

— დასალევია?

დუმილი.

— მოსაწევი?

დუმილი.

— წიგნი?

დუმილი.

თავი მოვიქექე.

— რამე ცხოველი ხომ არაა? — ვეკითხეთ ისევ.

ისევ დუმილი.

ჩემი ვარაუდების სფერო ამით ამოიწურა.

— ჰა, რა გაქვს, მითხარი, შე ოხერო! — ვოქვი და ჩანთას მივწედი. მაგრამ ლევანი გადაეფფარა თავის ჩანთას.

— ფრთხილად! ფრთხილად!..

— რა იყო? — გამიკვირდა მე.

მან მოზეიმე მზერით შემომხედა — ფოლის ნაგლეჯი ისევ თავზე ედო — და მითხრა:

— ცოცხალი არსებაა.

ამ სიტყვებით ჩანთა გახსნა და იქიდან კვადრატული ფორმის შავი ზარდახშა ამოიღო.

— აი, აქა ზის, — თქვა.

მოულოდნელად ზარდახშიდან თითქოს სტვენა შემომესმა.

— ჩიტია? — ვკითხე ხალისით.

ლევანი უხმო სიცილით ჩაბჟირდა.

— აბა, თაგვი?

იგი ისევ უხმოდ ბჟირდებოდა და თან, სიცილსა და სიცილს შორის, უცნაური წვრილი ხმით ხაოდა:

— არა, არა, ცხოველი არ არის. არც ფრინველი...

„იქნებ მწერია?“ — ვიფიქრე.

—მწერია?

— არა, — სიცილით ბჟირდებოდა იგი, — არც მწერია, არც თევზი. საერთოდ, ცხოველი არ არის... თანაც ცოცხალი არსებაა... მაგრამ არა ცხოველი.

უცებ თვალწინ დამიდგა წელან შეწყვეტილი მოთხრობა, სადაც ნახსენები იყო გონიერი პირუტყვი, კერძოდ, — ცხენი, რომელმაც, საბოლოოდ მაინც ვერ გავიგე, თუ რა მოიმოქმედა პატრონის შეძახილის საპასუხოდ.

— თუ პირუტყვი არ არის, ესე იგი, მეტყველია, ასე გამოდის, — ვუთხარი ლევანს.

— ჰო, ჰო, — იგი გადაფიჩინებული თავს მიქნევდა.

— დიქტოფონია? — ვეკითხეთ ისევ.

— არა! ჰაჰა! აჰაჰა! ცოცხალია, ცოცხალი! — იჭაჭებოდა ლევანი და მე უცერად მიეზედი, რომ უკვე გაგიჟდა.

ყურადღებით დავაკვირდი.

მართლაც, თვალები თითქოს შუშის გახდომოდა. ზარდახშას რაღაც თავისებურად ეფოფრებოდა, როგორც კინოში ხარბი პერსონაჟები განძეულს ან ფულს ეფოფრებიან და მათზე ძლიერ ბოროტ ან კეთილ პერსონაჟებს შეჰღაღადებენ: „არა, არა! არ დაგითმობ! ეს ჩემი მონაგარია! სულ ჩემია! მე იგი ჩემი შრომით მოვიპოვე! მე მასში მოელი ჩემი სიცოცხლე ჩავაქსოვე!“ და მერე: „წაიღე! ყველაფერი წაიღე, ოღონდ ამას ნუ წამართმევ! მე უამისოდ სიცოცხლე არ შემიძლია! შენ მე ამას ვერ წამართმევ, ვერა! მე შენ ამას ცოცხალი თავით არ დაგითმობ, ბაბა!..“

აი, დაახლოებით ასეთი სახის მოძრაობები და საუბარი დამიდგა თვალწინ, რამაც ფრიად განმაცვიფრა, რადგან მრავალი წლის მეგობრობის შედეგად მე ლევანს ვიცნობდი გონიერ, გულუხვ და უანგარო კაცად, რომელსაც საკმაოდ მყარი და ჯანსაღი ფსიქიკა ჰქონდა საიმისოდ, რომ ახლა რაღაც უბადრუკი ზარდახშისთვის ასე არ გასულელებულიყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ლევან! ეი, ლევან! — წარმოვთქვი შიშით.

მან სული მოითქვა და სკამზე გასწორდა.

— ამ დილას სანეტარო კანტორაში ვიყავი, — მითხრა ზეიმით.

თვალები დავაჭყიტე.

— სად იყავი?

— სანეტარო კანტორაში.

— ეგ რაღა ჯანდაბაა?

— რაც გესმის. ფულს გადაიხდი და სრულ ნეტარებას გაძლევენ.

— ვაიმე?! — შევძახე ირონიულად.

— აი, ეს გამოვიტანე, — ლევანმა ზარდახშას ხელი გადაუსვა.

ზარდახშას დავხედე და მომეჩვენა, რომ იგი თითქოს აქეთ-იქით იქჩებოდა, როგორც ვიწრო კოსტიუმში გამოჭედილი კაცი.

— ამ კოლოფით გამოგატანეს რამე?

— ჰო!

— ნარკოტიკაა? — მკაცრად ავწიე წარბები, რადგან თანდათან ვრწუნდებოდი, რომ ლევანი კაიფში უნდა ყოფილიყო.

— არა.

— აბა?!

— სიტყვებია! — ყრუ ხმით მომიგო ლევანმა.

— რა სიტყვები?

— ჩვეულებრივი სიტყვები! — ლევანს ისევ თავაწყვეტილმა მხიარულებამ დარია ხელი.

— მერე რად გინდა? — ვკითხე ამრეზით.

— ცოცხლებია! — მიპასუხა და თვალი ჩამიკრა, თან უხმოდ კისკისებდა.

მე ინტერესით ავხედ-დავხედე.

— რას ბოდიალობ?

— რას ვბოდიალობ და სიტყვებს! — მიპასუხა და ისევ გადაფიჩინდა.

— მოკლედ, ამოიღე რაცა გაქვს, ნუ გამაწამე!

ლევანმა ზარდახშას ოდნავ ახადა თავი, ისე, რომ თითქოს ეშინოდა, იქიდან რამე არ ამოფრენილიყო, თითები ფრთხილად შეაცურა და დაკეცილი ქაღალდი გამოაძვრინა.

ეს იყო რაღაც ბლანკი, როგორებსაც სახლმმართველობები იძლევიან — რაღაც ფორმა № 1-ის მსგავსი. ზედ რამდენიმე გრაფა იყო გამოსახული. ერთში ეწერა ლევანის სახელი, გვარი, მამის სახელი. მეორეში — მისამართი. დანარჩენები ცარიელი იყო.

— ეს რა არის?!

— ეს არის ბლანკი. შიგ შეგიძლია შეიტანო ნებისმიერი სიტყვა! — მითხრა ისევ სიცილით.

— რას მიქარავ, თუ ძმა ხარ! — ბლანკი მაგიდაზე დავაგდე.

ლევანი დასერიოზულდა:

— მოკლედ, არ დაიჯერებ! ამ დილას მივედი სანეტარო კანტორაში. იქ იძლევიან ყოველნაირ კაიფს. რაც გინდა, ითხოვე. ფასიც არ არის დიდი. თანაც აქვეა, ჩვენს უბანში — აქედან ხუთ წუთში იქა ხარ. წითელი პარტიზნების ქუჩაზე, „მელოდიის“ უკან, არ შეგიმჩნევია?

— რა უნდა შემემჩნია?

— ლურჯი კარები. ზედ აბრაა — „სანეტარო კანტორა.“

— არ შემიმჩნევია, — თავი გავაქნიე.

— აკამდე არც მე შემიმჩნევია. დღეს შევამჩნიე და შევედი. თუმნად აი, ეს მომეცეს, — მან ზარდახშას დაჰკრა ხელი.

— ეს შავი ყუთი რა ჯანდაბად გინდა?!

— შიგ სიტყვებია! ცოცხალი სიტყვები!

— ლექსებია?!

— არა, — მან თავი გაღიზიანებით გააქნია.

— მაჩვენე ერთი, როგორია ეგ შენი ცოცხალი სიტყვები!

ლევანმა ხელის ერთი მოძრაობით სწრაფად ახადა ზარდახშას თავი და საზეიმო პოზაში გაქვავდა.

ზარდახშას დავხედე. პირველად ვერაფერი გავარჩიე — ეს იყო ტყავვადაკრული ხის შავი ყუთი, შიგნიდან მუქმწვანე ხავერდი ჰქონდა გამოკრული. თითქოს სრულიად ცარიელი ჩანდა. მაგრამ მერე ზამთრის გაცრეცილ სინა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოლეზე გავარჩიე, რომ შიგ რაღაც ლანდები ფუთფუთებდნენ. უფრო კარგად დავაკვირდი და უეცრად ვიგრძენი, რომ თავი უცნაურად გამიხურდა. წამით მგონი თვალთ დამიბნელდა (ეს სულ ერთი წამით მოხდა) და გონს რომ მოვედი, დავინახე, რომ ზარდახშიდან ნისლის ნაკადივით მოიწევრებოდა სიტყვა „ნუგეში!"

დაუჯერებელია?

აბსოლუტურად, სრულებით, სასტიკად დაუჯერებელია! — მაგრამ ეს მაინც ასე იყო — ეს იყო ისევ ის შავი ზარდახშა, რომელიც იდო ჩემს პოლირებულ მაგიდაზე და ფანჯრიდან შემოსული ზამთრის დილის სუსტი ნათელი მას ეფინებოდა, როგორც ბრძოლის ველზე დარჩენილ სხეულებს ეფინება დავიწყების მკრთალი ნისლი — დილაა, ტყის პირას ყვავების ყრანტალია და ზამთრის ნისლებში გაქანავებული სხეულები წვანან. აქა-იქ მიმოფრილი თოფ-იარაღი და მძიმე ტექნიკა ზღაპრის ურჩხულებივით გაქანავებულან. მეიმრების გვამებს სრული უძრაობა შეპარვითა. ახინი ამ ქოტური და არეულ-დარეული ველიდან გადაბარგებულან სიკვდილის ერთგვაროვან და ერთმნიშვნელოვან ნისლიან ველზე. ასე ეფინებოდა ღრუბლიანი დილის ნათელი ჩემს მაგიდაზე მდებარე მწვანედ დაღებულ ზარდახშას. მის ზემოთ საჰაერო ბურთივით ტივტივებდა ლევანის გაოგნებული სახე — მისი მოგრძო და ჭროღად მოყვითალო თვალები ზარდახშას ჩასცქეროდნენ, ზარდახშიდან კი უწვრილეს ნაკადად მოიკლაკნებოდა მწუხარე სიტყვა „ნუგეში". და რაც ყველაზე საოცარია, მაგრამ რაც სწორედ დასტურებს, რომ ეს რეალობა იყო და არა რაიმე ფოკუსი, ეს სიტყვა შედგებოდა არა ასოებისგან ან ბგერებისგან, არც რამეზე დაწერილი იყო, — ეს სიტყვა, უბრალოდ, ჰაერში არსებობდა ოდნავ მანათობელი, გამჭვირვალე სხეულის სახით — ამ მანათობელ სხეულს არ გაჩნდა რაიმე ნაწილება ან კიდურები — ეს იყო ერთიანი, წურბელას ფორმის სხეული. იგი არ შედგებოდა ცალკეული ასოებისაგან, მაგალითად, ასე: „ნ-უ-გ". ეს იყო მთლიანი და გადაბმული ერთი სიტყვა — „ნუგეში", რომელიც არც ეწერა, არც წარმოითქმებოდა, არამედ თავისუფლად არსებობდა და ასე ლივლივებდა ჰაერში, როგორც რაიმე მოლუსკი ან წყალცენარე ლივლივებს წყლის სიღრმეში.

საერთოდ, მე მუდამ ძალიან ეჭვი, რომ სიტყვები ზღვის ფსკერზე იბადებიან. შესაძლოა, ყოველი სიტყვა რაღაც თევზია, თითოეულს, ცალ-ცალკე, საკუთარი სიმკერივე, გემო, შეფერილობა აქვს. ყოველი მათგანი განუმეორებელი თვისებებით ვამოიჩრჩვა — ზოგი ხმალთევზაა, ზოგი მედუზა, ზოგი მარჯანი. ამიტომ, ერთის მხრივ, სრულიად არ გამკვირვებია, როდესაც დავინახე, რომ ეს სიტყვაც ასე, ყველაფერსნაირსავით ამოიწევრა ზარდახშის ხავერდოვან-მწვანე ფსკერიდან და რომ იგი ასე მანათობელი და გამჭვირვალე იყო.

კიდევ რას შეიძლება შევადაროთ ეს პროცესი? — კვამლს, ან საპნის ბუშტს, ან — თუნდაც ისევ ყოალში ჩავბრუნდეთ — ფსკერიდან ამომავალ ჰაერის მოგრძო ბუშტუკს.

ასე თუ ისე, მალე სიტყვა მოწყდა ზარდახშის ზედაპირს და მაგიდის ზემოთ დაიწყო ლივლივი.

რატომდაც უცებ ვიგრძენი, რომ ყველაფერი თავისი გზით მიდიოდა, რომ ყოველივერი დაბრკოლება გაქრა, და რომ ცხოვრებაში — თუკი ცოტა იოლად შეხედავ საგნებს — არცთუ ისე ბევრია ძნელად საზიდი ტვირთი.

— ჰა?! — არაბუნებრივი ხმით შეკივლა ლევანმა, — ჰა?! ხედავ?! ნახე, რა არის?! ჰა?! როგორია?!

მისი ხორხიდან ამომავალმა ჰაერის ტალღებმა მოლივლივე სიტყვა ოდნავ შეათრთოლა.

დავაპირე პასუხი გამეცა, მაგრამ ვიგრძენი, რომ ენა არ მემორჩილებოდა.

ჩავხედეთ, თავი გავაქიცინე. მერე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხარხი ავაზრიალე. ბოლოს როგორც იქნა, ამოვიღე ხმა და ვთქვი:

— ბი... ბი... ბიჭოს... ბიჭო! ეს რა არის?!

— აა! აა! — ჩუმი და უწვრილესი მოზეიმე ხმით აწვილდა ლევანი და მუშტი ხელისგულს დაუშინა, — სიტყვებია! სიტყვები! აქ ათი სიტყვა მაქვს, ათი! — ვერ გაიგებდი, ტიროდა თუ ქვითინებდა, მაგრამ ვიცოდი: იგი არც ტიროდა და არც ქვითინებდა, აღტაცებული იცინოდა — კვდებოდა სიცილით.

უეცრად მეც მომწყდა შეუკავებელი მხიარულების გრძნობა და ვიყვირე:

— ლევან, ლევან! რა არის ეს, ბიჭო! ჰა?! რა არის, შე არამზადა! სად ამოვე?! — ასე შევძახე პატარა ბავშვივით აცეტებულმა. იმ წუთში ჩემი თავი მე აღარ მეკუთვნოდა.

ალბათ, ყველას გამოგიცდიათ ამგვარი გრძნობა, განსაკუთრებით — ბავშობაში, როდესაც რაღაც მოუთმენლად ელი და წინასწარ მეცხრე ცაზე ხარ სიხარულით, რადგან ეს სანატრელი რამე უკვე გიახლოვდება, თუმცა ჯერ მხოლოდ წამით მოჰკარი თვალი, — მაგალითად, ახალ წელს თოვლის პაპის მოტანილი საჩუქრის დანახვაზე, ანდა, როდესაც მამიდას ელოდებით და, აჰა, ისიც გამოჩნდა და თქვენ, სიხარულით ატანილი გარბიხართ მისკენ და მთელი თქვენი შინაგანი არსება თითქოს გარეთ გამოხეთქას ლამობს — სწორედ ასეთი იყო ის გრძნობა, რომელმაც ერთბაშად თავიდან ფეხებამდე მომიცვა.

— კიდევ ამოიღე! კიდევ! — ვიყვირე გადარეულივით.

მაგრამ ლევანი არც განძრეულა, ისევ თვალმოუშორებლად მიაჩერდა ზარდახშას და იქიდან ერთმანეთის მიყოლებით კიდევ რამდენიმე სიტყვა ამოიწვერა.

ჰო, მახსენდება, იმ მომენტში ვიფიქრე, რომ ეს ზარდახშა ჰგავდა ათას ერთი ღამის ზღაპრების ბოთლს, რომელშიაც ჯინია დამწყვდეული. ეს ფიქრი კი კავშირში იყო ლევანის მოსვლასა ჩემგანვე ნაფიქრთან: ჩანთაში ვისკი ან ჯინი ხომ არ უდევს-მეთქი. ხოლო ეს ორივე ფიქრი, რადგან სიტყვების ამოსვლის პროცესს უკავშირდებოდა, გადაეჯაჭვა ჩემს ძალ ფუთის წინ ნაფიქრსა და დაწერილს, — რომ ეს პროცესი მიაგავდა კვამლს ან ფსკერიდან ამომავალ ჰაერის ბუშტუკს. ყველას გახსოვთ, ალბათ, რომ ჯინიანი ბოთლი ზღაპარში წყლიდან ამოიქეთ და ჯინი კი კვამლის სახით ამოდის ბოთლიდან, — მაგრამ ამ სამმაგი კავშირისთვის მე იმ წამში ყურადღება არ მიმიქცევია. მართალი თუ ვინდათ, არც კი შემინიშნავს, რადგან მთელი გულისყური ზარდახშისკენ მქონდა მიპყრობილი.

— მაგრამ, თუკი არ შეგინიშნავს, მაშ, საიდანდა იცი, რომ სწორედ ეგ გაგახსენდა და სწორედ ეგ იფიქრე?! — მეტყვით თქვენ.

თუმცა, შესაძლოა, არაფერიც არ მითხრათ, მაგრამ მე მაინც გიპასუხებთ (რათა არავინ მიიჩნიოს, რომ რაღაც შემეშალა). გიპასუხებთ, რომ ადამიანი იმახსოვრებს არა მარტო იმას, რასაც ამჩნევს, არამედ იმასაც, რაც მის შეგრძნებაში ქვეზურგზლივან დონეზე იმყოფება, მაგრამ მომავალში შესაძლოა ოდესმე ამოტივტივდეს ცნობიერებაში. ვის არ ჰყოლია ბავშვობაში უჩუმარი მეზობელი, ქვემოთ სარდაფში რომ ცხოვრობდა, და ვის არ უნახავს, რომ ერთხელ ეს მეზობელი, რომელსაც, როგორც წესი, ვერავინ ამჩნევდა, ერთ დღეს დამთვრალა და სხვა — ზემო სართულებზე მცხოვრებ — მეზობელთა ცნობიერების კარიბჭე უხეშად შეუგღეჯია?! ასე რომ, ამ მხრივ ყველაფერი რიგზე გახლავთ. მე კი განვაგრძობ იმ უცნაური და საბედისწერო მოვლენების გადმოცემას, ზამთრის იმ სევდიან და გამოფიტულ დღეს რომ გათამაშდა.

მეორე, რაც ზარდახშის ფსკერს მოწყდა, იყო სიტყვა „თუ“.

(ჰმ! რა მოკლე სიტყვაა და რამხელა მნიშვნელობა აქვს! „თუ!“. თუ მართლა ასეა! კი, ნამდვილად ასე იქნება, თუ ეს ყველაფერი სიზმარი არ არის! სიზმა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რი რატომ უნდა იყოს, თუ ღმერთი გწამს?!).

ეს იყო გრძელი და ბრტყელი სხეული, ისეთივე გამჭვირვალე, მაგრამ მახვილივით ირიბად და მკვეთრად მოცახცახე. იგი ბრტყლად ატივტივდა ჰაერში, როგორც ცალგვერდიანი ბრტყელი თევზი ქამბალა, რომელსაც ორივე თვალი ერთსა და იმავე მხარესა აქვს განლაგებული.

გაოგნებული დავცქერიდი კოლოფს. მერე ლევანზე გადავიტანე მზერა. მანაც ამომხედა.

— როგორია?! — მკითხა გაბრწყინებულმა.

— რაღაც სასწაულია! — ვუთხარი, — თუ არ მელანდება!

— არ გელანდება! — მიპასუხა მშვიდად, — თუ მოლანდებაა, ისევ მე მელანდება. ეს სიტყვებიც მე მელანდება და ეს ყველაფერიც, მათ შორის — შენც. რადგან დარწმუნებული ვარ, რომ მე ისევ მე ვარ, და თუ მე მე ვარ, ესე იგი, ეს მოლანდებებიც, თუ ეს მართლაც მოლანდებებია, ჩემი ყოფილა. თუ გამიგე, რასი თქმა მინდა?! — თქვა მან ჩუმი და ჩახლეჩილი ხმით.

— ძალიან კარგად გავიგე, — მივუგე მე, — მაგრამ დარწმუნებული იყავი, რომ თუ აქ ვინმეს რამე ელანდება, ეს ვინმე სწორედ მე ვარ!

— შენ კი არა, მე ვარ! — მიპასუხა მოკლედ.

— მე! — მივუგე უფრო მოკლედ და მერე დავამატე: — ეს ჩემი სახლია, ასე არ არის, ძმაო?!

ლევანმა მტკიცედ შემომხედა.

— თუ ბევრს გაარმახვე, სულაც წავიღებ ამ კოლოფს. მერე ეჯექი და იკითხე შენი ამდაუბდა წიგნები!

— თუ ასე გინდა, წაიღე. არ გამოგკიდები! — მივუგე მეც.

ლევანმა ჩაახვევა და აღარაფერი მიპასუხა.

ზარდახშიდან კი უკვე ამოწვერილიყო ახალი სიტყვა — „მუდმივად“.

ეს იყო მცირე ზომის მოვერცხლისფრო ბურთულისებრი გამჭვირვალე სიტყვა. ისიც ისევე ალიელვიდა ჰაერში, თან დღის სინათლეზე გამუდმებით იცელდა ელფერს. და მე ვიფიქრე, რომ ამ სიტყვების ამოსვლის თანამიმდევრობა რაღაც გარკვეულ შინაარსს ემორჩილებოდა. ენონაში დავალაგე: „ნუგეში“ — „თუ მუდმივად“, — ვიფიქრე და დაველოდე ახალ სიტყვას, რათა აზრი შევსებულიყო.

მაგრამ შემდეგი სიტყვა აღმოჩნდა სრულიად შეუსაბამო შინაარსის. ეს იყო „რეგისტრატურა“ — ცხენთვეზასავით დაკბილული და ტეხილი სიტყვა, რომელიც მკვეთრი მოსმებით ამოცურდა ზარდახშიდან. მაგრამ არავინ იფიქროს, რომ ამ სიტყვაში გამოირჩეოდა ორი განსხვავებული ნაწილი, რომ ცალკე იყო, მაგალითად, „რეგისტრა“, და ცალკე, რაიმე ფორმით — „ტურა“. არავითარი! ეს გახლდათ მთლიანი, ერთიანი, მონოლითური, რუხმონაცრისფრო ზოლებიანი სიტყვა „რეგისტრატურა“, რომლის ყოველი წახნაგი ზუსტად ისეთივე იყო, როგორც მისი მიმდებარე სხვა წახნაგები. იგი ნელი კლაკვნით ამოტივტივდა და ზემოდან მოექცა „ნუგეშს“, „თუ“-სა და „მუდმივად“-ს — იყო ამაში რაღაც მწარე ირონია (ეს ისე, სიტყვის მასალად, თორემ, სიმართლე რომ ითქვას, ამაში არავითარი ირონია, მით უმეტეს — მწარე, არ ყოფილა. ეს იყო ჩვეულებრივი სიტყვების თამაში).

შემდეგ კი ერთად ამოიფანტნენ დანარჩენი სიტყვებიც.

მე და ლევანი გაფაციცებით შევყურებდით და ჩვენს გულებში ერთმანეთს ცვლიდა სხვადასხვანაირი ემოციები, ემოციათა მთელი სპექტრი, რომელიც, ალბათ, შეესაბამებოდა კიდეც ამ სიტყვათა მნიშვნელობებს.

— ეს ყველაფერი თუმნად ავიღე! — დაიჩურჩულა ლევანმა.

— კი მაგრამ, რაში უნდა გამოიყენო?

ლევანმა შემომხედა, როგორც სულელს.

— როგორ თუ რაში?! რას მეკითხები?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჰო, რაში?

— რაში და, რასაც ვინდა, ააწყობ, გესმის?! ამ სიტყვებით შეგიძლია მთელი სამყარო შექმნა! გაიგე, შე შტერო?!

— მერე?!

— რა მერე?! — შესძახა ლევანმა.

— მერე ის, რომ, ჯერ ერთი, ის შექმნილი სამყარო რაში უნდა გამოიყენო, მეორეც ის, რომ — **რა სამყარო უნდა** შექმნა ამ ათიოდე სიტყვით?! — ეკითხე მე.

— ფი! — ჩაიფრუტუნა ლევანმა, — სულაც რომ არაფერში გამოვიყენო, ეს ცოტაა?! შეხედე, რა ლამაზია, შეხედე! ასეთი რამე სადმე ვინახავს?!

თქვა და მოალერსე მზერით მიაჩერდა სიტყვებს.

ისინი კი ისევ ზარდახშის ზემოთ ლივლივებდნენ ჰაერში — ეს მართლაც ზღაპრული, არნახული სახილველი იყო.

და მეც მოხიბლული მივაჩერდი.

ახლა თქვენ, ალბათ, გაინტერესებთ, კერძოდ, რა სიტყვები იყო აქ.

აი, ის სიტყვებიც: „ივლის“, „ოსსი“ (სახელია), „ვთარცა“, „აშხაადი“, „ნაყენი“, „ჭუპრი“.

ამას დუმატეთ თავდაპირველად ამოსული ნუგეში“, „თუ“, „უდმივად“ და „რეგისტრატურა“, და მიიღებთ იმ ათ სიტყვას, რომლებიც ზამთრის მოღრუბლულ დილას ტრიალებდნენ ჩემს ოთახში.

ჩვენ კი ვისხედით და შევყურებდით ამ სიტყვებს, როგორც ორი პატარა ბიჭი — ოქროს თევზებს აკვარიუმში.

— ეს მე ვიმოვე. მე! — დაინურჩულა ლევანმა.

უხმოდ დავუქნიე თავი.

— მე ვიპოვე ის მაღაზია! — თქვა ისევ ჩურჩულით (აშკარად თავის თავს ელაპარაკებოდა).

— ახლა რაღა ვქნათ? — ეკითხე მე.

ლევანმა ხელები კანკალით ასწია და თითის წვერებით ერთ-ერთი სიტყვა დაიჭირა. სიტყვა ნელა ლივლივებდა მის ხელში. ეს იყო სიტყვა „უდმივად“.

— ეხლა რამე შეექმნათ, — თქვა მან და მეორე სიტყვაც დაიჭირა.

მერე ეს ორი სიტყვა ერთმანეთს მიადგა და ჩვენს წინ გაჩნდა ორსიტყვედი: „ოსსო მუდმივად“.

— ეს რა ოხრობაა? — ვთქვი მე.

ლევანმა ორსიტყვედი მარცხენა ხელში გადაიტანა. მარჯვენით კიდევ ერთი სიტყვა დაიჭირა და ფრთხილად შეუერთა. გამოვიდა აზრი — „ოსსო მუდმივად ივლის“. მერე ხელი გაუშვა და ეს აზრიც რბილად აცემცემდა ჩვენს წინაშე.

მე დავაკვირდი. უცნაური იყო — სიტყვებს შეერთების ადგილას არავითარი კვალი არ რჩებოდა. ეს სამი სიტყვა ნარნარად ერწყმოდა და აგრძელებდა ერთმანეთს და მათგან იქმნებოდა ერთი მთლიანი სხეული — ყოველგვარი შიდა ტეხრების გარეშე და ისიც ისეთივე ნელი რწევით ლივლივებდა ჰაერში. ეს უკვე აღარ იყო სამსიტყვედი, მასში აღარსად ჩანდა ცალკეული სიტყვები, არც მათი შეფერილობა — ეს იყო სრულიად თავისებური ფერის ერთადერთი აზრი, რომ „სოსო მუდმივად ივლის“.

— ღმერთმა ხელი მოუმართოს! — ჩაებუზღუტე ჩემთვის.

ლევანმა კიდევ ერთი სიტყვა დაიჭირა და **ახალწარმოქმნილ სხეულს მიუერთა.** „ოსსო მუდმივად ივლის რეგისტრატურა“ — შეიქმნა ჩვენს წინაშე. მაგრამ ამ ახალმა შენაერთმა ძველი მთლიანობა სულმთლად დაარღვია. ეს უკვე აღარ იყო ერთი მონოლითური სხეული. ჩვენს წინ ირხეოდა ოთხსიტყვედი, რომელშიაც ყოველი სიტყვა ერთმანეთისაგან გამიჯნული იყო თავისი ფერით, ფორმითა და რხევის რიტმით. „რეგისტრატურას“ ტეხილი და შავთეთრი ზოლი უშნო პროთეზივით მიეგბა „ივლის“-ს, ისიც უკვე ბუნებრივად აღარ ერწყმოდა „მუდმივად-ს“, რომელიც, თავის მხრივ, სრულიად ირეგუნავდა „ოსსოს“.

— „ში“ ვეკალია, — წარმოოქვა ლევანმა.

— რა „ში“? — ვკითხე მე.

— „ში“ უნდა იყოს: „ოსსო მუდმივად ივლის რეგისტრატურა-ში“, და სიტყვა გამთლიანდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ააა! — ვოქვი და თავი მოვიქექე.

— ააა კი არა, „შა“!

— ოოო, ჰო, „ში“.

— რა ვქნათ, სად ვიშოვოთ „ში“? — თქვა ლევანმა.

სწრაფად მივისაზრე:

— ცხადია, ისევ იქ, სადაც ეგ სიტყვები იშოვე.

— ჰო, რა თქმა უნდა... და აზრიც დასრულდება.

— დასრულდება, აბა რა, — ვუთხარი მე. — წარმოიდგინე, რამხელა ბედნიერებაა: ჩვენ შეგვეძლება, როცა გვინდა, წავიკითხოთ ფრაზა: „სოსო მუდმივად ივლის რეგისტრატურაში!“

ლევანმა ხელი ჩაიქნია.

— თუმცა, მოიცა! — ვთქვი მე, — ჩვენ შეგვეძლება წავიკითხოთ უფრო მეტიც: „სოსო მუდმივად ივლის რეგისტრატურაში ვითარცა ჭუპრი!“

ამ სიტყვებით ხელი ვტაცე ორ სიტყვას — „ვითარცას“ და „ჭუპრს“, და ერთმანეთს მივადგი.

ვგრძნობდი, როგორ ჭიებივით იკლაკნებოდნენ ეს სიტყვები ჩემს თითებში და უეცრად ზიზღის გრძნობამ შემიპყრო, — თითქოს რაღაც ხრწნადი თუ ჯერაც არდაბადებული არსება შეეხებოდეს.

სიტყვებს სასწრაფოდ ხელი ვუშვი. ჩემს წინ, ჰაერში დარჩა ორსიტყვიანი: „ვითარცა ჭუპრი“.

ცხვირი ახლოს მივიტანე და დავყნოსე. საბედნიეროდ, არაფრის სუნი არ უდიოდა — არც ჭუპრის, არც რეგისტრატურის, არც, მით უმეტეს, სოსოსი.

დაინტერესებულმა მესამე სიტყვაც დავიჭირე და ფრთხილად მივუერთე. ასე გაჩნდა სამსიტყვიანი: „აშხაბადი ვითარცა ჭუპრი“! — ეს იყო ჩემი პირველი შემოქმედებითი შედეგი, ჩემი შემოქმედებითი ნიჭის პირველი გამოვლენა, რომელიც, თუმცა მას მერე მრავალი ნამუშევრის ავტორი გავხდი, მაინც დღემდე ყველას მიჩნევია და განსაკუთრებული სიყვარულით მიყვარს. — „აშხაბადი ვითარცა ჭუპრი“! — და მართლაც, არცთუ ისე უხეირო ფრაზად მოგეჩვენებათ, როგორც ერთი შეხედვით ჩანს, მხოლოდ სიტყვა „აშხაბადი“ ცოტა თავისებურად უნდა წაიკითხოთ — ისე, როგორც „ად“ სუფიქსით ნაწარმოები რომელიმე ზედსართავი, მაგალითად „აქროლადი“ ან „ჩახშობადი“.

ასე რომ, ეს სიტყვები დაახლოებით ისე უნდა იქნას წაკითხული, როგორც „აქროლადი ვითარცა ჭუპრი“, ან — „ჩახშობადი ვითარცა ჭუპრი“.

რაც შემეხება მე, პირადად „აქროლადის“ მომხრე ვარ, რადგან მომანია, რომ საკმაოდ აქროლადი ბუნების ადამიანი გახლავართ, თუმცა, როგორც მკითხველი მალე შეამჩნევს, არც ჩახშობადობა მაკლია, — კერძოდ, ჩემი ჩახშობა არც ისე ძნელია, თუმცადა მალე ისევ იოლად აკვროლდები ხოლმე. ერთი კაა — აშხაბადში არასდროს ყოფილვარ და არც არავითარი სურვილი არა მაქვს იქ მოხვედრისა, თუკი, რა თქმა უნდა, თვითონ აშხაბადი არ მოვა ჩემთან, როგორც მთა — მუსამედთან.

როგორც უნდა იყოს, იმ დღეს, აქროლად გუნებაზე მყოფმა, მე შევქმენი ჩემი პირველი შედეგი, და იგი ასე გამოიყურებოდა: „აშხაბადი ვითარცა ჭუპრი“.

ეს სიტყვები ვინმეს შეიძლება არაესთეტურად მოეჩვენოს, ვინმემ შეიძლება თქვას, რომ ეს სტრიქონი რაღაცნაირად მილევადი ან უხეშად მოჭრილია, მაგრამ ვინ რა იცის, რა არის ესთეტური? ვინ იტყვის, რა არის მშვენიერება? ეს ხომ ურთულესი ფილოსოფიური საკითხია, რომელზეც, სოკრატედან მოყოლებული, კაცობრიობას დღემდე პასუხი ვერ გაუცია. მშვენიერების შესახებ ყველას თავისი მოსაზრება აქვს. განა შეიძლება უშვერად გამოვაცხადოთ სტრიქონი მხოლოდ იმის გამო, რომ შიგ „შხ“ და „პრ“ დფონოგები ურევია?! თუკი მხოლოდ ბგერწერაზე მიდგა საქმე და აზრს სრულიად არა აქვს მნიშვნელობა, მაშინ რატომ ელერს ჩემს ქმნილებაზე გაცილებით უფრო უშვერად მისი სარკისებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რი ანარეკლი: „ირპუჭ აცრათივ იდაბახშა“?!

ასე რომ, ამ თემაზე კამათს თავს ვანებებ და კვლავ ძირითად სათქმელს ვუბრუნდები:

ლევანმა ზარდახშა დახურა.

ერთბაშად ყველა სიტყვა, რომელიც კი ჩვენს წინ ჰაერში ლიელიებდა, მათ შორის — ჩემი შედეგრიც — ქარის გატაცებულივით მიიხვეტა და ზარდახშაში ჩასრიალდა.

და ჩვენს წინაშე ჰაერი ისეთივე ინერტული იყო, როგორც ხუთი ათასი წლის წინათ.

— წავედით, — თქვა ლევანმა.

— სად?

— სანეტარო კანტორაში!

— წავედით! — შევძახე და წამოვხტი.

ლევანიც წამოდგა, ზარდახში კვლავ ჩანთაში მოათავსა, ჩანთა საგულდაგულოდ დაკეტა და მხარზე მოიგდო.

სასწრაფოდ ჩავიცვი და გარეთ გამოვედით.

რაღაც აუტანელი სიხარული და მოლოდინი ქარივით მიგვაქანებდა ქუჩებში. ირგვლივ ვერაფერს ვამჩნევდით — არ ვიცი, მანქანის ქვეშ როგორ არ მოვყვეთ. გადავკვეთეთ ყაზბეგის გამზირი, მიცკევიჩის ქუჩა, გავუხვიეთ საბურთალოს ქუჩაზე — სიარულს თითქოს ბოლო არ უჩანდა.

„სოსო მუდმივად ეცლის!“ — გამახსენდა მე, როცა ჰეკინის ქუჩა გადავჭრით.

აი, „ფელიდიაც“, აი, მიმდებარე ეზოც. შევუხვიეთ, შევედით და ამ დროს ძახილი შემოგვესმა:

— ჰეი! ჰეი! ზაზა! ლევან!

ჩვენკენ ხელის ქნევით მოწევდა გუჯა.

— სად გარბიხართ ასე გამწარებული?

— საქმეზე გვეჩქარება, — მივუგე მე.

გუჯამ ეშმაკურად შემოგვხედა.

— რა საქმეა, თქვენ თუ კაი ხალხი ხართ!

— აგერ, სანეტარო კანტორა ყოფილა.

— რა ყოფილაო?!

— სანეტარო კანტორა.

—სანეტარო კანტორა რაღაა, თუ ძმა ხარ?!

— რა ვიცი მე, აგერ, ლევანს ჰკითხე, — პასუხი თავიდან ავირიდე.

გუჯამ ლევანს მკლავში ხელი წაჰკრა.

— რა კანტორაო, ბიჭო, რას ბოდიალობს ეს გამოშტერებული?!

— კანტორაა, რა, სანეტარო კანტორა. არ გაგიგია?

— სანეტარო კანტორა? — გუჯამ დაუსტვინა და სიცილით თქვა: — ნადდად რო პირველად მესმის. თქვენ რაღაცას მიმალავთ, აი!

— არაფერს არ გიმალავთ! — წამოვიძახე მე.

— აბა როდის იყო, კანტორებში დარბოდით! აქ რაღაცაშია საქმე! — გუჯამ გამომცდელი მზერით შეგვათვალიერა.

— გეტყვი, მაგრამ იცოდე, ჩვენში უნდა დარჩეს! — უთხრა ლევანმა.

— მითხარი, მითხარი ერთი! — გუჯამ მოჭუტული თვალები მიაპყრო ლევანს.

— ეგეთი კანტორაა — მიხვალ, ფულს გადაიხდი და ნეტარებას იძლევიან. რასაც ინატრებ — შენია!

— ნეტარებას არა, ერთი იმას! — გუჯამ გაიცინა.

ლევანმაც გაიცინა.

— არ გჯერა, ნუ გჯერა. შენი საქმეა. — უთხრა და წასვლა დაუპირა.

— არა, ნადდად, საით მიდიხართ?!

— გეუბნები, სანეტარო კანტორაში. ოცი გრამი ნეტარება უნდა ავიღოთ.

გრამების გაგონებაზე გუჯა გამოცოცხლდა.

— ა�ა! — შესძახა მან, — ყველაფერი გასაგებია! წამოდით, მეც თქვენთანა ვარ. გრამი რამდენად არის?

— გაიწია, რისი გრამი.

— კი მაგრამ, რის ასალებად მიდიხართ?

— მე სიტყვები უნდა ავიღო, — საიდუმლო სახით მიუგო ლევანმა.

გუჯამ ეჭვით გადმომხედა:

— თქვენ გეტყობათ, უკვე კაიფში ხართ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მოკლედ, თუ მოდიხარ, წამოდი! — უთხრა ლევანმა და ადგილიდან დაიძრა.

ორივენი უკან მივყვევით და მალე სანეტარო კანტორის შესასვლელთან ვიყავით.

ეს კანტორა ადრე არასოდეს შემენიშნა. ალბათ, ახალი გახსნილი თუ იყო. იგი მდებარეობდა წითელი პარტიზნების ქუჩის მიმართ პერპენდიკულარულად მდგარი კორპუსის ქვემო მარცხენა კუთხეში. შესასვლელი კარი ჩვეულებრივი სადარბაზოს კარის გვერდზე გაეჭრათ. ეს იყო მორუხო-მოცისფრო პატარა კარი. მის გვერდზე — ამავე ფერის დამტვერილი ფანჯარა. კარსა და ფანჯარას შორის მოჩანდა მინაგადაკრული შავი დაფა, რომელზეც ვერცხლისფერი ასოებით ეწერა: „სანეტარო კანტორა“.

— ეე! ეს აქ როდის გახსნეს?! — გაუკვირდა გუჯას.

— რა ხანია აქ არის!

— დედას გეფიცები, პირველად ვხედავ!

— მეც პირველად ვხედავ, — დავეთანხმე მე, — ეტყობა, ახალი გახსნილია.

ლევანმა დაცინვით გადმოგვხედა:

— ახალი კი არა! ვერ ხედავთ კარებზე საღებავი სუფთად გახუნებულია. აბრაც ძველია, ფანჯარაც — დამტვერილი.

მართლაც, პატარა კარებზე საღებავი ალაგ-ალაგ ატკეცილიყო. ფანჯრის ჩარჩოები ქარისა და წვიმისაგან გახუნებულიყო. ვერცხლის ასოებსაც დაეკარგათ პირველქნილი ბრწყინვალება. და ეს ყველაფერი ძალიან ძველი და შეუმჩნეველი ჩანდა. ალბათ, ამიტომაც ვერ ამჩნევდა ვერავინ.

კარი ჭრიალით შეიღო.

ჩვენ აღმოვჩნდით პატარა და ცარიელ ოთახში, სადაც იდგა ერთადერთი სამუშაო მაგიდა, ორი სკამი და დაბალი ცეცხლგამძლე კარადა. ოთახის შიდა კედელზე მოჩანდა კიდევ ერთი პატარა კარი და შიდა ოთახთან შემაერთებელი სარკმელი, რომლის ჩარჩოში მინის ნაცვლად შეღებილი ფანერა ჩასვესვათ. კარიც და სარკმელიც ამჟამად მოხურული იყო. ჩვენი შესვლისთანავე თავიანთ მიიხურა აგრეთვე გარეთ გასასვლელი კარიც. შიდა ოთახიდან საბეჭდი მანქანის ხმა გამოდიოდა.

ლევანმა ფანჯრის ფიცარზე დაეკაკუნა.

სარკმელი გაიღო.

— ნეტარიუსი აქ არის? — იკითხა ლევანმა.

— აქ არის, — მოისმა ქალის ლიტინნარევი ხმა.

თავი დავხარე და სარკმელში შევიხედე — იქ ხვეულთმიანი შავგვრემანი ქალი მისჯდომოდა კარტოთეკის ყუთებიან მაგიდას. წინ ელექტრონული საბეჭდი მანქანა ედგა — ყველაფერი ისე იყო, როგორც სახლ-მმართველობაში.

— აფანასოვიჩ, — შესძახა ქალმა ვიღაცას, — თქვენთან არიან.

— შემოიყვანე, სტელა, შემოიყვანე! — მოისმა შიდა ოთახიდან კაცის ჩახშული ხმა.

ქალმა ამოგვხედა და წამით დაგვაცქერდა.

— მობრძანდით!

კარი შევაღეთ. ჭრიალი. შევლაგდით და კარი ჩვენს ზურგს უკან აქაც თავისით მიიხურა.

შიდა ოთახი პირველივით პატარა იყო, მაგრამ უფანჯრო და უფრო თბილი. ჭერში ანათებდა სუსტი ელნათურა. თითქმის ბნელოდა. თვით ოთახი ჰგავდა ბიბლიოთეკის საცავს — მარჯვნივ და მარცხნივ კედლებზე ჩანდა თარობები, ზედ მოთავსებული რაღაც ბარათებიანი ყუთებით. შუა ოთახშიც აეყუდებინათ მაღალი თარობიანი თეჯირი — აქაც ყუთები. თეჯირის უკან სამუშაო მაგიდა სავსე იყო ასეთივე ყუთებითა და საქაღალდეებით. მაგიდას მისჯდომოდა შუა ხნის ჩასუქებული მელოტი, სათვალიანი კაცი, რომელსაც ეცვა ხმარებისგან გაცრეცილი რუხი კოსტიუმი, კოსტიუმს ზემოდან მხრებზე მოეხურა რუხი, მწვანეზოლებიანი პლედი, ხელები მოწაფესავით დაეწყო წინ, მაგიდაზე, და ტკბილი ღიმილით

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოგჩერებოდა. სახეს უნათებდა მაღალი, მინის პლაფონიანი ღამის ლამპა. ამ ლამპის შუქზე წითლად ღვიოდა აფანასოვიჩის ხორციანი და ბადრი პირისახე და მელოტი შუბლის ნაწილი.

— რით გემსახუროთ?! — თქვა მან თავის ქიცინით და თვალების ჭუტვით.

— ეს მე ვარ, — ყრუ ხმით მიუგო ლევანმა.

— აჰ, მობრძანდით! მობრძანდით! გნებავდათ რამე?

ნეტარიუსმა მივუახლოვდით.

— ხელშეკრულების გასაფორმებლად მოვედი, —ლევანმა ჩანთა გახსნა, ზარდახშა ამოიღო და მაგიდაზე, საქაღალდეებს ზემოდან, დადგა.

ნეტარიუსმა მაშინვე ფუნჯული ხელი დასტაცა ზარდახშას.

— ძალიან სასიამოვნო. ძალიან კარგი. დარწმუნებული ვიყავი. დარწმუნებული ვიყავი, — თქვა ისეთივე პირბადრი ღიმილით.

და უეცრად მისმა კატისებრმა ხმამ და შემპარავმა კილომ რაღაც მომაგონა და გულში უსიამოდ გამკენწლა.

მან მაგიდის უჯრა ოდნავ გამოსწია და იქიდან ქაღალდის ფურცელი გამოაძვრინა.

— მაშ ასე, — თქვა მან, —აი, ეს. შემოვსეთ და საქმე გათავებულია. აი, ეს გრაფები. აქედან აქამდე. სახელი, გვარი, მისამართი... მოკლედ, ყველა გრაფა შემოვსეთ. აქედან აქამდე. ძალიან კარგი, — ამბობდა იგი, როდესაც ლევანი, მაგიდასთან დაბრილი, ბლანკს ავსებდა. — ძალიან კარგი. ახლა აქ მოაწერეთ ხელი. დიდი მადლობა. ჰაჰა! დიდი მადლობა!

— გადასახადი რამდენია? — იკითხა ლევანმა.

ნეტარიუსმა მხიარული ნაპერწკლებით აღსავსე თვალებით ამოგვხედა.

— გაიჩნია, რის! ჰა-ჰა! გაიჩნია, რის! — და მე შევამჩნიე, რომ ეს კაცი, როცა რაიმეს იტყოდა, მერე იქვე საკუთარ ნათქვამს ექოსავით ჩუმი ხმით იმეორებდა — ალბათ, ეს საკუთარი ნათქვამით აღტაცებისგან თუ იყო გამოწვეული. თუმცა, ჩვენი იქ ყოფნის მანძილზე განსაკუთრებული არაფერი უთქვამს.

— რას გაიჩნია?! — შუბლშეკერით შეეკითხა ლევანი.

— გაიჩნია, რას გადაიხდით... ჰაჰა! გაიჩნია, რას გადაიხდით... რას გადაიხდით!

— ფულს გადავიხდი. სხვა რა უნდა გადავიხადო! — თქვა ლევანმა.

— ფული!.. ჰაჰ! ფული! ჰაჰა! ფული!.. ჰა? ფული თუ სული? ჰაჰ-ჰაჰა! ფული ან სული! — მოიღრინა მელოტმა, კატისებრმა ბუთხუზამ.

მე განცვიფრებით შეეხედე — იგი უზომო მხიარულებას მოეცვა — თუმც კი ისევ უძრავად იჯდა და მისი მოლაპლაპე თავი ვიგანტური კვერცხივით ლივლივებდა ჩვენს წინაშე. თეჯირს მიღმა მოჩანდა მბეჭდავი ქალი — ისიც ჩვენკენ მობრუნებულიყო და დიდი მუქმწვანე თვალებით გვიყურებდა. ეს ყველაფერი მიაგავდა რაღაც სატანისტური ფილმისა თუ ფარისს უნიჭო პაროდიას.

მე ჩამეცინა.

— სულიო, თქვენ ბრძანეთ?! — ეკითხე კოტიტას, — როგორც ჩანს, თქვენ აქ ადამიანთა სულების მოსანადირებელი დაწესებულება გაგიხსნიათ!

მან სათვალის ლინზები ჩემკენ მოაბრუნა, მცირე ხანს მიყურებდა, — ამ ხნის მანძილზე ამაოდ ვცდილობდი გამეხსენებინა, კერძოდ, ვის ან რას მაგონებდა იგი. — მერე ხმა ამოიღო:

— რაღა თქმა უნდა! რაღა თქმა უნდა!.. ჩვენი უმთავრესი დანიშნულება სწორედ რომ ეგ არის! ჩვენ უნდა მოვინადიროთ ადამიანთა სულები! განსაკუთრებით — ახალგაზრდების!.. ახალგაზრდების!.. ამას ემსახურება ჩვენი დაწესებულება! ჩვენ უნდა ჯანსაღი საზრდო მივცეთ ახალგაზრდა სულებს! თორემ, ხომ ხედავთ, რას დაემსგავსა ჩვენი ახალგაზრდობა! აბსოლუტური გამოფიტვა!.. აბსოლუტური გამოფიტვა!.. — მან გუჯას შეავლო თვალი და მერე ისევ მე მომბრუნდა: — ეს ამერიკული ფილმებიო!.. ეს ამერიკული ფილმე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიო!.. ეს უშინაარსო, იდეისგან დაცლილი ბესტსელერებიო!.. ეს ჟუანკებიო! ეს ნარკოტიკებიო! ნარკოტიკებიო!.. — აღშფოთებული თუხუხუნებდა იგი.

მე თავი გავაქნიე.

— ეგ თქვენნ სულების მონადირება რაღაც არ მომწონს! ხომ არ გეჩვენებათ, რომ ამ საქმეს, ცოტა არ იყოს, სატანისტური ელფერი დაჰკრავს?! — ეკითხე დაეჭვებულმა და მოჭუტული თვალებიდან გამჭვალავი მზერა მოვაპყარი.

ფუნჩულამ სიხარულით ამომხედა:

— ფუი ეშმაკს!.. ფუი ეშმაკს! — შესძახა მან. — ფუი ეშმაკს! ჰა-ჰა!.. ფუი, ფუი... ფუი ეშმაკს!.. არავითარი!.. არავითარი! ეგ როგორ გაიფიქრეთ?! მე, ჩემო კეთილო, არც ღმერთი მწამს, არც ეშმაკი! სულების მონადირებაში მე ეგზულისხმობ ახალგაზრდობის ინტერესთა სფეროს დაპყრობას! საჭიროა დაანტერესო ახალგაზრდა! საჭიროა სულიერი საზრდო მისცე მას! ხომ გესმით! სულიერი საზრდო! სულიერი! ეა აქედან გამომდინარე — სულის განვითარება, სულის წარმართვა იმ გზით, რა გზითაც უმჯობესი იქნება თვითონ მისთვის!.. მაგრამ არავითარი ძალდატანება! არჩევანი თვითონ თქვენზეა, ერთმნიშვნელოვნად, სრულიად და აბსოლუტურად თქვენზე! აი ასე, ახალგაზრდავ, აი ასე, — ამბობდა იგი აღტაცებით. — ხოლო სულში მე ეგზულისხმობ ადამიანის ფსიქიკას! და მეტი არაფერი! ესაა ჩვენი ემოციები, განცდები, აზრები!.. აი, ასე მესმის მე სული!.. აი, ასე მესმის მე სული!..

მაგრამ ჩემში ეჭვის ბორბალი უკვე აღძრული იყო.

— აბა, რატომ თქვით, ფული ან სულიო?!

ამაზე სწრაფად მომიგო:

— ეს ისე, სიტყვის მასალად, ჩემო კეთილო! სიტყვის მასალად, ჩემო კეთილო!.. თორემ, ცხადია, ფულს გადაგახდევინებთ! ჰა-ჰა! ფულს გადაგახდევინებთ! აბა, რას ვიზამ! სტელა, ამ მეგობარს ერთი ხელშეკრულების ტექსტი გადაუბეჭდე! მიბრძანდით, ახალგაზრდა! მიბრძანდით! — მან ლევანს ხელით ანიშნა მბეჭდავ ქალზე და ლევანიც იქით წავიდა.

სანამ იგი უკან დაბრუნდებოდა, მე კვლავ კოტიტას მივმართე:

— მაშინ, რატომ პირდაპირ არ გეპასუხეთ, გადასახადი რამდენაა?!

— გეტყვით, გეტყვით, არ დაგიმალავთ... ჰა-ჰა... არ დაგიმალავთ, — იგი ხალისით შეუდგა განმარტებას: — პირველი საცდელი სანეტარო მომარაგებისთვის — ათი მანეთი! შემდეგ კი, საათობრივად — საათში ათი მანეთი ხუთი დღის მანძილზე, საათში ხუთი მანეთი — შემდგომი ხუთი დღის მანძილზე, საათში ორმანეთნახევარი — შემდგომი ხუთი დღის მანძილზე, და საათში მანეთი შემდგომი თხუთმეტი დღის მანძილზე! თვეში სულ რვაას ოცი მანეთი, პლუს თუმანი პირველი შესატანი, — რვასაათიან სამუშაო დღეზე გადაანგარიშებით, ან — ორაათას ოთხას სამოცი მანეთი — ოცდაოთხსაათიან სამუშაო დღეზე გადაანგარიშებით. ერთი დღე-ღამით სარგებლობა, ნებისმიერ შემთხვევაში, ორას ორმოცდაათი მანეთი დაგიჯდებათ, ორას ორმოცდაათი მანეთი! — მე მგონი, არ არის ძვირი... არ არის ძვირი... მუშტარიც არ გვაკლია... პირდაპირ ვეტყვით, — არ გვაკლია!..

მე, ცოტა არ იყოს, ნირწყმხდარმა მიმოვიხედე. ორაათას ოთხას სამოცი მანეთი, მით უმეტეს — პლუს თუმანი, თვალითაც არ მენახა.

— ათი დღე რა დაჯდება? — კვლავ ეკითხე და ჩავეხვეული, — რვასაათიან სამუშაო დღეზე გადაანგარიშებით!

— ახლავე! ათი დღე დაგიჯდებათ ექვსასი მანეთი, რვასაათიან სამუშაო დღეზე გადაანგარიშებით, პლუს თუმანი პირველი შესატანი, — ცქვიტად მომიგო მან.

მე გონებაში ურთულესი მათემატიკური ოპერაცია წამოვიწყე — ვცადე დამედგინა, რა დამიჯდებოდა ეს სიამოვნება ოთხი საათით — რატომ მაინც-დამაინც ოთხი ავირჩიე, ვერ ვეტყვით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალბათ, იმიტომ, რომ ეს რიცხვი განსაკუთრებით მიყვარს — რაღაც ჩემია-ნად და ახლობლად მიმაჩნია ბავშვობა-დან. მაგრამ მალე დავრწმუნდი, რომ ამ ამოცანას თავს ვერ გავართმევდი. ამიტომ ისევ კოტიტას მივმართე:

— ერთი საათი რა დაჯდება?

— ერთი საათი, ნებისმიერ შემთხვევაში — ათი მანეთი, პლუს თუმანი პირველი შესატანი. შაბათ-კვირაობით და ღამის საათებში — ზედდარიცხვა ოცი პროცენტი, ანუ — საათი თორმეტი მანეთი და პლუს თუმანი, პირველი შესატანი. — ამას რომ ამბობდა, ცალი თვალით რატომღაც გუჯას აჰხედა, მერე ისევ მე მომაპყრო გოჭისებრი თვალების მზერა.

გონებაში თვალი მოვავლე მის მიერ ჩამოთვლილ აურაცხელ რიცხვებს. შევეცადე, ეს საათობრივი ანგარიში მაინც გამემრავლებინა ოთხზე, მაგრამ ამაოდ. ვიფიქრე, რომ მის ანგარიშში არაკეთილი ლოგიკა არ იყო.

აქ უეცრად საუბარში ჩაერთო გუჯა:

— ერთი ეს მითხარი, ბიძაჩემო, ამდენ ფულს რა სიამოვნებაში გვახდევინებ? — თავისთვის ჩვენი პლებური პირდაპირობით მიმართა კოტიტას.

კოტიტამ თავაზიანად მიუგო:

— ჩვენი კანტორა ერთადერთი სანეტარო კანტორაა ამ რაიონში. სხვა რაიონის მცხოვრებლებს ჩვენ არ ვემსახურებით. ჩვენთან შეგიძლიათ შეიძინოთ, იქირაოთ, ან დროებით სარგებლობაში გაიფორმოთ სხვადასხვა სახის სანეტარო საქონელი. უმაღლესი ხარისხის ნეტარება ნებისმიერ შემთხვევაში გარანტირებული გაქვთ, ხოლო რა სახის ნეტარებას აირჩევთ, ეს თქვენი ნებაა. ჩვენ გაგვაჩნია ფართო ასორტიმენტი — დაწყებული ფიზიოლოგიური სახის ემპირიული ნეტარებებისგან, დამთავრებული ფსიქო-ნევრალგიური და ემოციონალურ-გნოსეოლოგიური სახის იდეალური ნეტარებებით. აქ შედის გულსისხლძარღვთა სისტემის ევრიტმიული სტიმულაცია, დიდი ტვინის ჰემისფეროთა რუხი ნივთიერების კუნდალინური აქტივიზაცია, ჰიპოკამპუსის ხვეულის ელექტრონული ტრანკვილიზაცია, ბროკასა და ვერნიკეს ცენტრების სრული ჰიპერსულბლიმაცია...

— კარიჩე გოვორია, — გააწყვეტინა გუჯამ, — საათში ოც მანეთს თუ მახდევინებ, რაღაც სუშჩესტვენნი უნდა მივიღო!

კოტტამ მას სათვალის ზემოდან ახედა:

— რაღა თქმა უნდა, ახალგაზრდავ. ჩვენ ჩვენი მომსახურებით სრული დაკმაყოფილების გარანტიას ვიძლევით. თქვენ წარმოდგენეთ, კლიენტის მხრიდან პრეტენზიების გარეშის შემთხვევაში ფულს უკანაც კი ვაბრუნებთ. რა თქმა უნდა, თუ პრეტენზია საფუძვლიანია... თუ პრეტენზია საფუძვლიანია!.. თუმცა, მინდა აქვე გაუწყოთ, რომ ჩემი მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილების მანძილზე არ მახსოვს შემთხვევა, რომ კლიენტს ჩვენთვის პრეტენზიებით მოემართოს — გარდა ერთისა, რომელიც ჩაიდა, რომ ჩვენს კანტორაში მიღებულ ნეტარებას სხვა ცხოვრებისეულ სიტუაციებში მისთვის ნეგატიური შედეგები მოჰქონდა. მაგრამ ისიც, რომ გამოვიკვლიეთ, იმპოტენტი აღმოჩნდა...

ამის გაგონებაზე გუჯას თვალები გაუბრწყინდა.

— თქვენ რა, აქ ქალებსაც აქირავებთ? — ჰკითხა და მდივან ქალს გახედა.

— რაღა თქმა უნდა. აკი გითხარით, — ჰიპოკამპუსის ხვეულის ელექტრონული ტრანკვილიზაცია... — დაიწყო ნეტარიუსმა, მაგრამ გუჯამ გაწყვეტინა:

— და საათში თუმანი ღირს?!

— დიახ. საათში ათი მანეთი, პლუს თუმანი პირველი შესატანი. ხოლო ღამის საათებში და არასამუშაო დღეებში — ზედდარიცხვა ოცი პროცენტი, ანუ — თორმეტი მანეთი და პლუს თუმანი, პირველი შესატანი, — მიუგო კოტტამ.

— ნარკოტიკებიც გაქვთ? — შემპარავად ჰკითხა გუჯამ.

— ცხადია. ნებისმიერი სახის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქ გუჯამ, როგორც შევატყვე, რეალობის გრძნობა დაკარგა, გონს მოსასველელად აქეთ-იქით მიმოიხედა და ამ დროს მე შემამჩნია.

— ბიჭო, ამას უყურე! — მითხრა აღტაცებული ხმით.

მერე კელავ ნეტარიუსს მიუბრუნდა:

— ესე იგი, თუნდაც შემიძლია ერთი საათი ვიკაიფო?

— პლუს თუმანი პირველი შესატანი. ღამის საათებში და უქმე დღეებში — ოცი პროცენტი ზედდარიცხვა, — მიუგო ნეტარიუსმა.

— ესე იგი, ორიათას მანეთად შემიძლია ერთი თვე კაიფიდან არ გამოვიდე?!

— ორიათას ოთხას სამოცი მანეთი — პლუს თუმანი პირველი შესატანი, — მიუგო ნეტარიუსმა.

გუჯამ დაელმებული თვალებით გადმომხედა.

— მაიცა, ესე იგი, ორიათასს პლუს ორიათასი, ეს ოთხიათასი, ოთხასს ოთხასი — რვაასი, იქაც სამოცს სამოცი — ას ოცი, ოთხიათასს პლუს რვაასი და იქაც ას ოცი — სულ ოთხიათას ცხრაას ოცი მანეთი. ესე იგი, ოთხიათას ცხრაას ოც მანეთად მთელი ერთი თვით შემიძლია ნებისმიერი ნარკოტიკი მივიღო და ნებისმიერი ქალიც წავიყვანო?! — ჰკითხა მან.

— დიახ, ასეა. პლუს თუმანი — პირველი შესატანი, — მშვიდად მიუგო ნეტარიუსმა.

გუჯა ხანგრძლივად ჩაფიქრდა. მერე ისევ მე გადმომხედა.

— ნიჩივო სებე! — თქვა მერე.

ამ სიტყვებზე ნეტარიუსმა რატომღაც წარმოუდგენლად მოიღიხინა:

— აბა?! ჰა-ჰა-ჰა! აბა?! — შესძახა მან. — აბა?! ასეთია ჩვენი კანტორა! ნიჩევო სებე?! ა?! ნიჩევო სებე?! ჰა?! ასეთია ჩვენი კანტორა!.. ასეთია ჩვენი კანტორა!.. ტყუილად კი არ მოდიან აქ მთელი რაიონის მშრომელები! აბა, რა გეგონათ?! ნიჩევო სებე! ნიჩევო სებე! — ტიტინებდა სახეგაბადრული.

ლევანი მოვიდა. ხელშეკრულების ტექსტი წინ დაუდო.

ნეტარიუსი წამსვე დასერიოზულდა. ტექსტს ხელი დასტაცა და ელვისებურად ჩაიკითხა.

— აჰა! მაშასადამე, ასე! თქვენ სიტყვები გსურთ! ძალიან კარგი! ძალიან კარგი! მაშასადამე, ათი დღით! ძალიან კარგი! აქ მოიმწერეთ ხელი, გეთაყვა! ასე! ძალიან კარგი! ძალიან, ძალიან კარგი!

ლევანმა ხელი მოაწერა და ყრუ ხმით იკითხა:

— რამდენი უნდა გადავიხადო?

— ათას ორასი მანეთი, გეთაყვა, ოცდოთხსაათიან სამუშაო დღეზე გადაანგარიშებით. პლუს თუმანი, პირველი შესატანი!

— თუმანი უკვე გადახდილი მაქვს! — უკმაყოფილოდ მიუგო ლევანმა.

— დიახ. მართალია. ძალიან კარგი. მაშასადამე, — ათას ორასი მანეთი, პლუს... მაპატიეთ... დიახ! ათას ორასი მანეთი და მეტი არაფერი... სტელა, მიიღე შესატანი და ქვეთარი გამოუწერე. ასე, ყველაფერი რიგზეა. გისურვებთ წარმატებას. გისურვებთ მოუკლებელ ნეტარებას თთელი ათი დღის მანძილზე. პირდაპირ მშურს თქვენი: სიტყვები... სიტყვები... ეს ხომ შესანიშნავია!.. ეს ხომ შესანიშნავია. შესანიშნავი... — ამ სიტყვებით ნეტარიუსმა ლევანს ხელი გაუწოდა და მძლავრად ჩამოართვა.

— რა სიტყვებზე ლაპარაკობთ? — დაინტერესებული გუჯა ნეტარიუსს მიუბრუნდა.

ნეტარიუსმა ლევანს ხელი უშვა და გაბადრული სახით შეხედა გუჯას:

— აჰ! მე ნუ მკითხავთ!.. მე ნუ მკითხავთ!.. პროფესიული საიდუმლოა! ამ წუთიდან ეს უკვე მხოლოდ კლიენტის საქმეა! თუ უნდა — გაგიმხელთ, თუ არადა, — არა!.. თუ არადა, არა!..

— რა სიტყვებია, ბიჭო?! — მიუბრუნდა გუჯა ლევანს.

— ის სიტყვებია, რომლებიდანაც წინადადება შედგება.

— ჰა, რას მაშაყირებ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მოკლედ, აქედან ჩემთან წავიდეთ და შენ თვითონ ნახავ, — უთხრა ლევანმა.

— ვნახოთ. გააჩნია რა სიტუაცია იქნება, — თქვა გუჯამ — ეხლა, ბიძაჩემთ, მე მომხედე! აი, აგერ ასი მანეთი მაქვს. აბა, უცბად გადამიანგარიშე, ას მანეთად რა კაიფი შემიძლია დავიჭირო!

ნეტარიუსმა ქაღალდები გადაქექა და თავაზიანად მიუგო:

— აგერ, გიეცანით პრეისკურანტს. თქვენს განკარგულებაში ნებისმიერი სახის სანეტარო და სანატრელი საშუალებაა.

გუჯამ თავი ქაღალდში ჩარგო.

მეც დრო ვიხელთე, ლევანის ხელშეკრულების ტექსტს დავწვდი და ყურადღებით დავიწყე კითხვა. — ნეტარიუსის ის შენიშვნა სულების შესახებ მაინც მოსვენებას არ მაძლევდა. საკმაოდ ცრუმორწმუნე კაცი ვარ, თანაც საკმაოდ მინახავს ამ თემაზე ამერიკული და არაამერიკული ფილმები. წიგნებიც ბევრი წამიკითხავს. ამიტომ ყურადღებით გადავათვალიერე ხელშეკრულების ტექსტი. საეჭვო თითქოს არაფერი ჩანდა. ტექსტი საკმაოდ მოკლე იყო — სულ ოთხიოდე წინადადება. აქ ეწერა, რომ ამა და ამ ფასად ესა და ეს კლიენტი დროებით და განუყოფელ მფლობელობაში იღება ქვეყნად არსებულ ნებისმიერ და ყოველ სიტყვას, რომლებიც მას შეუძლია მოიხმაროს ნებისმიერი დანიშნულებით, ათი დღის მანძილზე. გადამხდელის გვარი, სახელი, მისამართი, სანეტარო კანტორის ბეჭედი, ხელმოწერება და თარიღი. ეს იყო და ეს. ტექსტი ხელმორედაც გულდასმით ჩავიკითხე, მერე ქვემოდან ზემოთ სიტყვასიტყვით უკუღმა ავიკითხე — საეჭვო ვერაფერი ვნახე. განსაკუთრებით მრგვალმა ბეჭედმა დამაშვიდა.

ამასობაში გუჯას უკვე მიეღო რაღაც გადაწყვეტილება და ნეტარიუს ისიც მდივან ქალთან გაეგზავნა ხელშეკრულების გასაფორმებელად. გვესმოდა საბეჭდი მანქანის კაკუნი და გუჯას გულითადი ბარიტონი:

— ისე, სტელა, რაღა შორს წავიდე, თქვენზე უკეთეს ქალიშვილს სად ვიპოვნი! ჰა-ჰა-ჰა! რას იტყვით, სტელა? თუ არ ვცდები, სტელა გქვიათ, არა?!

— დიახ, — მანქანიდან თავაუღებლად პასუხობდა ქალი.

— თუ წინაადმდეგი არ იქნებით, იქნებ დღეს სადმე გაგვესეირნა, ჰა? არ მოგბეზრდათ ამ დახუთულ კანტორაში ჯდომა?

— არ მომბეზრდა!

— როგორც ჩანს, ძალიან გიყვართ თქვენი სამუშაო. ისე, კაცმა რომ თქვას, მშვენიერი სამუშაოა. ხელფასი რამდენი გაქვთ?

— მე მყოფნის! — მოკლედ მოუჭრა სტელამ და დაბეჭდილი ფურცელი გაუწოდა.

— თქვენ რაღაც ძალიან მკაცრი ჩანხართ! ესეც თქვენს მოვალეობაში შედის, კლიენტებთან ბრაზნიანი ლაპარაკი?! — ღიმილით ჰკითხა გუჯამ, რაზედაც სტელამ ღიმილითვე მიუგო:

— არა, რატომ! მე სულაც არ გიბრაზდებით. ჩვენთვის კლიენტის ინტერესი ყველაფერზე მაღლა დგას.

— მაგრამ ამ შემთხვევაში მე გელაპარაკებით არა როგორც კლიენტი, — ვაქცაცურად თქვა გუჯამ. — მე გესაუბრებით როგორც მამაკაცი — მშვენიერ მანდილოსანს! ჰა? რას იტყვით?! იქნებ გამოძებნით დრო — ცხადია, თუ ამის სურვილიც გექნებათ, და დღეს, საღამოს ვახშამზე დამეწვიოთ რომელიმე რესტორანში?!

სტელამ გაიცინა და თავი ასწია.

— აფანასიევიჩ, რესტორანში მპატიჟებენ! — გამოსძახა ნეტარიუსს.

მან მთავრესავთ გაბადრული სახე მიაპყრო გუჯას, მერე მე და ლევანს ამოგვხედა და გასძახა:

— წაყევი მერე! ასეთ წესიერ ბიჭებს ყოველდღე კი ვერ შეხვდები!

— ეს რომ არ შედის მომსახურების სფეროში?! — ღიმილით თქვა სტელამ.

აფანასიევიჩმა მზრუნველი ხმით დაუყვავა:

— რა უჭირს. რა უჭირს. სამსახურის შემდგომ საათებში ხომ შეგიძლია გართობა!

ჩვენ ამ მელოდრამატულ დიალოგს ვეღარ გავუძელით, გუჯას ორიოდე სიტყვით გამოვემშვიდობეთ და გარეთ გავედით. ერთი სული გვქონდა, სანამ სახლში მივიდოდით და სიტყვებით სავსე ზარდახშას გავხსნიდით.

ის იყო, კარი უნდა გამოგვეღო და ღლის სინათლეზე გამოვსულიყავით, რომ უეცრად შიდა ოთახის სარკმელი გამოიღო და მეტალისებურმა ხმამ ადგილზე მიგვალურსმა:

— ერთი წუთით!

შეგბრუნდით.

— აფანასიევიჩს უნდა რაღაცა გითხრათ, — გამოგვძახა სტელამ.

მერე მისი ხვეულთმიანი თავი სარკმელში მიიმალა, კარებიდან კი ნეტარიუსმა გამოიხედა და თვალებს ჭუტვით, კლავინდებური ღიმილით მოგვმართა:

— მართლა, პატივცემულო ლევან! დამავიწყდა გამეფრთხილებინეთ, რომ სიტყვებით სარგებლობა მიზანშეწონილია მხოლოდ და მხოლოდ დახურულ შენობაში! თუკი გაშლილ ადგილას გახსნით, სიტყვები შესაძლოა გაგიფრინდეთ, და მოგეხსენებათ, გაფრენილ სიტყვას უკან ვეღარ დააბრუნებთ! ასეთ შემთხვევაში დაგაკისრებთ ჯარიმას, რადგან მოგვიხდება დამატებითი ხარჯების გაღება სპეცდანიშნულების მუშაკებისთვის, ასე რომ, გახსოვდეთ: მხოლოდ დახურულ სივრცეში!.. მხოლოდ დახურულ სივრცეში!.. — ამბობდა იგი და ღლის სინათლეზე უფერულწამწამებიან, გოჭისებრ თვალებს უძლურად ჭუტავდა და ახელდა.

ჩვენ გაფრთხილებისთვის მადლობა გადავუხადეთ და წამოვედით.

კარებში რომ გამოვდიოდით, შიდა ოთახიდან მოგვესმა გუჯას ხმა:

— კარგად, ბიჭებო! საღამოს დაგიკავშირდებით!..

აქ მცირე ხნით შევჩერდები.

იქნებ ვინმემ იფიქროს, რომ წინა თავში რაღაც ხასიათებზე ან სიმბოლოებზე მქონდა ლაპარაკი. შესაძლოა ვინმეს ეგონოს, ეს ყველაფერი იმიტომ მოვყევი, რომ წარმომეჩინა ადამიანის ორგვარი ტიპი: ერთი უფრო ემპირიული და სხეულებრივი, როგორიც იყო გუჯა, და მეორე — უფრო სულიერი, როგორიც იყო ლევანი. რომ ეს სხეულებრივი და სხეულის მონა კაცი ეძებს ფიზიკურ სიამოვნებას — ქალებს, ნარკოტიკს, მეორე კი — სულიერი პიროვნება — ამას ყველაფერს ყურადღებასაც არ აქცევს და ეძებს რაღაც უსხეულო სიტყვებს, რომლებიც, მატერიალური თვალსაზრისით, არაფერში გამოადგება (ტყუილად კი არ ჩაილაპარაკა გუჯამ კანტორაში ყოფნისას ჩვენს გასაგონად: არა, ძმაო, მე მაგ თქვენი სიტყვების მუშტარი არა ვარო!).

მაგრამ ვინც ასე იფიქრებს, მწარედ მოტყუვდება.

ჯერ ერთი, ზემოთ მოთხრობილით ავტორი ცდილობდა გამოეხატა არა ის, თუ როგორი და როგორი ადამიანები არსებობენ ამ ქვეყანაზე, არამედ ის, თუ რა მოხდა სინამდვილეში. — რა ავტორის ბრალი ან დამსახურებაა, რომ გუჯა იმ დღეს სწორედ იმეკარ განწყობაზე იყო, რომ სწორედ ქალი და კაიფი ენატრებოდა, და არა რაღაც სიტყვები. და რომ, საერთოდ იგი (გუჯა) სწორედ ასეთი კაცია და არა ისეთი, როგორც ლევანი ან თვით ავტორი.

მეორეც — თავისთავად ქალი ან ნარკოტიკი სრულებითაც არ გახლავთ რაიმე განსაკუთრებით სხეულებრივი და სულიერებისგან დაცლილი რამ. შესაძლოა სწორედ პირიქითაც იყოს — ვისაც მოუწევია ჰაშიში, ყველამ იცის, რომ იგი ამძაფრებს პირველ რიგში სწორედ ემოციურ და ინტელექტუალურ უნარებს, და ორგუნავს სხეულს. ჰაშიში ჰალუცინოგენია. მისი მწეველი თითქმის მოლიანად წყდება ფიზიკურ

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეალობას და გადაინაცვლებს ინტელექტისმიერ სამყაროში, სადაც დაუსრულებლად უღრმავდება და უღრმავდება ერთს და იმავე აზრს თუ ემოციას, დაუსრულებლად ხსნის და ხსნის მის მიღმა არსებულ სიმბოლოებსა და მნიშვნელობებს, ისე რომ საბოლოოდ, საწყისი წერტილი — ანუ ფიზიკური რეალობა, რამაც მის გონებაში ამა თუ იმ აზრის დაბადება გამოიწვია, — მას სულმთლად ეკარგება და საკუთარი ფანტაზიის მოჯადოებული რკალის ტყვე ხდება. და ამ მოჯადოებულ წრეზე ტრიალებს იგი, სანამ მისი ცნობიერების ზღაპრულ მიჯნას უხეშად არ შეინგრევს ტელეფონის ზარი... მაგრამ ნურას უკაცრავად, — კაიფი გრძელდება. ახლა უკვე ეს ზარი იქცევა მისი ცნობიერების საგნად: ეს ზარი, ეს ზარისმიერი შენგრევა ცნობიერების უსხეულო კედლისა და ამ შენგრევით გამოწვეული განცდათა უსასრულო მდინარე იქცევა ამ გაშტერებული კაცის ცნობიერების ობიექტად. ისევე ერთმანეთს ენაცვლებიან სხვადასხვა სიღრმისა და განზომილების შინაარსები და მათ მიღმა ნაგულისხმებ სიმბოლოთა დაუსრულებელი ჯაჭვი. და მთელი ეს მდინარება სრულიად უნუგეშოდ არის მოწყვეტილი რეალობას — ანუ იმ სოციუმსა და ნატურას, რაც ფიზიკურად და ობიექტურად არსებობს ამ ეფემერული არსების ირგვლივ — თუმცა აქ, საერთოდ, რაიმე ობიექტურობაზე ლაპარაკი ძნელია.

ასევეა ქალიც.

ვინ თქვა, რომ ქალი, მით უმეტეს — ლამაზი, თუნდაც ისეთი, როგორიც იყო სტელა, — ვინ თქვა, რომ ეს ქალი მხოლოდ ფიზიკური არსებაა და მეტი არაფერი! ვინც ეს თქვა, იგი ისევე შეცდარია, როგორც კაცი, რომელიც ჰაშიშის კაიფში საჭმელს მიეძალება! ყოველი ქალი ხომ, ისევე როგორც, საერთოდ, ყოველი ადამიანი, სრულიად უნიკალური და მიუწვდომელი არსებაა, მიუწვდომელი სამყარო, რომელიც სიტყვით არ გამოიხატება!

და მესამეც — განა ის სიტყვები, რომელთაც გეზომ მოაჯადოვეს ლევანი, და რომლებსაც — ერთი სული გეკონდა, სანამ სახლში მივიდოდით და ყუთიდან გავათავისუფლებდით — განა ის სიტყვებიც ნახევრად ხორცელი და საავსებით ხელშესახები არსებები არ იყვნენ?! განა ისინი უფრო მეტად უსხეულო და იდეალური იყვნენ, ვიდრე ჰაშიშის კვამლი ან სტელას ეეზომ მშვენიერი და საიდუმლოებით აღსავსე სული და სხეული (მშვენიერება ხომ, თავისთავად, სრულიად არამატერიალური რამ არის და არასოდეს დაიყვანება ცალკეულ მშვენიერ ობიექტებზე). ან განა მათით შედგენილი ფრაზები და სურათები უფრო მეტად ღრმა, უცნაური და მიუწვდომელი შეიძლებოდა ყოფილიყო, ვიდრე სტელას იდუმალი და ყველასთვის მიუწვდომელი, უნიკალური და ჯადოსნური ქალური ფსიქიკა, ან გუჯას ჰაშიშაწოვ გონებაში გახსნილი ეფემერული სივრცეები?! — არა და არა! ამაში ვერავინ დამაჯერებს, თუნდაც დიდ სოკრატეს უხმოს დასტურად.

ასე რომ, ნურავინ იფიქრებს, თითქოს გუჯა უფრო მდაბალი და უგუნური, უხეში და ნაკლებად მგრძნობიარე ადამიანი ყოფილიყოს, ვიდრე ლევანი, ან, მით უმეტეს, — თქვენი მონა-მორჩილი. კიდევ ვიმეორებ — გუჯა გუჯა იყო, და იმ დღეს სწორედ იმ განწყობაზე იდგა. ლევანი ლევანი იყო. — მე მინახავს, როგორ ჩაფლულა იგი ამაზე არანაკლებად ბიწიერ და სხეულებრივ ტკბობაში, და მეც მე ვიყავი — ხოლო ჩემი რა მოგახსენოთ — ხანდახან მგონია, რომ არც სული მაქვს, არც გული, და მარტო ხორცი ვარ და ხორცი — ოღონდ ბაზარში გამოტანილი, გასაყიდად დაკლულ-დაკეპილი ხორცი კი არა! — ხორცი, ოღონდ ჩვეულებრივი ადამიანური კაცობრივი ხორცი, თავისი ძვლებით, ძარღვებით, გულ-ღვიძლით, ტვინით, შეგრძნებებით, ინსტინქტებით, ემოციებით, აზრებით, მიზნებით, იმედებითა და მისწრაფებებით, ხორცი, რომელსაც ზედნაშენის სახით

თან ახლავს რადაც მოუხელთებელი და მსწრაფფლწარმავალი ჰრდილი — ესაა მისი, როგორც მაღალორგანიზებული მატერიის თვისება — თვისება აზროვნებისა და იარაღის კეთებისა. ასე რომ შეკითხვაზე — რა არის ადამიანი? — ზოგჯერ მაინც შეიძლება მეც ვუპასუხო: იარაღის მკეთებელი მოაზროვნე ცხოველი!..

სიტყვამ მოიტანა და, მახსოვს, ერთხელ სამსახურში გამოკითხვა მოვაწყვე (მაშინ რედაქციაში ვმუშაობდი): რა არის ადამიანი? შეკითხვა დაურიგდა თორმეტამდე სხვადასხვა ასაკის მამაკაცსა და ქალს. პასუხები სრულიად სხვადასხვაგვარი იყო. აი, მაგალითად:

1. ადამიანი არის მოაზროვნე ცხოველი (ეს თქვა პარტკომმა).

2. ადამიანი არის ის, რომელსაც უნდა, მუდამ კარგი და კეთილი იყოს, მაგრამ საპირისპირო კი გამოსდის! (ეს თქვა თანამშრომელმა, რომელზეც ვეჭვობდით — კაგებეს აგენტი უნდა ყოფილიყო).

3. ადამიანი არის პატარა ელექტროსადგური (ეს თქვა სტილისტმა-მექალთანემ).

4. ადამიანი არის შურიანი პირუტყვი! (ეს თქვა გაუთხოვარმა ლიტმუშაკმა ქალიშვილმა).

5. ადამიანი არის ის, რომელიც დაბოზაობს! (ეს თქვა მდივანმა ქალმა, რომელიც ასაკის გამო უკვე ვეღარ დაბოზაობდა).

6. ადამიანი არის უნიკალური არსება...

და ასე შემდეგ.

საერთოდ კი, ყველამ იცის, ადამიანი ისეთი პატარაა, რომ ყურადღებასაც არ იმსახურებს, და ამავე დროს — ისეთი დიდი, რომ შეუძლია საკუთარ თავსაც აღემატოს! — ასე იტყოდა ზარატუსტრა (თუმცა რა ბედნაა, რომ საკუთარ თავს აღემატებოდე, მით უმეტეს — ისეთ პატარას, რომ ყურადღებასაც კი არ იმსახურებს!).

ზემოთმოყვანილის გარდა, იყო კიდევ რამდენიმე ტრივიალური პასუხი, მაგრამ, ცხადია, ისინი ყურადღებას არ იმსახურებენ.

—ადამიანი — ეს ამაყად ჟღერს, — თქვა, თუ არ ვცდები, ერთმა დიდმა მწერალმა.

და კიდევ ბევრი რამ თქმულა ადამიანზე, და ყველანი, ვისაც კი ოდესმე ადამიანის შესახებ აზრი გამოუთქვამს, აბსოლუტურად ყველანი, რაოდენ საოცარიც უნდა იყოს, ადამიანები იყვნენ. ხომ ძალიან უცნაურია?

აქ ჩანს, რაოდენ მარტოა ადამიანი ამ უზარმაზარ სამყაროში — მისთვის, როგორც დაბადებიდან სიკვდილმისწილი შიზოფრენიკისთვის, საკუთარი თავის მეტს არასდროს არავის არაფერი უთქვამს, გარნა მხოლოდ სიტყვას, რომელიც იქცა ხორცად და დამკვიდრდა ადამიანთა შორის.

მეორეს მხრივ, ყველაფერი, რაც კი ადამიანის შესახებ ოდესმე ვინმეს უთქვამს, იყო მხოლოდ სიტყვები — ადამიანური სიტყვები — და ამ სიტყვებით სავსე ზარდახშა მე და ლევანს ახლა ასე სათუთად მიგვქონდა სახლში.

ლევანის ოთახში შევიკეტეთ, ზარდახშა მაგიდაზე დავდგით და ერთმანეთს შეთქმულებივით შევაჩერდით.

— გავხსნა?! — ხმა ამოიღო ბოლოს ლევანმა.

— გახსენი!

ლევანმა ნელა ახადა ზარდახშას თავი.

პირველად არაფერი ჩანდა — სრული სიცარიელე.

მერე ერობაშად ზარდახშიდან წამოვიდა და წამოვიდა სიტყვები — ერთმანეთის მიყოლებით, ცალ-ცალკე, ჯგუფ-ჯგუფად — აქ იყო ათასობით სიტყვა, ისინი გამჭვირვალე ლანდებივით მოჭქროდნენ ზარდახშის მუქ-მწვანე წიაღებიდან — როგორც მანქანის ფართა ანარეკლები გაიქროლებენ ხოლმე დამის ოთახის კედლებზე — სიტყვებიც ასეთივე სინათლით შეთბზუღლებს ჰგავდნენ და ათასი ფერით აელვარებულები — აქ, ალბათ, სპექტრის ყველა ფერი იყო — ჰაერში ტრიალებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დნენ. ოთახის ის ნაწილი, სადაც მაგიდა იდგა, ერთ წამში გაიკსო — სიტყვები ირეოდნენ და საკვირველ, თაფლისებრ სურნელს გამოსცემდნენ. რას შეიძლება შევადარით ეს სურნელი? — ცხადია, აყვავებულ ხეს! ალბათ, გინახავთ გაზაფხულზე, სოფლად, მიწიდან ამოზრდილი ნორჩი უფოთლო ხე. — თითქმის მხოლოდ ჯოხი, რომელსაც სამეიდე წვრილი ტოტი აქვს. და ამ სამ ტოტზე ასხმულია თეთრი და ვარდისფერი ყვავილები. ეს ყვავილები დილის კრიალა ჰაერს თაფლის მათრობელა სურნელით ავსებენ, და მხლველს უკვირს: როგორ შეიძლებოდა, რომ ამ შავი და ბრმა მიწიდან ასეთი სასწაული ამოზრდილიყო! მაგრამ ფაქტი ფაქტია — ხე მის წინაშე ნამდვილად დგას და თაფლის სურნელით ავსებს არემარეს.

სწორედ ასეთი სუნი დატრიალდა ლევანის ოთახში.

ლევანმა ზარდახშა დახურა. ნაკადი მაშინვე შეწყდა. გარეთ დარჩენილი სიტყვები კი ჩვენს თვალწინ რიალებდნენ, ირეოდნენ და ცისარტყელას ფერებით ციაგებდნენ.

კარგა ხანს მოჯადოებული შევცქეროდი მათ თამაშს.

მერე ლევანმა ღრმად ამოიოხრა და დაიჩურჩულა:

— რა ზღაპარია!

ეს მართლაც ზღაპარს ჰგავდა — და ამიტომ თავი უსიტყვოდ დავუქნიე.

ლევანმა კანკალით ასწია ხელი და ფრთხილად ჩასჭიდა ერთ-ერთ მის თვალებთან მოლივლივე სიტყვას — სიტყვის გამჭვირვალე სხეულს მიღმა ლევანის თაფლისფერი თვალები წამით სხვა სიტყვებს შორის გაბნეულ გამჭვირვალე და ცოცხალ სიტყვებს დეამსგავსნენ. ძან სიტყვა ჰაერში შეაჩერა.

ეს იყო სიტყვა — „დაუყვედრებელი“, რომელიც ნათელ ღვინისფერად ელვარებდა.

— „დაუყვედრებელი“! — ჩუმი აღფრთოვანებით წარმოთქვა ლევანმა, — ნახე, რა სიმბოლურია?!

მე ვერ მივხვდი, რა სიმბოლო ჰქონდა მხედველობაში, მაგრამ დასტურის ნიშნად მაინც თავი დავუქნიე და რაღაც ამოვიზმუვლე.

უეცრად ლევანი სულმთლად გაფითრდა.

— წარმოიდგინე, რეების გაკეთება შეიძლება! — შეცვლილი ხმით დაიჩურჩულა მან, სიტყვას თითები უშვა და სული ფრთხილად შეუბერა.

სიტყვა „დაუყვედრებელი“ ნელა ატივტივდა თანამიმავეა ხომლში.

სიტყვები ციმციმებდნენ, კრთოდნენ, ნაპერწყლოვან სინათლეს ასხივებდნენ, როგორც მზის სხივზე მჩქეფარე შამპანური. ლევანმა ორივე ხელი ასწია და ნეტარებით მიმოურა მათს შორის. სიტყვები უზომესი შრიალით ნელა გაჰყვნენ ჰაერის ტალღებს და სხვადასხვა მხარეს მიმოიფანტნენ. — ალბათ, ყველას გინახავთ ძველ ბინაში, ფანჯრიდან შემოჭრილ მზის სხივებს შორის გაფანტული მტვერი.

ლევანი ერთ სიტყვას დააკვირდა, თვალით გაედევნა და თითები ფრთხილად სტაცა— ეს იყო სიტყვა „სიზმარია“.

— სიზმარია, — გაიმეორა ლევანმა.

მე თანხმობის ნიშნად თავი დავუქნიე და ჩემდათავად შევეცადე რომელიმე მნიშვნელოვანი სიტყვა მეც დამეჭირა. ჩემს წინ მორიალე ათასობით სინათლის ლაქას თვალი მოვავლე და ხელი ფრთხილად ავწიე — ხელის ბუსუსებზე ვიგრძენი სიტყვების ნაზი და ელექტრული შეხება, და როგორც კი ამ შეხებამ მთელს სხეულში დამიარა, მაშინვე მომაწყდა წარმოუდგენელი სიხარულის ბაკშვური განცდა.

მახსოვს, ბავშვობაში — მაშინ თორმეტი წლისა ვიყავი — მე და მამაჩემი სოფლად ვარსკვლავიანი ცის ქვეშ ვისხედით. ზაფხულის თბილი ღამე იყო. ჩვენ ვისხედით დედამიწის ჰემისფეროს ვრცელ და სურნელოვან ოკეანის ფსკერზე და ჩვენს ზემოთ მთელი სამყარო სავსე იყო ვარსკვლავებით. ზოგიერთი მათგანი აგერ, ახლოს იყო — სულ რა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღაც ოთხი მილიარდი სინათლის წლის მანძილზე, ზოგი კი — განუზომლად უფრო შორს. ასე იყო მთელი დედამიწის ირგვლივ, ყოველ მხარეს, და ეს დედამიწაც — სადღაც, ვარსკვლავთშორის სივრცეში დაკარგული უზარმაზარი ბურთი... ამგვარი გრძნობა, ალბათ, თქვენც განგაცდიათ. ხოლო ვისაც არ განუცდია, მსურს ვაუწყო, რომ ეს არის სრულიად შეუძლებელი და განსაცვიფრებელი გრძნობა — რომ შენ უზარმაზარ ბურთზე ზიხარ და ეს ბურთი უსასრულობაში მიფრინავს! ასე ვისხედით და ვსაუბრობდით სამყაროსა და ცხოვრების საიდუმლოებათა შესახებ. მე პატარა ბიჭი ვიყავი. მამაჩემი — მოწიფული კაცი. მაგრამ ძნელი სათქმელია, ეს საიდუმლო რომლისთვის უფრო მიუწვდომელი იყო — ჩემი აზრით, იმ წუთას, ალბათ, ორივესთვის თანაბრად. და თავისთავად ესეც ზომ უდიდესი საიდუმლოა, რომ ორ ადამიანს — ორ მეტყველ არსებას, რომელთაგან ორივეს თავისი განსაკუთრებული შინაგანი სამყარო და თავისი განსაკუთრებული ხვედრი აქვს, შეუძლიათ ამ ხანმოკლე, წამიერი შეხვედრის ჟამს ილაპარაკონ რაღაც ერთზე, — იმაზე, რაც ზიარჭურჭველივით ავსებს ორივე მათგანს და თან ორივესთვის მიუწვდომელია. და ეს წამიერი კონტაქტიც, რამდენადაც საკვირველი უნდა იყოს, ხდება სიტყვის საშუალებით — სიტყვების, რომლებიც იბადებიან მათი ფსიქიკის უღრმეს წაღაში — ერთშიც და მეორეშიც, ორივეში ცალ-ცალკე — და ისინი, როგორც ორი გაოგნებული ცხოველი, საკუთარი გულის ფსკერიდან ამოიღებენ უცნაურ ბგერებს: „ცაა... ღამე... აუარება...“ — ბგერებს, რომლებიც მათ თვითონაც არ უწყიან, — და არც არავინ უწყის, რას ნიშნავს, როგორ შეიქმნა ან ვინ შექმნა მათი არსების სიღრმეში, სადღაც, სულსა და ხორცს შორის. ეს არის სიტყვები. სიტყვები, რომლებიც ტრიალებენ სოფლის ბორცვიდან ვარსკვლავიან ცამდე, და რომლებიც ახლა, ლევანის ოთახში, ხილული სახით ტრიალებდნენ ჩემსა და მას შორის, ჩვენს თვალებთან, თმებთან, ხელებთან, ტკვენებთან...

მე ხელი ნელა ავწიე და ერთ-ერთ სიტყვას ჩავაყელე კუდში — იგი არც გველივით ასხმარტალებული და არც ყურძნის მტევანივით ნაზად და მძიმედ გადამწოლია თითებზე. მხოლოდ განაგრძო თავისი მოუხელთებელი და ცოცხალი ლივლივი. ეს იყო მუქმოყავისფრო სიტყვა „როყეო“.

„რაღა ეს შემხვდა?!“ — ვიფიქრე შეცბუნებულმა და მალულად ლევანს გადავხედე — ხომ არ შემამჩნია-მეთქი. მაგრამ იგი მე ვერ ხედავდა — მოჯადოებული ალავლივებდა ხელებს მფრინავ სიტყვებში და სახითაც ელამუნებოდა.

„როყეოს“ მაშინვე ხელი ვუშვი. მართალი თუ გინდათ, ეს სიტყვა მართლაც სულ არ მაინტერესებდა, და რომელიღაც წაბლისფერ სიტყვას წავეპოტინე. ეს აღმოჩნდა სიტყვა „წაბალი“.

„წაბალი!“ — გავიფიქრე მე, — თავისთავად მშვენიერი სიტყვაა, ღრმა და ძელები ელფერით. რა უჭირს, შემიძლია რაიმე შესაფერისი მეწყვილეც გამოვუნახო.

სიტყვებს თვალი მოვაყელე და უნებურად თვალში მომხვდა ერთი ფაფრო და მოთეთრად გაფუებული სიტყვა. თვალი ავარდე. რაიმე უფრო ესთეტიკური ძებნას შევუდექი.

— მოხარშული აიღე, მოხარშული! — ჩაიცინა ამ დროს ლევანმა და მისი სიცილი გულზე ეკალივით მომხვდა. არადა, რა იყო აქ საწყენი? აბსოლუტურად არაფერი. ალბათ, ის არ მესიამოვნა, რომ, თურმე, მიყურებდა — იქნებ „როყეოც“ დაინახა?! თუ დაინახა, დაინახა. დიდი ამბავი...

— ავიღებ, რატომაც არა! — მივუგე ნაძალადევი სიკისკასით და ისევ კომბოსტოსფრად-მოთეთრო მსუქან სიტყვას მოვკიდე ხელი, პირველს მივადგი და მათი შეერთების ადგილას გაჩნდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სრულიად ახალი ერთწევრიანი მთლიანობა: „მოხარშული წაბლი“.

— არ გინდა მოხარშული წაბლი? — ოსტატურად შევატრიალე ხუმრობა და ლევანს ჩემი „მოხარშული წაბლი“ გავუწოდე.

მან გაიცინა და ჰაერში რაღაცას დაუწყო ძებნა. მალე კიდეც იპოვა.

— აჰა, — მითხრა და ორსიტყვეული გამომიწოდა, — აიღე, ეს უფრო გემრიელია.

ეს იყო „ბუს კვერცხები“.

— ჰაი, შე გველო! — გამეცინა მე და ვცადე საუბარი „იხვის ტოლმის“ მიმართულებით გამეგრძელებინა, მაგრამ მალე შევატყვე: ლევანი უკვე აღარ მისმენდა, შუბლშეჭმუხნილი ეძებდა ჰაერში რაღაცას.

— სუმბული... სუმბული, — ბუტბუტებდა იგი.

„ბუს კვერცხებს“ ხელი ვუშვი და ინტერესით მივაჩერდი — ლევანის ყოველი ჩანაფიქრი უზომოდ საინტერესოა.

იგი ეძებდა.

— რას ეძებ? — ვკითხე მისახმარებლად მზადი ტონით.

— ხომ არ იცი, რას ნიშნავს „სუმბული“? — მკითხა ისე, რომ ძებნა არ შეუწყვეტია. ხელში ეჭირა ნაზად მოვერცხლისფრო და ლბილბუსუსებიანი სიტყვა „სუმბული“.

— ეეე... მე მგონი, რაღაც მცენარეა. — ვთქვი და მე თვითონ შემეპარა ეჭვი.

— თუ, მგონი, ფრინველია... — ვთქვი ისევ.

— თუ არა... ჰო... მცენარეა... მცენარე! — გავიმეორე დაბეჯითებით.

— ნახე, რა ფანტასტიური ფერი აქვს, — მითხრა ლევანმა, წამით შემომხედა და ძებნა განაგრძო.

— რას ეძებ?

— რამე, შესაბამისი მინდა მოვუძებნო.

ღრმად დავფიქრდი.

— მწირი! — წამოვიძახე მერე, — მწირი მოვძებნოთ! სუმბული და მწირი!

— მწირი რას ნიშნავს?

— მწირი არ იცი?! მარტოდმარტო მოხეტიალე კაცი.

— ყოჩაღ. კარგია, — თქვა ლევანმა.

— მე კი არ მომიფიქრებია, — ბარათაშვილის ლექსია, „სუბული და მწირი“.

— ჰოო? — თქვა ლევანმა, — მალადეც ბარათაშვილი!

თან ჰაერში რაღაც სიტყვებს აგროვებდა.

მალე გამომიწოდა კიდეც.

არ ჩანდა, რამდენი სიტყვა ან სტრიქონი იყო ლექსში — მხოლოდ ჩანდა, რომ ეს იყო ლექსი. ეს იყო ერთიანი და, როგორც იტყვიან, განუყოფელი მთლიანობა, საკუთარი ფორმითა და ფერით — ეს იყო მოთეთრო-მონისლისფრო-მიმტრედისფრო ვამჭვირვალე არსება, რომელსაც ერთ ადგილას გიშრისფერი გადაჰკრავდა.

მე გამოვართვი და დავინახე — დიახ, კი არ წავიკითხე, ერთბაშად და მთლიანად დავინახე:

მისი თმა ისე რბილია,
როგორც სევდიანი სუმბული,
შორს კი ნისლში ქრება თოლია
და იფანტება თეთრი ბუმბული.

— ყოჩაღ! — შევძახე გულწრფელად. იმის გათვალისწინებით, რომ ლევანს ცხოვრებაში ლექსი არც დაწერილი ჰქონდა და არც წაკითხული, ეს ლექსი მართლაც მშვენიერი მეჩვენა. თანაც, რაც მთავარია, ცოცხალი იყო და ჩემს წინ ციმციმებდა.

ლევანმა თავის ქმნილებას დაუღევრად შეუბერა სული და ჰაერში აუშვა.

— ისე, თუ საიდუმლო არ არის, ვისი თმაა რბილი? — ვკითხე მე.

— გოგოსი, რომელიც მალე უნდა შემხვდეს.

— რა იცი, რომ უნდა შეგხვდეს?

— ვგრძნობ, — თქვა ლევანმა.

დავფიქრდი. იგი მართლაც მუდამ ვინმეზე იყო შეყვარებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ნისლში რომ თოლია ქრება, ეგ რაღას ნიშნავს?

— ეგ მე ვარ. ნისლში ნელ-ნელა ვქრები.

ლევანმა გაიცინა. მერე წარბები შეჭმუხნა და მიმოიხედა.

— ახლა რაღა შეექმნათ? მიდი, შენ მოიფიქრე რამე.

— კი, ბატონო, — სიტყვებს თვალი მოვავლე.

უეცრად ჩემს წინ დავინახე მიწისფერი სიტყვა „უგნური“ (ალბათ, შეუცნობლად „სუმბულის“ და „ბუმბულის“ რიმთას ვეძებდი, თუმცა ეს მაშინ არ შემიმჩნეევია). „უგნურს“ დავწვდი და დავიწყე სხვა სიტყვების ძებნა. ახლა მინდოდა მომეძებნა სიტყვა „ხან“, და უეცრად ეს სიტყვა თვითონ მოცურდა ჩემს თვალებთან.

— ბიჭოს! — შევძახე გაოცებულმა, — ნახე, ამ სიტყვებს რა თვისება ჰქონია? ! რომელი სიტყვაც გჭირდება, თვითონ მოდის შენთან!

— ჰო, მეც შევამჩნიე, — მიპასუხა ლევანმა. — იპოვე, რასაც ეძებდი?

— კი, ვიპოვე, — მივუგე, თან ორივე ხელით ვიჭერდი სიტყვებს. მაინც, სიტყვა „ვარ“-ის ძებნაში კარგა ხანი დავკარგე. და საბოლოოდ მაინც ვერ ვიპოვე. ამიტომ იძულებული გავხდი, ოდნავ შემეცვალა სათქმელი:

ხან უგნურია, ხან ბრძენი,
ხან არც ის არის, არც ისა; —
გარეშეების საყვირი
არც მიწის არის, არც ცისა!

— ეს რა არის?! — ამრეზით მკითხა ლევანმა.

— აკაკი წერეთლის ლექსია. პირველ პირში უნდა იყოს, მაგრამ პირველი პირის ზმნები ვერ ვიპოვე და მესამე პირში დავსვი, — მივუგე მე და წამსვე ვიგრძენი, რა უბადრუკად გამომივიდა (მე თუ აკაკის? — ალბათ, მაინც მე).

— ჰოო?! ცქვიტი ლექსია! — თქვა ლევანმა, — რაო, რა მითხარი, ვის პირში უნდა იყოსო?

— პირველ პირში უნდა იყოს. ორიგინალში „ხან უგნური ვარ, ხან ბრძენი“ წერია! — განვმარტე.

ამასობაში მან სწრაფად შექმნა ცას და მიწას შორის გამოკიდული რაღაც კენტაურისებრი არსება, რომელიც განმასახიერებდა მე — ხელი იდაყვით მაგიდაზე დაებჯინა, ზედ ნიკაპი ჩამოედო, ხოლო ცხვირის მაგივრად — საყვირი ჰქონდა. თვალებში რაღაც აცეტებული, გიჟური მხიარულება უელავდა.

— ჰმ! — უგემურად ჩავიცინე და ქმნილება ერთი მოქნევით გავანადგურე. სიტყვები — „ჭალარა“, „მიწა“, „იდაყვი“ და სხვა შემადგენელიც ნარნარად გაფანტნენ ჰაერში.

ორივემ განვაგრძეთ თხზება და ქმნადობა, თუმცა, უნდა გამოვტყდე, ჩემს მოქმედებას ქმნადობა ნაკლებად ეთქმოდა, რადგან ძირითადად ქართული კლასიკური ლიტერატურის ფრაგმენტებს აღვადგენდი, მაგრამ ამგვარი აღდგენაც რაღაც თავისებური შემოქმედებითი თრთოლვით მავსებდა. — ასეთი გრძნობა აქვს, ალბათ, არქეოლოგს, რომელიც თვითონ ახალს არაფერს ქმნის, მაგრამ წარსულის უმშვენიერესი ნამარხები კი ამოაქვს მზის სინათლეზე.

ლევანმა კიდევ ერთი შედევრი გადმომაწოდა. ესეც ლექსი იყო:

გათენდა იაკობ!
გათენდა ეოგება!
ბაშვილი ბაშვილი, ბაშვილი ჩქარა!

ჰმ. მამაძღალი! ეს ლექსი (ვალაკტონის ლექსს ვგულისხმობ, ცხადია.) სკოლაში გვქონდა ნასწავლი და იქიდან იცოდა.

ამრეზით მოვისროლე ეს მკრეხელური ნონსენსი და, ჩემდათავად, სრულიად სხვა სიტყვების შეგროვება დავიწყე:

მე ძლიერ მიყვარს იისფერ თოვლის
ქალწულებივით ხიდიდან ფენა!..

მინდოდა შემედგინა, მაგრამ ვერაფრით მივაგენი სიტყვა „მე“-ს.

მაშინ ოდნავ შევცვალე:

მას ძლიერ უყვარს იისფერ თოვლის
ქალწულებივით ხიდიდან ფენა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემდეგ როგორც ტექსტშია (ოღონდ — ყველგან მესამე პირში).

ლევანმა დაფიქრებით შეხედა.

— კარგია, — თქვა მერე, — ვისი დაწერილია?

— გალაკტიონის!

— გალაკტიონის! — გაიმეორა და სასწრაფოდ გადმომაწოდა ახალი სურათი, ნალი მიჩანდა დიდუბის ხიდი და მის მოაჯირზე გადმოფენილი დალურჯებული ქალწულები. ზოგი მდინარეზე იყო თავდაყირა გადმოკიდებული, ზოგი ნარნარად მოიბარდნებოდა დაბლა.

— იცი რას ვეტყვი, ძმაო! ყველაფრის გაშაყირება არ შეიძლება! — შეკაზახე წყენით.

— კარგი, კარგი. მიდი, კიდევ მაჩვენე რამე.

მცირე ხანს დავფიქრდი და, ჯიბრზე, ისევ იმავე პოეტს მივმართე:

დედაო ღვთისა, მზეო მარიამ,
როგორც ნაწვიმარ სილაში ვარდი...

დავიწყე მაგრამ აქ გამეჭედა — ვერაფრით მივაგენი სიტყვა „ჩემი“-ს. და მალე შევამჩნიე, რომ სიტყვებს — „მე“, „ჩემი“, „ჩემთვის“ და, საერთოდ, პირველ პირში დასმულ სიტყვებს ვერსად ვპოულობდი. ამან, ცოტა არ იყოს, გამაღიზიანა.

— ერთი, სიტყვა „ჩემი“ მიპოვნე. რაღაც არა ჩანს!

მან წამსვე გადმომაწოდა ხსენებული სიტყვა.

„ჩემი ცხოვრების გზა სიზმარია...“ მივადგი მე, ამის მერე უფრო იოლად წავიდა და მალე კიდეც დავამთავრე. ლევანს გადავაწოდე.

შეავალყვე — მოეწონა.

— ესეც გალაკტიონის არის! — წარმოთქვი ამაყად...

მაგრამ იგი, ალარც მისმენდა — კვლავ რაღაც უთავბოლო და გადარეულ ნონსენსებს ქმნიდა. ამ საქმიანობამ მთლად გაიტაცა, იმდენად, რომ, მგონი, ვეღარც კი მამჩნევდა. მე კი ვიჯექი და თანდათან გაოცებას მოვდიოდი — რამდენი რამის შექმნა შეიძლებოდა ამ სიტყვებით! მთელი ძველი და ახალი მწერლობის გაცოცხლება!

შეღამებისას ჩალანდრის ცხენი მას აგონებდა გორეს შორებელს...

გამოვძერწე ჰაერში (პირველ პირში დასმულ სიტყვებს ისევ ვერა და ვერ ვპოულობდი, თორემ, ალბათ, გახსოვთ, ეს ლექსი პირველ პირში იწყება და მერე გადადის მესამეში).

„უყვარს ხარაგაულის მოწყენილი სადგური!“ — შეკვქენი და გავიფიქრე, რომ გალაკტიონისთვის სჯობდა თავი დამენებებინა.

— ეს ოხერი, ყველა ლექსი პირველ პირში ჰქონია! — ჩავიბუტბუტე ჩუმად და პარაფაშელზე გადავედი. სამწუხაროდ, აქაც თითქმის იგივე სურათი დამხვდა.

„სულო ბოროტო! ვინ მოგიხმო მისად წინამძღვრად?!“ — გამოვაქანდაკე და გაბრაზებულმა ფანჯრისკენ მოვისროლე.

— ლევან! — შევძახე.

— რა იყო?! — საქმისგან მოუწყვეტლად მკითხა მან.

— პირველ პირს ვერ ვნახულობ.

— რას ვერ ნახულობ?

— პირველ პირში დასმულ სიტყვებს.

— პირში დასმულ? — გაიმეორა თან უაზროდ, თან აზრიანად.

მის ირგვლივ ჰაერში ლეკლეკებდა უცნაური აბსურდები.

— მოკლედ, სიტყვა „მე“ და „ჩემი“ ვერ ვნახე!

— აუ, მე ჩემი!.. — თქვა ლევანმა თავაუღებლად.

— კაი, ნუ მაყირობ! მგონი სიტყვა „მე“ აკლია, — ვუთხარი.

ლევანმა უსიტყვოდ გამომიწოდა სიტყვა „მე“ — ეს იყო მოწეთალო, ვარდისფერი, მთრთოლვარე არსება. ფრთხილად გამოვართვი, მაგრამ უეცრად თითებს შორის გამისხლტა და ჰაერში გაერია.

— თფუ. დაკარგე!

ლევანმა სწრაფად მომაწოდა მეორე „მე“, თან თვის საქმეს განაგრძობდა. ეს უკვე სხვა „მე“ იყო — მუქი ალისფე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რი და ღრმად გამჭვირვალე შრეებიანი.

მაგრამ რატომღაც ისიც თითებს შორის გამისხლტა.

— ფუ! ჯანდაბა! ესეც გამისხლტა! — შეეძახე ჩუში ხმით.

ლევანს ყურადღება აღარ მოუქცევია. მის ირგვლივ ჰაერში უკვე მრავლად ეკიდა უცნაური ქმნილებები. ზოგი მტევნებივით ახუნძლულიყო ტორშერზე, ზოგი მაგიდაზე დახვავებულიყო — ყველა მსუბუქი და ჰაეროვანი.

მე ისევ ჩემს წინ მორიალე სიტყვებს მივუბრუნდი.

მცირე ხანს ვერ გადამეწყვიტა, კონკრეტულად რისთვის მომეკიდა ხელი. მერე გონება ძველ დროებზე მივმართე და, ცხადია, „ვეფხისტყაოსანი“ გამახსენდა — იქ იყო და ცოციმებდა.

„რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა“, — დავიწყე შექმნა და თანდათან ამ საქმიანობამ გამიტაცა. რამდენიმე სტროფი და სურათი შევაქმენი. ნელ-ნელა ისე გავერთე, რომ ირგვლივ ვეღარაფერს ვამჩნევდი — დრო კი გარბოდა. უკვე კიდეც მოსაღამოდა. ლევანის ფანჯრის ჟალუზებში საღამოს ბნე შემოიწვარა. მზის გრძელ სხივებზე, ოთახის ბინდბუნდში მფრინავი სიტყვები ალმასებივით აელვარდნენ. ჩვენ ვისხედით და ვეღარაფერს ვამჩნევდით — როგორც თამაშში გართული ორი პატარა ბავშვი, რომლებიც თავიანთი მატერიალური კუბიკებით რაღაც არარსებულ და სრულიად არამატერიალურ სამყაროს აშენებენ...

●

მეორე დილას ადრე გამეღვიძა.

დეკემბრის ნისლიანი დილა იყო. ცოდა. ქუჩიდან ისმოდა მანქანების საბურავების შაშინი სველ ასფალტზე. ჩემი ოთახის მინის თეთრი კარი მტრედისფერ მართკუთხედად ანათებდა დილის მწუხარე ბინდბუნდში.

ხანდახან ასეთ დროს გრძნობ, რომ არაფერი არაფრად არ ღირს.

წეეხარ ლოგინში, იხსენებ წარსულს, მომავალს და ვერავითარი აზრი ვერ გიპოვია. მხოლოდ იცი, რომ ნამყოს, აწმყოსა და მყობადის ამ ერთგვაროვან დაფაზე მოძრაობს „მედ“ წოდებული უშნაარსო წერტილი, და საკუთარი უადგილობით გათანგული ვერაფრით მიმხვდარა, რა უშვილის, რა იხსნის ერთფეროვნებისგან, უსიყვარულობისგან, უნდომლობისგან — ასეთი მხსნელი არსად ჩანს. უყურებ შენს კედლებზე შპალერის უშნაარსო ზოლებს, რომლებზეც მართკუთხედებია გამოსახული — ეს მართკუთხედები ზუსტად ერთნაირია. მათი აბსოლუტური იდენტობა მძიმე ტვირთად დასწოლია ოთახის კედლებს. ასევე იდენტურია შენი ყოფნის დღეებიც, და ასევე კედლებივით შეუვალი. დღეები თავისთვის მიჰქრიან, როგორც მანქანის სველი საბურავები, შენ კი — ამ მდინარის ზედაპირზე მოტივტივე ფერფლი — ფერფლის ქრილივით ბრტყელი და ნაცრისფერი...

ასეთ გუნებაზე გამომეღვიძა.

ძლივს ავდექი. ეისაუზმე (უგემურად — მხოლოდ მოხარშული მუხუდო და ჯემიანი პური). მერე მაგიდას მივუჯექი — ეგეთ ცოტა წამემუშავა. მუშაობა არ მინდოდა. არც მინდოდა, და არც ვიცოდი, რატომ უნდა მემუშავა. ვის სჭირდებოდა ჩემი მუშაობა? მე — არა! მაშ ვის? ვის რად უნდა ჩემი ექსპერიმენტების უმნიშვნელო შედეგები? — ალბათ, არავის. ჯერ ერთი, ეს ექსპერიმენტები სხვა ფსიქოლოგების მეტს (დამავიწყდა შეთქვა — მე მაშინ ფსიქოლოგიის ფაკულტეტის უკანასკნელ კურსზე ვსწავლობდი და უკვე დაწყებული მქონდა დიპლომზე მუშაობა) არავის არაფრად გაეგება. მეორეც, — თვით ამ სხვა ფსიქოლოგებსაც ჩემი ექსპერიმენტები სრულებით არ აინტერესებთ — ისევე, როგორც მე არ მაინტერესებს მათი — თავისიც თავზე საყრელი აქვთ. რატომ? იმიტომ, რომ ყველამ იცის — ამ ექსპერიმენტებში ახალი არაფერი იქნება. ეს არის ჩვეულებრივი სადიპლომო ნამუშევრები, რომლებიც დედამიწის ზურგზე ყოველწლიურად ათია-

თასობით კეთდება. ასე, ყველას თავისი ექსპერიმენტები ჩაუბღუჯავს ხელში და ცდილობს როგორმე სხვებს უწვეროს. სხვები კი, — მაგალითად, მე — აბსოლუტურად განურჩეველი არიან ამ ექსპერიმენტების მიმართ.

მუშაობას გული ვერ დაუდე.

დავიწყე კითხვა — ესეც ამაოდ.

მერე პიანინოს მივუჯექეი და მთელი ძალით დავახეთქე კლავიშებს ორივე ხელი. გაისმა შიშისმომგვრელი ვრუზუნი — და იმ ნაღელიანი დღის ერთფეროვნების კედელს შავ-თეთრი კლავიშებით დაკრეჭილი პირველი ბზარი გაუჩნდა.

— რა იყო, ბიჭო! რა ბოდდა! რა ამბავია! — გამოვარდა თავისი ოთახიდან დედაჩემი.

ამან ჩემი სულიერი პოტენციალი ცოტათი წამისწია. ავდექი, პალტო ჩავიცვი და უნივერსიტეტისკენ წავხეტიალდი. მივდიოდი, მესმოდა მანქანების გაუთავებელი, გაუთავებელი ხრიალი — ქალაქი ახველებდა, როგორც კბილებჩაცვენილი ჭლექანი იდიოტი.

ზოოპარკს რომ მივუახლოვდი, ქალაქმა-იდიოტმა თავისი წვრილჩარროიანი ჰენსნე მოიხსნა და ბერიკაცური თვალებით მომაჩერდა.

— იარე, რა გენაღვლება! — უბედური ხმით ჩაილაპარაკა მან. გაუპარსავი ლოყები საცოდავად უთრთოდა დილის გაცრეცილ სინათლეზე, და სახელი მისი — მაბუბუუუ.

გმირთა მოედანს „ალეა", ვარაზის ხევიდან უნივერსიტეტის ბორცვზე ავფოფხდი, ზოოპარკს ზემოდან მოვექეცი და ღრმად შეეისუნთქე ამ ბედკრული სამხეცის ქიმიური ზხამით გაჯერებული პირუტყვული ჰაერი. ჩემს ქვემოთ მდინარე ვერე მიაგორებდა ჭუჭყიან ტალღებს. ისმოდა რომელიღაც ბედკრული ფრინველის ხაფი შეძახილები.

უნივერსიტეტის ბაღში ჭადრაკის ფიგურებივით შეკვერცხილ ბუჩქებს შორის სტუდენტები ფიტულების მსგავსად მიმოდიოდნენ. ერთ ადგილას რამდენიმე ფიტული შეჯგუფულიყო და დაჰყურებდნენ მიწაზე დაცემულ ბერიკაცს — არ ჩანდა, სიმთვრალით იყო დაცემული თუ გულის შეტევით. მათ თავზემოთ ვერცხლისფერ ფოჭვს გაეშალა თავისი ფანტასტიურად დაკბილულდატეხილი კიდურები. ვარაზის ხევიდან ყურებს ეხეთქებოდა მანქანების ფლოქვთა გაუთავებელი თქარუნი.

ეს პატარა იმპრესიონისტული ჩანახატი დამჭირდა იმისთვის, რომ გადმომეცა ჩემი იმდილანდელი განწყობილება.

შევედი სიბრძნის ტაძარში. — აქაც ყველაფერი ცივი და სველი იყო. შეღებილ კედლებს და აუდიტორიის რუხ კარებს, აგრეთვე — შავად მოლაპლაპე ნახშირისებრ მერხებს ზედ წაგლესოდ ნისლიანი დღის ცივი ნაღველი.

შემოვიდა ლექტორი — მაღალი და ხმელი, ყბამოქცეული, დანგრეული კაცი. მისი უფერული თმა და ასეთივე ფერის თვალები, მისი რობოტისებრად ღრჭიალა მეტყველება არავითარ ნუგეშს არ უნერგავდა აუდიტორიას. იგი საუბრობდა აზროვნების არათვალსაჩინო, ქვეცნობიერი ნაკადების შესახებ, და მის საუბარში არ იერძნობოდა ამ ნაკადების უმნიშვნელი კვალიც კი. ცალი გულით ვუსმენდი, თან მეორე გულით ვიგონებდი ამასწინანდელ კინკლაობას მზის ქვეშ ადგილის გამო, ხოლო ცალი თვალით ვუყურებდი თამუნას — ჩემს ჯგუფელს, და ვფიქრობდი (მესამე გულით), რომ ეს ბოგო საკმაოდ ანტიპათიური იყო ჩემთვის, მაგრამ, ამავე დროს, საკმაოდ მომხიბლავი, და მე იგი საკმაოდ მომწონდა, მაგრამ ამავე დროს საკმაოდ მაღიზიანებდა, და ეს ყველაფერი ერთად იყო ის, რასაც ჩემი სიყვარული ერქვა. თამუნას თავი ამაყად აეწია. მთელი მისი სხეული დაფარული იყო წაგრძელებული, მოძრავი თვალებით. — იგი ერთდროულად ყოველ მხარეს იხედებოდა და ზუსტად იცოდა, თუ რა ხდებოდა მის ირგვლივ, აუდიტორიაში, რა ხდებოდა ლექტორის გაქვავებულ თავში, რა ხდებოდა უნივერსიტეტის ბაღში, რა ხდებოდა ამ

ცხოვრების ტყვეობაში და მძიმე მდინარის ღორღად ფსკერზე.

ჩემი სხეულისა და ცნობიერების გეგმაზომიერი ნახევრით ყურადღებით ვუსმენდი ლექტორის რობოტს (რობოტი ისეთივე სიტყვაა, როგორც, მაგალითად, დებატი, ან — ბუტბუტი). იგი საუბრობდა არათვალსაჩინო აზროვნების შესახებ და ეს სწორედ ის თემა იყო, რომელიც მე ეგზომ მაინტერესებდა — ამ თემას ეძღვნებოდა სწორედ ჩემი სადიპლომო შრომაც.

ეს იყო ვიუტცუბურგის სკოლა — ოსვალდ კიულპე, ნარცის ახი, ვერთჰაიმერი. მათ აღმოაჩინეს, რომ თურმე ადამიანის აზროვნება სრულიადაც არ არის ისეთი ნათელი და ცნობიერი, როგორც შეიძლება გეგონოს. აი, მაგალითად, ადრე მიაჩნდათ, რომ ფიქრი „ფსიქოლოგიის ინსტიტუტის ფანჯრებზე ბევრი მიხაკებია“ ადამიანის გონებაში მიმდინარეობს სწორედ ამ სახით: „ფსიქოლოგიის“ „ინსტიტუტის“ „ფანჯრებზე“ „ბევრი“ „მიხაკებია“! ესე იგი, შესაბამისი წარმოსახვითი ხატების სახით; რომ თითქოს ადამიანის გონებაში მიყოლებით ჩნდება წარმოდგენები ფსიქოლოგიის ინსტიტუტისა, ფანჯრებისა, მიხაკებისა და სიმრავლისა. მაგრამ ვიუტცუბურგელი მეცნიერების — კიულპეს, ახის, მესნერის, ვერთჰაიმერის და სხვათა გამოკვლევებმა ცხადყო, რომ ფიქრი „ფსიქოლოგიის ინსტიტუტის ფანჯრებზე ბევრი მიხაკებია“ ადამიანის ცნობიერებაში წარმოდგენილია არა ზემოხსენებული სახით, არამედ სულ რაღაც ორიოდე ატრიბუტით — მაგალითად, წითელი ფერის დიფუზიური წარმოდგენით და ბგერა „ს“-ს წარმოსახვითი პერსეფერაციული ელერით. ანდა, შესაძლოა, სულაც არაფრით — უბრალოდ, რადაც გაურკვეველი და ამორფული ცნობიერი მდგომარეობით. სულ ეს არის და ეს. სადღაა „ფსიქოლოგია?“ სადღაა „ინსტიტუტი?“ სადღაა „ფანჯრები?“ სადღაა „მიხაკები?“ — აჰა ესერა, მიწა მტვერ და ნაცარ ქმნილ არს ყოველი.

ფსიქოლოგიის ეს განხრა — აზროვნება — და, განსაკუთრებით, ვიუტცუბურგის სკოლა (სიტყვები „ვიუტცუბურგის სკოლა“ ჩემს აზროვნებაში მოცემულია არა ამ სიტყვების შესაბამისი თვალსაჩინო წარმოდგენით — ჩრდილო-აღმოსავლეთ გერმანიის ქალაქ ვიუტცუბურგისა და XIX-XX საუკუნეების მოჯანაზე იქ მომუშავე ფსიქოლოგთა გუნდის სახით, არამედ როგორც კლასიკური სტილის სვეტებიანი შენობის გრანატის ფასადი, რომლის კიდეები აქეთ-იქით, გაუვალ წყვდიადში იკარგება), დიახ, ამას ვამბობდი — განსაკუთრებით ეს ვიუტცუბურგის სკოლა მე სხვა განხრებზე მეტად მიზიდავდა. მე მასში ვჭვრეტდი რაღაც ამოუცნობსა და რომანტიულ საიდუმლოს, რაც უცნაური სიზმარული თუ ჯადოსნური საბურველით დფარულია ადამიანის თვალთაგან. მხოლოდ ის იცი, რომ ღრმაა, ღრმა... ეს პირველყოფილი, შეუმეცნებადი სიღრმე სჭვიოდა როგორც ამ სკოლისა და ამ დარგის წიაღიდან, ისევე — მთელი გერმანული და ბრიტანული და, საერთოდ, ჩრდილოევროპული კულტურის წიაღებიდან. ამ ნისლიან სიღრმეებში მე ვფართხალებდი, როგორც ფრთამტეხილი შავი ბატი — გრიმპენის ჭანჭრობში, და ვეძებდი რაიმე ხელჩასაჭიდს — თუნდაც ეს ყოფილიყო, მაგალითად, ავტობუსის გაპრიალებული სახელური. ავტობუსი, რომელიც უმისამართოდ მიჰქროდა ნისლიან გზაზე, და ნამძინარევი მგზავრების რუხი, ერთმანეთზე მიჯრილი სიფათები და ორთქლი, ორთქლი — ასეთი იყო ჩვენი ლექტორიც.

თუმცა ჯანდაბას ლექტორი, ჯანდაბას ორთქლი, ჯანდაბას ათასთვალიანი მრეკავი თამუნა!.. იგი იჯდა და შავასავით იქნევდა თავის ლაპლაპა ხელებს.

უკანა გზაზე ჩავუარე ისევ ზოოპარკს და ზემოდან ამირსპასალარივით გადავხედე. უკეთ ბინდდებოდა და ზოოპარკი იწვა, ვით გამოცანა. სადღაც შორს, ქალაქს გადაღმა, ნისლოვან ცაში შავად

ფრინავდა ცივი და სველი მეტეოროლოგიური ბურთი.

ფეხით მივადწიე სახლამდე. ავედი ჩემს დიდსა და ბინდიან, გაყინულ ბინაში, ხარბად მივირთვი ორთქლამომდინარე მუხუღის სუპი, მცირეოდენი მჟავე კომბოსტო, ჯემი, პური... ესეც ასე!

და ამ დროს ტელეფონი აწკრიალდა.

ეს იყო ლევანი.

— სად ხარ, ბიჭო! — გაისმა მისი ყრუ ხმა.

— რა ვიცი. ვზივარ და ვსირდები (სირი, მოგეხსენებათ, ფრინველს ნიშნავს).

— გამოდი, ნახე, რეები დავამხეცე.

— ჰო, დავისვენებ და, ალბათ, ამოვალ, — ჩავიბუტბუტე.

— ფანტასტიური რაღაცები გავაკეთე!

— რა გააკეთე?

— ამოდი, განახებ.

— სიტყვებით?

— სიტყვებით! — მომიგო მან და ყურმილი დაკიდა.

„ოჭ, ეს სიტყვები!“ — გავიფიქრე. მერე გამახსენდა, რომ გუშინდელი საღამო საკმაოდ კარგი იყო. არამცუ საკმაოდ, არამედ — ძალიან კარგი. ·კაცმა რომ თქვას, ძალიან კარგი კი არა — პირდაპირ გადასარევი... შეიძლება ითქვას — გასაშტერებელი!.. გამახსენდა აგრეთვე, რომ ლევანის სიტყვებით შეიძლებოდა მთელი ქართული (და არა-ქართულიც) ლიტერატურის ცოცხლად წარმოსახვა. ერთი ეგ იყო, — პირველ პირში არაფერი გამომდიოდა. ცოტა ამან ამომაგდო კალაპოტიდან.

„ნეტა, რა მიზეზია? — ვიფიქრე, — იქნებ უპირო კაცი ვარ? ან იქნებ ჩამოუყალიბებელი, სუსტი პიროვნება? ანდა იქნებ პიროვნება სულაც არა ვარ?“ თუმცა, ალბათ, ამ საიდუმლოებით მოცული მოვლენის მიზეზი უფრო პრაქტიკულ სფეროში უნდა მეძებნა. შესაძლოა, ყველაფერი სულაც იმის ბრალი იყო, რომ სიტყვების ზარდახშა ლევანის მფლობელობაში იმყოფებოდა და არა ჩემსაში.

ამ ფიქრებმა ცოტა მომამყოლინა. მივდექი, მოვდექი, მივიხედ-მოვიხედე. ტელევიზორი ჩაერთო — იმ იმედით, რომ, შესაძლოა, ფეხბურთი ყოფილიყო. მართლაც ფეხბურთი იყო. სავარძელში ჩავესვენე და თვალყური მივაპყარი. ეს იყო დეკემბრის ნაგვიანევი ფეხბურთი — მოსკოვის თოვლიან მინდორზე ენერგიულად დარბოდნენ უკანასკნელი მატჩების უკანასკნელი მოპაკანები. მათ ტრუსებს ქვემოთ ეცვათ შავი რეიტუზები და პირიდან უხვად უშვებდნენ ორთქლს. ისმოდა დიქტორის წვრილი მეტალისებრი მოთქმა. ისმოდა უცნაური გვარები: ზაკუბა!.. კარობინკა!.. ლაგოზდა!.. მცირე ხანს დუნედ ვუმზერდი. მერე ავდექი და გადავრთე — თბილისზეც ფეხბურთი დაწყებულიყო. აქ ხრიოკ მინდორზე დუნედ დაიზლაზნებოდნენ უკანასკნელი ქართველი მოჰაუკები. ისმოდა დიქტორის ყელსმობჯენილი, სერიოზული და ბოხი ბარიტონი. ეგი უკიდურესად ნელ ტემპში წარმოთქვამდა ნაცნობ სახელებს, ისე წარმოთქვამდა, თითქოს ყელში საბელი ვაეჭირათ და საცაა დაახრჩობდნენ: „ბურთი აქვს თავაძეს (პაუზა)... გადააწოდა ხინჩაგაშვილს (ხანგრძლივი პაუზა)... რას იზამს შოთა!..“

უეცრად ვიგრძენი, რომ სიცივისგან ხელ-ფეხი მეყინებოდა. ავდექი, ტელევიზორი იმედიანად გამოვრთე, ისე, რომ აღარ დამიცდია შემეტყო, თუ კონკრეტულად რას იზამდა შოთა — ალბათ, ისევ თავაძეს თუ გადააწოდებდა, —პალტო სწრაფად მოვიცვი და გარეთ გავიჭერი.

წუთიც და, უკვე ლევანის კარზე ვრეკავდი ზარს.

კარი ნადია ბებიამ გამიღო.

თბილოდა. სინათლე ყვითლად კიაფობდა. ისმოდა ლევანის დედის ხმამაღალი და მხიარული ლაპარაკი, რამდენიმე მოპასუხე ხმა, სიცილი, ჭიქების წკარუნი. სასტუმრო ოთახიდან გამოდიოდა სანელებლებისა და საცივის სუნი — ახალ წლამდე კიდევ მთელი თვე იყო დარჩენილი, მაგრამ აქ მთელი გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რემო ისე იყო, თითქოს უკვე ახალი წელი იდგა.

დერეფანი გავიარე. სასტუმრო ოთახში თვალი მოვკარი ლევანის მშობლებსა და რამდენსამე სტუმარს, რომლებიც მხიარულად მისხდომოდნენ სუფრას. ჩემს დანახვაზე ლევანის მამამ ხელი შემართა და მისასალმებელი სიტყვები შესძახა. შევჩერდი. მეც თავაზიანად მივესალმე.

— შემოდი, ზაზა, შემოდი! — დაიღრიალა მან.

ორი ნაბიჯი შევდგი. შევჩერდი — ყველას ჩემთვის მოეპყრო თვალი. სტუმარი ქალები, რომელთა მზერაში გამოსჭვიოდა მხიარულების წამიერი ყოვნი, ინტერესით მათვალიერებდნენ — ალბათ, ფიქრობდნენ, ნეტა რა არსებაა ერთდროულად ასეთი ლურჯი და ყავისფერიო. მათი კაბალრები, რომელთაც მძლავრი მკერდები ლაღად გაეშალათ სკამთა საზურგეებზე (ერთი ცოტითი შელოტი იყო, მეორე — ვინეგრეტის მსგავსი), მუქი და ხერიოზული, კმაყოფილი მზერით მიყურებდნენ და, ალბათ, ფიქრობდნენ, რომ ჩვენ, ქართველებს, უკვე მოგვესწრო მომავალი თაობა. თუმცა მე რა ვიცი, რას ფიქრობდნენ ის ლაღოცვილები — იქნებ სულაც მომავალი წლის საბიუჯეტო ანგარიშით იყვნენ გართულნი. ერთი სიტყვით, ორი ნაბიჯი შევდი, თავაზიანად წარმოვთქვი ზოგადი მისასალმებელი ფრაზები, გავაკეთე მცირე რევერანსი და შემდეგ ვიკითხე, სახლში იყო თუ არა ლევანი — ამ კითხვით მხოლოდ იმის გამოხატვა მინდოდა, რომ მე სწორედ ლევანთან ვიყავი მოსული და არა ოჯახის სხვა, რომელიმე წევრთან. იქნებ ვინმემ უზრდელობაში ჩამითვალა ეს კითხვა, იქნებ სუფრის წევრთაგან რომელიმემ მაინც უკმაყოფილოდ შეჭმუხნა წარბი — ვერაფერს ვიტყვი.

— კი, სახლშია. თავის ოთახშია შეკეტილი, — დაირთხრთხა ბებო ბიძიამ.

სუფრა წამსვე განახლდა. მე თავაზიანად შევტრიალდი და ზურგის მორიდებული უზურგობით გავემართე ლევანის ოთახისკენ.

გავცდი სახიფათო ზონას, გადავლახე დერეფნის შედარებით ბნელი და გამოუკვლეველი ნაწილები, გავუხვიე მარჯვნივ და ლევანის ოთახსაც მივუახლოვდი. საღღაც, მარცხნივ, ჩრდილოალმოსავლეთის მიმართულებით, სამზარეულოსკენ სიზმარივით გაიფრატუნა ნადაა ბებიამ.

ტროპიკული სარტყელის სიახლოვეს რომ ვიყავი მისული, კერძოდ — ზედ ლევანის ოთახის კართან, გავიფიქრე, რომ ამ ბინის კუთრი სითბოტტევდობა საგრძნობლად აღემატებოდა ჩემსას, და ამან ნუგეშითა და სიხარულით ამავსო: კარგაა, როცა ქვეყნად ვეგულება თბილი ბინა, სადაც კეთილი გულით მეგიღებენ და დაგაპურებენ.

კარი შევაღე და განცვიფრებისაგან აღგილზე გაქვავდი, — ლევანის ოთახი სულმოლად შეცვლილიყო.

კუთხეში, დაბალ მაგიდასთან, სადაც საქმით გართული იჯდა თვით ლევანი, ბაცა-მომწვანო ტორშერი ენთო. ოთახის პოლუმრაკში (როგორ ითარგმნება ეს სიტყვა? „ნახევრადწყდიადი“? ჰმ!.. იქნებ ოდესმე ვინმემ სადმე რამე სხვა მარჯვე შესატყვისი იპოვოს, მე კი ამჟამად დავწერ — თუმცა შემეძლო ბინდბუნდი, ბინდი, ან ნელსიბნელეზა მეხმარა — დავწერ „მალებნელს“), დიახ, აქ, ოთახის მალებნელში კედლებზე, ჭერზე და ყოველ საგანზე მტევნებივით ასხმულიყო მანათობელი და მოთმეთმიმე ცოცხალი სიტყვები.

აგაშენა ღმერთმა!

ლევანს, როგორც იტყვიან, დაუცადებლად ეშრომა და ახლა ამ შრომის შედეგი სახეზე იყო — უამრავი ცოცხალი და მოელვარე სიტყვა, ამ სიტყვებისგან შექმნილი უამრავი აზრი და წინადადება, უამრავი ამბავი, ლექსი, მოთხრობა, სვედიანი და მხიარული ისტორიები, მცირე ჩანახატები და უზარმაზარი პოემები, ულრმესი ნოსტალგიური მოგონებები, ფსიქოანალიტიკური და გონებაჭვრეტითი წიაღმსვლელი ხალ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვები, დეტექტური და სათავგადასავლო თავშესაქცევი ამბები, ეროტიული და პორნოგრაფიული სურათები — ეს ყველაფერი მწიფე მტევნებივით ეკიდა მთელს ოთახში — ჭერზე, კედლებზე, კარნიზებზე, ჩამქრალ ჭაღზე, მანაობელ ტორშერზე, კარადის კარზე, მაგიდაზე — მტევნებს მთლად დაეფარათ მაგნატოფონი და მოლბერტი, რომელიც ფანჯარასთან იდგა, თვით ფანჯარაც მანათობელი მტევნებით იყო ამოქოლილი, მტევნები ეკიდა პირდაპირ ჰაერშიც — ლევანის ზურგს უკან, ლევანის წინ, და იდგა რაღაც უაღრესად ცინცხალი, ნუშისა და თაფლის მყიფე არომატი. ათასი ელფერით მოციმციმე, მოელვარე, მბჟუტავი, შინაგან გასხივოსნებული მტევნები ნელი ლიელილივით ირწეოდნენ ჰაერში და გამოსცემდნენ ზღვის შორეულ ხმაურთან მიახლოებულ ძლივგასაგონ ხმას. ამ ილუმინაციურ და ფლორესცენციურ, მომწვანო მფრმალულ და შეუჯნობელ ზღვაში სადღაც, შორს დაკარგულიყო ლევანი — მისი სახე ნახევარმთვარესავით ანათებდა ცოცხალი სიტყვების შუქზე. იგი იჯდა თავის უზარმაზარ მწვანე სავარძელში.

რას ჰგავდა ეს ყველაფერი?

ეს ჰგავდა ბავშვობის ნათელ მოგონებას, როცა დიდ გაჩირაღდნებულ დარბაზში (თუმცა, ალბათ, ყველა დიდმა იცის — ეს დარბაზი სინამდვილეში მხოლოდ ერთი ჩვეულებრივი მაღალჭერიანი ოთახია) აღმართულია ნაძვის ხე და ირგვლივ ბავშვების ჟრიამული ისმის. ნაძვის ხის ტოტებზე ჯიდეა სხვადასხვა ფერის მინის მბრწყინავი ბურთები, გირჩებისა და სოკოების ფორმის სადაფის სათამაშოები, ვერცხლის და ოქროს ქაღალდში გახვეული გრძელი კამფეტები და ბამბის დიდი ქულები, ტოტებზე აბმულია ვერცხლის ქაღალდის წვრილი ზოლები და გირლანდები — ერთი სიტყვით, ეს არის რაღაც აყვავებული ზღაპარი, სადაც ყოველ მზესავით მბრწყინავ ბურთში ირეკლება ბავშვების გაცისკროვნებული და დეფორმირებული სახეები და უფროსების დიდი და თბილი, მშობლიური ხელები. აი, დედის ხელის ნები თბილად ეხება ბიჭს კეფაზე, ბიჭის თვალებში კი ციმციმებს მთელი ამ საახალწლო ორომტრიალის ანარეკლი და კიდევ რაღაც, დავიწყებული და შორეული სიღრმე, რომლის ძალითაც ცოცხლობს ყოველი ამ უკვდავ ფერთაგან, ცოცხლობს და თან მოაქვს თავისი სიღრმისეული და უხილავი მნიშვნელობა.

კიდევ რას ჰგავდა ეს ყველაფერი? (მოგეხსენებათ, ლევანის ოთახი მაქვს მხედველობაში).

კიდევ ეს ყველაფერი — თუ უფრო მამაპაპეულ შედარებას მოვიხმობთ და არც პოსტმოდერნისტები გვიწყენენ — ჰგავდა ღონიერი ქართველი გლეხკაცის მარანს, სადაც ხარიხებზე და ძელებზე მრავლად ჰკიდია ყურძნის ქარვისფერი აკიდოები, — შემოდგომის წითელი და უწმილესი მძიმე მტევნები, დამკრახული ხეხილი, თათარაში ახლად ამოვლებული ნაზი ჩურჩხელები, სურნელოვან ზმეუებს ისვრის ქვევრებში ჩასხმული წითელი მაჭარი, შუა მარანში გიზგიზებს პირველყოფილი ცეცხლის ალი და სამფეხაზე შედგმულ, ბადაგით სავსე სპილენძის კოჭობში იხარშება თავშალწაკრული ბებია.

იქვე, მარნის კუთხეში, მიწის იატაკზე, ერთმანეთს მხარს უმშვენებენ შესაწვავშესაჭამელად გამზადებული დაკლული ქათმები, ინდაურები, უზარმაზარი, მთასავით დიდი და თეთრი დაკლული ღორი — იგი მარნის ჩაბნელებულ კუთხეში წამომართულა და ბავშვები შიშითა და ცნობისწადილით უახლოვდებიან — ღორს ყელგამოჭრილი თავი მარნის გამჭვარტლულ ჭერისკენ აუბრუნებია და მის ნახევრადღია ლიბრიან, ლოთურ-ნირვანულ დამცინავ თვალებში გაფინულია სიკვდილის მთელი უგონობა. ხელჩაკიდებული ბავშვები რიდით უახლოვდებიან დაკლულ პირუტყვს, რომელიც თეთრი ლევიათანივით გაწოლილა იატაკზე, მათ შორის ყველაზე გამბედავი — წინდებჩაჩარული კნაჭა გოგო ფრთხილად შედგამს ფეხს მის ზურგზე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თან ყოველ წუთში მზად არის გადმოსახტომად, მას სხვებიც თან მიჰყვებიან — შიშითა და ცნობისწადილით აღსავსე ბავშვები, მაგრამ ამ შემთხვევაში ცნობისწადილი სძლევს შიშს, რიგრიგობით ადიან ლევიათანის ზურგზე და იქ ლანდებივით დგანან. მერე, რაკი რწმუნდებიან, რომ ცხოველი უძრავია — ღორი მკვდარია, იგია მხოლოდ შესაჭმელად გამზადებული ვეება ხორცი, თავისი მოთეთრო ტყავითა და გახევებული ჯაგრით (თითქოს ტყიანნი სერი იყოს) და მის ზურგს ზემოთ უბერავს აარარსობის უცნაური ნიავი, რომელსაც ვალპალის წყლების ცივი სუნთქვა მოაქვს — რაკი ხედავენ ცხოველი უძრავია, ისინი მწკრივად დგებიან ვეება ზურგზე, ერთმანეთს ხელებს სჭიდებენ და გაუბედავად იწყებენ ხტუნვას, ფეხების ქნევას, სიმღერას და ლაღობას. თანდათან, ამ როკვისას, მათ ავიწყდებათ ყველაფერი, რადგან ისინი ცეკავენ მკვდარი პირუტყვის ზურგზე — ცოცხლები მკვდარზე — და გრძნობენ არსებობის ყოვლისმომცველ სიხარულს. და აი, მათ შორის ერთი, ყველაზე პატარა და დაფიქრებული ბიჭი უეცრად კეფაზე რბილად გრძნობს რაღაც უზღალვი ხელის შეხებას, იგი ზურგს აქცევს თავის ამხანაგებს, შებრუნდება და ნელა, უდიდესი სიფრთხილით მიიწევს ღორის ბოლოსაკენ, თან საარულშივე, თვალებგაფართოებული დაჰყურებს პირუტყვის უძრავ ზურგს და გრძნობს, რომ აქ რაღაც საიდუმლოა დამალული.

მის ყურთასმენას თანდათან შორდება ამხანაგების ლაღი ჟრიამული. აი, იგი ფეხს ადგამს მკვდარი ლევიათანის იმ ნახევარზე, რომელიც სრულიად უკაცრიელია და, ვრცელი თეთრი ტრამალივით, ბინდით არის მოცული. პატარა ბიჭი ფრთხილად, სრულ სიჩუმეში უახლოვდება ღორის — ამ ნისლიანი დათოვლილი ქედის — ბოლოს, დაჰყურებს მის კუდს, რომელიც ჭიასავით დაგრეხილა შავი ტკბანილი მიწის ფონზე, და ამ გრეხილში მოჩანს რაღაც უთქმელი გამოცანა. ბიჭი დაჰყურებს ამ მკვდარ გამოცანას, დაჰყურებს, სხვას ვეღარაფერს ამჩნევს, მის ირგვლივ ყველაფერი ბინდით იმოსება, ქრება, ჩუმდება, სადღაც, შავ-თეთრ სიზმარში იკარგება ამხანაგების ხმებიც — და უეცრად თავზარდაცემული ხედავს — ღორის კუდი ცოცხალივით გაისხმარტალებს. ბიჭი გულგახეთქილი კივის, ფეხქვეშ საყრდენი ეცლება, იგი მიფრინავს ღორის თვალუწვდენელი თეთრი ზურგიდან დაბლა, მიწის ცივი იატაკისკენ, და ჰაერში აყრავებული ხედავს თავის ამხანაგებს, რომლებიც სადღაც, სხვა სამყაროში, აჩრდილებივით ჩანან — ისინი ხელჩაკიდებულნი, მხიარულად ხტიან და უხმოდ მღერიან მკვდარი პირუტყვის ზურგზე, — მკვდარი ღორის კუდი კი უეცრად, ელვისებური მოძრაობით, გველივით გაისხმარტალებს.

ეხეე შენ!

კიდევ რა გითხრათ? რით გაგახაროთ? არ იფიქროთ, რომ ეს ყველაფერი, რაც აქამდე ვთქვი, სიზმარი იყოს. ა-პა-პა-პა (თუ — ა-ბა-ბა-ბა? ნუთუ ამასაც რაიმე მნიშვნელობა აქვს)!.. ჰო, არ იფიქროთ, რომ ეს ყველაფერი ზმანება იყოს, ყოველივე ეს მე ვიხილე ლევანის ოთახში — მისი ოთახის ჭერზე და კედლებზე, იატაკზე, ნივთებზე, ჰაერში; იქ თამთამებდა, ცოცხლობდა და შეუცნობელი არომატით ავსებდა ოთახს.

ხოლო მათ შორის პატარა ბიჭივით აღტაცებული იჯდა ლევანი და თხზავდა ახალსა და ახალ სიცოცხლის ხილვებს — ეს ხილვებია, რომლებიც მომავალში მთელმა ქვეყანამ გაიგო. მაგრამ მაშინ მათი ერთადერთი მოწმე მე ვიყავი.

—ეს რა გიქნია, ბიჭო, ლევიკო! — შევძახე აღტაცებულმა.

ლევანმა ახლაღა დამინახა. წარმოუდგენელი სიხარულით აღვსილი მისი მზერა ჩემს აჭყლეპილებულ ფიგურას მოსწვდა და, თანდათან, შევამჩნიე, რომ მიცნო. მის ცნობიერებაში თანდათან შეაღწია ჩემი თანაარსებობის განცდამ — განცდამ, რომ მის გარდა და მი-

სი ცოცხალი სიტყვების გარდა ამ ქვეყანაზე ვიღაც, სხვაც არის ცოცხალი — და ეს სხვა, იმ ბედნიერ საღამოს, სიამაყით ვიტყვი და, მე ვიყავი.

— შემოდ! — შეხტახა ლევანმა გაბრწყინებული თვალებით და სავსე მთვარესავით გადიკიკინა.

შევედი. ლოყებსა და ტანზე მეხებოდნენ და მეღვენთებოდნენ სიტყვები. ისინი ჩემს სიარულში უმსუბუქესი ნათელი ფოთლებივით იფანტებოდნენ ირგვლივ და ჩუმი შრიალით ავსებდნენ ჰაერს.

რას ჰგავდა ეს ყველფერი?

შემოდგომის ქარცემულ ბაღს, სადაც ჭადრის წითელ-ყვითელი, მეწამული, ვარსკვლავისებრი ხმელი ფოთლები ნისლიან ჰაერში იფანტებიან და ცვივიან, ცვივიან, თითქოს მთელი სამყარო დაბლა მოცვივა, ქარის დაქროლვაზე კი ფრენენ და აქეთ-იქით იშლებიან. ისმის ქარის სვედიანი, გულსავსე მოთქმა და საღღაც, მოუსავლეთში მიმქროლი მსუბუქი და მძიმე ღრუბლები...

ფოთლებში მკლავები შევარხიე — როგორც ქარში მდგარმა ხემ, ან როგორც ქარის წისქვილმა — თავისი ფრთები. რამდენიმე სიტყვა მოვიხელეთე, კიდევ რამდენიმე მივაბი — ეს ყველაფერი ძალიან იოლად და მსუბუქად გამომივიდა, და ლევანს წარვუდგინე ლექსი, რომელიც იმ წუთას მომაგონდა:

ფოთლები ცვივა, ცვივა თითქო ყრუ
სიმაღლიდან,
თითქო ჭკნებოდეს ცის სიღრმეში
მყუდრო ბაღები...

ასე იწყებოდა ეს ლექსი.

და გაბარებულმა შევაჩნიე, რომ მოეწონა.

— ყოჩაღ! — მითხრა ლევანმა, —შენია?

— არა!

— აბა?

— რილკესი!

— რილკე, — თქვა ლევანმა, და ახლაღა შევაჩნიე, რაღაც უცნაური ტანისამოსში გამოწყობილიყო. მას ეცვა XVI საუკუნის ესპანელი (ან თუ გნებავთ, იმ დროის ნებისმიერი სხვა ევროპელი, მაგრამ ჩვენში, რატომღაც, მაინცდამაინც ესპანელები უყვართ და მეც ასე ვიტყვი) აზნაურის კამზოლი ამობურცული და ზოლებად ჩაჭრილი სახელოებით, რეიტუზის მსგავსი შარვალი, მაღალი გადმოკეცილი ჩექმები და მუქი ნაკეცებანი მოსასხამი — როგორც მუშკეტერს. დაშნა და ფართოფარფლებიანი ქუდი იქვე, მაგიდაზე დადი.

— ეს რა ჩაგიცვამს? — შევეკითხე გაკვირვებულმა.

ლევანი წამოდგა და სარეკლამო პოზაში გაშეშდა.

— როგორია?

— დიდებულია! სად იშოვე?

— თეატრიდან გამოვიტანე.

ჩემო მკითხველო, იქნებ არ მითქვამს, რომ ლევანი თეატრში მუშაობს? (ეს „იქნებ“ ისე, თვალის ახახვევად დავწერე, თორემ მე კი მშვენივრად ვიცი, რომ არ მითქვამს). თუ არ მითქვამს, მაშ ახლა ვიტყვი:

ლევანი თეატრში მუშაობს.

სკოლა რომ დავამთავრეთ, სანამ ინსტიტუტში ჩააბარებდა, ლევანი თეატრში მოეწყო გამნათებლად. ის ერთი იმ მცირედთაგანი იყო, ვინც იმ წლებში ჩვენს ქართულ თეატრს ანათებდა. — აბა გამნათებლის გარეშე სპექტაკლი როგორ დაიდგმება. მერე სარეჟისოროზე ჩააბარა. ბოლოს, როცა ინსტიტუტი დაამთავრა, რეჟისორი გახდა. მაგრამ ჯერჯერობით ძირითადად ხატვით იყო გატაცებული და მხოლოდ ერთადერთი, ისიც — ერთაქტიანი სპექტაკლი ჰქონდა დადგმული. ეს ისე, მშრალი ფაქტების მოყვარულთათვის, თორემ მე კი მშვენივრად ვიცი, რომ ლევანს თეატრში არასდროს უმუშავია. ამავე კატეგორიის ხალხისთვის ვიტყვი, რომ ლევანი იმჟამად მუშაობდა თავის მეორე სპექტაკლზე, და ჩანფიქრში ჰქონდა აგრეთვე მესამეც, რომელიც შედგომში, მისი იდეების მიხედვით, დადგს მისმა მეგობრებმა და საკმოდ კარგიც გამოვიდა. ალბათ, ყველას გახსოვთ — დადგმას „დაბრუნება“ ერქვა. ხოლო რომან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტიკის მოყვარულთათვის ვიტყვი, რომ ლევანის პირველი სპექტაკლი „ჯულჩინელა“ გახლდათ, ერთაქტიანი რომანტიული ნამუშევარი, და მოგვითხრობდა დაკარგულ სიყვარულზე. ეს სპექტაკლი რამდენჯერმე ვნახე და, თუმცა თეატრის დიდი მცოდნე არა ვარ, შემიძლია თამამად განვაცხადო, რომ ეს იყო ერთ-ერთი საუკეთესო, რაც კი საერთოდ სცენაზე მინახავს.

მოულოდნელად სიტყვების მთელი ჯარი ერთბაშად წამოიხეტტა და ცივი ხიელით გაექანა ლევანის მიმართულებით.

შეცბუნებული ადგილზე შევხტი: ყველა, აბსოლუტურად ყველა სიტყვა და სიტყვათწარმოსაქმნი — თეული ეს ნაძვის ხეები, მტევნები, ფოთლებგაცვენილი ჭადრები — ერთბაშად გაქრილდა და ლევანის წინ მდგარ ზარდახშაში შეისრუტა. ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს მოულოდნელად უამრავმა ხალხმა ჩამირბინა გვერდზე, თითქოს რაღაც უბედური შემთხვევის ადგილისკენ გარბოდნენ.

ლევანმა ზარდახშას ხმაურით დაახურა თავი.

— რა ჰქენი! — შევყვირე წყენით.

ლევანი წამოდგა და გაიზმორა.

— არა უშავს, — მითხრა მან, — ყველაფერს ისევ თავიდან გავაცოცხლებ! — თქვა და ზარდახშა კარადაზე შემოდო.

— არა გშია? — მკითხა მერე.

— რა ვიცი, — ყოყმანით ვუთხარი. ვგრძნობდი, მუხუდოს სუპი ჩემს კუჭში უკვე უნუგეშოდ განწოვილიყო.

— წამო, რამე შევჭამოთ, — მითხრა და ორიენენი სამზარეულოსკენ გავემართეთ.

იქ თვინიერ აჩრდილივით დაფრატუნობდა ნადია ბებია.

— ბები, საჭმელი რა გვაქვს?

— ყველაფერი, ყველაფერი! — ჩუმი ხმით აკოცლდა იგი, — საცივე! ვინეგრეტი! ხორცია შემწვარი! ისპანახის ფხალი! ნადუღი!

სასტუმრო ოთახიდან ისმოდა მხიარული ხორხოცი და ბენო ბიძიას მჭეკარე ბანი.

— გადით, სუფრასთან დასხედით და იქ ჭამეთ! გადით, გადით! — ძლივგასაგონად გაჰკიოდა მოხუცი ქალი.

— გავიდეთ? — მკითხა ლევანმა.

დიახაც მინდოდა გასვლა, უფროსებში ჩაჯდომა და მათთან ერთად ღვინის სმა, მაგრამ თან მერიდებოდა(რა ვქნა, ასე გამზარდეს), ამიტომ (რადგან, ამავე დროს, საკმაოდ ეშმაკიც ვარ), ვუთხარი:

— რა ვიცი, რაღაც არ მინდა. ისე, შენ თუ გინდა, გამოგყვები!

ოთახში ისევ მხიარულება და სითბო სუფევდა. ყველაფერი კრიალებდა. ერთ კედელთან მდგმული იყო დაბალი და გრძელი, ბროლივით მოელვარე ვანჯინა, მოპირდაპირე კედელზე ეკიდა უზარმაზარი მრგვალი სარკე, რომელშიაც — თითქოს დუბლიკატი ან მეორე ეგზემპლარი იყო — ირეკლებოდა მთელი ოთახი და სუფრასთან მსხდარი ადამიანები.

ასეთ გაკრიალებულ ადგილებში ყოველთვის უხერხულად ვგრძნობ თავს. ამიტომ შესვლისთანავე ლევანის ზურგს უკან გავუჩინარდი.

ლევანმა გრძელი მოსასხამი მკლავზე გადაიგდო და რევერანსით წარდგა მეინახეთა წინაშე.

ყველანი ჩვენკენ შემობრუნდნენ.

— მოდით, მოდით! არ მოგშივდათ, ბიჭო?! — შესძახა ლევანის მამამ.

— მოდით, ბიჭებო, დასხედით!

— მოგვშივდა. საჭმელი გაქვთ რამე? — იკითხა ლევანმა.

— რა შეკითხვაა, ბიჭო! ყველაფერია! — წარბშეკრით თქვა ბენო ბიძიამ, ლევანს ახედა და შეამჩნია, რომ მას XVI საუკუნის კოსტიუმი ეცვა.

— ეს რა ჩაგიცვამს? მიდი, გამოიცვალე და ისე შემოდი!

— ეცვას, ბენო, რას გიშლის?! — ჩაერთო ლევანის დედა. შემჩნეული მქონდა — კამაში იგი მუდამ ლევანს უჭერდა მხარს.

— ოი, ლევან, ნამდვილი დარტანიანი

ხარ! — შესძახა ერთმა სტუმარმა მანდილოსანმა. ეს იყო შესუქებული, ქერა-თმიანი სიმპათიური ქალი, რომელსაც ცხვირი რაღაცნაირად, დელფინივით რბილად წამოსწეოდა წინ. მას, როგორც შემდგომ გავიგე, თათუნა ერქვა.

მეორე მანდილოსანს, უფრო ახალგაზრდა, გამხდარ და თმაგადატკეცილ ქალს, ჰქონდა კატისებრი ირიბი თვალები და მაღალი, მზემოკიდებული ყვრიმალები. რბილი და ნაზად ნაქსოვი სვიტერი გამხდარ ტორსს მომგებიანად წარმოუჩენდა. თავდაპირველად იგი ვერ შევამჩნიე, მაგრამ მალე სხვებზე მეტად მიიქცია ჩემი ყურადღება — ალბათ, გარეგნობის, ან რაღაც შინაგანი მუხტის გამო, რადგან განსაკუთრებული თითქოს არაფერი უთქვამს. მან თავისი მომწვანო თვალებით აათვალიერა ლევანი და რბილი, ნარნარი, სალუქი ხმით წარმოთქვა:

— ნამდვილი შევალიე დ'ერბლი ხარ, ლევან!

მის გვერდზე იჯდა შავგვრემანი, ოდნავ თმაგაცვენილი კაცი — ალბათ, მისი მეუღლე, შავი კოსტიუმი გაღეღოდა და პერანგის თეთრ გულისპირზე ყულფივით ეკიდა ძვირფასი, მოშვებული ჰალსტუხი. მას ხელი ცოლის სკამის საზურგეზე გადაედო, მუქ თვალებში უელავდა მხიარულება, კმაყოფილება და კიდევ რაღაცნაირი ფარული ურვა, ზრუნვა თუ ჭმუნვა, როგორც რუსულად მარჯვედ ითქმის, — Легкая озабоченность ხოლო ჩვენს ბედკრულ ენაზე ამ უმარტივესი მოვლენის გამოსახატავად წარმოუდგენელი ისტორიული და არაისტორიული სიძნელეების გადალახვა ხდება საჭირო. მის პირდაპირ იჯდა მასზე ცოტა ხნიერი ვინეგრეტისებ სახაანი კმაყოფილი კაცი — ჩანდა, იგი თათუნას მეუღლე გახლდათ. მას ეცვა დიდებული, სქლად ნაქსოვი ღუნღულა სვიტერი და ღონიერი ხელები ლაღად გაეშალა სკამების საზურგეთა მთელს სიგრძეზე. ჩვენს დანახვაზე სკამზე გასწორდა და ლაღად შესძახა:

— ოჰ! მოდი, მოდი, ლევან! შემოდით, ბიჭებო! სწორედ თქვენი სადღეგრძელო მომწიფდა! აჰა ბენო?

ადგილიდან წამოიწია ლევანის დედაც და სამზარეულოსკენ გასძახა:

— ნადია, ნადია! შენი ჭირიმე, ნუ გამომიყვან, თეფშები და დანა-ჩანგალი გამოიტანე!

ამდენი შეძახილებიდან ლევანმა მხოლოდ გამხდარი კატისებრი ქალის ნათქვამს უპასუხა (როგორც ჩანს, გამოწვევად მიიღო, მე ხომ ვიცი):

— შევალიე დ'ერბლი კი არა, დონ ჯოვანი ვარ! — თავდაჯერებული სახით, რიხიანად წარმოთქვა და მამამისსა და ვინეგრეტისებრ ძია თამაზს შორის ჩაჯდა.

მე ერთხანს საქმროს აჩრდილივით ვიდექი კარებში. მერე ბენო ბიძიამ მიმიხმო და გაჭირვებით ჩამამაკენა მასა და ლევანს შორის, კუთხეში, რითაც, ბავისა უნებურად შვიდი წლით მომმატა ჯა უცოლოდ სიარული.

ძია ბენომ ხელი მხარზე გადამხვია და სუფრას ამცნო:

— ზაზა ლევანის ბავშვობის ძმაკაცია. ლევანის კლასელი. ფსიქოლოგია, ფსიქოლოგი!

მე მაშინვე შესაბამისი ხარისხის დარცხვენა აღვიბეჭდე და თავი დავზარე — რამდენიმე მზერამ ყურადღების ღირსად მცნო.

რატომღაც მეჩვენებოდა, რომ მთელს ამ სუფრაზე ყველაზე გამხდარი მე ვიყავი — მით უმეტეს, უზარმაზარი ძია ბენოს ჩრდილში მჯდარს. ალბათ იმ მომენტში ქართველ ფსიქოლოგთა მრავალათასიან სახელგანოქმულ კოჰორტას დიდ ვერაფერ პატივს ვდებდი, — წარმოდგენა არ მქონდა, სუფრის წევრთაგან ვინ რა ადამიანი იყო, ვის რა ედო გულში და ისე, განყენებულად, ფსიქოლოგი გინდ გრქმევია, გინდ არა! — ამას ვფიქრობდი და ვცდილობდი დანა-ჩანგალი სწორად დამეჭირა ხელში. ერთ ჭიქას მაინც ვავკარი ხელი — კინაღამ ღვინო დავაქციე. საბედნიეროდ, ყველაფერმა მშვიდობიანად

ჩაიარა. ძია ბენო კი ისევ ჩემზე განაგრძობდა ლაპარაკს:

— ზაზას ვადეგრძელებ! როგორც ლევანის უახლოეს მეგობარს და ჭეშმარიტ ვაჟკაცს. თამაზ, ალავერდი შენთანა ვარ! — ამბობდა იგი. მე ფეხზე გაჭრეველით წამოვიწევე, მაგრამ ძია ბენომ ძმლავრი მარცხენით ისევ ადგილს მიმაჯაჭვა, — ზაზა სხვანაირი კაცია, სხვანაირი ჯიშის და ჯილაგის შთამომავალი, სხვა გენების და სისხლის პატრონი. თანაც ფსიქოლოგი გახლავთ — ადამიანის სულის მესაიდუმლე...

ყოველ ამ სიტყვაზე მე თანაბარზომიერად ვჭარხლდებოდი.

ძია თამაზმაც ორი-სამი სიტყვა მითხრა ჯიშის და ჯილაგის შესახებ. მერე კი ფსიქოლოგიიდან ორი-სამი ისეთი ტერმინი მომაგება, რომ გაგონილიც არ მქონდა, — ლაპარაკობდა ცნობიერების პროგრამირების თანამედროვე თეორიების შესახებ და, როგორც შემდეგ შევამჩნიე, ამ კაცმა საერთოდ ყველაფერი იცოდა ქვეყნად არსებული ყველა საგნის შესახებ.

შედარებით ახალგაზრდა, თმაგაცვენილმა, შავგოსტიუმიანმა კაცმა, რომელსაც თვალებში მოუჩანდა ზემოხსენებული ზრუნვა თუ ურვა, უხმოდ შესვა ჩემი სადღეგრძელო. ხოლო მისმა მეუღლემ, — კატისებრი გარეგნობის ახალგაზრდა ქალმა — თავდაპირველად დაკვირვებით შემომხედა, მერე კი, რაკი დარწმუნდა, რომ ჩემი ფსიქოლოგობა და ჩემი ზენორმული წამოჭარხლება ერომანეთთან სრულ ანტაგონიზმში მოდიოდა, განურჩეველი სახით მომაშორა თვალი და ნარნარი ხმით ჰკითხა ლევანს:

— ლევან, ის პინგვინი ვინ დახატა?

— რომელი პინგვინი, ნუნუშა? — მხიარულად ჰკითხა ლევანმა.

— აი ის, სარკეზე რომ ხატია. — და პლუს-მინუს სამი გრადუსის ცდომილებით ჩემკენ გამოიშვირა ნიკაპი.

სარკე ჩემს ზურგს უკან იყო. მიხედვა ვერ გავბედე. დარწმუნებული ვიყავი, იქ არავითარი პინგვინი არ ეხატა, და ამ სიტყვით ნუნუშა სწორედ მე მგულისხმობდა. კიდევ უფრო გავწითლდი და ისეთი სახე მივიღე, თითქოს ნივვიიანი ბადრიჯნით ვიყავი დაკავებული — რა ვქნა, ამ ორაზროვან ლაპარაკს ვერაფრით ავუღე ალღო. ბოლოს და ბოლოს, ხომ ნათელი უნდა გამხდარიყო ჩემი მოქმედების შინაარსი: მე პინგვინი არა ვარ! — უსიტყვოდ, მაგრამ მტკიცედ ვაცხადებდი მე, ნუთუ სადე გაგონილა, რომ პინგვინი ნივვჩიან ბადრიჯანს მიირთმევდეს?!

ლევანი მიბრუნდა და სარკეს შეხედა.

— მე დავხატე, — თქვა ხალისიანად.

აქ უკვე მეც გავბედე თავის მიბრუნება — სარკის ქვედა კიდე სითბისგან ოდნავ შეორთქლილიყო, და იქ თითით თითქოს მართლაც მიეხატათ რაღაც. დღესაც არ ვიცი, ამ ნაჯღაბნზე ლაპარაკობდნენ, თუ მართლა მე მგულისხმობდნენ. ეს ამბავი ჩემთვის სამუდამო გამოცანად დარჩა.

თავი რომ მოვაბრუნე, უკვე სრულიად სხვა მომენტი იყო — თითქოს რაღაც ძმამე გამოცანამ გაიელვა და უეცრად მსუბუქად გაქრა.

ძია თამაზმა ქართულ მადნეულზე დაიწყო ლაპარაკი. მერე როკის გვირაბზე ჩამოაგდო სიტყვა. მას მხარი აუბეს ძია ბენომ და ნუნუშკას მეუღლემ, რომელსაც, უკვე ვიცოდი, გურამი ერქვა.

— თურმე ოქროს ძარღვს მიადგნენ. უამრავი ოქროა, უამრავი! თან საკმაოდ მაღალი შემცველობის! საერთოდ, კავკასიონის მთები გეოლოგიურად ახალი წარმონაქმნია. მადანი ძალიან ღრმად იმყოფება! — ამბობდა ჯანსაღი ძია თამაზი. — ჩვენ რომ ხელი არ გავანძრიოთ, მარტო ეს მადნეული ეყოფა საქართველოს. ამჟამად ეროზიის პროცესი ძალიან დაჩქარებულია. კაცმა არ იცის, სად რომელი წიაღისეული ამოყოფს თავს.

— ამ ზაფხულზე მგონი თქვენმა სამმართველომ უნდა მოჰკიდოს ხელი ამ საქმეს? — მიმართა ძია ბენომ.

— რა, ჩვენ სართიჭალის ნავთობზე ვიმუშავებთ, — მიუგო ძია თამაზმა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხმას დაუწია, — მანდ ყველაფერი გასაბედრიებული აქვთ, ხომ გესმის. ოქროსთან ვინ მიგაკარებს! მაგათ თავიანთი საქმე თვითონ იციან. მალე, ალბათ, სვანეთსაც მთლიანად დაკეტავენ!

— რას მეუბნები, კაცო! — დაიბუხუნა ძია ბენომ, — ისე, რა მაგის პასუხია, ამ ბოლო დროს კუჭმა შემაწუხა, ხი იცი! — თქვა, ღვიძლის არეში მოისვა ხელი (მე მის გვერდზე ვიჯექი, ელენთის მიდამოებში).

დაუდეგარ ძია თამაზს ამაზეც გამზადებული ჰქონდა პასუხი:

— ბორჯომი! ბორჯომი! მაგაზე უკეთესი არაფერია. მჟავიანობის საქმე როგორა გაქვს?

— რა ვიცი, რა გითხრა. თითქოს არ უნდა მქონდეს მაღალი.

— ბორჯომი! თუ მაღალი მჟავიანობა გაქვს, ნახევარი საათით ადრე ჭამამდე. თუ დაბალია — პირიქით. ჭამის მერე ნახევარი საათით გვიან. გაიგე, ბენო? საქმე რაშია, იცი? ბორჯომი ტუტე შეიერთოთ, მჟავიანობას დაბლა აგდებს. თუ მაღალი მჟავიანობა გაქვს, ჭამამდე უნდა მიიღო, თუ დაბალი — ჭამის შემდეგ.

— ესე იგი, ჭამამდე ნახევარი საათით ადრე უნდა დავლიო? — ჰკითხა ძია ბენომ, რომელიც, ჩანდა, ენდობოდა მეგობრის მრავალჭირნახულ გამოცდილებას.

— ჰო! თუ მაღალი მჟავიანობა გაქვს, за полчаса до еды, თუ დაბალი — через полчаса после еды! — დაუზარებლად უპასუხა ძია თამაზმა.

— ესე იგი, მაინც ვერ გავიგე: ჭამამდე თუ ჭამის შემდეგ? до еды თუ после еды? — ჰკითხა ძია ბენომ.

— მომისმინე, ბენო, კიდევ აგიხსნი! თუ მაღალი გაქვს მჟავიანობა, მაშინ за полчаса до еды, გაიგე?

— გავიგე. за полчаса до еды, — გაიმეორა ძია ბენომ.

— ძალიან კარგი. ხოლო თუ დაბალი მჟავიანობა გაქვს, მაშინ через полчаса после еды! ხომ გესმის?

— მესმის. ესე იგი, თუ მაღალი მჟავიანობა მაქვს, за полчаса до еды, ხომ? — ბეჯითად ჰკითხა ძია ბენომ.

— ჰო! за полчаса до еды, — ბეჯითად მიუგო ძია თამაზმაც.

— და თუ დაბალი აღმოჩნდა?

— მაშინ через полчаса после еды! გასაგებია?

— გასაგებია. მაღალი — за полчаса до еды, დაბალი — через полчаса после еды, — გაიმეორა ძია ბენომ.

— ეგრე რა! — შესძახა ძია თამაზმა, — მაღალზე — за полчаса до еды, დაბალზე — через полчаса после еды!

— За полчаса до еды, за полчаса до еды! — გაიმეორა თავისთვის ძია ბენომ! მაინც ეჭვობდა, რომ მაღალი მჟავიანობა უნდა ჰქონოდა.

— გურამ, შენც მოუსმინე, ხომ გაწუხებს კუჭი? — ნარნარი ხმით მიმართა ნუნუშკამ მეუღლეს, — თამაზ, თავიდან გაიმეორე რა, ყველაფერი? — თქვა და ირიბი თვალები თამაზს მიაჭყრო.

ძია თამაზმა გულკეთილად გადაიხარხარა ვინეგრეტისებრი ლოყებით:

— კარგი რა, ნუნუშკა, ნუ გადამრევ! ამდენი ვილაპარაკე და ახლა თავიდან ნუ დამაწყვებინებ!

— გურამს რომ არ გაუგია? — ნაზად თქვა ნუნუშკამ.

გურამმა ფერმკრთალი სახე მისკენ მიაჭყრო და გამომცდელად შეხედა.

— ნუნუშკა! — თქვა მან.

— რა იყო?

— ხომ იცი, არ მიყვარს ეგეთები! — ცალგბა ღიმილით წარმოთქვა გურამმა.

ნუნუშკა თავზე მოეფერა.

— გურამ, ალჟირის ამბავი რა ქენი? — გაახსენდა ძია ბენოს.

გურამმა ჩაახველა.

— მე მგონი, იქნება. თებერვლისთვის მპირდებიან.

— მიდი, შენ იცი. მანქანას, ალბათ, გაყიდი? — ჰკითხა ძია ბენომ.

— ალბათ, — თქვა გურამმა. — თამაზ, შენ ხომ არ გინდა?

თამაზმა ვინეგრეტისებრი თავი გააქნია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არა, მე ოცდაოთხს დველოდები. ისე კი, მომკლა ამ ვილისმა.

—შენს საქმეში, იცოცხლე, კარგია! — ცალებად გაიღიმა გურამმა.

— საქმეში, იცოცხლე, აუცილებელია, — თავი დაუქნია თამაზმა. — მაგრამ აქ არ მადგება.

— შენც მიდი და ნოლხუთი აიღე.

— ნოლხუთს ნოლექვსი მირჩევნია.

— რატომ? — ჩაცივდა გურამი. მის თვალებში ისევ მოჩანდა ზრუნვა თუ შფოთვა.

— რა ვიცი, მირჩევნია, — თამაზი უნერხულად შეიშმუშნა. — უფრო მძლავრი მოტორი აქვს. ისე, ნოლტრი სჯობია ყველას.

— ნოლ ტრი, არა!

— გეუბნები მე შენ! ნოლტრი არ ჰყავდა გიგლას?!

— გიგლას კეთილებიც... ხელი ჩაიქნია გურამმა და ჭიქა აიღო.

ნუნუშკამ ქმარს გადახედა და ლევანს მიმართა:

— ლევანჩო, შენი სპექტაკლი რას შერება?

— დონ ჯოვანი დამიძახე! — გაუღიმა ლევანმა და თვალი ჩაუკრა.

ნუნუშკამაც გაიცინა.

— თუ გინდა, ჯოვანიკოს დაგიძახებ, — ნარნარი ხმით წარმოთქვა მან.

— კარგი, დამიძახე.

— ჯოვანი-ჯო!

— რაი-ყო?!

— ახალი და საინტერესო არა გაქვს რამე?

— რამდენიც გინდა.

— მაჩვენე, რა?!

— სიტყვით თუ საქმით? — ჰკითხა ლევანმა.

ნუნუშკამ გაიცინა.

— სიტყვითაც და საქმითაც.

— წამი, გიჩვენებ! — ლევანი ადგილდან წამოდგა.

— სად მიდიხართ? — შეშფოთებით იკითხა ძია ბენომ.

— ჩემთან. წამო, ზაზა!

მეც წამოვდექი და თავაზიანად მადლობა ვთქვი. ჩემთვის ყურადღება არავის მოუქცევია. მხოლოდ ლევანის მამამ ჩაიბურდღუნა რაღაცა — არ ვიცი, ვისი მისამართით. ძია თამაზი ჭამდა. ლევანის დედა და თათუნა ერთმანეთში გაცხარებული კამათობდნენ.

ნუნუშკაც წამოდგა. რომ გადიოდა, ქმარმა ტრაკზე შემოჰკრა ხელი.

— დრიზე გამოდი. მალე წავალთ, — უთხრა.

— კარგი, — მიუგო ნუნუშკამ და მსუბუქი ნაბიჯით გაემართა ლევანის ოთახისკენ.

ეჰ, რა ძნელია, სიტყვებით გადმოსცე ის, რაც მართლა მოხდა; რა ძნელია იმის აღწერა, რაც უკვე ნაფიქრი გაქვს, — ეს მუდამ აღემატებოდა ჩემს ძალებს.

მაგრამ ეს იქით იყოს.

ლევანი უკვე თავის ოთახში იყო. ნუნუშკაც იქით მიდიოდა, თბილი და ფართო დერეფნის გავლით. მას ეცვა ნატის — ანუ, ზამშის — კიდეებგადაკეცილი თასმებიანი მოყვითალო ხამლი ანუ საპოკეები (როგორ თქმის ეს სიტყვა ჩვენს ენაზე? ჩექმენები?), ვიწრო ქვედატანი და ბაცი ფერის — მომწვანო თუ მოიისფრო, ან იქნებ — ვარდისფერნარევი (ფერების დაფიქსირება მუდამ მიჭირდა) ფუმფულა მოჰერის სვიტერი (ან ეს მოჰერი რაღა ოხრობაა? იქნებ — თივთიკი?); გადატკეცილი წაბლისფერი თმა რგოლად შეეკრა კეფაზე. და მის გარეგნობაში იყო რაღაც XVI საუკუნისმიერი.

ესეც ასე.

უკან მე მივყვებოდი. მე მეცვა ჩემი ძველი და ფორმადაკარგული ტომრისებრი ლურჯი შარვალი, დედაჩემის მოქსოვილი, მუხლამდე ჩამოწლაწული მუქ-ყავისფერი ჯემპრი. თმა ცალ მხარეს უცნაურად მქონდა თავზე მიტკეპნილი, მეორე მხარეს — პირიქით. ჩემი სახე — დერეფნის მყუდრო სარკეში წამით გამკრთალი — მიღებული ალკოჰოლის ზემოქმედებისგან სრულიად წითელი გამხდარიყო. ფეხსაცმელზე აღარაფერს ვიტყვი... და ჩემს გარეგნობაშიც აშკარად სჭვიოდა რაღაც შუასაუკუნებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რივი — რადაც, რაც ებრაელთა გეტოებს მოგაგონებდათ.

ოთახში შევედით. ზურგს უკან კარი მივხურე.

ლევანი თავის საკარძელში იჯდა. ხელით გვანიშნა, დავმსხდარიყავით. მე ჩამოვჯექი. ნუნუშკა კედელთან მივედა და ლევანის ნახატებს დაუწყო თვალიერება.

— ლევან, სულ შენებია?

— ჰო! — მიუგო ლევანმა, — ნუნუშკა, სიზმარი გინახავს?

— რა სიზმარი? — თქვა ნუნუშკამ, თან ნახატების თვალიერებას განაგრძობდა.

— ზამთრის დღის სიზმარი, — მიუგო ლევანმა და მის წინ მდგარ ზარდახშას თავი ახადა. იქიდან ათასფერი ჰპლეებივით ამოიფანტნენ სიტყვები. ჰაერში დატრიალდა ნუშის რძის ოდნავი სუნი.

ნუნუშკა შემობრუნდა. წამით გაოგნებული იდგა და უცნაურ სანაბობას შეჰყურებდა. მერე გაიცინა:

— ეს რა არის?

— ცოცხალი სიზმარი! — მოზეიმე ხმით უპასუხა ლევანმა.

სიტყვები თანდათან ავსებდნენ ოთახს. ეს მართლაც სიზმარს ჰგავდა — ლევანმა, როგორც ყოველთვის, ზუსტად გამოხატა მოვლენის არსება: ეს მოვლენა — სიტყვების ამოსვლა — სიზმარს ჰგავდა არა იმით, რომ სიზმარივით ბუნდოვანი იყო, პირიქით, — თითოეული სიტყვა, რომელიც ჩვენს წინ ტრიალებდა, სრულიად მკაფიო იყო და გარკვეული. ისინი სიზმარს ჰგავდნენ სწორედ თავისი სიცხადით და შინაგანი მანათობელი ალით — მათში ანათებდა ის შინაარსი, რაც მათშივე იდო, უფრო სწორად, — თვითონ ისინი იყვნენ შინაარსები. სიზმარშიც ხომ სიზმრისეული ხილვები მანათობელი და ცოცხალი შინაარსები არიან. სწორედ ასეთი, ცოცხალი და მანათობელი იყო ეს სიტყვებიც — როგორც სიზმრის სიტყვები, და არა როგორც ჩვენი სალაპარაკო სიტყვები, რომლებიც ხშირად არაფერს გამოხატავენ — მათს მიღმა მტვრიან სარდაფივით გამეფებულა არაფერი.

კიდევ რას ჰგავდა ეს მოვლენა?

ეს ჰგავდა ოკეანის ფსკერს, სადაც სიზმრისეულ არსებებივით მიმოფრინავენ ღრმა წყლის თევზები. იქ მზის სხივები ვერ ჩაატანს — წყალი მუქ-მწვანეა და ფოსფორენცირებული. იქ ჩაწოლილა მარადიული მანათობელი ღამე. ხოლო რაც შეეხება ღრმა წყლის თევზებს — მათი ხილვა საშინელია. იქ, მარადიულ სიბნელეში, ემალება ცხოველთა ნამდვილი სახე. მათ სხვა სახე არც გააჩნიათ — ზოგი მხოლოდ უზარმაზარი დაღრჭენილი ხახაა, ზოგი — არაადამიანურად და არაბუნებრივად გადმოკარკლული თვალები. მაგრამ მათს სახეს ვერავინ ხედავს, რადგან ირგვლივ ფოსფორული წყვდიადია. მხოლოდ ხანდახან, როდესაც მანათობელი თევზი ჩაიფრენს ახლოს, წყვდიადს გამოეყოფიან ეს საშინელი სახეები — ისინი უხმოდ დაცურავენ მარჯნის მეწაფულ რიფებს შორის. ნათელთევზას შუქი ხან აქ, ხან იქ გამოგლეჯს წყვდიადს ამ საშინელ სახეებს. მაგრამ უფრო უცნაური ის არის, რომ ყველაზე საშინელი ურჩხულება სწორედ ეს მანათობელი თევზები არიან — მათ აქვთ გრძელი ელექტრული ულვაშები, კბილებით სავსე დაღრჭენილი ხახა და გამჭვირვალე, უნაყოფო სხეული. ეს ქმნილებები წყლის ზედაპირზე ვერასოდეს ამოვლენ — აქ, ჰაერით სავსე ტყეებში რბილად დაჭრილან ისეთი თვინიერი არსებები, როგორიცაა, მაგალითად, ირემი ან მუფლონი. ღრმა წყლის თევზები კი სამუდამოდ ფსკერს არიან მიჯაჭვულნი, რადგან იმდენად დიდია მათი შინაგანი წნევა, რომ ზედაპირთან მიახლოებისთანავე აფეთქდებიან.

სიტყვები თევზებივით, მსუბუქად დაცურავენ ლევანის ოთახში. აქ იყვნენ მანათობელი ლიფსიტები, მანათობელი ზვიგენები და სხვა ათასგვარი ქმნილება.

ნუნუშკა მათ შორის იდგა, და უეცრად მის მომწვანო თვალებში შევამჩნიე

ზუსტად ისეთივე ნათება, როგორიც ეს სიტყვები იყო. ამ ქალის სიღრმეში იგრძნობოდა რაღაც, ზუსტად ისეთი, რაც ამ სიტყვების სიღრმეშიც იყო — ამ სიტყვებისმიერი — თითქოს მათ ერთი და იგივე წიაღი ჰქონდათ.

სიტყვები უფრო სწრაფად დატრიალდნენ — ეს ლევანმა დაიწყო მათით რაღაც სურათების კონსტრუირება. გაკვირვებით შევამჩნიე — უკვე ხელის განძრევაც აღარ სჭირდებოდა; ასე, პირდაპირ სავარძელში მჯდარი, რაღაც ტელეპატიური უნარის ძალით თავის ნებაზე ამოძრავებდა და აერთებდა სიტყვებს. სიტყვები მას, როგორც იტყვიან, უსიტყვოდ ემორჩილებოდნენ. ლევანს ისინი რაღაცნაირად მოეთვინიერებინა.

— ლევან! რა ფანტასტიკაა! — შესძახა ნუნუმ.

ლევანის წინ ჰაერში სიტყვებისგან შეიქმნა დიდი, მანათობელი გვირგვინი. ეს გვირგვინი ნელა გაცურდა და ნუნუმკას თავზე დაედგა. ასევე შექმნა ლევანმა სიტყვების უკრძესი სერანტინი — ისიც გაცურდა და ნუნუს სხეულზე შემოეხვია. მასში გაეხვია ქალის მკლავები და ტორსი. ბეჭებზე ფრთებივით დაესხა სიტყვების ვრცელი მარაოები.

— ოჰ! — შესძახა ნუნუმ და აღტაცებით გაიცინა.

სიტყვების სერპანტინი ფერადი გველივით დატრიალდა მის გარშემო. მერე ამ გველის მსუბუქი თავი ნუნუს სვეტრის საყელოში ჩაძვრა და შიგ ჩასრიალდა.

— ჰა! რა დღეში ხარ! — სიცილით შეჰყვირა მან.

ლევანი არ ეშვებოდა — ნუნუს ყოველი მხრიდან შემოეხვია სიტყვები, გრძელი სერპანტინი კი თანდათან, უფრო ღრმად მიძვრებოდა მის სამოსში.

— გეყოფა, ლევან! — ნუნუ შეეცადა სიტყვების გველი ხელით მოეშორებინა. მაგრამ სიტყვები უფრო მჭიდროდ შემოეხვივნენ.

— ლევან! გეყოფა-მეთქი! — ნუნუ ცდილობდა სერპანტინი საყელოდან ამოეღო, თან სიცილით იგუდებოდა. — კარგი, გეყოფა! იცოდე, გურამს დავუძახებ. გურამ! გურამ! — საკმაოდ ჩუმად დაიძახა მან.

კარს იქით ხმა გაისმა.

სიტყვები ქარის დაქროლილივით მოწყდნენ ქალის სხეულს და ზარდახშაში ჩასრიალდნენ. ლევანმა სწრაფად დაახურა ზარდახშას თავი. ნუნუ ისევე იდგა — სახეგაცისკრივნებული. ლევანი კმაყოფილი სახით შეჰყურებდა.

კარი გაიღო. ნადია ბებია შემოფრატუნდა.

— Леван, ты не видел мой зонтик? — იკითხა მან.

— რა?

— ჩემი ქოლგა! ქოლგა არ გინახავს?! — წვრილი ხმით აწივლდა ბერიქალი.

— არ მინახავს. რად გინდა ქოლგა ამ სიბნელეში! — ამრეზით თქვა ლევანმა.

— Я должна узнать насчет пенсии. Уже месяц как не приносили. Никак не могу найти свой зонтик.

— ამ შუადამეზე რა პენსია აგიტყდა, ნადია ბებია!

— შუადამეზე კი არა, დილას! დილაზე ვაპირებ წასვლას, — ძლივგასაგონი ხმით წოიდა ნადია ბებია. — Я должна там быть рано утром. А зонтик куда то исчез. Наверное твоя мать взяла.

— ან დილას რად გინდა ზონტიკი! არ წვიმს და არ თოვს!

— რას ჰქვია რად მინდა! Мне нужен мой зонтик! — უკმაყოფილოდ წარმოთქვა მოხუცმა, — Может утром снег пойдет. Ты не брал его?!

— მე რატომ უნდა ამეღო შენი ზონტიკი! სადმე შენს ოთახში იქნება, მადი, იქ ნახე.

— Его нигде нету! Я никак не могу найти свой зонтик.

— კაი რა, ნადია ბებია, რა წაიღე ტვინი ამ შენი ზონტიკით! — ლევანმა ზარდახშა გახსნა და იქიდან სიტყვები პეპლებივით ამოიფენტნენ. — მოდი, ნახე, აქ ხომ არ არის ის შენი ქოლგა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბერიქალი ნელ-ნელა წამოფრატუნდა და თან სათვალეს მიღმიდან გულდასმით აკვირდებოდა სიტყვების ამოფრენას. სიტყვები მისი წყლისფერი თვალების წინ ალიცლიცდნენ.

— ეს რაია? — იკითხა მან.

— სიტყვები! — მიუგო ლევანმა და ორი თითით სიტყვა „ქოლგას“ დასწვდა.

— აი შენი ქოლგა. აგერ ყოფილა! — უთხრა და გაუწოდა.

ნადია ბებია გამოწოდებულ სიტყვას დააკვირდა და უკმაყოფილოდ აწივლდა:

— ეს არაა ჩემი ქოლგა. ეს ბოვშის ქოლგაა. მოაშორე იქით.

— მერე რა, ეს წაიღე ხვალ დილას.

— კარგი ერთი! რას მასხრობ თუ ღმერთი გწამს! Ты все время так балуешься! Разве можно целый день сидеть и баловаться?!

ამის შემდეგ იგი მიბრუნდა და ოთახიდან უკმაყოფილო ნაბიჯით გავიდა. სიტყვები მის ირგვლივ ისრებივით მიმოფრინავდნენ.

ნუნუ საკარძელში ჩაჯდა. ფეხი ფეხზე გადაიდო.

— ლევან, სიგარეტი გაქვს? — თქვა მან.

— მაქვს.

— მომე რა.

— არ მოგცემ, წადი და შენს ქმარს სთხოვე, — უთხრა ლევანმა.

— ოოოჰ. მეზარება გასვლა.

— წელან კარგად ეძახოდი?! — თქვა ლევანმა, — დაუძახე და მოგიტანს.

— კაი, ნუ გაჭირე საქმე. მომე ერთი ღერი!

— პლანი არ გინდა? — ჰკითხა ლევანმა.

— არა.

— არ გაინტერესებს გასინჯვა?

— გასინჯული მაქვს, — მიუგო ნუნუმ. — მოიტა სიგარეტი, თუ მაძლევ.

ლევანმა ჰაერში ერთ-ერთ სიტყვას დაავლო ხელი და გაუწოდა.

—აჰა სიგარეტი.

ეს იყო სიტყვა „სიგარეტი“.

— ოჰ, კაი რა! — გაიცინა ნუნუმ, — მოიტა ნამდვილი სიგარეტი.

ლევანმა სიტყვას ხელი უშვა.

— ნამდვილი სიგარეტი გინდა?

— ჰო.

— მატერიალური?

— ჰო, მატერიალური! — მიუგო ნუნუმ.

— რადა მაიცდამაინც ყველა მე მთხოვს ყველაფერს. წადი, შენს ქმარს გამოართვი, — ლევანი უკმაყოფილოდ შეიჭმუხნა.

— ჩემი ქმარი გათიშულია! — კიდევ უფრო უკმაყოფილოდ თქვა ნუნუმ.

უეცრად თმა ყალყზე დამიდგა. მომეჩვენა, რომ მათი სიტყვები ორაზროვანი იყო. არა ის, რაც ისმოდა — თითქოს მათი საუბრის მიღმა რაღაც სხვა შინაარსი იგულისხმებოდა. ლევანს და ნუნუს შეეხედე. ისინი ერთმანეთს თვალებში უყურებდნენ და მათ შორის ნისლიანი კედელივით, რუხად ჩამოწოლილიყო ჰაერი. სიტყვები უმიზნოდ ფრენდნენ ამ ჰაერში. ზოგი ლევანის თავზემოთ ტრიალებდა. რამდენიმე ჩემს წინაც შეეხეთუფულიყო.

ხელი გავიწოდე და ერთ-ერთი ავიღე.

ეს იყო სიტყვა „ორაზროვნება“. ეს სიტყვა თავისთავად მოფრინდა ჩემს თვალწინ, როგორც ჩანს, სიტყვებს მართლაც ჰქონდათ თვისება — იქ ბაჩენილიყვნენ, სადაც მათი მოთხოვნილება იყო.

სიტყვას სასწრაფოდ ხელი ვუშვი და თავი ისე დავიჭირე, ვითომც სულ სხვა წინადადების კონსტრუირებით ვიყავი გართული. ეს წინადადება დაახლოებით ასე გამოიყურებოდა:

„გაზაფხულის ერთი მშვენიერი მზიანი დილა იყო, როდესაც სოფელ №-ს მისადგომებთან ტყის პირას გამოჩნდა რამოდენიმე ცხენოსანი“... და. ა. შ.

— ჯოვანიკო! — ჩუმად თქვა ნუნუმ.

ლევანს შეეხედე (ჩემი წინადადება მყისვე ჰაერს შეერია), — იგი იჯდა და მის თვალებში გამოსჭვიოდა რაღაცნაირი ჭმუნვა თუ საზრუნავი და ყოფმა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნი, — თითქოს რაღაცა ვერ გადაეწყვიტა. მერე წამოდგა და გაიცინა:

— ნუნუშა, ვინდა შენს ქმარს ჩავგზავნი სიგარეტზე?!

— უყურე, რა თავდაჯერებულია! — ჩაიცინა ნუნუმ, — უცებ არ ჩაგეგზავნოს!

ლევანმაც რაღაცნაირად ჩაიცინა და ოთახიდან გავიდა.

ნუნუც წამოდგა. უკან მიჰყვა. მეც ავდექი. ჯერ დავაპირე, ზარდახშისთვის თავი დამეხურა. მერე გადავფიქრე, მხოლოდ ბანელისას კარი მჭიდროდ მივხურე — მახსოვდა, გაფრთხილება, რომ სიტყვების გაშლილ სივრცეში გამოშვება მიზანშეწონილი არ იყო; კარი მივხურე და სიტყვები ჩაკეტილ ოთახში დარჩნენ. იქ ტრიალებდნენ, ოთახის სრულ სიცარიელეში.

სასტუმრო ოთახში თანამეინახენი ისევ ხალისიანად საუბრობდნენ. ლევანის დედა და თათუნა თავისთვის მიმსხდარიყვნენ სუფრის განაპირას. წინ ყავის ჭიქები. ეგდათ. ვინეგრეტის სახიანი კეთილი ძია თამაზი ხმამაღლა ყვებოდა რაღაც ამბავს.

— ძია თამაზ, გავიგე, იმ დღეს მამაჩემს პოკერში გაუნადგურებიხართ!

თამაზმა თხრობა შეწყვიტა და ლევანს ცერად გადმოხედა:

— ეგ ვინ გითხრა?

— მამაჩემმა და გიზომ მითხრეს.

— შენც, ადექი და დაიჯერე, არა?!

— არ ვიჯერებდი, მაგრამ დამაჯერეს, — თქვა ლევანმა.

ძია თამაზმა ახლა მეგობარს გადახედა:

— ბენო, შენი გასანადგურებელი, და თანაც პოკერში? ეეეჰ! სად არის, იცი?! — და ხელი ჩაქნია.

— რა იყო! ეხლა არ თქვი, არ წამიგიაო! — წარბები აზიდა ლევანის მამამ.

— წაგებით ვის არ წაუგია. მაგრამ განადგურება? ბიჭო, პოკერში შენ და გიზოია მე გამანადგურებთ?! — ჩაიცინა ძია თამაზმა, რაზედაც ძია ბენომ მიუგო:

— განადგურება არ იყო, რაც იმ დღეს შენ და გიზოს დავმართეთ!

— რა განადგურება, თუ ძმა ხარ! სანამ კარე მოგვივიდოდა, თანაბრად არ ვიყავითო?!

— კარეს მოსვლის მერე?! — მოუჭრა ძია ბენომ.

— კარეს მოსვლის მერე გიზომ გააფუჭა თამაში.

— კაი ერთი, გიზომ არა! სლაბები ხართ ერთიც და მეორეც! მორჩა!

— ჩემთვის მოეცა ეგრე და ვნახავდით, -ვინ არის სლაბი! — თქვა ძია თამაზმა.

— ხომ მოგცა სამჯერ ცვეტი!

— ორჯერ მომცა, და ისიც კარტი დამიყარეთ!

— აბა შენ რა გინდა, ძმაო, გამოგყოლოდი? უნდა იცოდე თამაში, სადაც დასაყრელია, უნდა დაყარო! თმა რომ გაქვს თავზე ეგ კი არ არის საკმარისი! — თქვა ბენო ბიძიამ და მელოტ თავზე გადაისვა ხელი.

ნუნუშკა თავის ქმარს მიუახლოვდა (ეგი დუნედ გადაწოლილიყო სკამის საზურგეზე და მოკამათეებს არც კი უსმენდა), კოლოფიდან სიგარეტი ამოიღო, მერე ტანის რხევით შემოუარა მაგიდას და ქალებს მიუჯდა.

ლევანი ორ მოკამათე კაცს ზურგს უკან გაძვრა, მათ გვერდი აუარა, რიგორც ორ კლდეს, და აივანზე გავიდა. მალე ისევ უკან შემობრუნდა.

— გურამ, მგონი შენი მანქანა კეთს! — — მიმართა გურამს.

გურამი გამოცოცხლდა:

— რა იყო?

— მგონი მანქანა კეთს.

გურამი წამოხტა, აივანზე გავიდა და სწრაფად შემობრუნდა.

— რა იყო, გურამ? — სერიოზული სახით იკითხა ბენო ბიძიამ.

— სიგნალიზაცია ჩართულა. ეზოს პაცნები ახლებდნენ ხელს, — გურამმა მიმოიხედა და დაამატა: — ჩავალ, დავხედავ, ნუნუ, მომე გასაღები!

— ჩანთაშია, — მიუგო ნუნუმ.

— გურამ, მაინც მანქანა უნდა გაალო,

ბარემ სიგარეტი ამოიტანე, რა! — მიმართა ლევანმა.

— აგერ არ არის სიგარეტი?

— ამას ვერ ვეწევი.

— მეც ასეთი მაქვს, სხვა კი არა, — მიუგო გურამმა.

— არა უშავს, მაინც წამოიღე.

ძია ბენომ შვილს მწყრალად გადახედა:

— რას ნიშნავს, ბიჭო, არა უშავს! — აგერა გაქვს სიგარეტი და მოწიე! გურამს რადაზე აწუხებ!

— თუ არა გაქვს, ნუ ამოიტან! — მიუბრუნდა ლევანი გურამს.

გურამი კიბეზე დაეშვა.

მე და ლევანი ისევ ოთახში შევბრუნდით. ბოლო მე შევედი და კარი მჭიდროდ მივიხურე. — სიტყვები უმიზნოდ ლიელივებდნენ ჰაერში.

ლევანი საკარძელში ჩაეშვა, საიდანღაც პაპიროსის კოლოფი ამოაძვრინა და ტარიანები ამოყარა. მერე კამოლის ჯიბიდან ჰაშიშის პატარა ბურთი ამოიღო.

— არ გავაბოლოთ თითო? — მკითხა.

— არ მინდა. ღვინო მაქვს დალეული.

ლევანმა ბურთი დაფხვნა და შეკეთება დაიწყო.

კარი გაიღო.

ნუნუ შემოვიდა.

— კარი მიხურე, სიტყვები არ გაგვიფრინდნენ, — თავაუღებლად მიმართა ლევანმა.

ნუნუ ტანის ოდნავი რხევით მოგვიახლოვდა და საკარძელში მოკალათდა.

— რას შვრები?

— პლანს ვაკეთებ.

— ჰმ!..

— ჰა, არ ამოვიდა შენი ქმარი? — ჰკითხა ლევანმა.

— ამოვიდა, — თქვა ნუნუმ, — პოკერის თამაში დაიწყეს.

— ამოიტანა სიგარეტი? — უზრუნველი სახით იკითხა ლევანმა, თან შეკეთებას განაგრძნობდა.

ნუნუმ წამით მე გადმომხედა. წარბები შეჭმუხნა და თქვა:

— სიგნალიზაცია როგორ ჩართე?!

— სიტყვით, — ამაყად განაცხადა ლევანმა პაპიროსი ააფეთქა და ღრმად მოქაჩა.

— როგორ! — შიშით წარმოთქვი მე — სიტყვა გარეთ გაუშვი?

— ჰო, რა იყო, რამ შეგაშინა.

— იმან რომ, დაგავიწყდა, რა გითხრეს კანტორაში? ეხლა ჯარიმას გადაგახდევინებენ.

ლევანმა ამრეზით გადმომხედა.

— დიდი ამბავი! ცოტა ხომ უნდა გაერთოთ! აბა, ისე რად მინდა ეს სიტყვები, არ იცით, რა სიტყვა გაგუშვი? — თქვა და ეშმაკურად გადმოვეხედა.

— რა?

— „სიგნალიზაცია“! — თქვა ლევანმა და უხმო სიცილით ჩაბჟირდა.

ნუნუმ ოდნავ ჩაიცინა, სიგარეტი ჩააქრო.

— ლევან, მიდი რა, კიდევ რამე გააკეთე!

ლევანმა მე გადმომხედა:

— მოდი, ეხლა ზაზამ გააკეთოს რამე. ჰა? რას იტყვი, ზაზა?

მე მორცხვად ავიჩეჩე მხრები.

ლევანი კი ისევ ნუნუს მიუბრუნდა:

— იცი, რა მაგრა იცის სიტყვები?! ოღონდ მარტო ის სიტყვები იცის, რაც წიგნში წაუკითხავს. ერთადერთი კაცია, ვინც სიტყვების ცოდნაში შემეჯიბრება.

— ჰოო? — უინტერესოდ თქვა ნუნუმ.

ცოტა არ იყოს, გავბრაზდი და გადაგწყვიტე რამე მარილა შემექმნა. თანაც — არა ნასწავლი, არამედ ჩემი და დამოუკიდებელი.

— მე მარტო ლიტერატურული სიტყვები ვიცი, — მაინც დავიზღვიე თავი.

— მიდი, მერე, რამე გააკეთე, — თქვა ლევანმა.

მე წამით დავფიქრდი, მერე ჩემს წინ მოლივლივე სიტყვებს დავწვდი და კონსტრუირება დავიწყე:

მიწურვილ იყო ზაფხული, ქვეყნით
ამოსვლა მწვანისა,
ვარდის ფურცლობის ნიშანი, დრო
მათის პაემანისა,
ეტლის ცვალება მზისაგან, შეუდღომა
სარატანისა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სულთქნა რა ნახა ყავილნი მან
უნახავმან ხანისა,
აგრგვინდა ცა და ღრუბელნი ცროდეს
ბროლისა ცვარითა...

აქ გავიჭედე, — ტექსტი აღარ მახსოვდა. მაგრამ ის, რაც უკვე შევქმენი, თვალწარმტაცი სილამაზის ხომლად ეკიდა ჩემს წინაშე.

— ეს რა არის? — იკითხა ლევანმა.

— ვეფხისტყაოსანია!

— საინტერესოა, — თქვა ნუნუმ.

— ეს ის მომენტია, როდესაც ავთანდილი გაიგებს ნესტანის ადგილსამყოფელს და გახარებული უკან ბრუნდება, — ვთქვი მე. — ტექსტი აქ ზეპირად აღარ მახსოვს. წარმოიდგინეთ, აი, ამ ბაღნარში თეთრ ცხენს მოაჭენებს თეთრად მოსილი რაინდი.

— მაგას ჩვენ კი ნუ გვეუბნები, შექმენი! — მითხრა ლევანმა.

— ტექსტი ზეპირად აღარ მახსოვს... დაახლოებით ასეა: — ავიღე და შევქმენი რამდენიმე სურათი, — აქ იყო თეთრი ცხენი... უფრო სწორად, — თეთრი ტაიჭი და მასზე მჯდარი გაბრწყინებული ავთანდილი.

— რა საინტერესოა, — უინტერესოდ ჩაილაპარაკა ნუნუმ.

მე ჩავახველე და ჯიუტად განვაგრძე სავარძელში ჯდომა.

ლევანი ჩემს ქმნილებას დაკვირდა.

— რაღაც, ზიჩის ნახატს მაგონებს, — მითხრა მან, და მეც, ჩემდა გასაკვირად, დავინახე, რომ მართლაც ძალიან ჰგავდა.

— ჰმ... ჰო... რა ვიცი... როგორც ჩანს, ეგ ნახატი არაცნობიერად თვალწინ მედგა, — ვთქვი უხერხულად.

— მიდი, კიდევ რამე სცადე. ნუ ხარ შებოჭილი!

წამით დავფიქრდი და დავიწყე:

კარვის კალთა ჩახლართული ჩაჭრა,
ჩაკარაბაკა,
ყრმასა ფერხთით მოეკიდა, თავი
სვეტსა შეუტაკა...

მაგრამ წამსვე შევწყვიტე და შევძახე:

— არა! არა! ეს არა! პირველი პირი არ მემორჩილება! სხვა რამეს მოვიგონებ!

— მიდი, მიდი, — თქვა ლევანმა. — ისე, რომელ სვეტებზე ვკონდა ლაპარაკი? — ორაზროვნად მკითხა მან.

— ჰმ, ჰმ. აქ ლაპარაკია იმაზე, რომ ნესტან-დარეჯანმა ტარიელს საქმრო მოაკვლევინა, — დავიწყე და დავდუმდი: უეცრად ვიგრძენი, რომ ჩემი ლაპარაკიც, რაღაც ჩემგან დამოუკიდებელი, აუხსნელი მიზეზის გამო ორაზროვანი გამოდიოდა.

ლევანი ღრმად ჩაფიქრდა. მერე მკითხა:

— საქმრო რატომ მოაკვლევინა?

— იმიტომ რომ, ნესტანს ტარიელი უყვარდა. მშობლები კი სხვაზე ათხოვებდნენ, — განვმარტე.

— ფუ, რა კოშმარია! — ჩაილაპარაკა ლევანმა და ისევ რაღაცაზე ჩაფიქრდა.

— თქვენ ვეფხისტყაოსნის სპეციალისტი ხართ? — მკითხა ნუნუმ რაღაცნაირი სინარნარით.

— არა, როგორ გეკადრებათ. უბრალოდ, რაღაც ადგილები ძალიან მიყვარს, — ვთქვი უხერხულად.

წამით სიჩუმე ჩამოვარდა.

მე ისევ ამოვურიე სიტყვებს ხელი და დავიწყე:

დავარ თქვა — მქმნელი ამისი ვინ არ
დაჰქოლოს, ვინ არ და...
დანა დაიცა, მოცაკვდა, დაეცა,
გასისხლმდინარდა...

— ფუ, რა კოშმარია, — ყრუდ ჩაილაპარაკა ლევანმა.

ნუნუმ ჩემს ნამოქმედარს მხლოდ ზერელედ შეავლო თვალი.

და უცებ ვიგრძენი, რომ მთელი „ვეფხისტყაოსანი“ რაღაც უმნიშვნელო, უაზრო და უბადრუკი ქმნილება იყო. ან იქნებ „ვეფხისტყაოსანი“ კი არ იყო უბადრუკი, არამედ ის „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც ჩემს ცნობიერებაში ირეკლებოდა?

რაღაცნაირი, მრუმე სიჩუმე ჩამოვარდა.

მერე ლევანმა შესძახა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რა გააჭირე საქმე ამ სისხლიანი სცენებით. მიდი რა, შენ თვითონ მოიფიქრე რამე, შეეშვი ამ კლასიკურ ლიტერატურას!

— კარგი, კარგი, ეხლავე, — მივუგე მე. — მარლი ცოტა ნაღვლიანი გამომივიდა, უფრო ცოცხალ რამეს ვცდი!

მერე წამით დავფიქრდი — მინდოდა რაიმე ცხოვრებისეული დეტალი აღმედგინა. გამახსენდა ჩემი ალპინიადაზე ყოფნა, ხევსურეთი, სნოს ხეობაში ლაშქრობა — იქ თამუნაც იყო. — და იმედიანად დავაპირე დამეწყო, მაგრამ სიტყვა „მე“ ისევ ვერსად აღმოვაჩინე და სხვანაირად შევუდექი:

„ოთარმა ზურგჩანთა მოიხსნა, ბილიკის განაპირას, ლოდზე დადო. ბათინკის თასმა შეხსნოდა. დაიხარა. თასმა მჭიდროდ შეიკრა და მის უკან მომავალ თამრიკოს შეხედა.

— დაიღალე?

— დავიღალე! — თამრიკოც მის გვერდზე შედგა.

— შემდეგ ბანაკამდე ავიდეთ და იქ დავისვენოთ. ბიჭები, ალბათ, უკვე გველოდებიან.

თამრიკომ შორეულ მწვერვალებს მოავლო თვალი. მის წინ გადაშლილიყო ხდის ხეობის პირქუში მწვერვალები. თოვლი ერთფეროვნად ბრწყინავდა მზის სინათლეზე და ეს დაუსრულებელი, უგულო პეიზაჟი სასოწარკვეთილებით ავსებდა ქალიშვილს.

— ოთარ! შეშინაა! — წარმოთქვა მან.

— რისი გეშინია?

— არ ვიცი...“

აქ გავიჭედე. ვერაფრით წარმოვიდგინე, რისი უნდა შინებოდა თამრიკოს, ამ მრავალნაცად ალპინისტს. უმწეოდ გადავხედე ნუნუს და ლევანს. ისინი ინტერესით მაღვენებდნენ თვალს — თითქოს რაღაც არნახულს ვაკეთებდი.

— მიდი, მიდი, განაგრძე! — შემაგულიანა ლევანმა.

— რაღაც არ ებმება.

— ისე, თუ საიდუმლო არ არის, ეს ოთარი ვინ იხერია? — მკითხა ლევანმა.

— რა ვიცი. უბრალოდ, პერსონაჟია. პირველ პირში, რაღაც, არ გამომდის.

ლევანმა წარბები აწია:

— პირში რაღაც ამოგდის? — მკითხა სერიოზულად.

— პირველ პირში არ გამოდის შეთხზვა. ამიტომ გმირს ოთარი ვუწოდე.

— აჰა, გასაგებია. სინამდვილეში შენა ხარ, არა?!

— როგორ გითხრა... ნაწილობრივ, ცხადია, მე თვითონ ვარ. მაგრამ, გარკვეულწილად, გამოგონილი პერსონაჟია.

— თამრიკო?

— თამრიკოც ასევე.

— რატომ აღარ აგრძელებ?

— ცოტა დაფიქრება მჭირდება. ასე იოლი კი არ არის.

— იფიქრე, ნუ გერიდება, — ლევანმა პაპიროსი მოქაჩა.

ხელები ავწიე და თხზვა განვაგრძე:

„ოთარმა სიგარეტი ამოიღო. მაშინალურად მიიტანა პირთან. მერე თავის თავზე ვაეცინა — სამაათას ზუთახი მეტრის მიჯნაზე თამბაქო?! თუმცა თავგადაკლული მწეველი იყო, ახლა მაინც არ ივარგებდა მოწევა. თამრიკოს გადაჰხედა. ქალიშვილი გაფართოებული თვალებით შემოსცქეროდა.

— ოთარ. რას შერება. სიგარეტის მოწევას აპირებ?!

ოთარს გაეცინა. სიგარეტი მოისროლა. ღერი მსუბუქად ჩაეფლო თოვლში და პატარა თეთრი ნაჭდევი დატოვა.

— საერთოდ, კაცები ძალიან ბევრს ეწევიან, არა?

— ჰო, ძალიან ბევრს. მეც ძალიან ბევრს ვეწეოდი, განსაკუთრებით, როცა ჯარში ვიყავი. იქ თუთუნს გაზეთის ქაღალდში ვახვევდით და ისე ვეწეოდით ბიჭები.

— ოჰ, ალბათ, რა საშინელია ჯარში ყოფნა.

— იცი, ერთის მხრივ, რა თქმა უნდა, საშინელება იყო, მაგრამ მეორე მხრივ, ჯარშიც არის თავისებური რომანტიკა. ისევე, როგორც მთაში. მთა, ჯარი და ციხე — ეს სამია ადამიანის ჭეშმარიტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოცდის ადგილი. აქ ებრძოლება და ამარცხებს ადამიანი საკუთარ თავს!

თამრიკოს თვალები გაუფართოვდა.

— შენ ციხეშიც მჯდარხარ, ოთარ?!

— არა!

მზე დასავლეთისკენ გადაწვერილიყო. მთის მწვერვალებს კვერცხისგულისფრად მოსდებოდა ელვარე სხივები. სადღაც შორს და დაბლ, ხეობებს შორის დაფრინავდა ერთადერთი ქორი. ოთარმა ბილიკს გახედა.

— წავიდეთ, თამრიკო, თორემ, ბანაკამდე კიდევ სამი კილომეტრი დაგვრჩა.

ადგილიდან დაიძრნენ. ოთარმა იგრძნო — ბათინკის თასმა შეხსნოდა. შეჩარდა. დაიხარა. თასმა მჭიდროდ შეიკრა"...

— რაღაც ძალიან ბევრჯერ შეეხსნა ეგ თასმა! — ყრუ ხმით მითხრა ლევანმა.

შევცბი.

— ჰო, ეს მგონი უკვე ვთქვი! — ჩავილაპარაკე მობოდიშებით. — ისე, მგონი საკმარისია. მერეც დაახლოებით ასე გრძელდება ეს ამბავი.

ვთქვი, და ლევანსა და ნუნუს გადავხედე: ეს მთლად მართალი არ იყო — მინდოდა ცოტა კიდევ გამეგრძელებინა თხრობა და იმ დრამატულ სულიერ კოლიზიამდე მივსულიყავი, სადაც ოთარი გახელებული შეებმება თავის თავს, მაგრამ ვეღარ გავრისკე.

ლევანმა გაიზმორა და გაიცინა.

— რამე, უფრო საინტერესო არ იქნება?

— უფრო საინტერესო რაღა გინდა? — ვთქვი გაცბუნებულმა.

— რამე არ უნდა მოხდეს?

— რა უნდა მოხდეს ამ უბადრუკ ქვეყანაში?!

— აი, მაგალითად, ოთარმა რომ თამრიკოს აკოცოს, ამით რა დაშავდება?

— არაფერიც არ დაშავდება — ყოყმანით მივუგე, — მაგრამ ეგ ვითომ რა საინტერესო იქნება?!

— შენ რაღაცას იტყუილები, ხო იცი!

— არაფერსაც არ ვიტყუილებ!

— აბა, რატო არ კოცნი?

— რატომ უნდა ვაკოცო?! — შევძახე მე.

— იმიტომ რომ, ლამაზი ქალია. რა, არ გინდა? — ლევანმა გამომცდელად შემომხედა.

— რატომაც არ მინდა. მაგრამ ამჟამად მაგის სიტუაცია არ არის.

ლევანს ჩაეცინა.

— რატომ?

— რა რატომ?!

— რატომ არ არის მაგის სიტუაცია?

— იმიტომ, რომ სამიათას ხუთასი მეტრის მიჯნაზე არიან, თოვლში.

— მერე თოვლში ქალის მოხვევნას რა სჯობია?! — თქვა ლევანმა.

მე წამით დავიბენი. მერე გამოვძებნე:

— კი ბატონო... მოეხვიოს თუ ასე გინდა.

ხელი აეწია და გამოვსახე:

„ოთარი თამრიკოს მიუახლოვდა და თვალებში ჩახედა. ქალიშვილი უძრავად იდგა. მომნდობი მზერით უყურებდა ვაჟს. ოთარმა ხელი ნელა ასწია. ლოყაზე ჩამოუსვა თამრიკოს.

— რას შვრები, ოთარ! — დაიჩურჩულა ქალიშვილმა.

— შენ ლამაზი თვალები გაქვს, თამრიკო!

— არა მაქვს ლამაზი თვალები? — თამრიკომ ტუჩები გაბუტულად დაეწყო.

— კი, შენ ძალიან ლამაზი თვალები გაქვს, თამრიკო. შენი თვალები მე მაგონებს მთვარის შუქით განათებულ კამკამა ტბებს.

ოთარმა ქალიშვილს წელზე ხელი შემოხვია და ახლოს მიიზიდა.

— ოჰ, რა ლონიერი ხარ, ოთარ!

— შენ კი რა ნაზი ხარ!

— არა ვარ ნაზი, — თამრიკომ ტუჩები გაბუსხა.

— მე კი გეუბნები, რომ ნაზი ხარ, — ოთარმა მძლავრად მიიზიდა ქალიშვილი.

— არ მატკინო, ოთარ!

— ნუ გეშინია!

— მეშინია, ოთარ!

— რისა გეშინია?

— არ ვიცი..."

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქ ისევ გამეჭედ. ვერა და ვერ მოვიფიქრე, მაინც რის შეიძლებოდა შინებოდა თამრიკოს. ხელი ნელა ავწიე და ყოყმანით გავიმეორე:

— „ნუ გეშინია, თამრიკო!

— აღარ მეშინია, ოთარ!“...

— ეს რა აბდაუბდა?! — მკითხა ლევანმა.

— რა ვიცი, რატომღაც გავიჭედე! — ვთქვი შეებუნებულმა და ნუნუს გადავხედე. მას, რატომღაც, ჩაეცინა.

ლევანმაც გაიცინა:

— რას მიედ-მოედები, ჯიგარო. პირდაპირ თქვი, რასაც ფიქრობ!

— პირდაპირ ვამბობ, აბა რა, მეტი რა გინდა? — მივუგე მე.

— ეგ რა პირდაპირ თქმაა! მოდი, თუ გინდა, მე გავაგრძელებ.

— გაგრძელე, კი ბატონო! — ვთქვი და სავარძლის საზურგეს ვალმოხდილი სახით მივესვენე.

ლევანიც სავარძლის საზურგეზე გადაწვა და მის წინ სწრაფად დატრიალდნენ სიტყვები — იგი უკვე ვირტუოზულად ფლობდა მართვის უნარს.

— შენს სტილში გავაგრძელებ, — თქვა ლევანმა და დაიწყო:

— „მეშინია, ოთარ!

— ¡რისა გეშინია. თამრიკო?

— იმის, რომ მარტო დავრჩები.

(ჩამეცინა).

— მე შენ არ დაგტოვებ, თამრიკო! — უთხრა ოთარმა და მისი სახე ხელებს შორის მოიქცია.

— ყველა ადამიანი მარტო რჩება საბოლოოდ, — თქვა თამრიკომ.

ოთარმა გაიცინა:

— ასე გგონია?

— ჰო, ასე მგონია.

ოთარმა თავი დახარა და თამრიკოს შეცივებულ ღვინისფერ ტუჩებზე დაეწაფა. დიდხანს ჰკოცნიდა. მერე თავი ასწია და ჰკითხა:

— ეხლაც ასე გგონია?

თამრიკომ უხმოდ დაუქნია თავი.

მათ ორგვლივ გამეფებულიყო თეთრი მდუმარება.

მაშინ ოთარმა ფრთხილად აიყვანა თამრიკო და თოვლზე დაეწვინა... არა, თოვლზე ცოიდა... ოთარმა თამრიკო წაიყვანა განმარტოებით მდგარ მიტოვებულ ქოხისკენ. კარი ჭრიალით გაიღო. ქალ-ვაჟი ქოხში შევიდა. კარი მიხურეს. იქ სითბო იყო. ბუზარი ენთო. კუთხეში დათვის ტყავები იყო გაშლილი.

ოთარმა დათვის ტყავზე დაეწვინა ქალიშვილი და თვითონაც დაწვა. ქურთუკი გაუხსნა. ტანსაცმელი გადაუღეღა.

— თამრიკო, რატომ გაქვს ასეთი დიდი ტუჩები? — ჰკითხა ოთარმა და ტუჩებში აკოცა.

— იმიტომ, რომ კარგად გაკოცო, — დაიჩურჩულა თამრიკომ.

— თამრიკო, რატომ გაქვს ასეთი მაღალი მკერდი? — ოთარის ხელი თამრიკოს ძუძუებს მისწვდა და მოუსრისა.

— ოჰ, იმიტომ, რომ ბევრი რძე მჭონდეს და ათასობით შვილს ვაწოვო ძუძუ, — ამოიოხრა თამრიკომ.

— თამრიკო, რატომ გაქვს ასეთი რბილი მუცელი? — ოთარის ხელი ქალის მუცელზე ჩაცურდა, მოეფერა და ქამრის შეხსნა დაუწყო.

— იმიტომ, რომ კარგად მომეფერო.

კაცის თითებმა ქამარი შეუხსნა, კაბა ფეხებზე ჩაუცურა.

— თამრიკო, რატომ გაქვს ასეთი მოქნილი ბარძაყები? — კაცმა ბარძაყები მოუსრისა.

— ოჰ, იმიტომ, რომ, ცხენს მოვახტე და მთელი დღეები ვაჯირითო, — თქვა ქალმა“...

— ეს რა უბედურებაა! — მკაცრად შევძახე მე.

— მაცალე. ცოტა მეტი ეროტიკა, — საქმიანად შენიშნა ლევანმა და განაგრძო:

— „თამრიკო, რატომ გაქვს ასეთი ნაზი კანი? — ოთარმა ხელი ფეხებს შორის შეუცურა და ფეხები გადააშლევინა. ქალის თხელი ბარძაყები მისი ხელისგულის ქვეშ ასრიალდნენ. ოთარმა მეორე ხელი მის გაშლილ თმაში შეაცურა და გახსნილ ტუჩებზე დაეწაფა. ქალი უფრო და უფრო ეხვეოდა კაცს და მთელი სხეულით თრთოდა. ოთარის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელი მისწვდა თამრიკოს ბიკინებს და შიგ ჩასრიალდა. ქალმა მიბნედილი ხმით დაიკვნესა“...

— ჰა, როგორია?! — მკითხა ლევანმა.

მე ყურებამდე გაწითლებული ვიჯექი და ვცდილობდი ნუნუსკენ არ გამეხედა.

— რამ გაგაწითლა? — მკითხა ლევანმა, — მოხარშული კიბო ხომ არა ხარ?

ჩავახველე და შევძახე:

— ეს რა არის! ჩემი მოთხრობა ასე არ გრძელდებოდა!

— რატო, ეს უფრო საინტერესო არ არის, ვიდრე გაუთავებლად შნუროკის გახსნა და შეკვრა?

— არა! — ვთქვი ჯიუტად.

— კარგი, მაშინ შენ თვითონ მითხარი, როგორ გინდა და ისე გავაგრძელებ, — შემთავაზა ლევანმა.

ისევ ჩავახველე:

— ჩემთვის სულ ერთია. როგორც გინდა ისე გააგრძელე. ეგ ჩემი მოთხრობა აღარ არის.

— ჰა, — მაქეზებდა ლევანი, — მიდი, შეკვეთა მომეცი და აქვე გამოგიცხობ.

მე არ ვუპასუხე.

— გესმის, ნუნუშკა. ეხლა ზაზა შეკვეთას მომცემს და აქვე ოსტატურად შეავსრულებ. მიდი, მოიფიქრე, რა გინდა!

არ ვუპასუხე. რადგან ვერ წარმომედგინა, რა შეკვეთა უნდა მომეცა.

— ჰა, რაშ დაგამუნჯა, ამოიღე ხმა. ნებისმიერ დაკვეთას ვასრულებ.

ისევ არ ვუპასუხე.

— აბა, დავიწყოთ. „ზაზას დაკვეთა“, ასე დავარქვათ, — თქვა ლევანმა.

მე უხმოდ გავაბოლე სიგარეტი.

— დავიწყე. „ზაზას დაკვეთა“, „იმპრესიონისტული ჩანახატი“, — განაცხადა ლევანმა. მის წინ სწრაფად დაიწყეს ოავმოყრა სიტყვებმა.

მალე მზად იყო.

დაბეჭდე — ეს იყო „ზაზას დაკვეთა“.

ანუ, ესე იგი, ჩემი დაკვეთა. ამ არაშზადას სიტყვებისგან შეეკერა მე. ეს „მე“ ორი წვეთი წყალივით მგავდა. იგი პირქვე გართხმული იწვა საყასბო დახლზე — ხელები ტანის გასწვრივ, ფეხები შეტყუპული და გაჭიმული, თვალები მკვდარი და პლასტმასისფერად ბაფალილი... და უზარმაზარი ბრტყელი ნაკვახი ასო-ასოდ კვეთდა მას, როგორც რაშ ბურვაკს ან ძეხვს. დაკვეთა მალე დასრულდა. და იწვა ეს უბედური, როგორც დაფასცებული საქონელი. მთელს სიგრძეზე რამდენიმე დიდ ნაჭრად იყო დაკვეთილი, — ერთ ნაჭერს შეადგენდა თავი და კისერი, მეორეს — მხრები და გულ-მკერდის ზედა ნაწილი, მესამე — მუცელი და მასზე მიტყუპებული მკლავების ტაკვები, მეოთხე — მაღლა აზიდული დუნდულები და ხელის მტევნები მაჯებითურთ, მეხუთე — ბარძაყები, მეექვსე — წვივები, მეშვიდე ტერფები და ასე შემდეგ... (თუმცა, მეტი რაღაა).

გამეცინა.

— ოჰ, შე ნაძირალა! —შევძახე.

— დაიცა, ჯერ არ დამმთავრებია!

ლევანმა განაგრძო:

უეცრად ამ გვამიდან, ბაზრის მქისე დახლზე გართხმული ამ დაკვეთილი ხორციდან საშინელი კივილით ამოიჭრა მოწითალო ალი — ეს იყო მისი სული, რომელიც აქ, ჩვენს თვალწინ ტოვებდა თავისსავე დაკვეთილ სხეულს. სულს თან ადამიანის სახე ჰქონდა, და თან აღარც ჰქონდა, პირი უხმო კივილში დაეღო და გადმოკარკლულ თვალებში ჩასდგომოდა საშინელება. იგი მიჰქროდა სადღაც, უკან და მაღლა, სასაფლაოს ბნელი ნაძვების მიმართულებით, სადაც ღრუბლებში ეკიდა გაცრეცილი და ლაჟე კვერცხივით თოხლო მთვარე. სასაფლაოს მკვდარ სიჩუმეში იწვა ჩემი დაკვეთილი გვამი და უკანა მხრიდან, საბნელიდან, მისკენ მოიწევდა უზარმაზარი, ღორივით გასუქებული თეთრი ვირაზა. ვირთხას კბილები საზარელ ღიმილში დაეკრიჭა და მის ბურთისებრ სხეულში გამოსჭვიოდა დაუსრულებელი სისასტიკე, ტკბობა და კმაყოფილება.

— ესეც ასე, „ზაზას დაკვეთა“ დამთავრებულია, — თქვა ლევანმა, თავისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

შედეგრი ჰაერში დაუდევრად აუშვა და ნუნუს მიუბრუნდა:

— ნუნუშა, შენც დამიკვეთე რამე, არ გინდა?

— მადლობელი ვარ, — მშვიდად თქვა ნუნუმ.

— რა იყო, ეროტიკა არ მოგეწონა თუ უჟანი?

— არც ერთი და არც მეორე.

— აბა, რა გინდა?

— შენც კარგად იცი.

— მაინც?

— რამე, უფრო აქტუალური, — თქვა ნუნუმ.

— მერე შენმა ქმარმა რომ წაგვასწროს აქტზე? — ირონიული სიცილით ჰკითხა ლევანმა.

ნუნუმ რაღაც უცნაური მზერით უპასუხა.

მოულოდნელად სიტყვების მთელი ფლოტილია ჰაერში აიჭრა და ნუნუსკენ გაექანა. სიტყვები ერთდებოდნენ უზარმაზარ არსებებად და გარშემო ეხვეოდნენ ქალს. ნუნუმ ხელებით სცადა მათი მოგერიება. ამაოდ. უზარმაზარ ქმნილებათა საცეცები ყოველი მხრიდან შემოეხვია და უეცრად ჰაერში აიტაცა.

ნუნუმ შეჰკივლა.

— ფრთხილად, ლევან!

ლევანმა ქმაყოფილი სახით შეხედა და უეცრად ნუნუ ჭერისკენ გაქანდა. მანათობელი სიტყვები მის გარშემო კოშტებივით დაჰქრიდნენ.

— ჩამომიყვანე! — შეჭკივლა ნუნუმ.

სიტყვები უარესი ძალით დატრიალდნენ.

— ჩამომიყვანე, ლევან! მეშინია! — დაიყვირა ნუნუმ.

— რისი გეშინია, ნუნუშა? — ჰკითხა ლევანმა და ირონიულად გადმოხედა.

—მეშინია, დავიცემი! — შესძახა ნუნუმ და, ვფიცავ, ამ სიტყვებშიც რაღაც ორაზროვნება დავიჭირე. მაგრამ ამაზე აღარ მიფიქრია. აღარც ოთარი და თამრიკო მახსოვდა.

— ჩამოსვი, არ ჩამოვარდეს! — შეშფოთებით წამოვიძახე.

ლევანმა გაიცინა, და მოულოდნელად თვითონაც, სიტყვების ფრთებით ატაცებული, ჰაერში აფრინდა.

რამდენიმე წუთს ისინი ერთმანეთის პირისპირ ტრიალებდნენ სიტყვის ღრუბლებში გახვეულები, როგორც ლიფსიტების ლაშქრით გარშემორტყმული ორი უზარმაზარი ნაიელთეზა. მე სავარძელში ვიჯექი, როგორც უზარმაზარი ბრტყელი მედუზა, თვალები ზემოთკენ მქონდა აკუსული და ხელებს — საცეცებს — უაზროდ ვამოძრავებდი.

ნუნუმ შეჰკივლა და ლევანისკენ გაიწოდა ხელები.

ლევანმაც გაიწოდა ხელები. მაგრად ჩასჭიდა.

— ნუ გეშინია! — იცინოდა იგი.

— მეშინია, ჩამომსვი! — იცინოდა ნუნუ და მათს ბედნიერებას, როგორც იტყვიან, საზღვარი არ ჰქონდა.

მცირე ხანს ასე, ხელჩაკიდებული ლივლივებდნენ ჰაერში.

— ნუნუშკაა! — ჩუმი ყვირილით, როგორც შორიდან, დაუძახა ლევანმა.

— ლევანჩოო!.. — ასეთივე ჩუმი ყვირილით გამოსძახა ნუნუმ, — სიტყვები მსუბუქად მიაქროლებდნენ მის მოქნილ სხეულს კარისკენ. მე შტერივით გავაყოლე თვალი.

სიტყვებმა ნუნუ შემოსასვლელ კარიან კედელზე მიაკრეს — ზემოთ, იატაკიდან კარგა მოშორებით.

— ჩამომიყვანე, ლევან!

სიტყვებმა ნუნუს ხელები აქეთ-იქით აუწიეს. იგი უღონოდ ემორჩილებოდა და მხოლოდ უცნაურად იცინოდა — თან თითქოს ქვითინებდა, როგორც კინოებშია ხოლმე. ახლა იგი ჯეკარზე მილურსმულივით აკვროდა კედელს. თმა ჩამოეშალა, აეწეწა. სიტყვების გველებმა მის სხეულზე დაიწყეს სრიალი და ფათური.

— გეყოფა, ლევან!

— დონ ჯოვანი დამიძახე! — შეჰყვირა ლევანმა. იგი ისევ ოთახის ცენტრში ფრენდა სიტყვების ფრთებით.

აქ დაიწყო რაღაც უცნაური ბრძოლა — ნუნუ ცდილობდა ხელებით საკუთარ სხეულს მისწვდომოდა, რათა როგორმე შეეჩერებინა სიტყვების თავა-

შვებული ფათური, სიტყვები კი მას ყელზე ეხვეოდნენ, როგორც ლიანები, საკინძეში უძვრებოდნენ, მუხლებზე ელამუნებოდნენ. წამით მომეჩვენა, რომ იგი ჭაობდა მდინარეში ჩაძირულ ქალიშვილს, რომელმაც ეს-ესაა ფეხებზე ქვა გამოიბა და თავი დაიხრჩო. მის ირგვლივ წყალმცენარეები ირწევიან, სხეულზე ეხვევიან, მისი თმა წყალში გაშლილა, ირგვლივ გამეფებული წყლის მრუმე და მანათობელი მწვანე.

— ლევან, ჩამომსვი-მეთქი! — დაიყვირა ქანცმიხდილმა ნუნუმ. იგი უკვე ალარ იბრძოდა. ვეღარ ერეოდა სიტყვების ახალ და ახალ ჭაველებს და სიცილის ისტერიულ შემოტევებს.

— ჩამოსვი, ლევან! — შეეყვირე მეც.

— ლევან, ჩამომსვი, მარტო არა ვართ!

და ამ დროს კარს მიღმიდან ხმა გაისმა.

ლევანი სწრაფად დაეშვა სავარძელში. ნუნუც სწრაფად დაეშვა იატაკზე და იქვე ჩაიკეცა. სიტყვები საშინელი ხივლით გაექანენ ზარდახშის ღრიჭოსკენ, ლევანმა ზარდახშას თავი დაახურა. — ეს ყველაფერი ერთ წამში მოხდა — და კარიც შემოიღო.

კარებში გურამი იდგა.

— რა ხდება აქ? — შესძახა მან და მიმოიხედა.

ნუნუ უხმოდ წამოდგა ფეხზე. თმას ისწორებდა. ლევანი უშფოთველი სახით უყურებდა გურამს.

— რა ხდება-მეთქი? რა ხმაური იყო?

— არაფერი. გურამ, სიგარეტი ხომ არ ამოგიტანია? — მშვიდად ჰკითხა ლევანმა.

— სიგარეტი არა!.. ნუნუშკა, რამ აგიწეწა თმა?

ნუნუ ღრმა და დაკმაყოფილებული მზერით შეხედა გურამს. არაფერი უპასუხია.

ლევანმა ნახევრადჩამწვარ პაპიროსს დაავლო ხელი:

— გურამ, პლანს არ მოსწევ? — ჰკითხა უმანკო სახით.

გურამმა მკაცრად ჩაახველა.

— შენ მანდ ნუ მიჰქარავ, გესმის! თორემ თუ მამაშენმა გაიგო, ხო იცი...

— კაი რა, გურამ, ნუ გვიბრაზდები! თქვა ლევანმა.

— ნუნუ, მოემზადე, მივდივართ! — შუბლშეკვრით თქვა გურამმა, მკვეთრად შეტრიალდა და ოთახიდან გავიდა.

ნუნუმ მის ზურგს უკან კარი მიხურა.

— რა ფანტასტიკა იყო! — ბედნიერი სახით თქვა და გაიცინა.

— ფანტასტიურია! — ლევანმა ზარდახშას კვლავ ახადა თავი. სიტყვები ნელა, დაღლილ ღამის პეპლებივით აფარფატდნენ ჰაერში.

— ეხლა რა მოვიგონოთ?

— ეჰ, მე უნდა წავიდე. გურამი ალარ მომასვენებს, — თქვა ნუნუმ და დალაგებულ თმაზე ხელი გადაისვა.

მეც წამოვდექი.

და ამ დროს კარი თითქმის შემოიგლეჯა.

სამივენი შეეკრთით.

ჩვენს წინ გავეშებული სახით იდგა ძია ბენო.

იგი სწრაფი ნაბიჯით შემოვიდა და პირდაპირ ლევანისკენ გამოექანა.

უკან ლევანის დედა მოსდევდა.

— მართალია, ბიჭო?! — დაიყვირა ძია ბენომ.

— რა, მამა? — უწყინარი სახით იკითხა ლევანმა.

— რას შერებოდი შენ აქ?!

— არაფერს.

— რას ჰქვია, არაფერს, შე ლაწირაკო! — დაიღრიალა ძია ბენომ და პაპიროსის ნამწვავს დაავლო ხელი, — აბა ეს რა არის?!

— არაფერი. პაპიროსია...

— პაპიროსი? — ბენომ საფერფლეს ძლიერად გაჰკრა ხელი და ფერფლი იატაკზე გადაფანტა, — პაპიროსს გიჩვენებ მე შენ!

— ბენო, ბენო, გეყოფა, ბენო, უხერხულია! — ჩასჩიჩინებდა მეუღლე.

ბენომ ხელი აღმართა და ლევანისკენ გაიწია, მაგრამ უდიდესი ძალისხმევით შეიკავა თავი და მოღერებული ხელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგიდას თხლიშა. მერე ცოლს მიუბრუნდა და იყვირა:

— გამოექომაგე, ჰო, ვერ ხედავ, დებილი გყავს შვილი! არანორმალური! ნუნუშკას რა უთხარი შენ?! — დაუღრიალა ისევ ლევანს.

— კარგი, ბენო, არაფერი არ უთქვამს, რა მოგივდა! — ჩაერია ნუნუშკა.

— კარგი, გეყოფა, ბენო! იცოდე, ეხლა მეც ისტერიკას გავმართავ! — წამოიძახა ლევანის დედამ და მეუღლეს მტკიცედ შეაჩერდა ქვემოდან.

ბენომ გაეკშებული სახით მიმოიხედა — კიდევ კარგი, მე ვერც კი შემამჩნია, მერე მიტრიალდა და ზვავივით გავარდა ოთახიდან.

ნუნუშკა ისევ კარებში იდგა. ბენოს გასვლისას მხრები გაკვირვებით აიჩეჩა.

კარებში გამოჩნდა ვინეგრეტის სახიანი გულკეთილი ძია თამაზი. იგი თავს აქეთ-იქით აქნევდა და ლევანს ეუბნებოდა:

— ლევან! არ მომწონხარ, ლევან! ასე არ შეიძლება, ჩემო კარგო!

ლევანი მდუმარედ იჯდა. მერე უცებ დაიყვირა:

— დამანებეთ თავი! — და ზარდახშა ხმაურით დახურა. სიტყვების ნაწილი ხავილით ჩაექანა ზარდახშაში.

ლევანის დედამ თავი უკმაყოფილოდ გადაქნია.

— წამოდი, ნუნუშკა, შენი ჭირიმე! გიჟია, ნამდვილი გიჟია! რა უნდა ველაპარაკო!

ძია თამაზმა წარბები უკმაყოფილოდ შეჭმუხნა:

— კარგი, კარგი ეხლა! — მკაცრად და შინაურულად შესძახა ლევანს, — ხომ იცი, ყველაფერს თავისი საზღვარი აქვს!

ლევანის დედა შეშფოთებული იხედებოდა აქეთ-იქეთ:

— რას გავხარ, ბიჭო! შეხედე, შეხედე, რას დაუშვაგვსებია ოთახი! — მან უკმაყოფილოდ მიმოიხედა და ჰაერში დარჩენილ სიტყვებს ბუზებივით აუქნია ხელი, მერე დაიხარა, იატაკიდან ფერფლის ახვეტა დაიწყო, თან ლაპარაკს განაგრძობდა: — რას დაამსგავსა აქაურობა. ეს ოხრობა კიდევ საიდან მოათრია, ნეტა ვიცოდე. რასაც ქუჩაში წააწყდები, ყველაფერი სახლში ხომ არ უნდა შემოათრიო! ამდენი ფული გადაყარა და რაში! — მან სიტყვები ჰაერში მობოჭა და შეეცადა მკლავებში შეეჩერებინა — სიტყვები მის თითებს შორის სხლტებოდნენ და ჰაერში იფანტებოდნენ. — მთელი დღე უნდა მოვუნდე ახლა ამის დალაგებას, — ამბობდა ქალი.

●

ხანდახან უცნაური სურვილი მებადება: მინდა, რომ ნაცნობ-უცნობები ვინაზულო, ყველას პატიება ვთხოვო.

პატიება რისთვის?

იმისთვის, რომ არარაობა ვარ.

არარაობა არარაობათაგანი და ყოველითურთვე არარა!

და მაინც, ამ ჩემი არარაობის მიუხედავად, მზის ქვეშ ვცხოვრობ, ვსუნთქავ, ვიქცევი, ადამიანებს ვეხები, ვეჯახები და ტკივილს თუ არა, უხერხულობას მაინც ვაყენებ.

ამ გუნებაზე მყოფს თვალწინ წარმომიდგება ხოლმე მთელი ჩემი არსება — ჩემი საკუთარი თვისებები, სურვილები და განცდები. ყოველივე ეს რაღაც უცნაურად თხელი და ბრტყელია — ყოველგვარ სისავსეს მოკლებული. ჩემი ცნობიერი ნატურა თითქოს მუყაოს დისკოსავით ტრიალებს წარმოსახვით ღერძზე და რაღაც უბადრუკ ხმებსა და ფერებს გამოსცემს. სადღაც მის მიღმა ილანდება შედარებით ღრმა სივრცე, სადაც, წესით, მოთავსებული უნდა იყოს არაცნობიერი შინაარსები — არქეტიპები და სხვა... და სხვა... მაგრამ, ჩემდა სამწუხაროდ, ვერძნობ, რომ ეს სივრცე სრულებით ცარიელია. როგორც ძველი, უჯრებგამოყრილი კამოდი, რომლის კუთხეებში აბლაბუდებს დაუდგიათ ბინა.

ასეთ დროს სარკეში არ ვიხედები — ვიცი, რომ ბრტყელი, მყვირალა კაცის უკან სრულ სიცარიელეს დავინახავ. და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისიც ვიცი, რომ მე ვარ ამ სიცარიელეზე აფარებული სუსტი ნათითხნი ნიღაბი (ნიღბის მოტიავი ხომ ესე პოპულარულია ჩვენს დროში).

ერთი სიტყვით, ამ განწყობაზე მყოფს, მინდა რომ ყველას ბოდიში მოვუხადო — ხალხს დავენახვო და ვუთხრა: აი მე, ბრტყელი, უნიავო კაცი. მომატეევეთ, რომ ჩემი არსებობით ასე დიდ ზიანს გაყენებთ, ასე დიდ უხერხულობაში გაგდებთ, რომ იძულებული ხართ, მომეპყრათ როგორც ჩვეულებრივ რეს-ჰექტაბელურ პიროვნებას, მაგრამ, ნაცვლად ამისა, ხელთ რაღაც საბავშვო ფიტული გრჩებათ. თითს დააჭერ — იყვირებს. მოქაჩავ — ფეხზე წამოიჭრება (ალბათ, გახსოვთ, ჩვენს ბავშვობაში იყიდებოდა პლასტმასის კაცუნა, რომელსაც ქვემოდან რომ თითს მიაჭერდი, მყესები უდუნდებოდა და აბსოლუტურად დაშლილი იკეცებოდა კვარცხლბეკზე (საკუთარ ფეხებთან) ეს ფიტული თვალებანთებული ცდილობს დაამტკიცოს, რომ იგი არის იგი. და ეს იგი, რომელიც ამ შემთხვევაში მე ვარ, ყველას პატიებას გთხოვთ. მე გთხოვთ მომიტევეთ და კურთხეულ იყოს სიცარიელე, რომელიც ყველას გვავსებს — ამ მხრივ ჩვენ ყველანი ძმები ვართ.

იმ დამეს, ლევანისგან წამოსულს, დაახლოებით ამგვარი განცდა დამეუფლა. მკრთალად განათებული სადარბაზო ჩამოველე — თითქოს ქვესკნელში ვეშვებოდი. ჰაერში კვლავ იგრძნობოდა განელილი ენებები და ცოფები.

ჩემს უკან კარი მიჯახუნდა. შიგნიდან ისმოდა ბენო ბიძიას მწყრალი ბუზუნი. ქვემოთ თავიანთი მანქანების კარებს აღებდნენ და შიგ სხდებოდნენ ძია თამაზი და გურამი, თავიანთი ეგზომ განსხვავებული მეუღლეებითურთ. ისინი იმედიანად, ბახუნარევი მძიმე სიხალისით და ეკოცენტრული ურთიერთგაგებით ეშვიდობებოდნენ და სახვალეო გეგმებს გადასძახოდნენ ერთმანეთს. ნუნუშა უკვე მოღუშული იჯდა ქმრის მანქანაში.

ჩემთვის ზედაც არ შემოუხედავთ.

ჩავიარე. ყინვაში გაფარჩხულ ჭადრებს გავცდი და ჩემს ყრუ სადარბაზოს ავუყვევი.

ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს ეს სადარბაზო იყო საშეელოსნის ყელი, ხოლო მე — ემბრიონი, რომელიც კი არ იბადება, არამედ პირიქით, უკან ბრუნდება და უფრო და უფრო ღრმავდება საკუთარი მშობლის წიაღში, რათა იქ სავსებით გაითქვიფოს მშობელ ორგანიზმში და აღარასოდეს დაიბადოს. თუმცა იმასაც აშკარად ვგრძნობდი, რომ ამ აგურისა და ცემენტის ორგანიზმში გათქვეფის მაინცდამაინც დიდი შანსი არ მქონდა.

ჩემს ბინას მივაღწიე. კარი ჩემი გასაღებით გავაღე და ჩემს ოთახში შევიკეტე. კედლები, კარები, ჭერი — ყველაფერი ისევ ისეთი, ცივი და უძრავი იყო, როგორც წასვლის წინ.

„როგორ! — გავიფიქრე ბრაზით, — ნუთუ ლევანის სიტყვების გარდა, ამ ქვეყნად არაფერი არაფერია?! როგორ შეიძლებოდა, რომ ყველაფერს ფასი დაჰკარგოდა?!“

თაროებს მივადექი. ხელი ავაყავი და „ვეფხისტყაოსანი“ გადმოვიღე.

ბრაზით გაეშალე პირველივე შემხვედრ ადგილს.

— საკვირველია — ხანდახან ამ წიგნის ყოველი სტროფი თითქოს უღრმესი ზღაპრული შუქითაა განათებული, და უკანასკნელი გადაკითხვიდან სწორედ ასეთი მახსოვდა — ხანდახან კი აბსოლუტურად გამოცლილი აქვს ძალა, ისიც ისეთივე ბრტყელი, უაზრო და ნათითხნაა, როგორც სხვა ყველაფერი.

ახლაც, ლევანის მანათობელი სიტყვების მერე, ეს სიტყვები სრულ აბდაუბდად მეჩვენა:

ფრიდონის სახლსა გარდაზღეს
ორნივე ტურფად გებულსა
ახლოს დაისვამს ავთანდიოს მისსა
ძმად შეფიცებულსა
ტარიელ დაჯდა საჯდომსა
ოქსინო-გარდაგებულსა
მათ უძღვნეს იგი აბჯარი ფრიდონს
ჭაბუკად ქებულსა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს სიტყვები სრულიად უსუსური მეჩვენა.

კიდევ გადავშალე.

თუ არ უყვარს, რად არა სძულს, რად აყიენებს, რაცა სძულს?!..

ამ სიტყვებში რაღაც გაალმასებული ჭირვეულობა ვიგრძენი.

კიდევ ერთხელ, ალალბედზე გადავშალე და კითხვა დავიწყე:

ავთანდილი გაიპარება და მიდის. როსტევანი ამას რომ გაიგებს, გამწარებული გამოვარდება, მჭვრეტელთა გასაკვირად, პირს იხოკავს, წვერს იგლეჯს და, აწ უშენოდ ვლაჩ რა ვუყო საჯდომსა და სრასა-სრულსაო, იძახის. მას ნაზირ-ვეზირები მხარს აუბამენ და ყველა ერთად ვლოვობს. ზარი გაისმა, შემოკრბა ჯარი მრავლისა კაცისა, დარბაზს ხასთაგან ჯარია ხელითა წვერთა ტაცისა, იგლეჯს და იცემს ყველაი, ხმა ისმის თავსა ტკაცისა, თქვეს: ბნელი გვმართებს დღე-კრულთა, რადგან მზე მიგვიდრკა ცისა.

გაწბილებულმა წიგნი ტკაცუნით დაეხურე და ისევ თარიზე შემოვდე.

მიმოვიხედე — ჩემი ოთახის კედლები კელავინდებურად ბრტყელი და უძრავი იყო. და აქ უეცრად თავში შესანიშნავმა აზრმა გამოელვა — საკვირველი იყო, აქამდე როგორ არ მომაფიქრდა ეს!

მაგიდის უჯრა გამოვაღე. ფული გადავთვალე. მინდოდა ჩემი განზრახვა დაუყოვნებლივ მომეყვანა სისრულეში. მაგრამ გამახსენდა, რომ ღამე იყო. კინტორა, ალბათ, უკვე დაკეტილი იქნებოდა.

„არა უშავს, — ვიფიქრე, — ხვალ დილასვე მივალ და მეც გამოვიტან სიტყვებით სავსე ზარდახშას. შეუძლებელია, რომ ერთ ცალზე მეტი არ ჰქონდეთ. ბოლოს და ბოლოს, თუკი ლევანს მასცეს, მე უარი რატომ უნდა მითხრან. მართალია, ლევანი გარკვეულწილად, ჩემზე ნიჭიერი პიროვნებაა, მაგრამ მათთვის ეს ალბათ, სულ ერთია. თანაც, იყო დრო — თუნდაც ლევანის მიერ ამ ჯადოსნური ნიჭის შეძენამდე, — როდესაც მე მას ტოლს არაფერში ვუდებდი. ეს თვითონ აღიარა ერთხელ, გუჯასთან საუბრისას“...

ამ გადაწყვეტილებით იმედმოცემული ლოგინში ჩავწექი და მალე კიდეც დამეძინა.

მესიზმრა თვალუწვდენელი ბაღი, სადაც ზეეს ფოთლების ნაცვლად სიტყვები ესხა. სიტყვები მუქ-მეწამულად ელვარებდნენ ჩამავალ მზის შუქზე. ზეების ძირში კი, ბალახებს შორის, ჭიანჭველებივით ფუსფუსებდნენ ქონდრისაკაცი ადამიანები. ყოველ მათგანს ჭიანჭველისა თუ ტერმიტის მსგავსი, თეთრი, ექვსფეხა სხეული ჰქონდა. ამ სხეულებით ისინი ერთმანეთს ეჯახებოდნენ და უჯრედებივით ერწყმოდნენ, რის შედეგადაც ჩნდებოდა იმავე ფორმის, ოღონდ უფრო დიდი ზომის ორგანიზმი. მერე ეს ორგანიზმი ისევ იშლებოდა თავის შემადგენელ რამდენიმე ცალკეულ არსებად, და თვითოეული მათგანი სხვადასხვა მხარეს გარბოდა.

დილით შესანიშნავ გუნებაზე გამეღვიძა.

გადაწყვეტილება სიტყვების ზარდახშის შესახებ ისევ ჩემთან იყო — ჩემს გონებაში. მთელი ამ ხნის მანძილზე არც ერთი წუთით არ მომშორებოდა.

პირი დავიბანე. ვისაუზმე და მაშინვე კანტორაში გაქცევა დავაპირე. მაგრამ, უკვე კარებში მდგარმა, ჩემს თავს ვუთხარი: „წყნარად, ზაზა, ჯერ კარგად აწონ-დაწონე ყველაფერი და მერე იმოქმედე!“

ისევ ოთახში შევბრუნდი. დავფიქრდი. ფული გადავთვალე — რაღაც ორმოციოდე მანეთი აღმოჩნდა. ესეც საქმე იყო — რამდენიმე საათით მაინც ჩავიგდებდი ხელში ზარდახშას. გადაწყვეტილი მქონდა, ყველასგან უჩუმრად დავმჯდარიყავი და კარგად მემუშავა ამ ძვირფასი მასალით. შემეძლო სრულიად ახალი და არნახული სამყაროები შემექმნა და მხოლოდ შემდეგ, როგორც სიურპრიზი, მეჩვენებინა ლევანისთვის. ხელები კმაყოფილებით მოვიფშვნიტე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

როცა წარმოვიდგინე მისი განცვიფრება...

მაგრამ აქ გონიერება იყო საჭირო.

იქნებ სჯობდა, რომ საღამომდე არ მივსულიყავი კანტორაში? თუკი სიტყვებს საღამოთი ვიქარავებდი, მთელი ღამე ჩემს ხელში იქნებოდა. შემეძლო დავმჯდარიყავი და მემუშავა ისე, რომ ხელი არავის შეეშალა. თანაც საღამომდე შეიძლებოდა კიდევ მეშოვნა ფული, იმდენი მაინც, რომ მთელი დღეღამით დამეტოვებინა ზარდახშა. ამ შემთხვევაში, — ვიფიქრე ოცნებაში წასულმა, — იქნებ საშუალება მომეცეს თამუნასაც ვაჩვენო რაღაც-რაღაცები. და გამახსენდა ნუნუშკას გუშინდელი ალტაცება — ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით.

მაშ ასე.

გადაწყვეტილება მიღებული იყო.

ახლა საჭირო იყო საღამომდე რაც შეიძლება მეტი თანხა მეშოვნა, თუ საღამოს კანტორა დაკეტილი დამხვდებოდა, ესეც არაფერი — ხვალ საღამომდე მოვიცდიდი და იქნებ დამატებით კიდევ მეშოვნა ფული.

ოთახები შემოვიარე, ცარიელი ბოთლები შევაგროვე და გასტრონომში ჩავიტანე, საკმაო რაოდენობით აღმოჩნდა.

შემდეგ ისევ სახლში ავბრუნდი და რაც კი შედარებით ნაკლებად საჭირო წიგნები მქონდა, ზურგზე მოვიკიდე და ბუკინისტურ მაღაზიაში გავაქანე. — ჩაბარეს და ფულიც მაშინვე მომცეს.

ფული კმაყოფილებით გადავთვალე და უნივერსიტეტისკენ გავწიე — თუმცა, რამდენიმე გაყიდულ წიგნზე გული მეთანაღრებოდა. განსაკუთრებით დამეწანა ფსიქოლოგიურ გამოკვლევათა კრებული „მარტყოობის ლაბირინთები“. ასეთი უკიდურესი გაჭირვება რომ არა, ამ წიგნს არაფრით შეველიდი. მაგრამ რა დროს წიგნებზე დარდი იყო, მთავარია, სიტყვები — ცოცხალი, მანათობელი და შემოქმედი სიტყვები.

ლექციაზე აცეტებულიივით ვიჯექი. ერთ ადგილას ვტრიალებდი და ვცდილობდი ლექტორისთვის ყური დამეგდო. ერთი სული მქონდა, როდის მოსალამოვდებოდა და როდის მივიდოდი სანტარო კანტორაში. ლექტორის საუბარი ფრაგმენტულად ჩამესმოდა.

ერთ-ერთ შესვენებაზე თამუნას შევეფეთე.

— როგორა ხარ? — ვკითხე და ალტაცებით შევხედე.

— ბრწყინვალედ! — მან თავისი ნაზი ტორსი კეკლუცად შეარხია.

— ხვალ ხომ იქნები ლექციებზე?

— ამას რაიმე მნიშვნელობა აქვს? — ირონიულად კითხა მან.

— შენთვის რაღაცა მაქვს გამზადებული. რაღაც, სრულიად განსაცვიფრებელი და ზღაპრული! — ვუთხარი საიდუმლო სახით. ვიცოდი — ზღაპრები უყვარდა.

თამუნამ ამრეზით შემომხედა.

— მაინც, რა არის?

— ხვალ ნახავ, — მივუგე მე, — უნდა მოგიტაცო და სხვა სამყაროში გავაფრინო!

— ჰმ! — სარკასტულად ჩაიცინა მან, — შენ მაგისი შნო ვინ მოგცა!

მისი ეს სიტყვები, რომლებიც სრული გულწრფელობით იყო ნათქვამი, მწარედ მომხვდა გულზე, მაგრამ წყენამ წამსვე გამიარა — თვალწინ დამიდგა მოსალოდნელი ტკბილი გამარჯვება, და ამედით აღვსილმა, თავდაჯერებით მივუგე:

— მაგას ხვალ ნახავ!

თამუნამ დაუფარავი ინტერესით შემავლო თვალი — მასზე ჯადოსავით მოქმედებდა ყოველგვარი თავდაჯერება — და ამის შემდეგ მთელი დღე ჩემს ახლოს ყოფნას ცდილობდა. მე კი მისკენ აღარც მიმიხედია, რამაც კიდევ უფრო გაამძაფრა მისი ინტერესი, რამდენიმე ჯგუფელისგან მცირეოდენი თანხა ვისესხე და მოუთმენლობით მთლად შეაყრობილი, სანეტარო კანტორისკენ გავექანე, — ხუთი საათი ხდებოდა.

აი, ნაცნობი ეზოც. ესეც — კანტორის კარი, გაცრეცილი და მოცისფრო. კარზე გაკრული აბრა — „სანეტარო კანტორა“; უფერული და აბლაბუდებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

სავსე ოთახი. შიდა ოთახში მბეჭდავი იჯდა. უსიტყვოდ ავუარე გვერდი და თეჯარს მიღმა შევაბიჯე, სადაც დამხვდა იგივე ნახევრადწყვდიადი და თავის სამუშაო მაგიდასთან მჯდარი მსუქანი კაცუნა, რომელიც, ახლა უეცრად დავაფიქსირე, თალაგვა კოლონკელიძეს მაგონებდა. მის წინ მაგიდაზე ფერადი ლამპა იდგა და გაშლილ ქაღალდებს ანათებდა. ჩემს შესვლაზე თალაგვამ თავი ასწია.

— რით შემიძლია გემსახუროთ? — ხალისიანი ღიმილითა და მელოტი თავის ელვარებით მომაგება მან.

არ ვიცოდი, როგორ დამეწყო. ამიტომ რიხიანად წარმოვთქვი:

— გამარჯობათ!

— გაგიმარჯოთ, ჩემი ბატონო, გაგიმარჯოთ!

— ეეე... თქვენთან გუშინწინ ვიყავი. ამხანაგებთან ერთად.

— ძალიან კარგი, ძალიან კარგი, ამხანაგებთან ერთად. გულდასმით გისმენთ.

— ჩემმა მეგობარმა თქვენგან სიტყვების ყუთი იქირავა.

— სიტყვების ყუთი? — კაცუნამ გაკვირვებით შემომხედა.

— დიახ. ყუთი. შიგ სიტყვები იყო. ათასნაირი სიტყვები, — ვთქვი და ვიგრძენი, — საკმაოდ უაზროდ გამოვიყურებოდი.

— აჰ, თქვენ ლოგოსურ-ენიგმატიკური ზარდახშა გაქვთ მხედველობაში?!

— დიახ, ლოგოსურ-ენიგმატიკური ზარდახშა! — (ვიცოდი, სიტყვა „ლოგოს“ ბერძნულად „სიტყვას“ ნიშნავს).

— გასაგებია. ახლა რა გნებავთ?

გულზე მომეშვა. მაშ სწორ კვალზე ვიდექი.

— ისეთი ზარდახშა მარტო ერთი გქონდათ?

— არა, რა თქმა უნდა. კიდევ გვაქვს. თქვენც ხომ არ გინდათ დაქირავება?

— დიახ, — მივუგე სიხარულით, — რა ეღირება ერთი დღე-ღამით ქირაობა?

— ოცდაოთხი საათი გაქვთ მხედველობაში?

— ოცდაოთხი საათი!

— ორას ორმოცი მანეთი, პლუს თუმანი პირველი შესახანი, — დაუზარბლად მიპასუხა მან.

ფული ამოვიღე და გადავთვალე.

— აი, აქ ორას ორმოცდაათი მანეთია. ალბათ, რაიმე საბუთების გაფორმება იქნება საჭირო?

თალაგვამ ღიმილით შემომხედა.

— ჩვენ აქ სანტტარო კანტორა გვაქვს. არავითარ საბუთებს არ ვაფორმებთ. არავითარ საბუთებს არ ვაფორმებთ.

— მე მხედველობაში მაქვს სიტყვების ქირაობის საბუთი, — ალბათ, ხელის მოწერა იქნება საჭირო?

— ცხადია. აი, აქ მოაწერეთ ხელი, — მან რაღაც ქვითარი მომაწოდა.

მე დაუფიქრებლად მოვაწერე ხელი — არც წაღმა წამიკითხია, არც უკუღმა, და ფული გადავეცი.

თალაგვამ ფული ჩამომართვა, გადათვალა. მერე ადგილიდან წამოდგა.

— ინებეთ ზარდახშა, — მიიხრა და თარიდან ჩამოიღო ზუსტად ისეთივე ზარდახშა, როგორიც ლევანს ჰქონდა. მაგრამ ამ ზარდახშის ზედაპირი ოდნავ უფრო გაცვეთილი მეჩვენა. მინდოდა მეთქვა, გამომიცვალეთ-მეთქი, მაგრამ მომერიდა. „ბოლოს და ბოლოს გარეგნობას რა მნიშვნელობა აქვს. მთავარია, შიგთავსი“, — დავიმშვიდე თავი და აღფრთოვანებით წარმოვიდგინე, როგორ ამოცურდებოდნენ ჯადოსნური სიტყვები ამ შავი ყუთიდან.

ზარდახშას დავწვდი. ქურთუკის ქვეშ კარგად შევინახე.

— გმადლობთ. თავისუფალი ვარ? — ერთი სული მქონდა, სახლში როდის მივიდოდი.

— შეგიძლიათ მიბრძანდეთ. ოღონდ გახსოვდეთ, სასტიკად აკრძალულია ზარდახშის გახსნა დახურული შენობის გარეთ, ან და ფანჯარასთან. სიტყვები შესაძლოა, გაგიფრინდეთ და, გაფრენილ სიტყვას, მოეგზავნებათ, ეეღარ დაიჭერ.

ამ სიტყვებით კაცუნამ გაიცინა და კმაყოფილებთ მოიფშვნიტა ხელები.

სახლამდე მანძილი ისე გავიარე, თი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქოს პეგასი ყოფილიყავი და საცა მიწას მოეწყდებოდი, მაგრამ საკუთარ თავს აღვირით ვაკავებდი.

„ნელა, ზაზა, დინჯად. მანქანა არ და გეჯახოს! აჩქარებითა სოფელი არავი! მოუჭამიან!“ — ვეუბნებოდი ჩემს თავ და მივქრიდი, როგორც სიზმარში.

კიბე სულმოუთქმელად ავირბინე, შევედი, ჩემს ოთახში ჩავიკეტე.

აქ ზარდახშა მაგიდაზე დავდე — ისე, რომ სინათლე არ ამინთია, სული ოდნავ მოვითქვი და ყრუ ხმით წარმოვთქვი:

— იწყება ფეერია!

ამის შემდეგ ზარდახშას თავი ავხადე.

პირველი, რაც სახეში მეცა, იყო უსიამოვნო სუნი — მტვრის, ღუსტისა და ლაყე კეერცხის უცნური ნაზავი. თითქოს ზარდახშის შიგთავსი დიდხანს ერთ ადგილზე დებისგან დაძველებულიყოს და გალაყებულიყოს. გულში უსიამოდ გამკრა ავმა წინათგრძნობამ.

„უჰ, არამზადა! მგონი, გაფუჭებული ყუთი მოგცა!“

წამით დავაპირე უკანვე გავკარდნილიყავი და სახეში მომეხალა თალგვა კოლონკელიძისთვის თავისი ზარდახშა მაგრამ მაშინვე გადავიფიქრე, — სჯობდა ჯერ შემემოწმებინა. ვინ იცის, იქნებ სუნი მხოლოდ იმას მოასწავებდა, რომ ამ ზარდახშისთვის დიდი ხანია ხელი არავის ეხლო, ოვით სიტყვები კი, დაძველებული ღვინის არ იყოს, კიდევ უფრო დაწმენდილი და გამჭვირვალე ყოფილიყო.

ზარდახშის წაღი სუსტი შუქით აციმციმდა და ამ ციმციმში, ჩემი ძველი ოთახის მალებელში ამოვიდა რაღაც გრძელი და გამწყლობელი სიტყვა — ეს იყო მოვერცხლისფრო შუქით აციმციმებული სიტყვა „კალკულაცია“.

„კიდევ, კიდევ!“ გავიფიქრე მოუთმენლად.

ზარდახშიდან ახალი სიტყვა ამოიზლაზნა — „მაგრამ“.

„კიდევ, კიდევ!“

ამას მოჰყვა სიტყვა „შრაპნელები“.

და უცებ შევამჩნიე, რომ ეს რაღაც უცნაურად ძალგამოცლილი, თითქოს ავადმყოფი სიტყვები იყო. ისინი ულინოდ დაეკიდნენ მაგიდის თავზე, ხან ერთი, ხან მეორე მეყვსეულად იდრიკებოდა წელში, თითქოს საცა დაეცემიანო, მერე ფრთამტეხილი ფრინველებივით ისევ გაჭირვებით ითრევდნენ წელს — და გამოსცემდნენ იმავე უსიამოვნო და ლაყე სუნს.

„უჰ, ის არამზადა!“ — გავიფიქრე კაკეცხლებულმა. მერე შევეცადე, სიტყვებისთვის (უკვე ათიოდე ტრიალებდა მაგიდის თავზე) ხელებით მიმენაჭებინა ენერგია — თითები მათ შორის ავაფათურე, გავაკეთე რამდენიმე პა, მაგრამ ამაოდ — ენერგია ოდნავადაც არ მომატებიათ. ტრიალებდნენ და ავადმყოფ წიწილებივით უვარდებოდათ ხან ერთი, ხან მეორე თავი.

„უჰ, არამზადა!“ — ვიფიქრე ისევ გარისხებულმა, — „რადა მე უნდა შემხვდეს ყველფერი უხარისხო!“

საერთოდ, ასეთი ბედი მაქვს. არ მახსოვს, რომ ცხოვრებაში რაიმე სრულყოფილი და უნაკლო მრგებოდეს. ჩემი მოქმედებებიც ყოველთვის რაღაცნაირი, შინაგანი ნაკლულევანებით იყო აღბეჭდილი. თუმცა ამას, შესაძლოა, სხვები ვერც ამჩნევდნენ. მართალი რომ ვთქვა, უნაკლო და სრულყოფილი საგნები კიდეც მაშინებდნენ. ბავშვობიდანვე რაღაც უცნაური რიდი დამყვა ყოველივე უნაკლოს მიმართ. რამდენჯერ წარმომიდგენია ასეთი სცენა: რომ აი, ჩემს წინ ასარჩევად გამწკრივებულან ლამაზი ქალები. მე შემიძლია ავირჩიო ნებისმიერი. მე კი, სულელი, რას ვშვრები? — იმის მაგივად, რომ ყველაზე ლამაზს მოვკიდო ხელი (იგი, ეს ყველაზე ლამაზი, ცენტრში დგას, თავი აუწევია, გრძელი ოქროსფერი თმა ტალღებად ეცემა შიშველ მკერდზე და თვალთა ისრებით მსჭვალავს), ამის ნაცვლად, მე ვუახლოვდები ერთ-ერთ საშუალო სილამაზის, მაგრამ სათნო და კდემამოსილ ასულს (ოღონდ არა მახინჯს, ღმერთმა დამიფაროს!), რომელიც მწკრივის გასაპირას დამდგარა და თვალები მორცხ-

ხვად დაუბრია, და მის წინ ვჩერდები, როგორც, ვითომდა, მხსნელი. მაგრამ ეს მხსნელიც, — ესე იგი, მე — ისეთივე საშუალო, მორცხვი და კდემამოსილია. მშვენიერ ქალიშვილთა წყებები კი სხვებს რჩებათ — ვიღაც უცხო და თავდაჯერებულ მამაკაცებს, რომლებიც ჩემს ფანტაზიაში სადღაც, ჯანდაბიდან შემოვარდნილან და ისე თავხედურად იქცევიან, თითქოს ეს მათი ფანტაზია იყოს და არა ჩემი.

„უჰ, ნამირალები! ფანტაზიებშიც აღარ მასვენებენ!“ — ბრაზით გავიფიქრე და ჩემს ავადმყოფ წიწილებს დავაჩერდი. ისინი გულსალალვად წოვწოვებდნენ ხა და დუნედ დაღოღავდნენ აქეთ-იქით, მაგრამ მაგიდის ფარგლებს გარეთ გასვლა ვერც ერთს ვერ გაებედა. მხოლოდ ერთი გადასცდა მაგიდის კიდეს — ეს იყო სიტყვა „ინტროსპექცია“, და ისიც მაშინვე, თითქოს საყრდენი გამოაცალესო, საშინელ უფსკრულში ჩაიჩეხა, სადღაც, მაგიდის ფეხთან დაიწყო ფუთფუთი.

კარგა ხანს ყოყმანით აღსავსე ვიჯექი — ვერ გადამეწყვიტა, მომეხვია ხელი ამ უბადრუკი არსებებისთვის, ყუთში ჩამეყარა და ისევ უკან წამეღო, თუ რაიმე სხვა გზას დავდგომოდი. ბოლოს ხელი ჩავიქნიე — რაც იქნებოდა, ყოფილიყო, რადგან ჩემი ბედიც ეს არის, შეეცდება ამ უხეირო მასალითაც შეკქმნა რაიმე, ხეირიანი.

ამ რაინდული გადაწყვეტილებით გამხნევებულმა დავიწყე ფრთხილი კონსტრუირება. პირველ რიგში გამოვებენე სიტყვა „მე“. ეს გახლდათ მომწვანო და უცნაურად პირყვითელი ღლაპი. ამ ღლაპს გვერდით მივუყენე მეორე — თეთრგარსიანი შავი მოჩვენება, და მიეიღე ბრწყინვალე შედეგი: „მე ვარ“. — აცომცომდა ჩემს წინაშე და მაშინვე შიგნით, გულის კოვზთან რაღაც ჩამწყდა.

„შენ კი არა, მე ვარ!“ — ვიფიქრე დაეჭვებულმა.

სიტყვებში ხელი მიმოვურიე. ხელში მომხვდა დიფთონგი „ბრ“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შედეგიც შესანიშნავი: „მე ვარ ბრ“.

ვაბრაზებულმა მიმოვფანტე ჩემს წინ ჰაერში სიტყვები. კარგა ხანს ვეძებდი რამე შესაფერისს. ბოლოს მივაგენი:

„მე ვარ ბრწყინვალე“.

ამაზე ჩემი ექსპერიმენტი დასრულდა. უდღეური შენაერთი ისევ სასწრაფოდ დავშალე და ახალი ვარიანტების ძებნა დავიწყე.

აქ გამახსენდა თამუნა. იქნებ რაიმე შემეთხზა მის შესახებ?

ეს აზრი ჭკუაში დამიჯდა და გაცხოველებით დავიწყე თხზვა:

აი, თამუნა შავ ცხენზე მჯდარი, თმაგაწეწილი, მიჰქრის უკიდეგანო თოვლიან ტრამალზე და უკან მგლები მისდევენ.

„ვაი შენს პატრონს!“ — ვუთხარი საკუთარ თავს.

აი, თამუნა ახალნაბანავები გამოდის საბაბანოდან. ტანზე სველი ზეწარა ახვევია. ოთახში, მალებნელში, მარტო მე ვზიავარ. ფეხი ფეხზე გადამიდვია და ღიმილით შევყურებ. მაგრამ თფუ! ეს რა ოხრობაა! ჩემს ფეხსაცმელს ლანჩა ასძრობია! თამუნა მიყურებს და იცინის:

„სად მოიტეხე ფეხი?“ — მეკითხება რატომღაც.

„აქეთ რომ მოვდიოდი, ბაღში... ბაღში გისოსებს წამოვედ... ძველისძველი ფეხსაცმელია, თამუნა, პაპაჩემის ნაჩუქარი... ვინ იცის, რამდენი წელი ეცვა პაპას. ახალგაზრდობაში პაპა კავალერისტი იყო (სიტყვა „კავალერისტის“ მოძებნა ფრიად გამიჭირდა. რატომღაც სულ „კანიბალი“ მხვდებოდა ხელთ. ბოლოს ძლივს ვიპოვე — სიტყვა „უცხოეთს“ გადახლართვოდა. ფრთხილად გამოვხსენი, მაგრამ „უცხოეთიც“ თან მოჰყვა), კავალერისტი იყო უცხოეთში... უცხოეთში იბრძოდა... ჰმ... უცხოეთში მსახურობდა. ვინ იცის, რა არ გადახდენია თავს. ერთხელ, პირველ მსოფლიო ომში, ტყვედაც ჩავარდა. მერე სხვა ტყვეებთან ერთად ციხის კედელი გათხარა და გაიქცა. ისევ დაიჭირეს. იქ, უცხოეთის ერთ-ერთ ქალაქში (ვერაფრით ვიპოვე სიტყვები „ვერმანია“ და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიურცბურგი“), უცხოეთის ერთ-ერთ ქალაქში ჰყავდათ დატყვევებული. რამდენი რამე იხწავლა იქ, ტყვეობაში! ერთხელ მიჩვენებაც ნახა ძველ ცხენიმაგრეში...

თამუნა სველ ზეწარს იხსნის ტანადან, მაგრამ რატომდაც მის შიგნით კაბა აცვია. იგი ჰაერში ლივლივებს, იცინის და მეუბნება:

„ვაი, შე შტერო, შე შტერო! შენ გგონია, პაპაშენს ჰკვახარ?“

„არა, არა! მე მე ვარ! პაპა უკვე გარდაცვლილია. მე კი ჯერაც ცოცხალი გახლავარ და მე შენ მიყვარხარ, თამუნა!

„მეც მიყვარხარ, ზაზა, ჩემო ზაზა, მე შენ ყველას მირჩევნიხარ, სწორედ ასეთი, როგორიც ხარ, მე სხვა არავინ მსურს! მხოლოდ შენზე ვგიჟდები!“ — მეუბნება თამუნა.

„მე კი შენზე არ ვგიჟდები, თამუნა, უბრალოდ მიყვარხარ და მეტი რაფერი. მე მინდა, რომ ცოლად გამომყვე. მე მაქვს სახლი სოფელში. მე მყავს ცხენი, მყავს ბევრი ძაღლი, ხმალი და თოფი“.

„წამოგყვები, ზაზა, ჩემო ზაზა! მე შენს მეტი ქმრად არავინ მინდა. მაგრამ მითხარი, ღამე ხომ არ დამახრჩობ? ხომ არ დამახრჩობ? ჰა? მითხარი, ზაზა! რა უცნაურად მიყურებ! მითხარი, ხომ არ დამახრჩობ?! რადგან მე ამ ქვეყანაზე ყველაზე მეტად მეშინია ღამე დახრჩობის“!..

„ დახრჩობა შენ და ჯანდაბა, შე იდიოტო!“ — შევუკურთხე საკუთარ თავს და ეს აბდაუბდა ერთი ხელის მოსმით გავაცამტვერე, მაგრამ ფარ-ხმალი მაინც არ დამიფრია.

ახლა სხვა სიუჟეტების შეთხზვას შევუდექი. რამდენმე საათს თავაუღებლად ვშრომობდი. შევთხზე ორი თუ სამი რომანტიკული და სევდიანი ამბავი, რამდენმე უთავბოლო ნოსსენსი, მერე თანდათან პორნოგრაფიაზე გადავედი. პორნოგრაფიული სურათების ბმერად ვიყენებდი მეზობელ რუს ქალს, რომელიც ღრმა ბავშვობიდანვე უმოწყალოდ მახვევდა თავბრუს. ამას მიავყოლე ერთი სრულიად არაბუნებრივი და გარყვნილი სცენა, რომელშიც ზემოხსენებული რუსი ქალი თავის საკუთარ ძაღლთან შედიოდა სექსუალურ ურთიერთობაში, და აქ ჩემს თავს შევუფთხე — რადგან გამახსენდა ისევ თამუნა, და აგრეთვე, ლევანი, რომელიც, ალბათ არ მოიწონებდა ჩემს ამგვარ ეშმაკობას. მცირე ხანს დავფიქრდი. პორნოგრაფიული ბურუსი თავიდან მოვიფანტე და კვლავ ავმოქმედდი:

„შაირ სიტყვითა მესტეერემ ღმერთი მაღალი ახსენა“ — გამოვიყვანე ჰაერში და მერე: „დილასა ადრე მოვიდა იგი ნაზარდი სოსანი“.

ამ გამახსენდა, როგორ მაზეპირებინებდნენ ბავშვობაში „ვეფხისტყაოსნის“ ამ თავს.

დილასა ადრე მოვიდა იგი ნაზარდი
სოსანი,

ძოწეულითა მოსილი, პირად ბროლ ბადაზშოსანი (ბროლ-ბადაზშოსანმა საქმე გამიჭირა — ვერაფრით ვერ მოვნახე დეფისი. ამიტომ ცალ-ცალკე ავაგე);

პირს ოქრო რიდე ეხვია, შვენოდა
ქარქაშოსანი,

მეფეს აწვევდა გამოსლვად, მოდგა
თეთრტაიჭოსანი.

„შესანიშნავია!“ — გავიფიქრე კმაყოფილებით. და აქვე, თვალწინ წარმომიდგა ავთანდილი:

აი, ვაჭრის სამოსში გადაცმული ავთანდილი, როგორც ძაღალი სოსანი, შედის ფულანშაროში. გაიკლის ჩირაღდნებით განათებულ ვიწრო ფოლორცეებს და ფატმანის დარბაზს უახლოვდება. ფატმანს ტანთ კაბა შემოუძარცვავს, ავაზის ტყავებით მოფენილ ვრცელ ტახტზე ნებივრობს და ელის მიჯნურს. შემოდის მონა, ჩირაღდანს ამაგრებს. თაყვანისცემით მიდგება კარსუკან, რათა უდარაჯოს შეყვარებულთა ალერსს. ფატმანი ზეწამოიწევა, მომხიბლავ სახეს უშვერს ჭაბუკის ტუჩებს. ისინი ერთმანეთს საალერსო სახელებს ჩასჩურჩულებენ, ტახტზე წვებიან. მაგრამ, მოისმის ხმაური. კარი იღება. მონა პირქვე ეცემა და გალახული ძაღლივით

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიცოცავს სადღაც, ჯანდაბაში, და შემოდის ყრმა კეცლუცი, ტანნაკვთიანი — ეს არის ჭაშნაგირი. იგი გაკვირვებით უჭვრეტს შეყვარებულთა ლაღობა-წოლას. მერე ბრაზით წვერს მოიზდავს და შესძახებს: „ვანანე, ბოზო დიაცო, მაგა მოყმისა ყოლასა!“. ამ სიტყვებით განრისხებული მიტრიალდება და უკან მოუხედავად მიდის.

ატირებული და თავზარდაცემული ფატმანი სახეს იხოკავს, ავთანდილს ემუდარება წავიდეს და მოკლას იგი ყრმა, თუკი მისი დალუპვა არ სურს, რადგან მან იცის რაღაც ისეთი საიდუმლო, რომლის გათქმითაც ფატმანს შეიღლიან-სახლკარიანად დალუპავს. ავთანდილი უყოყმანოდ დგება — ლაღი, ბუნებაზიარი, ფატმანს მეგზურს სთხოვს და მიემართება მის ყრმის მოსაკლავად. ფატმანი კარამდე მისდევს ტირილით, და უკვე ბაღში გასულს მისძახის: ბეჭედი! ბეჭედი აართვი მოკლულს! ჩემ ბეჭედი აქვს თითზე, არ შეარჩინო!“

აი, ავთანდილი პირქუშად მიიწევს ღამის შუკებით, წინ ჩირაღდანთ ხელში მეგზური მონა მიუძღვის. ქალაქი განვლეს, გავიდნენ ზღვის სანაპიროზე, სადაც განმარტოებით მოჩანს წითელმწვანე ქვთ ნაგები სახლი. მონა უსიტყვოდ გადგება განზე და ანიშნებს — ეს არისო ჭაშნაგირის საცხოვრისი. ზღვა ღრიალებს, ბობოქრობს. სიბნელეში შენობის წითელი და მწვანე ქვები ძვირფასი თვლებივით ელვარებენ. ზემოთ, ბანზე ჩანს მარტოხელა ფიგურა — ეს არის თვით ჭაშნაგირი, რომელიც გულჯავრიანი მიმოდის იქით-აქეთ. მისი პირქუში ლანდი ხან ბანზე გამოჩნდება, ხან ისევ ქრება, — დაწვება, ცდილობს თვალი მოატყუოს, მაგრამ დაწოლილიც ვერა ძლებს დიდხანს, ისევ დგება და მოუსვენრად დადის.

კარიბჭესთან ორნი დარაჯნი წვანან. სძინავთ. ვერ გრძნობენ უბედურების მოახლოებას. ვინ უწყის, ამ ესეიმრეთ, რა იმედებით სავსე აქვთ გული, მაგრამ სიკვდილი უკვე თავს წარსდგომიათ. ავთანდილი ხელს ყელში სჭიდებს ორივეს, მძლავრად დაიქნევს და ტკვნებს ერთურთზე შეანხეკვნებს. — ასე ერიდება მათი საზიარო სიზმარი ტკენით გაპარხილ არარაობაში.

ხოლო იგი ყრმა საწოლს მარტო წვეს, გულითა ჯავრიანითა. ხელსისხლიანი ავთანდილ შედის ტანითა ჯანითა. ჭაშნაგირი წამოხტომას აპირებს, სურს მონებს უხმოს, მაგრამ ვეიანია — მონები უკვე საკაოს აღარ არიან.უნდა ზე წამოიჭრას, — ვეღარ ასწრებს. ავთანდილი ცალი ხელით მიწაზე დასაკვნის და დანას ჩასცემს გულში. „ვერცა აესწრა, იდუმალ მოკლა, თუ, ვერცა ვცანითა, ხელი მოჰკიდა, მიწასა დაასკვნა, დაკლა დანითა...

...მჭვრეტელთა მზე და მებრძოლთა
მხეცი და ვითა ზარია!
ბეჭდითურთ თითი მოჰკვეთა,
ქვესკნელს მიწასა გარია,
ზღვათაკე სარკმლით გასტყორცნა,
ზღვისა ქვიშათა დარია...
მისთვის არცა სად სამარე, არცა
სათხარად ბარია...

„არა, არა! წიგნში უკეთესად წერია, წიგნში!“ — გავიფიქრე სახოწარკვეთილმა და ჩემი სიტყვებით აგებული ამხელა ხუხულა ერთბაშად დავნგრეგი. როგორც დაანგრევდა ჭაშნაგირი ფატმანის სახლ-კარს, საიდუმლოს გათქმა რომ დასცლოდა. სიტყვები უღონოდ ჩამოიფანტნენ მაგიდაზე და ისევ ის უსიამო მძაღე სუნი დაململენ.

მოულოდნელად ქვითინი მომაწვა ყელში. ჩავახშე და ძალაგამოცლილი დავდეგი ჩემს ლოგინზე. სულ არ გამიკვირდებოდა, ახლა თავს ვინმე მხეცი და ზარი რომ წამდგომოდა და იქვე დავეკალი. ოდნავ გონს მოვვეე თუ არა, წამოვხტი, სწრაფად მოვხვიე სიტყვებს ხელი, ყუთში ჩავტენე, ჩავკეტე, და კარებისკენ გავექანე. დერეფანში, ბნელ სარკეში, საკუთარ სახეს მოვკარი თვალი. შეკვრთი, რადგან მომეჩვენა, რომ თმა სრულიად გამთეთრებოდა. „ერთ ღამეშ!“ — გავიფიქრე შეძრწუნებულმა. ჩავიხედე. კარგად დავაკვირდი —

ეროვნული ბიბლიოთეკა

არა, ეს ოთახის ფანჯრიდან შემოჭრილი სხივები ცაცვებდნენ ჩემს თმაზე. ქურთუკი სწრაფად მოვისხი და საზარელი გადაწყვეტილებით შეპყრობილი, ქუჩაში გავვარდი.

ჩქარი ნაბიჯით გავიარე რამდენიმე კვარტალი. ჩემს დანახვაზე ღამის უგონო კატები კლაკვნით შორდებოდნენ ნაგვის ბუნკერებს და სადღაც, ჯანდაბაში იმურწებოდნენ. მათი თვალები ოქროს წერტილებივით ჩანდა ყვედიადში. ქარი ქროდა. მე მივდიოდი ქურთუკგადაღლილი. ცივი ქარი შუბლზე უხეშად მცემდა. თმა ამწეწოდა. სიტყვების ყუთი წინგაწვდილ ხელში მეჭირა. ასე გავარბინე კიდევ რამდენიმე კვარტალი, მერე გზა ეზოებზე გადავჭერი. ნაცნობ ეზოში „სანიტარო კანტორის“ კარი ყრუდ იყო დაგმანული. „უჰ, თქვე არამზადებო!“ — ვიფიქრე ბრაზით. ამ ეზოსაც სწრაფად გავცდი, მოედანზე გავედი და ხიდისკენ დავეშვი.

ესეც ხიდი — დიდუბის ახალი ხიდი. მარცხნივ, დიღმის კაკეებისკენ მიჩანდა ქალაქის მოციმციმე სინათლეები, ფაბრიკების ვრცელი, ჩაბნელებული ტერიტორიები და ზედ წამიძრახული ქვით ნაგები უზარმაზარი მილები. მდინარე უხმაუროდ მიიგრაგნებოდა თავის ბნელ კალაპოტში. შუა ხიდზე მოაჯირს გადავეყუდე, ხელი წინ გავიშვირე. ქარი სახეში მცემდა. სადღაც, წინ და მარცხნივ, დიდუბის ვაგზლისკენ, გაისმა ლოთონის შორეული ღრჭიალი — ალბათ, ელმავალმა თუ დაამუხრუჭა ან, პირიქით, დაიძრა — მე ამაზე ბევრი აღარ მიფიქრია, ყუთს ხელი ვუშვი და ისიც ქვასავით ჩაეკანა დაბლა, მდინარის მოლაპლაპე და ბნელ ხახაში. გაისმა წყლის სუსტი დგაფუნი. და სიტყვებიანი ზარდახშა სამუდამოდ გაქრა ჩემი მხედველობიდან — იმავე სტიქიამ შთანთქა, საიდანაც ოდესღაც იყო შობილი, რადგან ყოველი ცოცხალი ორგანიზმი, და მათ შორის, სიტყვებიც, ხომ ოდესღაც ოკეანის სიღრმიდან იშვა.

კარგა ხანს ვიდექი ხიდზე და შუბლი ქარისთვის მქონდა მიშვერილი. თითქოს ხიდი ღამის უსასრულო ოკეანეში მიმქროლავი ხომალდის გემბანი ყოფილიყოს, მე კი — კაპიტანი აქაბი, რომელმაც ეს-ესაა ბორტს იქით გადაუძახა თავისი ავადყოფური ტვირთი. მერე შემოვბრუნდი და უკან წამოვედი.

„იმედია, ყუთი არ გაიხსნება და სიტყვები თევზებივით მდინარეში ცურვას არ დაიწყებენ, — ვფიქრობდი სიცხიანივით! — მაგრამ, როცა იქნება ხომ მაინც დაშლის წყალი ყუთს. მაშინ ხომ ამოვლენ ზემოთ ის დალუბული სიტყვები?! ვინ იცის, იქნებ ჰაერშიც ამოაღწიონ და მთელს ქვეყანას მოედონ. მაშინ ხომ ყველა გაიგებს, რომ ისინი მე გადავაგდე?!“ — გამიელვა ფიქრმა, მაგრამ წამსვე თავი დავიმშვიდე:

„ყოველ შემთხვევაში, სანამ ყუთი დაიშლებოდეს, მანამდე წყალი აზერბაიჯანამდე ჩაიტანს. იქ კი, ჯანდაბას, თუნდაც დაიშალოს, რადგან იქ ქართულს მცოდნე მაინც არავინ იქნება!“.

ამ მხნე ლოგიკური არგუმენტით დაიმედებული, სწრაფად დავბრუნდი შინ, ლოგინზე გავიშოტე და წამსვე მკვდარივით დამეძინა.

●

მეორე დილას ძლივძლივობით გავახელე თვალი. თავი სიცხიანივით მიხურდა. უგემურად ვისაუზმე. და ისე, რომ ლევანისთვის არც დამირეკავს, უნივერსიტეტისკენ წავჩანჩალდი. გადაწყვეტილი მქონდა, თავიდან ამომეგდო ეს სიტყვებიცა და მათთან დაკავშირებული ყველაფერი. ლევანი კი საერთოდ აღარ მენახა, სანამ ვადა არ გავიდოდა და ზარდახშას უკან არ ჩაბარებდა. ასევე გადაწყვეტილი მქონდა, ახლა მაინც სერიოზულად ჩავჯდომოდი ჩემს დიპლომს. ლექციებზეც რეგულარულად მევლო და ლექტორისთვისაც ყურადღებით მესმინა.

იმ დღეს მართლაც მოვახერხე ყველა ლექციისთვის გულდასმით მეგდო ყური. მხოლოდ ერთხელ ამოვვარდი არნეული კალაპოტიდან, როდესაც შესვენებაზე

თამუნამ ირონიულად მკითხა, სად არის შენი დაპირებული ზღაპრული სიურპრიზი. რას ვეტყოდი. პასუხად მხოლოდ ირონიულად ჩავიცინე და მივუგე: „შენმა სიურპრიზმა მდინარეში დაიხრჩო თავი“, და, რადგან ვიგრძენი, რომ საკმაოდ უფერულად გამიმეორდა, „როგორმე სხვა დროისთვის მოგიმზადებ სხვა სიურპრიზს“, — თან მხედველობაში ჩემი დიპლომი მქონდა, რომლითაც, უკვე დარწმუნებით ვიცოდი, უნდა განმეცვიფრებინა მთელი ჩვენი ფაკულტეტი. და არა მარტო ფაკულტეტი — მთელი ჩვენი სამეცნიერო საზოგადოება. მთელი ქართული და არაქართული ფსიქოლოგიური საზოგადოება. იმდენად ძლიერი ნაშრომი უნდა შემექმნა, რომ მის ხილვაზე, თვით სახელგანთქმული ნარცის ახიც, რომ გაცოცხლებულიყო, განცვიფრებით შემოჰკრავდა ტაშს და გაუჩნდებოდა ეგრეთ წოდებული „აპა-განცდა“, რაც, ყველა ფსიქოლოგს კარგად მოესმენება, ადამიანს უჩნდება, როდესაც დიდი ხნის მანძილზე ამაოდ ეძებს რაღაცას და მერე მოულოდნელად იპოვის.

ამ მტკიცე გადაწყვეტილებით გამოვემართე სადამოს შინისკენ. მაგრამ არა ვარაზის ხევით — არა, ბატონო! ვარაზის ხევში ხმაურია, გამუდმებული მოძრაობა. დადიან მანქანები, ჯგუფ-ჯგუფად მოსეირნობენ სტუდენტები, არამკითხე მზერით გიყურებენ თვალებში, მე სხვა გზა ავირჩიე — შევღრმავდი უნივერსიტეტის ბაღში, დავეშვი „ნათლიას მიედანთან“, — ეს არის ხევები შემოჯარული მყუდრო მწვანე მდელო, რომელიც ოდნავ დაბლიდან ტერასად ეკერის უნივერსიტეტის ბაღს. გავდიე ამ ადგილს, ჩავედი, ბეტონის ხიდურით გადავლახე მდინარე ვერე და ზოოპარკის გავლით, ვეზი ავიღე ვმირთა მიედნისკენ.

უკვე ბინდდებოდა.

ჩამავალი მზის სხივები ჰორიზონტალურად გაწოლილიყო მთელი ამ ბაღებისა და ტერასების გასწვრივ — მაღლა, ჰაერში, ხეთა ვარჯებს შორის. თვით მდინარეზე და ზოოპარკის ტერიტორიაზე უკვე ჩაწოლილიყო სალამი ბინდი.

მიედიოდი ნელი ნაბიჯით ცხოველთა ვოლიერების გასწვრივ. და მავსებდა მყუდრობა და უშფოთველი ფიქრები. ეს ფიქრები ძირითადად ეხებოდა ჩემს დაუშთავრებელ დიპლომს, რომელსაც რაღაც ელემენტი — ჯერჯერობით არ ვიცოდი რა, — აშკარად აკლდა და ეს ფაქტი მთელს ჩემს ნამუშევარს აცლიდა საზრისსა და სრულყოფილებას. ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს საჭირო იყო რაღაც ერთადერთი ზუსტი ტერმინი, ერთი, ისე ვთქვათ, ჯადოსნური სიტყვა, და მთელი ჩემი ნაშრომი, რომელიც, ალბათ, გახსოვთ, ეხებოდა ადამიანის აზროვნებაში ცნებათა წარმოქმნას, მთელი ეს ნაშრომი შეიძენდა სიმწყობრესა და შინაგან საზრისს, იგი უნდა გამოსულიყო ლოგიკურ ცნებასავით მკაფიო და გამჭვირვალე.

ჩემი გონება ისევ და ისევ უბრუნდებოდა ჩემს ძირითად პრობლემას — მაინც, რომელი ცნება, რაგინდ ლოგიკური და ჩამოყალიბებული უნდა იყოს იგი, არის ბოლომდე მკაფიო და გამჭვირვალე? განა ყველა ცნებაში, როგორც უსიერ ტყეში, შიგნიდანვე ჩასაფრებული არ არის რაღაცნარი გაურკვეველობა თუ ირაციონალიზმი? თუნდაც ავიღოთ ცნება „ცხოველი“. ერთი შეხედვით სრულიად გასაგები ცნებაა. ეტიმოლოგიურად ეს სიტყვა აშკარად უკავშირდება „ცხოვრებას;“ შინაარსეულად იგი მოიცავს იმ ცოცხალ არსთა ერთობლიობას, რომლებიც დედამიწაზე სახლობენ და უჭირავთ რაღაც საშუალო ადგილი მცენარესა და ადამიანს შორის. ეს არის მოძრავი, მკრძნობიარე, გარშემოწერილი, გარემოსთან მუდმივ გაცვლა-გამოცვლაში მყოფი, ბოლოვადი, არა-მოაზროვნე, არა-მეტყველი არსებების ერთობლიობა. მათი ძირითადი საქმიანობა გამრავლებითა და ერთმანეთის ჭამით ამოიწურება.

მაგრამ ისიც ხომ ცნობილია, რომ ცხოველთა ყოველ სახეობას გააჩნია ნიშანთა რთული სისტემები, რომლითაც

ისინი ადამიანზე არანაკლებ უცვლიან ერთმანეთს ინფორმაციას. ეს ნიშნავა სისტემა ისევე და, შესაძლოა, უკეთ ემსახურება ცხოველს კომუნიკაციისთვის, როგორც მეტყველება, ენასტი და მამიკა — ადამიან. ამას დავუმატოთ ინსტინქტებისა და ტროპიზმების ჭეშმარიტად განსაცვიფრებელი და ამოუწურავი არსენალი — ეს ინსტინქტები შეუცთომლად ატყობინებენ მათ, თუ კონკრეტულად როგორ უნდა მოიქცნენ ამა თუ იმ სიტუაციაში.

ავიღოთ თუნდაც კრაზანა.

მან ზუსტად იცის, სად უნდა დადოს კვერცხი, როგორ უნდა შეუქმნას მომავალ მატლს ყველა აუცილებელი საცხოვრებელი პირობა, როგორ უნდა მოამარაგოს ახალი ხორცით.

კვერცხის დადების მერე კრაზანა მიფრინავს მწვანე მდელოსკენ. იქ შეუცთომლად არჩევს საკვებად გამოსადეგ ხოჭოს, ნესტრის ზუსტი დასობით ადამბლავებს ამ უბედურს, ეს დამბლა რაღაც უცნაურ ლეთარგიულ ძილს მიაგავს. კრაზანის ზხამი უბედურ არსებას არც კლავს და არც აცოცლებს. იგი განაგრძობს ბიოლოგიურ სიცოცხლეს, მაგრამ სრულიად უშიმრაოდ. პარალიზებულია მისი ყველა ნერვული ცენტრი, წარმეული აქვს ნება — თუკი ასეთი ტერმინი შესაძლოა გამოვიყენოთ ხოჭოს მისამართით, აღარ შეუძლია თავის დაცვა — მხოლოდ წევს და რამდენიმე კვირის მანძილზე ცოცხლად ინახება, როგორც კონსერვი, ისე, რომ არ გაიხრწნას. პარკში მოთავსებულ ამ ცოცხალ კონსერვს ახალგამოჩეკული მატლი ჭამს მთელი იმ ხნის განმავლობაში, რაც მისი მომწიფებისა და გარემოში გამოსვლისთვის არის საჭირო. რაღაც აუხსნელი უნარის წყალობით, კრაზანამ ზუსტად იცის, რომელი ხოჭო უნდა შეარჩიოს, სად ჩაუსოს ნესტარი, როგორ მოათავსოს ბუდეში ისე რომ მატლს ბევრი შრომა არ დასჭირდეს მის მოსახელთებლად. თავის მხრივ, მატლმაც ზუსტად იცის თავისი საქმე — გამოიჩეკება თუ არა, იგი შეძვრება ბუშობლის მიერ გამზადებული მსხვერპლის სხეულში და ჭამს, ჭამს, იზრდება. სხვა რაღაა აზროვნება? — მომავალის წინასწარ დაგეგმვის უნარი. ეს მწერები თითქოს აზროვნებენ, თანაც აზროვნებენ ადამიანზე ბევრად ნაყოფიერად, იმდენად ზუსტია და გამიზნული მათი ყოველივე მოქმედება.

მაგრამ აქ არის ერთი მაგრამ.

საკმარისია ამ აწყობილ სისტემაში ერთი დეტალი შეცვალო, რომ კრაზანის მოქმედება სრულიად უშინაარსო ხდება. მაგალითად — კრაზანის კვერცხი რომ ბუდიდან შეუმჩნევლად ამოიღო...

ამ შემთხვევაში მწერი სულაც ვერ ამჩნევს, რომ მისი მემკვიდრე თუ ნაშიერი აღარსად არის. რომ მისი მომავალი უკვე წინასწარ მოკვეთილი და ჩაბშობილია. რომ ამ ცარიელი ბუდიდან უკვე აღარ დაიბადება არავითარი ცოცხალი არსი — გარნა მხოლოდ ისეთივე მკვდარი და დაობებული სიცარიელე, რაც უკვე ამჟამადაც სუფევს ძაგებით დაქსელილ ამ დახშულ სამყაროში.

მოუზდავად ამისა, კრაზანა — ნესტრით შეიარაღებული ეს რთული მექანიზმი — ზუსტად ისევე მიფრინავს სანადირიოდ, როგორც გაფრინდებოდა, კვერცხი რომ ადგილზე ყოფილიყო. ზუსტად ისევე არჩევს მსხვერპლს, ადამბლავებს, ახვევს კანონზომიერებისა და აუცილებლობის დაურღვეველ ქსელში და ათავსებს ცარიელ ბუდეში. მერე ამ ცარიელ ბუდეს პირს ამოუკრავს და კმაყოფილი, რომ თავისი ფუნქცია ბოლომდე პირნათლად შეასრულა, მიფრინავს სადღაც, თვითონაც არ იცის — სად. დახშულ ბუდეში კი არ არის არაფერი, გარდა სიკვდილისა და შხამით გონებაწყრომეული, თანდათანობით მომაკვდავი ხოჭოსი. აქ აღარ არის მთავარი ელემენტი — კვერცხი, სიცოცხლის ეს ერთადერთი პატარა უჯრედი, რომლისგანაც მომავალში უნდა წარმოქმნილიყო ისეთივე რთული და გაუგებარი მქრლავი არსება, როგორიც არის ყველა კრაზანა, ყველა მწერი და ყველა ცხოველი ამ დედამიწაზე. აქ უკვე თავს იჩენს რაღაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემზარავი ფატალისტური დეტერმინიზმი, რაღაც გაუგებარი უაზრობა, რომელიც სრულიად მოულოდნელია ასე საგულდაგულოდ აწყობილი სისტემისთვის. ხოლო რაც შეეხება კვერცხს, იგი ვიღაც მოაზრონვე არსებამ, კერძოდ — მეცნიერმა, ზოოფსიქოლოგმა — პინცეტით ამოიღო ბუდიდან და სადღაც, ჯანდაბაში თუ ჯოჯოხეთში, სადღაც, არარსებობის სიცარიელეში გადაუძახა. ასე დარჩა მომავალი მწერი განადგურებული და განწირული — „ჩაზშიბადი, ვითარცა ჭუპრი!“

მაგრამ ხომ შეიძლება ერთხელაც კრაზანამ შეამჩნიოს კვერცხის დაკარგვა? ხომ შეიძლება, მშობლიური ინსტინქტით განმსჭვალულმა, შური იძიოს მოძალადეზე? ხომ შეიძლება, ერთ დღესაც შურისძიების ამ გოგირდოვანი კვამლიდან გამოვიდნენ უზარმაზარი, გიგანტური მწერები, როგორც საომრად გამზადებული ცხენები — მათს სხეულებზე ოქროსფერი და შავი გვირგვინები, მათი სახეები — როგორც შურისმძიებელი ადამიანების. ხომ შეიძლება მწერების ეს უზარმაზარი გუნდი დაეცეს ქალაქს და დანესტროს და დაადამშლოს ყოველი ადამიანი, მათ შორის — ყველა ზოოფსიქოლოგი, რომელიც კი ამ ქალაქში ცხოვრობს? ხომ შეიძლება, ეს დანესტრილი ადამიანები კი არ დაიხოცონ, არამედ იცოცხლონ ხუთი თვე, — უძრავად, უუნაროდ, ვეგეტატიურ განზომილებაში, არ ახსოვდეთ თავიანთი წარსული, არ ჰქონდეთ მომავალი, და ასე, მთელი ამ ხნის განმავლობაში, მორჩილად ელოდებოდნენ სიკვდილს — მატლს, რომელიც გამოიჩეკება და დახრავს მათ შიგნიდან, მათს ლეთარგიულ ძილ-ღვიძილში?

აი, ჭეშმარიტად მეცნიერული კითხვები, რომლებზეც მეცნიერული პასუხი არა და არ გაიცემა.

ამ ფიქრებით ჩავუარე მტაცებელ ფრინველების გალიას, სადაც ქანდარებზე აწოვებენ და სვავები გარინდულიყვნენ. მხოლოდ ხანგამოშვებით რომელიმე მათგანი ძილიდან გამოფხიზლებულივით აიქნევდა ფრთებს — თითქოს რაღაც იდუმალმა ჩვენებამ შეაშფოთაო, — და კვლავ ლეთარგიულ მდუმარებაში ირინდებოდა. მათს გადმოკარკლულ თვალებზე მოვარდისფრო ჭუჭყიანი ლობრი ზევით-ქვევით იწეოდა.

გავედი გზაგასაყარს. ზოოპარკი უკვე დაეკეტოთ. ადამიანისსული არ ჭაჭანებდა. ახლა მივუყვებოდი ირმებისა და მუფლონების ვრცელ ვოლიერებს, სადაც მოხრიოკებულ მიწაზე და ხელოვნურ კლდეებზე კერპებივით უძრავად აყუდებულიყვნენ რქოსანი ბალახისმჭამელნი. ისინი იწვნენ თავაწეული და დაყუდებული, როგორც ადდგომის კუნძულის ქვისგან გამოჩორკნილი უცნაური გრძელყურიანი ბომონები. მათს მდუმარე უძრაობაში არ შეინიშნებოდა არავითარი მოძრაობა, გარდა ერთისა — ეს იყო ყბების მექანიკური, რიტმული და გაუთავებელი ჩმუნვა — მუფლონები იცოხნებოდნენ.

ვიდექი და ვაკვირდებოდი ერთ მათგანს — მე, სულიერი არსება, მეორე სულიერს. იგი ვერც კი მამჩნევდა. მისი პლასტმასისებრი თვალი იყურებოდა სადღაც შორს, ერთი მიმართულებით, თითქოს იმ ერთ წერტილზე იყო სამუდამოდ მიჯაჭვული. ისეთი გრძნობა გამიჩნდა, თითქოს ამ უცნაური და უძრავი არსების შიგნით ჩამალული იყო რაღაც გამოცანა, რომელსაც სამარადისოდ მიჯაჭვოდა მისი პრუტყვული გონება. ამ გამოცანის ირგვლივ, როგორც პლანეტები — შავი ხვრელის ირგვლივ, ტრიალებდა მისი ყოველი შეგრძნება, გრძნობა და ფიქრი — თუკი ჰქონდა ამგვარი.ეს იყო ღრმად ჩაფიქრებული, საკუთარი დამბული ფიქრისგან გაქვავებული, თითქოს ლეთარგიაში წასული არსება, რომელიც იწვა და მხოლოდ იცოხნებოდა, როგორც ზღაპარში — მონუსხული და გაქვავებული ქალაქის რომელიმე მკვიდრი, რომელსაც ყოველ ღამე მცირე ხნით სიცოცხლეს უბრუნებს ნესტარივით მწვავე შოლტით ტანჯავს გრძნეული ფერია. ეს მისი ცოხნაც რაღაც დაუსრულებელ ხარშვას

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰგავდა, რაღაც მოუხარშავის გადახარშვას, თითქოს, უბედურს, ჯადო არ აეხსნებოდა მანამ, სანამ დედამიწაზე არსებულ მთელს თავასა და ბალახს არ გადახარშავდა.

მინდოდა მეყვირა „ჰეი!" — ისიც ხომ ცოცხალი არსება იყო, და იქნებ მის გრძელ ყურთა სმენაშდე როგორმე მიეღწია ჩემს ამონაყვირს. მაგრამ ვიცოდი — ეს იყო უხიტყვო არსება, რომელსაც საკუთარი გასაჭირის გამოთქმაც კი არ ძალუძს, ნებისმიერ მოწოდებას თუ შეძახილს იგი უპასუხებს მხოლოდ ერთი გაბმული საზარელი (საზარელი — რადგან ამ სიჩუმეში ნებისმიერი ბგერა საზარელი იქნებოდა) ღმუილით: მმუუუ...

სრული სიჩუმე. აქ ქალაქის ხმებიც არ აღწევდა. არ ისმოდა თვით ჩიტების ჭიკჭიკი. მხოლოდ ბალახი ფაჩუნობდა ნიავზე და ჩემს წინ, ვოლიერში, ეს ფიქრის ქარხანა ამოძრავებდა თავის საღეჭ ხრახნილებს. მზის სხივები მოწითალოდ ელვარებდნენ ვოლიერის ზემო ბოლოში აღმართულ ხელოვნურ კლდეებზე. მერე ერთბაშად ეს ნათებაც ჩაქრა — მზე ჩაესვენა. ერთბაშად ჩამუქდა ბინდი. ოდნავ დაჰქროლა ჟრუანტელის მსგავსმა ნიავმა — თითქოს დღეს სული ამოხდა. და სადღაც, გალიაში რომელიღაც მტაცებელმა მხეცმა შეჰკივლა.

ეს თითქოს დათქმული ნიშანი იყო — ანაზდად ზოოპარკში მყოფი ყველა სულდგმული აჰყვა ამ ეულ კივილს — ყველა თავის ხმაზე, და ყველა ეს ხმა შეერწყა ერთიან ყურისწამღებ გნიასად. უფრო სწრაფად, კიოდნენ, ალბათ, მხოლოდ მტაცებლები. დახურული ვოლიერებიდან ისმოდა მსხვილ მტაცებელთა ჩახშული ღმუილი — იქ ბინადრობდნენ ლომები, ვეფხვები და ავაზები. გარეთ, უფრო მცირე ვოლიერებში, ყმუილით აწყდებოდნენ ძაღლისებრთა ოჯახის წარმომადგენლები. ამ საშინელ გნიასს ზემო მხრიდან დაერთო სვავებისა თუ არწივების საზარელი შეკივლებანი — თითქოს მთელი სამხეცე რაღაცას გლოვობდა. იქნებ მათი ეს გლოვა რაღაცნაირად მზის ჩასვლას უკავშირდებოდა? ან იქნებ რაიმე სულ სხვა, ადამიანისთვის გაუგებარი მიზეზი ჰქონდათ? — ამაზე ვერაფერს ვიტყვი. მხოლოდ ვიდექი თავზარდაცემული და ვფიქრობდი, რომ ახლა მთელი ეს აყმუვლებული უსიტყვური არსებები გალიებიდან გამოცვივდებოდნენ და ნაფლეთებად მაქცევდნენ მე — მათს შორის მყოფ ერთადერთ სიტყვიერს.

სწრაფი ნაბიჯით გავემართე ზოოპარკის გასასვლელისკენ, გადავმვერი რკინის გისოსებზე და მხოლოდ მაშინღა დავმშვიდდი, როცა თავი ამოვყავი გმირთა მოედანზე, სადაც ჯერ კიდევ მრავლად იყო ფეხით მოსიარულე ხალხი. ლენინის ქუჩის აღმართზე საშინელი გუგუნითა და ღრიალით მიმოქრიდნენ მანქანები და კუდებიდან უშვებდნენ მომწამვლელ კვამლს, რომელიც შრეებად იფანტებოდა საღამოს გამჭვირვალე ჰაერში.

●

შემდგომი ორი კვირა ისე გავიდა, რომ აღარც ლევანი მინახავს და აღარც მისი სიტყვებისა გამიგია რამე. სანეტარო კანტორიდანაც არავის შეეუწუხებივარ. — ალბათ, უკვე შეეგუენ ძველი და უვარგისი ზარდაზრის დაკარგვას. ან იქნებ სულაც ჩემი ხელმოწერილი დოკუმენტი დაკარგეს — სადღაც საბუთებს შორის გაებნათ და ვეღარც ვერასოდეს იპოვნიდნენ. და რომც ეპოვნათ, რომც მომდგომოდნენ პრეტენზიით, გადაწყვეტილი მქონდა, ასეთ შემთხვევაში იქით წამეყენებინა მათთვის პრეტენზია: რაში გადამახდევინეს 250 მანეთი? რაღაც დამძაღებულ და გალაყებულ უსარგებლო პროდუქციაში. შემეძლო პროკურატურაშიც კი მეწიელა მათთვის — მართლაც, საინტერესო იყო, ფრიად საინტერესო, თუ რით ამარაგებდნენ ისინი ახალგაზრდობას, რა წყაროებიდან შოულობდნენ თავიანთ უზნეო და ანტისაზოგადოებრივ საქონელს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არა. მათ ჩემთან არაფერი გაუვიდოდათ. თუმცა არც არავინ გამოჩენილა.

ორი კვირა თავაუღებლად ვმუშაობდი დიპლომზე.

გამოვჭერი მუყაოს ბარათები.

ზედ დავახატე სხვადასხვა ფორმისა და ფერის ცენტრალური ფიგურები და ასევე სხვადასხვა ფორმისა და ფერის პერიფერიული ჩარჩოები.

ეს ფიგურები და ჩარჩოები ჯგუფდებოდნენ ცალკეულ კლასებად. ცდის პირებს რამდენიმე ექსპოზიციის შემდეგ თვითონ უნდა დაელაგებინათ ეს ბარათები შესაბამის კლასებად. შემდეგ მე მათ ვეკითხებოდი, თუ რით იხელმძღვანელეს ბარათების კლასებად გაერთიანებისას. როგორც წესი, ცდის პირებს გაცნობიერებული არ უნდა ჰქონოდათ ის კონკრეტული ნიშნები, რითაც ბარათები ერთმანეთისაგან განსხვავდებოდნენ. მიუხედავად ამისა, უმრავლესობას მაინც წარმატებით უნდა მოეხერხებინა მათი კლასიფიცირება.

ეს ექსპერიმენტი ახალი არ არის. ყველა ფსიქოლოგისთვის ცნობილია — მისი საშუალებით დასტურდება, რომ ადამიანი, ცნებათა სისტემით ოპერირებისას, ბოლომდე არ ახდენს ამ ცნებათა გააზრებას, არამედ ხელმძღვანელობს ერთგვარი ინტუიციური, არათვალსაჩინო თუ ფარული ცოდნით. როდესაც იგი იაზრებს რაიმე ცნებას, იგი ბოლომდე არ აცნობიერებს მის ძირითად ელემენტებს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც შეუცდომლად ათავსებს მას ცნებათა შესაბამის სისტემაში.

მაგრამ მე უფრო დიდ აღმოჩენებს ვისახავდი მიზნად.

მინდოდა შემექმნა არარსებული შინაარსებისგან აგებული ცნებათა მთელი სისტემა, მთელი გამოგონილი სამყარო, რომელიც გარკვეული სახით იქნებოდა ფიქსირებული ბარათებზე ან სულაც მოცულობით საგნებზე.

ამ ჩემს მიერ გამოგონილ სამყაროში ცდის პირები იტრიალებდნენ და ურთიერთობა ექნებოდათ მათთვის სრულიად ახალ ცნებებთან მრავალი ღღის მანძილზე — ეს იქნებოდა რეალობის ერთგვარი მოდელი, სადაც ცდის პირი, როგორც დედამიწაზე ახლადმოელენილი პირველყოფილი ადამიანი, თანდათანობით გაეცნობოდა და შეიმეცნებდა მის გარემომცველ ცნებათაგან თითოეულს, სახელს დაარქმევდა და მოათავსებდა მათ ცნებათა უფრო დიდ სისტემაში. ამ შემეცნებით პროცესზე დაკვირვება იყო ჩემი მიზანი — როგორ მოახდენდა ცდის პირი ცნებების ერთმანეთთან დაკავშირებას? რა ნიშანთვისებებით იხელმძღვანელებდა ამ დროს? რამდენად გაცნობიერებული ექნებოდა ამ ცნებათა ძირითადი ნიშნები? კერძოდ, რომელ ნიშნებს მიანიჭებდა პრინციპულ მნიშვნელობას? — მისთვის ეს სამყარო სრულიად ახალი და საიდუმლოებით მოცული უნდა ყოფილიყო. ისე როგორც — ველურისთვის ცოცხალი არსებებთან დასახლებული ტყე. მას ხელის ცეცებით უნდა ეკლო ცნებიდან ცნებამდე და საკუთარი ინტუიციისა თუ ფარული აზროვნების წყალობით ცნობიერებაში თანდათან უნდა შეექმნა ამ უცნობი სამყაროს სურათი, რომელიც ჩემთვის, ექსპერიმენტატორისთვის, თავიდანვე სავსებით ცხადი და გარკვეული იქნებოდა, რამდენადაც ამ სამყაროს შემოქმედი მე ვიყავი. სწორედ ამ ექსპერიმენტის წყალობით მსურდა დამედგინა ზოგადად ადამიანის აზროვნების ძირითადი საფუძველმდებელი პრინციპები.

მაგრამ ეს ძნელი იყო, ძალიან ძნელი.

ძნელი იყო თუნდაც იმ ადამიანების პოვნა, რომლებიც ამსიგრძე ექსპერიმენტში მონაწილეობაზე დამთანხმდებოდნენ. მაგრამ რას მიქვია სიძნელე, როდესაც საქმე უნიკალურ აღმოჩენას ეხება?!

მეორე მხრივ, ვგრძნობდი, რომ ჩემს ექსპერიმენტს ჰქონდა აგრეთვე თავისი ფილოსოფიური მხარე. ეს ყველაფერი შინაარსით ძალიან წაგავდა პლატონის იდეათა თეორიას.

ალბათ, კარგად მოგეხსენებათ, პლატონის დიალოგებში წარმოჩენილია სწორედ ის უცნაური მოვლენა, რომ

ადამიანი, მიუხედავად იმისა, რომ დარწმუნებულია ამა თუ იმ ცნების ცოდნაში და წარმატებითაც ხმარობს ამ ცნებას ყოველდღიურ ცხოვრებაში, ნამდვილად სრულიად ვერ აცნობიერებს მის ჭეშმარიტ მნიშვნელობას.

მაგალითად, სოკრატე (იგივე ექსპერიმენტატორი) ეკითხება ამა თუ იმ თანამოსაუბრეს (იგივე ცდის პირს):

„რა არის მშვენიერება?“

„მშვენიერი არის, მაგალითად, აი, ის ცხენი“, — პასუხობს გაკვირვებული თანამოსაუბრე, რომელსაც, მისი აზრით, ასე მარტივი შეკითხვა დაუსვეს.

„მე არ გეკითხები, თუ რომელი საგანია მშვენიერი. მე გეკითხები — რა არის მშვენიერება?“ — უმოწყალოდ უბრუნებს კითხვას სოკრატე.

მაშინ ცდის პირი სრულიად იბნევა — ივი იწყებს სხვადასხვა, მისი აზრით, მშვენიერი მოვლენების ჩამოთვლას, როგორიცაა მშვენიერი ქალი, მშვენიერი საქციელი, სიყვარული, სიქველე — მაგრამ ყოველივე ეს მხოლოდ საგნებია. მშვენიერი საგნები, და არც ერთი მათგანი არ არის თავად მშვენიერება. მშვენიერება სადღაც, ამ საგანთა მიღმა რჩება.

ბოლოს გაოგნებული ცდის პირი იძულებულია აღიაროს, რომ თურმე მას არ სცოდნია, თუ რას ნიშნავს სიტყვა „მშვენიერება“. არადა, თავიდან სავსებით დარწმუნებული იყო, რომ ამ სიტყვის მნიშვნელობა კარგად მოეხსენებოდა.

ასეა ნებისმიერი სხვა ცნების შემთხვევაშიც — შეგიძლიათ თქვენს თავზე შეამოწმოთ. რამდენადაც უცნაური უნდა იყოს, თითქმის შეუძლებელია სიტყვებით გამოხატო იმ სიტყვების მნიშვნელობა, რომლებიც თითქოს ძალიან კარგად იცი და რომელთაც ყოველდღიურად თამამად ხმარობ საუბარში.

ასე ვიჯექი ერთ საღამოს — უკვე დეკემბრის ერთ-ერთ ბოლო საღამოს — ჩემს ოთახში და თავი სამუშაოში მქონდა ჩარგული, რომ კარებზე ზარი გაისმა და შემოვიდა ლევანი, ხელში კელავინდებურად თავისი განუყრელი შავი ზარდახშით.

რა დასამალია, — მისი ნახვა გამიხარდა.

ერთის მხრივ, იმიტომ, რომ დიდი ხანია არ მენახა, მეორეს მხრივ კი, იმიტომ, რომ იმედი მქონდა — ჩემი ახალი ნაბრძვანი გავაკვირვებდი.

— სადა ხარ? რატომ აღარ გამოჩნდი? — საყვედურით მკითხა მან.

მე კალმისტარი გვერდზე გადავდე და ქაგიდზე გაშლილ ქაღალდებზე მივუთითე:

— ხედავ, რამდენი სამუშაო მაქვს? არ მეცალა.

მან ინტერესით მოავლო თვალი ჩემს საწერ მაგიდას.

—ბევრი გიმუშავია. გააკეთე რამე?

— მგონი, კი.

— კარგია. მაინტერესებს. მაინც რა გააკეთე?

— ცნებათა ჩამოყალიბების მექანიზმს ეკვლევდი, — მიუუგე თავმდაბლად.

— მერე, რა გამოიკვლიე? — ვხედავდი, მართლა აინტერესებდა, ისევე როგორც აინტერესებდა საერთოდ ყველაფერი ახალი ამქვეყანაზე. ამიტომ მიუგე:

— საერთოდ, ცნებები, როგორც ცნობილია, თავის თავში შეიცავენ როგორც რაციონალურ, ისე ირაციონალურ ელემენტებს. ყოველი ცნება, რომელიც თითქოს სრულიად ნათელი და თავისთავად ცხადი შინაარსითაა დატვირთული, სინამდვილეში გაცილებით უფრო ფარული და არაცნობიერია, ვიდრე ჩვენ გვგონია.

— მაგალითად? — ლევანმა ინტერესით შემომხედა.

— მაგალითად, რა არის მშვენიერება? — ვკითხე მე და ვიგრძენი — ყველაფერი რიგზე იყო. საუბარი თითქოს საკანგებოდ თვითონ მიდიოდა დასახული კალაპოტით.

ლევანმა მხრები აიჩეჩა.

— ვერ გავიგე, როგორ თუ რა არის მშვენიერება? — მკითხა დაბნეულმა.

გამეღიმა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გესმის, თუ არა, რას ნიშნავს სიტ-ყვა „მშვენიერება?“

მან დაფიქრებული მზერა მომაპყრო:

— მშვენიერება?

— ჰო, — მივუგე მე, — მშვენიერება.

— რა თქმა უნდა, მესმის, — მიპასუ-ხა ლევანმა.

— ჰოდა, მითხარი, რა არის მშვენიე-რება? — უმოწყალოდ მივუგე მე.

მან ზარდახშა, ისე, რომ მაგიდაზე არ დაუდგამს, გახსნა, და იქიდან, რო-გორც მოსალოდნელი იყო, ერთბაშად ამოიშალნენ სხვადასხვა ფერით მოცი-მცმე სიტყვები. ვიფიქრე, რომ ახლა სიტყვა „მშვენიერებას“ დასწვდებოდა და მომაწოდებდა, მაგრამ მან მხოლოდ ქარბორბალასავით დაატრიალა თავისი სიტყვები.

— აი, ეს არის მშვენიერება, — ცოტა არ იყოს, პათეტიკური ტონით წარმო-თქვა მან. თვატრალობა მუდამ უყვარდა.

მაგრამ მე კვლავ სოკრატესავით, უმოწყალოდ ჩავეძიე:

— მე არ მიკითხია შენთვის, თუ რო-მელი სავანაა მშვენიერი. მე გეკითხე-ბი: რა არის მშვენიერება?

— მშვენიერება? — კვლავ დაბნეულად იკითხა მან, თან ელვისსასწრაფით ქმნილი სიტყვებისგან უცნაური ფიგუ-რებს. ჩემი ოთახი სწრაფად ივსებოდა ათასნაირი ცოცხალი არსებებით. ჩემს არყოფნაში ლევანს ჭეშმარიტად ვირ-ტუოზული ოსტატობისთვის მიეღწია.

— ჰა, მიპასუხე, რა არის მშვენიერე-ბა? — ისევ ჯიუტად ვკითხე.

— უკვე გიპასუხე: აი, ეს არის მშვე-ნიერება, — გაიმეორა მან და ფიგურებზე მიმითითა. ეს ფიგურები უკვე სავსებით აღარ გვანდენ არც პირველ სიტყვებს და არც ლევანის ოთახში შექმნილ გირ-ლიანდებს. აქ იყვნენ სრულიად ახალი და უცნაური ცოცხალი არსებები, მთე-ლი სურათები და პეიზაჟები. მათ შო-რის მოლივლივე ადამიანებით. ორი მათგანი — ქალი და კაცი, ჩვეულებრა-ვი ადამიანური ზომისა, თანაც ჭეშმა-რიტად მშვენიერი ქალი და კაცი, დე-დიშობილა, როგორც ადამი და ევა, უხ-მოდ და ნეტარად ლივლივებდნენ სურა-თების მოციმციმე ედემში. აქ იყო მთე-ლი მშვენიერი სამყარო — ცოცხალი ქმნილებების მთელი სამყარო, რომელ-საც უკვე გაევსო მთელი ჩემი ოთახის სივრცე.

ცოტა ხანს საამოვნებით ვუყურებდი. მერე მოახლოებულ ფიგურებს ხელი ავუქნიე და კვლავ სოკრატესებური, ჯიუტი ღიმილით ვკითხე:

— ეს ყველაფერი მშვენიერია, მაგრამ ეს მაინც მშვენიერი ქმნილებებია და არა თვით მშვენიერება. მე კი გეკითხე-ბი: „რა არის მშვენიერება?“.

ლევანმა შემომხედა და გაეცინა.

— დიდი ჯიუტი ვინმე ხარ. თუ ეგრე გინდა, ეხლავე გიჩვენებ, რა არის მშვე-ნიერება, — თქვა მან, ფანჯარასთან მი-ვიდა, გამოაღო, და მოულოდნელად, სა-ნამ რამის გაფიქრებას მოვასწრებდი, რაფაზე შეხტა. მანათობელი სურათები-სა და არსებების მთელი ჯარი სასწრა-ფოდ მიჰყვა, დატრიალდნენ და გარს შე-მოეხვევნენ — და ლევანი, გარშემორტ-ყმული ამ მანათობელი შარავანდით, ღია ფანჯრიდან ღამის წყვდიადში გა-დაეშვა.

ოთახი ერთბაშად დაცარიელდა.

შეძრწუნებული გავშეშდი.

შეძრწუნებული, რადგან ჩემი ოთახი მეხუთე სართულზეა.

შეყვარებაც ვერ მოვახერხე — სულ მთლად წამერთვა მოქმედების უნარი.

ნუთუ მან, მხოლოდ იმისთვის, რომ ეჩვენებინა, რა არის მშვენიერება, გადა-წყვიტა მშვენიერი სიკვდილით მოეკლა თავი?!

ამ აზრმა გულში ელვისებურად გამაი-რა და წამსვე ვიგრძენი, თუ რაოდენ უაზრო იყო ეს ყველაფერი. თვითონ მი-სი ნაბიჯი — თავისთავად, ალბათ, საკ-მაოდ ეფექტური და მშვენიერი ნაბიჯი, სრულიად უაზროდ და უმოწყალოდ უნ-და დამსხვრეულიყო ასფალტის ზედაპირ-ზე, როგორც ზეციური ქმნილებებით გარშემორტყმული ფაეტონი.

რამდენიმე წამს გახევებული ვიდექი და ველოდებოდი, როდის გავიგებდი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხეულის ასფალტზე დანარცხების ხმას.

და რალაც ყრუ და შემზარავი ხმა მართლაც გაისმა.

გიჟივით მივვარდი ფანჯარას, გადაეყუდე და ყელიდან ღრიალი აღმომხდა: — ლევიკო!

და მაშინვე, აქვე, ჩემს ახლოს, გაისმა დამცინავი შეკითხვა:

— რა გაღრიალებს, შენ?!

ეს უკვე აღარც ტრაგედია იყო და აღარც კომედია, — რალაც საშინელ ფარსს ჰგავდა.

მანათობელ ღრუბლებზე გაწოლილი ლევანი ნარნარად ეშვებოდა დაბლა, თითქოს წყვდიადის უძირო სიღრმეში, ეშვებოდა და თან ირონიული ღიმილით ამომყურებდა.

ქვემოთ ჩავხედე — თითქოს მაინც ველოდი, რომ ფსკერზე მისი დასახიჩრებული სხეული უნდა დამენახა. იქ, ცხადია, არაფერი მსგავსი არ ეგდო, მხოლოდ ორი ადამიანი ჩანდა. — ისინი იდგნენ — გოგო და ბიჭი — და ამოვცქეროდნენ.

სასწრაფოდ მოვწყდი ფანჯარას, კარი გამოვაღე და კიბე ჩავირბინე.

ლევანი უკვე მშვიდად იდგა ჩემი სახლის წინ. ხელში დახურული ზარდახშა ეჭირა. სიტყვები არსად ჩანდნენ. გვერდზე კი უცნობი ქალაშვილი და ჭაბუკი ამოსდგომოდნენ. ესენი არ იყვნენ მისი ქმნილებები — ესენი იყვნენ ნამდვილი, სისხლხორცეული ადამიანები.

— ეს მაიაა. ეს სოსო, — ისე მითხრა ლევანმა, თითქოს არაფერი მომხდარიყოს.

გონს ძლივს მოვეგე.

— გამარჯობათ, — ვთქვი დაბნეულად.

— ჩვენ, მგონი, ვიცნობთ ერთმანეთს, — სოსომ ღიმილით გამომიწოდა ხელი. შევხედე და მართლაც ვიცანი — ეს იყო ჩვენს მოპირდაპირე ეზოში მცხოვრები ბიჭი, რომელიც ადრეც რამდენჯერმე მენახა ლევანთან.

ლევანმა მაიასკენ გაიწოდა ხელი:

— მაიასაც ხომ არ იცნობ? ნახე, რა კარგი გოგოა!

— ზაზა! — წარმოვთქვი უაზროდ და მაიას გამოწვდილი ხელი ჩამოვართვი.

— წავიდეთ, გავაცილოთ მაია, — უზრუნველად წარმოთქვა ლევანმა და ჩაბნელებულ ქუჩას გაუყვა. მაიაც გვერდზე მიჰყვებოდა. მე და სოსო უკან მივყვევით.

აღარ ვიცი, გადმოგცეთ თუ არა ის ამბები, რაც იმ დამეს სოსომ მომითხრო.

არ ვიცი.

ჯერ მინდოდა, ყველაფერი თავიდან ბოლომდე, მიმდევრობით მომეყოლა, მაგრამ მერე, როცა დავაპირე, რალაც საშინელი **სიზარმაცე შემომაწვა. რო**გორც ჩანს, ეს სიზარმაცე გამოწვეული იყო სკეპტიკური ფიქრით —რა აზრი აქვს ყველაფერ ამას? ვის ეუყვები? ვისთვის ვხარჯავ ამ მკვდარ და უშინაარსო სიტყვებს? ვისთვის ვცდილობ, წარმოვაჩინო ჩემი მეგობრის — ლევანის ასეთი და ისეთი თვისებები? — ვიფიქრე მე, — ადამიანები ისეთი უმადურები არიან. ისინი მოელიან შენგან გასართობს, ელიან ამას, რაც მათს გრძნობებს მიესალბუნება. მაგრამ სად შემიძლია მე, ერთ უბრალო და ჩამოუყალიბებელ პიროვნებას, მოვითხროთ მთელი ამბავი ისე, როგორც სინამდვილეში მოხდა — რა კავშირი უნდა ჰქონდეს ჩემს უფერულ სიტყვებს სინამდვილესთან? არა, ამის გადმოცემა ჩემს ძალებს აღემატება. და არც დავდებ ამაზე თავს. მხოლოდ ერთი რამით შემიძლია გავახარო მკითხველი, რომელსაც, როგორც ნამდვილ მკითხველს შეეფერება, ხურს რაც შეიძლება მალე შეიტყოს ამ ამბის დასასრული — ვითომც ამბის დასაწყისისა და დასასრულის გარდა არც არაფერი არსებობდეს. სწორედ ასეთი მკითხველისათვის შევეცდები რამდენიმე სიტყვით გადმოვცე შემდგომი ამბავი:

თუმცა იმ ხანებში, რაც მე ლევანი არ მენახა, ივი იქცეოდა როგორც შეეფერება უფლისწულს, და ამგვარი ქცევით ბევრი შურიანის გული შეურაცხყო. მაგრამ ქვეყანა ხომ მარტო შურიანებისგან არ შედგება. ქვეყნად არიან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღრმა გულის ადამიანებიც. და ერთა ასეთი, თანაც — მდელრობითი სქესისა — შეხედა ლევანსაც. ეს იყო მაია, რომელიც, სოსოს თქმით, ლევანმა ქუჩის ნაძირალებისგან დაიხსნა. როგორ, დაიხსნა? ცხადია, სიტყვების საშუალებით. იმ საღამოსაც ლევანმა ჩაიდინა დაახლოებით ისეთი რამ, რაც დღეს, ჩემთან ყოფნისას, როდესაც, სიტყვებით გარშემორტყმული, პირდაპირ ღია ფანჯრიდან გადაეშვა. ამის შესახებ დანამდვილებით სხვა აღარაფერი ვიცი. ამიტომაც კონკრეტულად ვერ ვიტყვი, რა მოხდა იქ. მხოლოდ სოსოს სიტყვების კვალდაკვალ წარმომიდგენია, რა თავზარი უნდა დასცემოდათ ქუჩის ავარეს, როდესაც დაინახავდნენ, რომ ღამის წყვდიადში მათკენ მაღლიდან მოფრინავს მანათობელი არსებებით გარშემორტყმული ვიღაც მუშკეტერის სამოსიანი კაცი და მუქარით იქნევს დაშნას.

ალბათ, ყველაფერი გასაგებია.

გასაგებია მაიას ჩუმი სიყვარული და მოკრძალებაც ლევანის მიმართ.

მაია რომ მიეცილეთ და უკან გამოვბრუნდით, ლევანს თანდათან თავისთვის ჩვეულმა სიხალისემ წამოუარა და გადაწყვეტა სახვალიოდ სიურპრიზი გამზადებინა მაიასთვის.

— რა სიურპრიზი? — ვკითხე ცოტა არ იყოს შეშფოთებით, რადგან ძნელი არ იყო მისი სიურპრიზის შინაარსის გამოცნობა.

— რაღაც ფანტასტიკა უნდა გავაკეთო მაიასთვის. ხვალ ღამე შობაა. დილას, მაია რომ გაიღვიძებს და ფანჯრიდან გამოიხედავს, აი, ეს დახვდება, — თქვა მან და ზარდახშას თავი ახადა.

იქიდან ელვის სისწრაფით ამოიფანტნენ მანათობელი სიტყვები.

— ლევან, — საყვედურით შეეძახე მე, — რას აპირებ. ხომ გაგაფრთხილეს კანტორაში, რომ სიტყვების ღია ცისქვეშ გაშვება არ იქნება.

ლევანმა სიცილით შემომხედა:

— კარგი ერთი, რა დაიჩემეთ ყველამ ეს კანტორა და კანტორა! ჩემი სიტყვებია და რასაც მინდა, იმას ვუზამ.

— შენი კი არა, იმათია.

— მერე რა, რომ იმათია. დროებით ხომ ჩემია. არც ერთი სიტყვა არსად არ დაიკარგება. ყველას უკლებლივ ჩავბარებ. აბა, მაიას საჩუქარი ხომ უნდა გავუზადო!

— ხალხი რას იფიქრებს, დილას სიტყვებს რომ დაინახავენ!

— რას იფიქრებს? რაც უნდათ, ის იფიქრონ. თუ ნორმალურები არიან, უნდა მოიღხინონ. თუ არა და, ჯანდაბამდე გზა ჰქონიათ.

აქ ჩემი ზარდახშა გამახსენდა — რომელიც მდინარეში ჩავუძახე — და გავჩუმდი.

ლევანი კი ამასობაში დროს არ კარგავდა, — ქმნიდა და ქმნიდა სიტყვებისგან ფანტასტიურ ფიგურებს.

მაიას სახლის წინ ხეები მანათობელი ფიგურებით დაიფარა. დაიფარა აგრეთვე მაიას კორპუსის ფანჯრები და კარნიზები. მერე ლევანმა ეზოში გადაინაცვლა, მერე ქუჩაში — სიტყვების ღრუბელი მის გარშემო თანდათან უფრო იზრდებოდა და იზრდებოდა, სიტყვების ნაკადს თითქოს ბოლო არ ჰქონდა. და, ალბათ, არც ჰქონდა ბოლო — ზარდახშა აშკარად უძირო იყო.

თანდათან მე და სოსოც გაგვიტაცა მისმა საქმიანობამ. ქუჩაში გამოვეჭვრით და ახლა აქ დავიწყეთ სიტყვების გირლიანდებით ხეების მორთვა. თანდათან, უცნაური და მანათობელი მტევნებით დაიხუნძლა ყველა ხე, რომელიც კი იდგა მაიას სახლიდან ლევანის სახლამდე — ყაზბეგის გამზირის ორსავე მხარეს.

დავქროდით სიბნელეში, როგორც ზღაპრის ჯადოსანი და მისი ორი შეგირდი შობის წინა ღამეს, და აქეთ-იქეთ ვაფრქვევდით უცნაურ საჩუქრებს. თანდათან დაიფარა ხეები, ფარნის ბოძები, ბუჩქები. ყაზბეგის გამზირზე უკვე ტევა აღარ იყო. ლევანს კი გაუთავებლად ამოჰქონდა და ამოჰქონდა სიტყვები, ქმნიდა ფანტასტიურ არსებებს, სიზმარეულ სურათებს, სასიყვარულო ლექსებს და ბალადებს — და ყველაფერს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამას ისე კიდებდა ხეებსა და ბოძებზე, თითქოს საკუთარ სახლში საახალწლო ნაძვის ხეს რთავდა.

ბოლოს დაღლილმა და კმაყოფილმა ზარდახშას თავი დაახურა.

— ესეც ასე, — თქვა უეცარი სევდით, — ესეც ასე, დამთავრდა ფეერია.

ქუჩას გავხედე — მთელი გამზირი, ლევანის სახლიდან მაიას სახლამდე, ცოცხალივით ორთოდ და უცნაურ ზღაპრული ალით კიაფობდა.

— ეხლა რაღა ვქნათ? რა მოიცდის ხვალ დილამდე? — თქვა ლევანმა და უეცრად ნაღვლიანად ჩაქინდრა თავი. ამ წუთში იგი, რატომღაც, მოტეხილი და მოხუცებული მეჩვენა.

— ვერ გავიგე, რატომ ხდება ასეთი რაღაცები! — ჩუმად თქვა მან.

კითხვის გამომხატველი მზერით შეეხედე. იგი კელავ თავჩაქინდრული იდგა. არაფერი უპასუხია.

— როგორი რაღაცები? — მე თვითონ შეეკითხე მაშინ.

ლევანმა თავი ასწია. შემომხედა:

— მაიას შუშაბანდში გალია ედგა. შიგ ჩიტი იყო. იმ ღამეს გამოსულა ვირთხა, გალიის კარი რაღაცნაირად ვაუღია და ჩიტისთვის ფრთები მოუჭამია.

— როგორ თუ ფრთები? — გამიკვირდა, — ჩიტი არ შეჭამა და მარტო ფრთები გადაუღრღნა?

— ჰო, — თქვა ლევანმა, — ჩიტს ხელი არ ახლო, ეტყობა, მშიერი არ იყო. მარტო ფრთები გადაუღრღნა და წავიდა. დილას გალიაში მკვდარი ჩიტი დახვდათ. ჩიტი ცალკე ეგდო, ფრთები ცალკე ეყარა. წარმოიდგინე, რა კოშმარია — ღამე გალიის კარი იღება და ვირთხა შემოდის. ჩიტი აქეთ-იქით აწყდება...

ეს ვირთხისა და ჩიტის ამბავი ძალიან სანტიმენტალურია და ძალიან სიმბოლური. სიმბოლური, განსაკუთრებით, ლევანისთვის, რადგან იგი ყოველთვის დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ასეთ დეტალებს — თუ ამას დეტალი ეთქმის.

და ამის გარდაც. — თქვა ხოსომ, — ამ ქვეყანაზე არის კიდევ მრავალი რამ, რაც ადამიანს გზას უკეტავს, ხასოს არ-თმევს და თავზე რაღაც საშინელ სპილენძის ქვევრს ამხობს.

ასეთებიც მომხარაყო ლევანის ცხოვრებაში მას შემდეგ, რაც მე ივი არ მენახა.

●

ამ ღამეს საშინელი სიზმარი მესიზმრა.

ვითომც მე და ლევანი ჩემს ოთახში ვიდექით, კარის ზღურბლთან და გარეთ გასვლა გვინდოდა. მაგრამ ჩვენს წინ, დერეფანში, იქ, სადაც ჩემი აბაზანა და ტუალეტია, ორ რიგად იწვნენ მხეცები. აქეთ და იქით. ზუსტად არ ჩანდა, რამდენი მხეცი იყო, მაგრამ ყოველი მათგანი — საშიში მტაცებელი. ჩვენ ამ მხეცების რიგებს შორის უნდა გაგვევლო.

მე ძალგამოცლილივით ვიდექი და მხოლოდ ერთი ფიქრით მქონდა ავსილი ფონება: არ შეგვამჩნიონ, არ შეგვამჩნიონ, რომ ვდგავართ. და უეცრად გამახსენდა, რომ ლევანს არ უყვარდა შეუმჩნეველად ყოფნა. მას ამ ოვსებებს სიზმარში რაღაც საბედისწერო მნიშვნელობა ჰქონდა შეძენილი.

ლევანს შეეხედე — მას თვალი მოუსხულივით მიეპყრო ერთ-ერთი მხეცისთვის — ეს იყო ავაზა — და აღფრთოვანებული ამბობდა: „შეხედე, შეხედე, რა ბეწვი აქვს. აბრეშუმივით არ არის? მიგნით კი რა სხეულია?! როგორც კაუნუკი!“ ლევანი ავაზასაკენ წაიწია, ის კი იწვა და ბეწვი შავად უბზინავდა.

და უეცრად შევამჩნიე, რომ ყოველი მხეცი ბოროტად იღრინებოდა და მანათობელი თვალებით გვიყურებდა. ხოლო ავაზას, რომელიც ჩვენგან ყველაზე ახლოს იწვა, ბეწვი აჯაგროდა და მთელი სხეული კაუნუკივით ეძაგრებოდა. —

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩანდა, ნახტომისთვის იყო მზად. თავზარდაცემულმა გავიფიქრე, რომ ყველა გზა მოჭრილი გვქონდა, ერთადერთი შანსი გვრჩებოდა — ტუალეტში შევვარდნილიყავით და კარი შიგნიდან ჩაგვკეტა. მაგრამ ეს შანსიც, რაღაცნაირად, თითქოს სანახევრო და დაუსრულებელი იყო, რადგან რამდენ ხანს შეიძლებოდა ტუალეტში ჯდომა?

„ტუალეტში, ლევან სწრაფად, ტუალეტში!“ — ჩავჩურჩულე ლევანს, ისე, რომ ჩემი ჩურჩული მხეცებს არ გაეგოთ. დარწმუნებული ვიყავი, მათ თითოეული ჩვენი სიტყვის მნიშვნელობა ესმოდათ.

— სად? — ხმამაღლა მკითხა ლევანმა.

„ჩუმად, ბიჭო. გაიგონებენ. ტუალეტში-მეთქი!“ — ვჩურჩულებდი მე, ოღონდ ვცდილობდი ისეთი გამომეტყველება მქონოდა, ვითომც შუაბანდისკენ ვაპირებდით გაქცევას. ვჩურჩულებდი და სულ არ მენაღვლებოდა, რომ, ამასობაში, მხეცები შეიძლებოდა მოგვვარდნოდნენ, რადგან ვიცოდი — რაღაც განგების მიერ, რომელიც უცნაურად წარმართავს სიზმრის მთელს მოვლენებს, ჩვენ მოცემული გვქონდა საკმაო დრო, რათა, რამდენიც გვინდოდა, გეგმები გვეწყო და გადაწყვეტილება გამოგვეტანა. მერე კი, უკვე, როცა რომელიმე გეგმას ავარჩევდით, როგორც კი რაიმე გადაწყვეტილებას გამოვიტანდით, დრო აღარფრის გვექნებოდა — მოქნტალურად უნდა მოგვესწრო ჩვენი გეგმის განხორციელება.

მაგრამ უეცრად შეძრწუნებულმა შევნიშნე, რომ ჩემი ჩურჩული ლევანს სრულიად არ ესმოდა.

„რა? — მეუბნებოდა იგი, — გაიმეორე, რა მითხარი? ვერაფერი გავიგე. რა გაუგებრად ლაპარაკობ!“

„გავიქცეთ-მეთქი. ტუალეტში შევვარდეთ და კარი შიგნიდან ჩავკეტოთ!“ — ვეუბნებოდი ისევ.

„რა დროს ტუალეტია! — გაიცინა ლევანმა, — ნახე, ავაზას რა ფანტასტიური ბეწვი აქვს! მოდი, ხელი გადავუსვაო!“.

ლევანი ავაზასაკენ დაიძრა, მან კი, როგორც ჩანს, გაიგონა ჩემი ნათქვამი სიტყვა „ტუალეტი“ და ისარივით გამოექანა, რათა გზა გადაეჭრა.

სასოწარკვეთილმა ვისკუკე და ტუალეტში გავჩნდი. გარედან რაღაც აწვებოდა კარს. კარი ბაზზარებდა. მე ხელით მეჭირა და თან ვცდილობდი შარავალი არ ჩამძრობოდა. ჩემს უკან, უნიტაზში წყლის ლიკლიკი ისმოდა.

უეცრად ვიგრძენი, რომ ორივე ხელით შარავალს ვექაჩები მაღლა, ტუალეტის კარი კი უყურადღებოდ დამრჩენია. კარს გარედან ეიღება აწვება. კარი ნელ-ნელა იღება. ვიცი, რომ ახლა კარი შემოიგლიჯება და საშინელი მხეცი შემოიჭრება ამ ვიწრო სათავსოში. მაგრამ არა. კარი მხოლოდ ოდნავ შემოიღო — ჯაჭვზე ყოფილა ჩაკეტილი. კარის ღრიჭოში ნადირის შავი ღრუნნი გამოჩნდა — ავაზა ღრიჭოში ლამობდა შემოძრომას. მერე იღრიალა და ეს ღრიალი ამავე დროს იყო უნიტაზში ჩაშვებული წყლის ღრიალი. გარშემო ნესტით დაცვარული კედლები აღმართულიყო და უეცრად სინათლე ჩაქრა. — ეს ლევანმა ჩამიქრო გარედან სინათლე.

„ბათურ, ბათურ, წყნარად, ბათურ, წყნარად! — გავიგონე მისი ხმა. იგი ავაზას მიმართავდა, როგორც ნაგაზს, — წყნარად, ბათურ, შიგ არავინ არის, არავინ! ეგ ოთახი ცარიელია!“

ამ სიტყვებზე ნელ-ნელა გამომელვიძა.

მხეცები სადღაც გამქრალიყვნენ.

გამქრალიყო, აგრეთვე, ლევანიც, ტუალეტიც და სიზმრის მთელი მრუმე ფეროვნება.

მე ჩემს ოთახში ვიწექი — ღამე, სიბნელე — და შიშით ღრმად ვსუნთქავდი.

მოპირდაპირე კედელზე გადღაბნილიყო ღამის სინათლის დიდი ლაქა.

„მადლობა ღმერთს, სიზმარი ყოფილა!“ — გავიფიქრე შვებით და უცებ მივხვდი — რაღაც საშინელი სინამდვილეშიც უნდა მომზდარიყო.

რამ მიმახვედრა? — ალბათ იმან, რომ ვგრძნობდი, ფეხის კანჭებზე რა-

ღაც ცივი და მსუბუქი მეხებოდა როგორც ნადირის სველი დრუნჩი.

როგორც კი ჩემმა ცნობიერებამ დაფიქსირა ეს შეხება, მყისვე ინსტინქტურად შეეყვირე, ფეხი უკან გამოვგლეჯე და ლოგინში წამოვჯექი.

შიშით მაკანკალებდა, რადგან ვერაფრით მივმხვდარიყავი, რა უნდა ყოფილიყო ჩემს ლოგინში, ცოცხალი და, თანაც, მოძრავი.

ხელის ფათურით მოვძებნე ჩამრთველი. ბრა ავანთე. საბანი გადავისროლე და უეცრად შეძრწუნებულმა დავინახე, რომ ჩემს საწოლში საიდანღაც შემოღოღებულიყო რაღაც სიტყვა — როგორც გომბეშო ან ვეელი შემოგიღოღდება ლოგინში. თავზარდაცემული დავაჭერდი — ეს იყო საშინელი და გულისამრევი ფორმის რაღაც გაუგებარი სიტყვა, უფრო სწორად, სიტყვათა მთელი ჯგუფი, რომლებიც ერთმანეთზე ასხმულიყვნენ და შავ წურბელასავით იკლაკნებოდნენ ჩემს ზეწარზე. მისგან მოდიოდა საშინელი, ბნელი ნათება და გულისამრევი სუნი. და ამ სიტყვაში, რომლის აზრს ვერაფრით ჩავწვდი, გამოსჭვიოდა მთელი ქვეყნის უაზრობა და სასოწარკვეთილება. ეს სასოწარკვეთილი, ბრმა არსება უმწეოდ იგრიხებოდა ჩემს თვალწინ, ფორმას იცვლიდა და ბრმა ლეკვივით წუწუნებდა.

— ჯანდაბა! ჯანდაბა! ჯანდაბა! — დავიღრიალე უხმოდ, ჩემს გონებაში, და გულგახეთქილი წამოვხტი.

სწრაფად და ზიზღით მივვარდი ლოგინს, ზეწარი დავგორგლე, ისე, რომ ეს საზარელი, ლორწოვანი არსება ხელზე არ შემხებოდა. ზეწარი დავახვიე და სიტყვა, დდამბლავებულ ხოჭოსავით შიგ გამოვეჭირე. მერე ეს საზიზღარი ტვირთი წელში გაბრილმა გავაქანე ფანჯრისკენ, გამოვალე, გადაყვავი და *მძლავრად დავიქნიე ქვემოთ*— ეზოს წყდიადში ჩავუძახე, როგორც სუდარაში გახვეულ მკვდარს ჩაუძახებენ საფლავში. დავინახე, როგორ ჩასცდა ზეწარი ჭადრის ხმელ ტოტებს და კუტივით დავარდა ასფალტზე, იქ ფათურობდა და წრიალებდა.

„ღმერთო, ეს რა იყო! — გავიფიქრე ონდავ გონსმოსულმა, და უეცრად მივხვდი: ეს კარგს არაფერს მოასწავებდა. ასე იცის გაუფრთხილებლობამ, — ვიფიქრე ლევანის მისამართით, — ხომ უთხრეს, რომ ეს ოხერი სიტყვები გარეთ არ უნდა გამოეშვა. ვინ იცის, უკვე მთელს ქალაქს მოედნენ!“.

ჩაბნელებულ ეზოს მოავლე თვალი, თითქოს ველოდი, რომ ყოველი სახლის ფანჯრებთან მოლივლივე სიტყვებს დავინახავდი. მაგრამ არაფერი ჩანდა. ეზო არარსავით დდაუმებულიყო და თითქოს სხვა სამყაროში არსებობდა. გადავიხარე — მინდოდა ჭადრის ხეებს შორის ლევანის ფანჯრები დამენახა. ამაოდ — იქით მიჩანდა მხოლოდ ორი ჩაბნელებული ნაძვი. და უეცრად თავში მეხივით დამკრა: „ლევანს ხომ არ შეემოხვა რამე!“ იქნებ მოკვდა. იქნებ ცოცხალი აღარ არის და სიტყვები კი ყუთიდან ამოდიან და ამოდიან. ან, იქნებ, დაეძინა, თავახდილი ყუთი კი ღია ფანჯარასთან დარჩა?!“

გულმა რაღაც რეჩხი მიყო.

ფანჯრები სწრაფად ჩავრაზე. ოთახში შევბრუნდი. ჩავიცვი. ფეხაკრეფით გავიარე დერეფანი და სადარბაზოში დავეშვი. ვცდილობდი სწრაფად და უხმაუროდ ჩამერბინა კიბე, რომ მეზობლებს არ გაღვიძებოდათ. ძლივს ჩავაღწიე. აი, სარდაფის გისოსი. აი, სადარბაზოს კარი. ეზო. ეზოში ლითონის მხეცებივით გაქვავებულიყვნენ მანქანები. მარცხნივ გავიქეცი. ესეც ლევანის სადარბაზო. მისი ფანჯრები.

უეცრად თავზარდაცემული გავშეშდი — თავი აწეული დამრჩა და ასე ავყურებდი ლევანის ფანჯრებს. — ფანჯრები ყურთამდე ღია იყო.

ლევანის ოთახიდან გამოდიოდა უცნაური, ცივი და მოლივლივე შუქი. და ამ შუქზე, სახლის ზედა კუთხესა და ვარსკვლავიანი ცის ფონზე ხიზრისებური რხევით მიფრინავდნენ უცნაური ფიგურები — ეს იყო სიტყვები, ათასო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბით და მილიონობით სიტყვა და სიტყვათაგან შემდგარი მსუბუქი ორგანიზმები. ისინი, როგორც გამჭვირვალე, მანათობელი პირველქმნილი სხეულები — ოკეანის ფსკერზე, წამოშლილიყვნენ თავიანთი მღვიმიდან, ქარავნებად მიცურავდნენ გამოღებულ ფანჯარაში და ნელა მიიწევდნენ მაღლა, ვარსკვლავებით დაწინწკლული ცის კუნაპეტი სიღრმისკენ.

— ლევიკო! — დავიღრიალე თავგზააბნეულმა.

სიჩუმე. ჩემი საკუთარი ქშენა. ჩემივე გულის ბაგაბუგი.

ისევ დავიღრიალე.

სადღაც, რომელიღაც ფანჯარაში ვიღაცამ ჩაახველა. მოისმა ანჯამის ჭრიალი, უკმაყოფილო ბუზღუნი და კაცის ხორცეული ხრიალი.

ვიღაცამ ფანჯრიდან გადმოაფურთხა.

— ლევიკო! — ვიყვირე უფრო მორიდებით, მაგრამ მაინც საკმაოდ ხმამაღლა, ისე, რომ ამ სიჩუმეში ათასი მძინარე ლევანიც გაიღვიძებდა. ლევანის ოთახი კი კლავინდებურად მღვიმესავით ცივი და ცარიელი იყო და ამ მღვიმიდან კლავინდებურად უწყვეტ ნაკადად მოედინებოდა სიტყვები.

კარგა ხანს ავყურებდი. მერე ერთბაშად ეს ნაკადი შეწყდა. უკანასკნელი ფიგურები და ლანდები ატივტივდნენ საზარელი ცის მიმართულებით და სადღაც, უსიერცობაში გაქრნენ. ფარდები არ ირხეოდა. აღარც სინათლე ჩანდა. ლევანის ოთახში — სრული სიბნელე. კვლავ გაისმა ვიღაცის უკმაყოფილო ხველება და ხრიალი. აქვე, მეორე სართულზე — ხმაშეწყობილი ხვრინვა. „შეხედე, დიდ საავადმყოფოს არ ჰკავს?!“ — გამახსენდა ლევანის ნათქვამი და თვალზე ცრემლი მომადგა. შევბრუნდი. თავქუდმოგლეჯილი გავიქეცი ჩემი სახლისკენ, კიბე ავრბინე და ტელეფონს მივვარდი. ზუმერი. ზუმერი. ზუმერი. ყურმილს არავინ იღებდა. იქნებ სხვაგან მოვხვედი? ხელმეორედ ავკრიფე ლევანის ნომერი. კვლავ ზუმერები და ზუმერები — უსასრულოდ მრავალი ზუმერი — როგორც შეწყვეტილი ელექტროენცეფალოგრამა. შემიძლია თუნდაც დილამდე ვმჯდარიყავი და ყურმილი ხელში მჭეროდა. ყურმილი დავახეთქე და ისევ თავქუდმოგლეჯილი დავეშვი კიბეზე. ლევანის ფანჯრებში ამჯერად უკვე აღარაფერი ჩანდა. ისევ მხოლოდ შავი სიცივე. ფარდა არ ირხეოდა. ფანჯრები — ღია. ეჰ, ნეტა იდნავ მაინც შეცვლილიყო ფანჯრის მდგომარეობა. ყველაფერი თითქოს გაქვავებულიყო და სამარადისოდ ამოვარდნილიყო დროიდან. სულმოუთქმელად ავრბინე მკრთალად განათებული სადარბაზო — სინათლე ბზოოდა — და ლევანის კარზე დავრეკე ხარი. კიდევ. კიდევ. მისიანებს მაინც უნდა გაეღოო კარი. მაგრამ არავინ აღებდა. მერე სულმთლად დავრწმუნდი — კარს აღარავინ გამიღებდა. მაინც ვრეკავდი და ვრეკავდი. მესმოდა, შიგნით, ლევანის ჰოლში სიბნელეში როგორ წკრიალებდა ზარი. აქვე, ხის თხელი კარის მიღმა, და ზარის ქქოვან ხმებს შორის და შორის კვლავ იზრდებოდა და იზრდებოდა შეუვალი და სრული სიჩუმე — ბაზალტის ლოდივით. კარი არავის გაუღია.

ნელ-ნელა დავეშვი კიბეზე. ეზოში გავედი.

სიბნელე. ვიღაცების უგონო სუნთქვა — სუნთქავდა მთელი ეზო, ყოველ ჩაბნელებულ ფანჯარაში სუნთქავდნენ მძინარე ადამიანები. ვინმეს იქნებ კიდევ ელვიძა. ალბათ, ვინმეს კიდევ ელვიძა. მაგრამ ესენიც ხომ სუნთქავდნენ. სადღაც, შორს ძაღლის ყეფა გაისმა. ქარმა დაბერა. ღამის ეზოში თითქოს ვანუწყვეტლივ ისმოდა რაღაც უცხო და მიუწვდომელი, უცნაური აკორდი. ულტრა თუ ინფრაბგერებისაგან შემდგარი ეს აკორდი წვიღლივით გასდევდა ღამის მთელს მდუმარებას.

აღარ მაგონდება, შინ როდის ავედი. ლოგინზე დავედგე და რამდენიმე ხანი სიცხიანივით ძილ-ღვიძილში გავატარე. თავში მიტრიალებდა და მიტრიალებდა ერთი და იგივე, მაგრამ ათასი საშინელი სახით შემოსილი აზრი — რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიჩქარო აღარაფერი იყო. თუ უკვე გვიანია, მაინც უკვე გვიანია. და თუ ჯერაც არ არის გვიან, მაშინ, ვიცოდი, რაღაც განვება, რომელიც სიზმარივით წარმართავს ამ ყველაფერს, — ეს განგება საკმაო, თუნდაც თავზესაყრელ დროს მომცემდა გადაწყვეტილების მისაღებად. რაღაც მომენტში მგონი ჩამოვლომა კიდეც და უეცრად გაბმულმა ზარმა გამომაფხიზლა.

„ლევანი იქნება!“ — სიხარულით წამოვხტი ფეხზე. გათენებულიყო. ფანჯრიდან რძისფერი სინათლე იღვრებოდა. კარს მივვარდი. გამოვაღე — ალბათ, სახეზე აშკარად გამომეხატა იმედგაცრუება: ჩემს წინ იდგა სოსო. სახე გაფითრებოდა და ღიდი თვალებით მიყურებდა.

— ხომ არ გაგაღვიძე? — მკითხა თავაზიანად და თავმდაბლობით.

— არა, — მივუგე მე, — ლევანი ხომ არ გინახავს.

— არ მინახავს, მეშინია, რამე ხომ არ შეემთხვა. სახლში არ არის. ტელეფონს არ იღებს. ხომ არ იცი, სად შეიძლებოდა წუხელ წასულიყო?

— არ ვიცი. მე მეგონა, სახლში იქნებოდა, მაგრამ არ დამზედა. მაიასთან ხომ არ იქნება?

სოსომ მხრები აიჩეჩა.

— სად შეიძლება იყოს?

— იქნებ სტუდიაშია, — თქვა სოსომ.

— ნომერი იცი?

— არ ვიცი.

— მაშინ ფეხით ჩავიდეთ.

სწრაფად დავიბანე პირი და ქუჩაში გავედით.

ჩუმი და ნისლიანი ღილა იდგა. ცა — საიდან, როდის — უფერულ ღრუბელს დაეფარა. ყინვადა ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს ხელმეორედ დაწყებულიყო წლევანდელი ზამთარი. სოსო მიზანსწრაფულად მომყვებოდა გვერდზე. ქუჩა გადავჭერით და მანქანის მოლოდინში მიმოვიხედეთ. არაფერი ჩანდა. ქუჩა — სულმთლად ცარიელი. ღილის შვიდი საათი თუ იქნებოდა. მხოლოდ ორიოდე მოქალაქეს მოვკარით თვალი. რძის მაღაზიის წინ მავთულის ყუთებით თეირი ბოთლები აეხვავებინათ. იქიდ იდგა რამდენიმე მოქალაქე და თეთრხალათმოსხმული ნოქარი. ჩაქროლა ცარიელმა იკარუსმა და ქუჩის ჭადრები თითქოს შეირხა.

და ამ რხევაზე ხეებიდან ცვენა იწყო უცნაურმა თოვლმა — ეს იყო ფერდაკარგული და მსუბუქი ნაფლეთები, ეს ნაფლეთები ათრთოლებულ მკვდარ ფრინველებივით ეცემოდა ტროტუარზე და იქ რჩებოდა, როგორც თევზთა ლეშები. ჩვენ მათს შორის მივიკვლევდით გზას. ეცდილობდით, ფეხი არ დაგვებიჯებინა — მათკან მოდიოდა უცნაური და საშინელი ხრწნილების სუნი.

ზემოთ ავიხედე — ღილის თეთრ სინათლეში ჭადრებს მწუხარედ აეფარჩხათ ტოტები, და ამ ტოტებზეც ყველგან ეკიდა ასეთივე, თეთრი და უფერული ნაფლეთები. ნაფლეთებით სავსე იყო მთელი ქუჩა — ეს იყო წუხანდელი სიტყვები, რომლებიც ლევანმა აასხა ხეებსა და ფარნის ბოძებზე — და ახლა ეს სიტყვები და ფიგურები, უკვე მკვდარი და უსიცოცხლო, ნაფლეთებად ეკიდა ხეთა ტოტებზე ხან აქ, ხან აქ, ნიავის დაბერვაზე, უცად მთელი ნამქერი მოწყდებოდა ტოტს და ზვინივით ეცემოდა დაბლა, როგორც დამეკლეტული თოვლის შვავი, და ამ მწუხარე და მტირალ პეიზაჟში, სიტყვების მსუბუქ შვავებში მივიკვლევდით გზას. სიტყვები ეცემოდნენ ასფალტზე და ათას ნაწილად დამსხვრეული, უიმედოდ და უსიცოცხლოდ იშლებოდნენ. ნიავის ყოველ მობერვაზე ახალი და ახალი ნამქერი ჩამოიშლებოდა, ასფალტზე ეცემოდა და ასე დაშლილი იქვე სამუდამოდ ქრებოდა. — მხოლოდ მსუბუქი მტვერიღა მიჰქონდა ნიავს. ქვემოთ, ხიდთან, მდინარეს თავს დასტრიალებდნენ ფრთაგაშლილი თეთრი ჩიტები. მათი ფრთები ქარში ადამიანის მხრებივით ცახცახებდნენ. „შორს კი ნისლში ქრება თოლია და იფანტება თეთრი ბუმბული“, — გამახსენდა ლევანის პირველი ქმნილება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტუდიის ცივი და უსიცოცხლო კარი მჭიდროდ ჩარაზული დაგეხვედა. კაცი-შვილი არსად ტრიალებდა. რამდენჯერმე დავაბრახუნეთ. ხმელი ხე გამოსცემდა ყრუსა და უგონო ხმებს. კარს მიღმა — სრული სიჩუმე. უსიტყვოდ გამოვბრუნდით და გზაჯვარედინს მივაღწიეთ. სოსო თავჩაქინდრული გაჩერდა თავისი ეზოს შესასვლელთან.

— წავალ. სახლში ავალ. იქნებ გამოჩნდეს ან დარეკოს. დღეს მისი მშობლები ჩამოდიან.

— იქნებ მაიასთან გაგვეცლო? — ვთქვი უიმედოდ, — იქნებ მაიას ფანჯრებთან გაათია ღამე.

სოსო გამოცოცხლდა.

— წავიდეთ.

— სადარბაზო გახსოვს?

— მგონი მეოთხე იყო, თუ მეხუთე.

— არც მე მახსოვს. არა უშავს, ეზოში ვიკითხავთ.

მაიას ეზოც ისეთივე უცხო და გაცრეცილი დაგეხვედა, როგორც ქუჩები. ლევანი არსად ჩანდა. მობინადრეები თანდათან იღვიძებდნენ, თანდათან გამოდიოდნენ გარეთ. რამდენიმე მათგანი გავაჩერეთ და მაიას ბინა ვკითხეთ. მოქალაქეები გაკვირვებით გვიმზერდნენ და თავს აქნევდნენ — „მაია?“ რა გვარია? არ იცით? დარწმუნებული ხართ, რომ ამ ეზოში ცხოვრობს? ამ ორ სადარბაზოთაგან ერთ-ერთში? დიახ, ცხოვრობს აქ ერთი მაია. გათხოვილი ქალია. შვილებიც ჰყავს. იქით, მეშვიდე სადარბაზოში ცხოვრობს. მაგრამ ახლა თბილისში არ იმყოფება. დიახ. ცხოვრობდა აქ ერთი მაია, მაგრამ დიდი ხანია გადავიდა, აქ აღარ ცხოვრობს. ვინა? მაია გინდათ? აბა, როგორ გითხრათ... არც გვარი იცით? არც სადარბაზო? რა, ახალი გადმოსულია? არა, მასეთს არ ვიცნობთ... — გვეუბნებოდნენ მეზობლები და თავიანთ საქმეებზე მიისწრაფოდნენ. ეზო თანდათან იღვიძებდა. ღილის სინათლეზე ფანჯრებმა გაიღაპლაპეს. ისმოდა მანქანების ძრაველის აგუგუნება. მერე ბავშვებიც გამოჩნდნენ. ჩანთიანი გოგონები და ბიჭები. თითოთითო და ორ-ორი მიემართებოდნენ სადღაც. ეზო იღვიძებდა და იმართებოდა, იმართებოდა, როგორც გაჩერებული საათი. ყველაფერი კვლავ თავიდან იწყებდა მოძრაობასა და სიცოცხლეს. ადამიანთა ფიგურები გამოდიოდნენ სადარბაზოებიდან და ჩქარი ნაბიჯით მიეშურებოდნენ გასასვლელებისკენ. ქუჩიდან უკვე ისმოდა ამოქმედებულ ავტობუსთა ღრიალი, მანქანების ფართო ნაკადი უკვე მიექანებოდა საღღაც, ქალაქის ათას სხვადასხვა წერტილში გაფანტული დაწესებულებებისა და მაღაზიებისკენ. ეს ყველაფერი იყო როგორც სწრაფად ცვლადი და სწრაფად მოძრავი, მოუხელთებელი ინდური მაია — ლევანის მაია კი არსად ჩანდა და არა. მე და სოსო ქუჩის განაპირას, სკვერში ჩამოვსხედით. მცირე ხანს ხმა არც ერთს არ ამოგვღია. მერე სოსომ თქვა:

— წავალ სახლში. იქნებ დამირეკოს.

ფეხზე წამოვდექით და აქ ახალი აზრი დამებადა თავში:

— სანეტარო კანტორაში მივიდეთ! იქნებ იქ იცოდნენ რამე.

— რომელ კანტორაში?

— სანეტარო კანტორაში, აი, საიდანაც ის ოხერი სიტყვები გამოიტანა.

— იქ რა გინდა? — უიმედოდ მკითხა სოსომ.

მხრები ავიჩეჩე.

— რა ვიცი. იქნებ რამე გაეიგო. იქნებ ცარიელი ყუთი მიიტანა უკან.

ამ სიტყვებით მხნედ დავიძარი ადგილიდან. სოსო მხრებჩამოყრილი მომყვებოდა უკან. ვგრძნობდი, რაღაცას ყოყმანობდა. მთავარ ქუჩას რომ მივადწიეთ, დამიძახა.

მივბრუნდი. იდგა.

— წავალ სახლში, — თქვა მან, — შეიძლება დამირეკოს ან მოვიდეს. სჯობია სახლში დავხვედე.

— კარგი. თუ მოვიდა, არსად გაუშვა. მე კანტორაში გავივლი, მერე დაგირეკავ. აბა, შენ იცი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მან მწუხარედ დამიქნია თავი და სახლისკენ წაფრატუნდა. მიდიოდა და მიდიოდა. მე კანტორისკენ ავიღე გეზი.

ჰეკანის ქუჩა გადავჭერი, „ფელიდიას“ ჩაუარე და ეზოში შევრგე თავი. მალე ეზოს ბოლოს კიდეც გამოჩნდა კანტორის გაცრეცილი კარი. იქ რამდენიმე ადამიანი იდგა. რომ მივუახლოვდი, ეჭვიანი მზერა მომაპყრეს.

— სად მიდიხართ, ახალგაზრდა, სად მიდიხართ! — შემომძახა სათვალიანმა ქალმა.

— კანტორაში! — მივუგე მოკლედ.

— კეთილი ინებეთ, რიგში დადექით! ჩვენ აქ დილიდან ვდგავართ!

— მე საქმე არა მაქვს, ქალბატონო. მხოლოდ შევეკითხო მინდა რაღაც.

— ყველას შეკითხვა გვინდა. ყველანი მაგისთვის ვდგავართ რიგში, — ულმობელი ლოგიკით მიპასუხა ქალმა.

სხვებმაც აუბეს მხარი.

დაბნეულმა მიმოვიხედე.

— ვინ არის ბოლო? — ვიკითხე უნებურად.

— აი, ეს ქალბატონია ბოლო. აი, ეს ქალბატონი! — დაუზარებლად შეძახა რამდენიმე მოქალაქემ. და ყველამ თითი მიაპყრო ტანმორჩილ, ხნიერ მანდილოსანს.

— თქვენა ხართ ბოლო? — ვკითხე მექანიკურად.

მან დასტურის ნიშნად თავი დამიქნია. სახეზე სრული სასოწარკვეთილება ჰქონდა აღბეჭდილი. მაგრამ როგორც კი მის უკან დავდექი, მხრებში გაიშალა — იგი ახლა უკვე აღარ იყო ბოლო.

„რას ვშვრები?! აქ მთელი ორი საათი მომიწევს დგომა. ვინ იცის, იქნებ ამასობაში ლეკანიც გამოჩნდეს სოსოსთან“, — ვიფიქრე და სასოწარკვეთილი მზერა მიმოვაცეცე. ვხედავდი ადამიანთა ზურგებს და პროფილებს. მათს გაცრეცილ პროფილებზე იკითხებოდა წუხანდელი კოშმარების და, საერთოდ, ყოველი განვლილი კოშმარის ჯერაც წაუშლელი კვალი.

— სამინელებაა პირდაპირ! საშინელება! რას აკეთებენ ამდენ ხანს?! ბაშვები მარტო მყავს დატოვებული! — თქვა ერთ-ერთმა მომლოდინე ქალმა.

მას ხალისიანად მიუბრუნდა კუნთებდაბერილი, გაპარსული ძია.

— თქვენ ვის მერე ხართ, ქალბატონო?

— ამ ბატონის მერე.

— აბა, ჩემს წინ ვიღაა? — იკითხა ერთ-ერთმა.

— თქვენ ვის მერე იდექით?

— მე აქ ვიდექი, ამ ბატონის მერე!

— მეც ამ ბატონის მერე ვიდექი. ასე არ არის, ბატონო?

მაღალი, ჭაღარა ბატონი მობრუნდა და მკაცრად გადმოხედა ქალებს.

— ჩემს მერე ერთი ახალგაზრდა იდგა!

— მერე სად არის?

— როგორც ჩანს, წავიდა!

— მართალია, მართალი, ჭრელსარჩკიანი ბიჭი იდგა.

— მართალია, აქ იდგა, — დაუდასტურეს სხვებმა.

— კი მაგრამ, როდის წავიდა? ასე შეუმჩნეველად როგორ გაქრა?!

— არ ვიცი, არაფერი უთქვამს, — თქვა იმავე ქალმა.

— და სად წავიდა? — იკითხა კუნთებდაბერილმა ძიამ.

— რა ვიცი მე, ჯანდაბაში!

— თუ დაბრუნდება ნეტაი?

— არაფერი უთქვამს, ბატონო!

— არ დაბრუნდება და მაგაზე მადარდეთ ახლა!

— აბა რა! — ისტერიულად შესძახა სათვალიანმა ქალმა, — აქ ცოცხალი რიგია! ხომ ცოცხალი რიგია?! კეთილი ინებოს და თავიდან დადგეს.

— თანაც, თუ შეამჩნიეთ, ბატონო ჩემო, ამ ყინვაში პირდაპირ პერანგით

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყო გამოსული, — ჩაერია ხნიერი მანდილოსანი.

— რას მიდიოდა, რომ მიდიოდა? თუ დაბრუნდება, კეთილი ინებოს და თავიდან დაიკავოს რიგი.

— არ ვიცი, ბატონო, არ ვიცი. მე აქ ვიდექი, ამ ქალბატონის მერე, — გაახმა ისევ კუნთებაბერილი ბატონის ხმა.

ეგრძნობდი, ცოტაც და, მთელი ხმით ვიღრიალებდი. მაგრამ უეცრად კარი გაიღო და იქიდან ემაყოფილი სახით გამოვიდა დაკმაყოფილებული მოქალაქე. ამაყი მზერა მოავლო რიგს და ჰირდაპირ ქუჩისკენ გაეშართა. ყველამ რატომღაც მას გაადევნა თვალი. მე კი დრო ვიხელთე და ღია კარებში გავძვერი.

— სად მიდიხარ, ბიჭო! სად მიდიხარ! — მომესმა უკნიდან ქალების შეკივლება.

მაგრამ მე უკვე კანტორის ნესტიან ჭაობში ვიდექი. — თავიან-ყურებიანად ჩაძირული შმორისა და ბათქაშის სუნში.

მაგიდასთან მჯდარ მოხელეს თავი არ აუღია.

დავხედე — ეს სრულიად სხვა მოხელე იყო. არა იმდღევანდელი მსუქანი კაცი. ახლა ჩემს წინაშე იჯდა ხმელ-ხმელი და ნაცრისფერსახიანი ფლეგმატიკი. მბეჭდავი სტელაც აღარსად ჩანდა. შიდა ოთახის კარი ჯვარედინი ფიცრით აეჭედათ.

— უკაცრავად! — ვთქვი მე.

მან უსიტყვოდ გამომიწოდა ხელი — ჩანდა, ჩემგან რაღაც საბუთების მიღება ეწადა.

— ბოდიში! — ვთქვი ისევ.

მოხელემ გაკვირვებით ამომხედა.

— უკაცრავად! — ისევ გავიმეორე.

— რა გნებავთ?!

— იცით, აქ ერთი კაცი მუშაობდა. იმ დღეს ვიჯავი. აქ იყო. დღეს არ იქნება?

— ვინა? ვინ ვნებავთ? — შკაცრად მკითხა მან.

— იქ, შიდა ოთახში იჯდა. მსუქანი კაცი იყო, დაბალი.

— რიდის იყავით?

— ამ ორი თუ სამი კვირის წინ. მგონი, პარასკევს.

მოხელემ თავი გააქნია.

— აქ სხვა არავინ იჯდებოდა. ჩემს მეტი აქ არავინ მუშაობს.

— თქვენ... თქვენ ანაწილებთ სიტყვებიან ყუთებს?

— მე არაფერს არ ვანაწილებ, ახალგაზრდა!

— მაშინ, ესე იგი, ის მეორე კაცი ანაწილებს. იმ დღეს აქ იჯდა. მსუქანი კაცი იყო, მელოტი. რაღაცით თალაგვა კოლონკელიძეს ჰგავდა, — ვთქვი დაბნეულმა.

— ვის ჰგავდაო?

— თალაგვა კოლონკელიძეს.

კაცმა ულრმესი ეჭვის გამომხატველი მზერით შემავლო თვალი. მერე გაიხედა და კარებს შესძახა:

— შემდეგი!

—ერთი წუთით, ბატონო ჩემო! — სწრაფად შევაჩერე მე, — ერთი წუთით მომისმინეთ! ორი კვირის წინ, პარასკევს, აქ ვიჯავი, და იმ ბატონმა, თქვენმა შემცვლელმა, სიტყვებიანი ყუთი მომაქირავა... ეე... ლოგიკური ზარდახშა, თუ რა ჰქვია...

— ახალგაზრდა! თქვენ რაღაც გეშლებათ. აქ სანოტარო კანტორაა. აქ საბუთებს ვაფორმებთ.

— რა კანტორაა? — ვკითხე განცვიფრებულმა.

— ს ა ნ ო ტ ა რ ო კ ა ნ ტ ო რ ა. — დამარცვლით გაიმეორა მოხელემ და თვალები ისე აღაპყრო ჭერისკენ, თითქოს ამბობდა: „მე ნოტარიუსი ვარ!“

— სანოტარო თუ სანეტარო?! — შევძახე მე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იგი გაშრა. მერე სახეზე უკიდურესი მძვინვარების ტალღა მოაწყდა. წინ გადმოიწია, მეგონა, ახლა წამოხტებოდა და იღრიალებდა, — მაგრამ ფლეგმატიკი იყო. თავი შეიკავა, კარისკენ შებრუნდა და სრულიად მშვიდი ხმით გასძახა:

— შემდეგი! შემოდით შემდეგი!

კარი შემოიღო. რამდენიმე მოქალაქემ ერთად შემოყო თავი.

— შემდეგი ვინ არის! — შესძახა ნოტარიუსმა, — თითო-თითო შემოდით!

კარისკენ გავემართე სრულიად გაოგნებული.

გარეთ გამოსულს შემეფეთა მოქალაქეთა ირონიული მზერა და უკმაყოფილო ჩურჩული. მე მათ ზურგი ვაქციე და კართან დამაგრებულ აბრას შევავლე თვალი.

ეს იყო გაცრეცილი შავი აბრა, ზედ მინის ფირფიტა ჰქონდა გადაკრული. და ამ შავ აბრაზე გაცრეცილი, ვერცხლისფერი ასოებით ეწერა: „სანოტარო კანტორა“. — ასე ეწერა ვერცხლით შავზე.

სრულიად გაოგნებული გამოვბრუნდი და წამოვედი.

უკნიდან მომყვებოდა დაუკმაყოფილებელ მოქალაქეთა ჩუმი და ირონიული ჩურჩული.

„ეჰ, ჯანდაბას ამათი თავი და ტანი, — ვიფიქრე მე, — როგორც ჩანს, ეზო შემეშალა... ეზოც შემეშალა, ქუჩაც და ქალაქიც!“...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერეკლე საღლიანი

●

ვუხმობ, ვეძახი უხილავ ძალებს,
საკუთარ ხმად რომ მესმოდე მალე,
ომში თუ ვეღარ ვშოულობ სახელს,
თვალებს ხომ ყველა თქვენგანში ვახელ.
ვისხამ ფარ-შიმშერს, წყალს ვატან
ყაწიმს,
ცა მშობელ დედის ცრემლებად მაწვიმს,
რაც დღეს ჩემს ფიქრში ტრიალებს
თუნდაც,
ხვალინდელი დღიდ სუნთქავდეს უნდა.
ვუხმობ, ვეძახი...

●

მზეს ვყიდით, მივალთ მარილზე, გაღმა
და ზურგზე გვაზის უშვერის დამღა,
საღღეხვალისოდ რას ფიქრობს ნეტავ,
თვის თავს იქით ვინც ვერაფერს ხედავს.
არას მქონენი ვართ ყოვლის მდომი,
ვაგლახ, წაგვერთვა, წაგვერთვა გონი,
დღეს ჩვენში მარტო გიჟი კი არა,
საღ-სალამათიც გიჟია, მგონი.

●

რაშოუდა, მიდრეკილ ავისგან ცხონდების, ცხონდების უკუნით, რაშოუდა,
რაშოუდა, ძახილი შენი მდევს, შენი მდევს, დღემდე არ გამშორდა, რაშოუდა,
რაშოუდა, აგვიესე ყოველი წუთი — დღე ალმობით, რაშოუდა,
რაშოუდა, ილეკა ალერდი მტარვლისა, ჩვენ სისხლს რომ აშრობდა, რაშოუდა,
რაშოუდა, შენ იქეც, შენ იქეც ყოველი ჩვენგანის სიფხიზლედ, რაშოუდა,
რაშოუდა, სახლი-კარს, სახლი-კარს, გვიჯარავს საქმენი, ავთაგან ნაშობთა,
რაშოუდა,
რაშოუდა, ო, მეც მსურს იმ დარდის სიმაღლე, რითაც ხარ აღსავსე, რაშოუდა,
რაშოუდა, სულს სწადის სილაღე, სილაღე ჩვენს ქმნამდე რაც ჰქონდა, რაშოუდა,
რაშოუდა, ზადილი სუყველა მამულის გამომხვრელს, რაშოუდა,
რაშოუდა, საქვეყნო ფიქრი ხარ, რომ ვერვინ, რომ ვერვინ გახშობს და, რაშოუდა,
რაშოუდა, სირცხვილ არს, სირცხვილ არს ყოველი ჩამუხლვა, რაშოუდა,
რაშოუდა, მოარულ სიკეთედ მოხველ და ისევე, ისევე, ისევე მახვშობ და,
რაშოუდა,
რაშოუდა, თითქოს და სამყაროს შექმნის დღეს ესწრები, რაშოუდა,
რაშოუდა, წადილ ხარ ბედნიერ ძვრას შობ და, წვას შობ და, ხსნას შობ და,
ცას შობ და, რაშოუდა,
რაშოუდა, მიდრეკილ ავისგან ცხონდების, ცხონდების უკუნით, რაშოუდა,
რაშოუდა, ძახილი შენი მდევს, შენი მდევს, დღემდე არ გამშორდა, რაშოუდა.

●

ამაღლდი, უძრავ ნათელში უკვე
მირონცხებული ხატება სუფევს.
ყოფნაი ჩვენი მაინც ღირს იმად,
ვეწვეთოთ მიწას მაისის წვიმად.
რა ვუყოთ თუ ჯერ იმგვარად ბნელა,
მაშვრალი ურიდს მიიჩნევს ქველად.
წრფელ ჰყავ გზა შენი, უძირო იქმენ
და დარდი ზიდე სამყაროსხელა.
ამაღლდი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

შაი ოდა, ჩემს სათქმელში უნდა ჟღერდე, რათა ღირსყო თავი
თანამესაყდრედ, შაიდორერა-ორერა,
შაი ოდა, თუ მაქვს ოდა, საფუძარი, არვის ძალუძს, თავო, ჩემი მორევა,
შაიდორერა-ორერა,
შაი ოდა, შენს სახმილში დანთებული ცეცხლი დამაქვს, შენის მადლით
გაჯერებულ, შაიდორერა- ორერა,
შაი ოდა, შენში ქროდა კვალად გების სურვილი და კვლავ გსურს შორით-
შორად თვალის სწორება, შაიდორერა-ორერა,
შაი ოდა, იდუმალი კრძალი გაკრავს, იდუმალის კითხვა გაკრთობს, უჩინარი
ხარ, ვით ლოცვა უშურველ, შაიდორერა-ორერა,
შაი ოდა, მაწევს ლოდად ლოდინი და სინანულში მიწურულ მყოფს მიწევს
ისევ ღამის გადავორება, შაიდორერა-ორერა,
შაი ოდა, ყველგან მსუფევს, თავისუფალ ფიქრად მოსულს დაგეყუდა ტალღა
მძაფრი, უტეხელ, შაიდორერა- ორერა,
შაი ოდა, თვით ხარ შობა, თავად უწყი, უწყი თავად — სამართალი ქვით
ვერ ჩაიქოლება, შაიდორერა-ორერა,
შაი ოდა, არ იკარებ საისრეზე არტახებს და ძალა გმართავს სიცოცხლისა,
არა უნდა განვითესოთ შენიდან, შაიდორერა-ორერა,
შაი ოდა, ვერც ეს დრო და ვეღარც ძალნი უშუქარნი ვერა გძრავენ, ყრიან
ველზე დაფანტულნი მძორებად, შაიდორერა-ორერა,
შაი ოდა, ვერ ჩაქრობს დღეს კაცს ჩვენში მოთარეშე, ერთმანეთის
უჯერონი გავმოელდებით, მოგვეც ყველა საზრდელი,
შაიდორერა-ორერა,
შაი ოდა, ᲐᲘᲪ მსურს, ᲰᲝᲓᲐ... რომ ტვირთმძიმემ სიყვარული ვთესო ღიმე-
ყორედა, შაიდორერა-ორერა,
შაი ოდა, ჩემს სათქმელში უნდა ჟღერდე რათა ღირსყო თავი
თანამესაყდრედ, შაიდორერა-ორერა,
შაი ოდა, თუ მაქვს ოდა, საფუძარი, არვის ძალუძს, თავო, ჩემი
მორევა, შაიდორერა-ორერა.

●

ხარ ერთი წუთის
რხევა, მაგრამ ეს ერთი რხევა
ერთ მარადისის რხევაც არის
უფლის მადლქვეშ,
უფლის კალთას ეფარვი თუკი.
ხარ ყველგან მხედი;
ჩქამი თუ გაკრთობს,
თუ გაკრთობს ჩქამი,
მიწის გულიდან ამოსული ბალახის
ჩქამი,
რომლითაც უნდა არკვიო შენი
შემდგომი ბედი...
ნისლთაგან შენ ზლი
სახწაულებს ყოველთა ჩვენთა;
სხვა პლანეტაზე ბინადართა, ამ
პლანეტაზე არამყოფთა
ფიქრი და სწრაფვა, სწრაფვა და ფიქრი
გაიგლის შენში.
იმედად ბარტყობ,
გვამურ ლაკას აღარ იკარებ.
ღუმილ ხარ, დუმილ სამყაროის,
დუმილ უსაზღვრო,
უქრობელ თოვლის პირველხატში,
უქრობელ თოვლის პირველხატშ,
უქრობელ თოვლის პირველხ-ტში
ანათებ მარტო.
ხარ ერთი წუთის
რხევა, მაგრამ ეს ერთი რხევა
ერთ მარადისის რხევაც არ.ს
უფლის მადლქვეშ,
უფლის კალთას ეფარვი თუ.ი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

მე მინდა გკითხო უბრყვილო
ტარიგს,
სიცოცხლე წამში ეტევა რარიგ,
ან დრო თვით რად ჰქმნის უხილავ
ქარგას —
და ზედ ავბედით ყოფნას რად ჰქარგავს.

რად გვასმენს კაცთა განწირულ ხავილს
და რად გვერთმევა იმედი ხვალის?
რის ვარგისია ის სულდგმა მართლაც,
ბრმა შემთხვევა რომ მალიმალ მართავს.
მე მინდა გკითხო...

●

მიყვარს ყველაფერი, რაც შენია,
რაც სალხინია და რაც საქმე,
თოვლ-ფიფქის ლოგინი დაგრჩენია,
ჩემთვის მოუსვლელში დასაგები.
მიყვარს, შენზე ფიქრთა გამო მსურის,
ვიყო მარადისის მოსურვილე,
ჩვენ ვართ ჭირხლის სახით წამოსული,
უზღუდობიდან მოწურვილი.
„დახაშ ბაგე შენი“ გრძნეულის და.
დახაშ მდუმარების გამო თნევად,
დიო, ლიპქვაქეცულ სხეულიდან,
მიწა ხორცით ვეღარ გამოთვრება.
დიო, ამოდ დაშვერ სხვათა ლიქნად,
ხმა მესმის უკუნში გამყივართა,
სჯულმდებელ სხვათაგან პყრობილ
იქმნა,
კაცთა ზნე გაცვდა და გამყინვარდა.
დიო, შენს ნათელში დვას ყოველი,
გადვიქეცე უტეხელ მე ლოდებად,
საწუთროს ნაღორძილი ნაზ-ყოილი
დღემუდამ თვის მფარველს ელოდება.
დიო, მოუკვდება ლოდინს დღენი,
ხან სიოდ მოდი და ხან ზღვაურად,

მე რომ შენ უკლისად მოგიძღვენი,
მოდი იმ წუთების საზღაურად.
დიო, ბედმა უნდა დამცეს რისთვის,
გეძებდე, სამოსელ მეცვას მწირის,
სამართალს — ე ს არის გამჩენისთვის,
ყველაზე უქრობელ შესაწირი.
დიო, კიაფობს და სანთლად წვის,
მერმისი შენი რომ წინ არის,
მწუხრის სალმობიერ დედამიწის
არის ასაწევი ოწინარი.
დიო, ქართა მწყემსვა გსურს შემოდეგს,
ერთი ხელ დასცდების ოდას ძილი,
„ვერ დამძლევ“, განს უნდა გარშემოდგე
ამ შენი უკვდავი მოძახილით.
დიო, კვლავ სახსნელად გასწევ ვისად,
მეც უკვე ჯავრს უნდა გამყარო შინ,
შენ ხარ სიხარული გაღწევისა
უწონ-უჩინართა სამყაროში.
მიყვარს ყველაფერი, რაც შენია,
რაც სალხინია და რაც საქები,
თოვლ-ფიფქის ლოგინი დაგრჩენია,
ჩემთვის მოუსვლელი დასაგები.

●

ირაკლი ამირეჯიბის ხსოვნას

ხიზნად მივსულვარ ხიზანთან,
გვგემრავს ავგული ჭვირით,
მტრის ტყვია ვერას გიზამდა,
მოგკლავდა „ქართლის ჭირი“.
ობლობას ჩვენსას მივტირით,
მიმოგვარბევენ რისად?
ბრალია შენი სიკვდილი,
გასახარისად მტრისად.

ვაგლახ, რა უღვთოდ დასრულდი,
სიკვდილ მაიწვინ ბვერდით,
საქართველოსკენ გასროლილ
ტყვიას უშვირე მკერდი.
ხიზნად მივსულვართ ხიზანთან,
გვგემრავს ავგული ჭვირით,
მტრის ტყვია ვერას გიზამდა.
მოგკლავდა „ქართლის ჭირი“.



ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფიკო ტყეშელაშვილი

ვიოლინოზე მათხოვარი საჩემოს უკრავს

ორი წლის წინათ ყველაფერი დავტოვე უკან,
ორი წლის მერე ყველაფერი მახედებს უკან,
ვიოლინოზე მათხოვარი საჩემოს უკრავს
და ერთი თვალი სიშორიდან მშანთავს და მხრუკავს.
ის მაგიური მინიშნება სიმშვიდეს არევს,
ის გაზაფხული ქარიშხალის ცრემლებს მინახავს,
არის შესვლამა გაღწევისთვის სამყაროს კარებს,
რომელსაც კეტავს ერთადერთი კითხვა — „ვინა ხარ?"
ვიოლინოზე მათხოვარი საჩემოს უკრავს.

●

რომ ვერ იგრძნო ვერასდროს
მე რა ცეცხლი მწვავს,
წავალ, დავუბრუნდები
ბეღურებს და ცას.

ანდა მთვარე ამკენკავს,
უთქმელსა და ცალს,
რომ ვერასდროს ვერ იგრძნო,
მე რა ცეცხლი მწვავს.

ჰერმაფროდიტს

ბოლოს ყველასთან მოცურდება ქარონის ნავი,
დღეს ჩვენზე უფრო აგიღია ცრემლისთვის ვეში,
მოდი, ჩამოდე ჩემს მუხლებზე დაღლილი თავი,
რომ წუთით შეწყდეს მზის და მთვარის ჭიდილი შენში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნუგზარ ზაზანაშვილი

●

ზღუდავს ფანჯარა თოვას ჩარჩოთი:
თოვს — მეჩვენება —კინოეკრანზე,
ხოლო ბუნება რაღაც არსებითს

ჯიუტად გვიხსნის თოვლის ენაზე,
მაგრამ ვინ უსმენს ახლა ბუნებას?

ვიღას სჭირდება თოვლის ზღაპრები?
არც — შენ და არც — მე.

კარს მოვიხურავ
და ნეტავ საით გავემგზავრები?

ცის დაკარგვა

ცა, ცა სად არის? განა ეს ცაა —
ბუტაფორია, ვირთხის ტყავს რომ ჰგავს?
ნამდვილი ცა რა იქნა?
როდის გამომეცალა?
თუმცა ცისთვის ვის ეცალა —
ცა აღარავის აღარ ახსოვდა.
ეს სასჯელია დავიწყებისთვის.

ცა, ცა სად არის? განა ეს ცაა —
ბუტაფორია, ვირთხის ტყავს რომ ჰგავს?

ნუთუ დღემდე ვერ ვამჩნევდი?
იქნებ არ ვიმჩნევდი უბრალოდ?
უბრალოდ...
ეს სასჯელია მერყეობისთვის —
მერყეობა ხომ ყოველთვის
სიმხდალესთან წილნაყარია.

ცა, ცა სად არის...

●

რა სულელი ხარ, რა ბედნიერი,
რა გალუმპული აპრილის წვიმით —
თითქოს თვით აპრილს ასახიერებ.
გიყურებ და ვერ ვიკავებ ღიმილს:

სადღაა არსებობისთვის ბრძოლა,
ბრძნულთა საქმეთა დაღლილი გრიმი.
რა სულელი ხარ და ბედნიერი
მოლად გალუმპული აპრილის წვიმით.

ბატიბუტი ანუ ხმა უცნაური

მე მარტო დავრჩი მღვრიე ხატებთან
სინათლისაგან გაძარცულ წრეში
და ვხვდები — უკვე არ გადატყდება
ნება, რომელმაც აქ გამაშვა.
სულ აღარ ვღელავ და ვგავარ ბოროტს,
მსურს — შევეგუო უსულო ფერებს.
მაოცებს მხოლოდ, მაწუხებს მხოლოდ
ვიღაც, ჩემში რომ თავისთვის მღერის:

ბატიბუტი, ბატიბუტი,
თოვლისფერი ბატიბუტი,
დამიბრუნდი, სიმსუბუქევ,
სიხალისევ, დამიბრუნდი.

და ამ ხატების ღრმა სიმღვრივესთან
რომ მაკავშირებს სიმხდალე, ვიცი.
ეამბორება იუდა იესოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ორიენი მაყრიან სიცილს,
ხოლო თბილისი ნამთვრალევ ბინდებს
ერძელი თითებით ეისფრად ძერწავს.

დამნაშავე ვარ, გავექცე მინდა,
სჩქაროდ მინდა გავექცე ჩემ თავს...

●

ვგრძნობ რიჟრაჟს, ვებრძვი
გამოლვიძებას, —
ვიცი, როდესაც გავახელ თვალებს,
სადღაც უეცრად დაიკარგება
დასიზმრებული ლექსების კვალი,

და ვდგავარ ასე მღვრიე ხატებთან
ნინათლისაგან გაძარცულ წრეში
და ვხედავ — უკვე აღარ ჩაქრება
ვიღაც, ჩემში რომ მღერის თუ ხვნეშის:

ბატიბუტი, ბატიბუტი,
თოვლისფერი ბატიბუტი...

ღვთიური კვალი ლექსთა
სრულქმნილთა,
ამოუთქმელთა, უსიტყვო ხატთა.
ღმერთო, ცოტათი განავრცე ღამე,
ცოტა ხანს კიდევ დავრჩები მათთან.

●

რა გასაკვირია?
რად უნდა კითხვები?
გემი იძირება —
გარბიან ვირთხები.
ვინ რჩება? ის რჩება,
ვინც ცურვა არ იცის,

ან ვისაც ძალიან
სწამს უზენაესის,
ისინიც, რომლებსაც
ამ გემის გარეშე
არ სურთ ცხოვრება
არც ერთ მხარეში.

ᲛᲝᲯᲐᲓᲝᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲠᲔ

ახალი დღე და —
ახალი შეცდომა, ჭრილობა ახალი —
ჯაჭვი უმწარესი არა და არ წყდება,
გინდ ტყვია იხალე.
მიმზერს და ტყვეისფრად ხარხარებს
ავდარი.

ᲒᲐᲗᲐᲕᲓᲐ! ᲮᲕᲐᲚᲘᲓᲐᲜ
თავიდან დავიწყებ ცხოვრებას,
თავიდან, თავიდან!

ახალი დღე და —
კატა თვლემს რაფაზე, ლუდი თვლემს
კათხაში,
ქალაქი — ნისლის და ყვითელი
ფოთლების
მყუდრო მოსასხამში.
არც მწუხარებაა და არც — სიხარული.
ᲒᲐᲗᲐᲕᲓᲐ! ᲮᲕᲐᲚᲘᲓᲐᲜ
თავიდან დავიწყებ ცხოვრებას,
თავიდან, თავიდან!

ახალი დღე და —
ხარობენ ბავშვები, ბრუნავს კარუსელი,
ბრუნდება იმედი, ბრუნდება ოცნება,
სიცილის სურვილი.

ცა უცისფრესია, უანკარესია...
უფალო, საიდან
ეს აუტანელი „თავიდან!
თავიდან! თავიდან!“?

ეროვნული ბიბლიოთეკა

თენგიზ გოგოლაძე

ორი ნოველა

კოშკი

ჩანახატი

პაპაჩემს თემძის ხეობაში ერთი პატარა ვენახი ჰქონდა. ვენახს ვუწოდებდით, თორემ ამ ნაკვეთზე ხეხილი უფრო მეტი იყო, ვიდრე ვაზი. ვაზიც, ვიღაცათა მიერ შერისხული, მოძულებული ქიწნურა. არ ვიცი, ჟურძნის ამ ჯიშს რას ერჩოდნენ, შეწამვლა იმას არ უნდოდა და არანაირი ზედგადაკვდომ-გადაყოლა. მოიძულეს, ამოძირკვეს, მოსპეს მისი ჯილაგი. პაპაჩემმა ხელი არ ახლო. თავის სამყოფ მოსავალს იწევდა და გემრიელ დვინოსაც აყენებდა.

ხეხილი ხეხილად, ბოსტანი ბოსტნად, ვენახი ვენახად, მაგრამ ბავშვობიდან ჩემს მეხსიერებას განუკურნელ ტკივილად შემორჩა ვენახის ბოლოში, თაფლოვანი ყვავილებით სავსე ძეძვის ღობის გადალმა აღმართული, რიყის ქვით ნაგები კოშკი. ტკივილით-მეოქი იმიტომ ვამბობ: იყო და დღეს აღარ არის.

მიწის იმ ნაკვეთზე, რომელზეც პაპაჩემს ბაღ-ვენახი გაეშენებინა, ოდესღაც უთოდ ცხარე, სისხლისმღვრელი ბრძოლები იმართებოდა. ისტორია მოგვითხრობს: თემძის ხეობით მრავალჯერ შემოჭრილან თრიალეთის ქედგადმოვლილი ოსმალები ჩვენი ქვეყნის ასაოხრებლად. აქეთ, ჩვენს მხარეში, აწამეს მათ ბერი თევდორე, ქართველ გმირთა სახელებს რომ ამშვენებს თავისი საქციელით, მამულისათვის თავგანწირვით.

კოშკი ისეთი იყო, ისეთი, თითქოს ახალი აგებულიაო, საღი, მაგარი, ამაყად გამომზირალი. ჟამთასვლას გაუძლო და წინ სიცოცხლის კიდევ დიდი გზა ჰქონდა, რამდენიმე საუკუნეს მაინც გაუძლებდა. კედლში სათოფურები და სარკმლები ჰქონდა დატანებული, ქვემოთ — ერთი მომცრო, შესაძრომი კარი.

მთელ იმ შემოგარენში ბავშვებს კუთხე-კუნჭული არ დაგვრჩენია, ჩასასვლელში არ ჩავსულიყავით და ასასვლელში არ ავსულიყავით. თუ სადმე რაიმე საიდუმლო გვეგულებოდა, ჩავძერებოდით, ჩავფოფხდებოდით, ჩავყურყუმელავდებოდით, ეგებ გაგვეგო, გვენახა თურა იმალებოდა ჯურღმულებსა თუ ხვევებში, ნასახლარებსა თუ ნატაძრალებში!.. მაგრამ იმ კოშკში შესვლას ვერც ერთი ჩვენთაგანი ვერ ბედავდა, ალბათ იმიტომ, რომ ერთხელ გაგონილმა შეგონებამ ძლ ერ შეგვაშინა, — კოშკი გველებისა და გველხოკერების ბუდეაო. თუმცა, იქიდან გამოცურებული არც გველი გვინახავს, არც გველხოკერა გამოღოღებული... შიშს დიდი თვალები ჰქონდა და ვერიდებოდით.

კოშკში ნათელი აღწევდა თუ არ აღწევდა, ესეც არ ვიცოდით. ვხედავდით კი, რომ კაკაშა მზიან ამინდშიც კი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სათოფურებიდან და სარკმლებიდან კოშკში ჩამალული ღამე ბორიტი თვალით იყურებოდა.

კოშკი დუმდა, გარშემო ეკალბარდები შემოვლებოდა. საოცარი იყო: რატომ მაინდამაინც ეკალბარდები და არა ია-ვარდები! ცოდო ედო რაიმე? იქნებ მის კედლებთან დაცემული მტრის მეომართა ნახისხლარზე სხვა არა იხარებდა რა! ალბათ ასეა!.. მაგრამ, ვაითუ, ცოდო ედო რაიმე, მტრისაგან ჯეროვნად ვერ დაიცვა სოფლელები, ვერ გადაარჩინა ქალი და ბავშვი, მოხუცი და დავრდომილი?!. თუმცა, კოშკი იმხელაც არ იყო, მოდარაჯეებთან ერთად სოფლის მკვიდრნიც შეეფარებინა. შიგ ოცამდე კაცი გაჭირვებით თუ მოთავსდებოდა.

ბავშვობაში არ მიკითხავს, ვინ და როდის, ან რა დანიშნულებით ააგო კოშკი. ერთი რამ ეჭვს არ იწვევდა: იგი მტრებისგან შეწუხებულ ქართულს სჭირდებოდა. ცოცხალ არსებასავით დარაჯად იდგა, ქვეყნის მშვიდობის დიდი საქმე ებარა, ჩვენს დროში გამოუყენებელს, გარდასული ჟამის ნაშთს, მოხუცს, მაგრამ ჯერ კიდევ ჭარმაგად მყოფს.

ქარსაც უძლებდა, წვიმასაც, სეტყვასა და მეხოატეხასაც, სულ ასე მხნედ და უტეხად. ქედაღლურად და ამაყად გაიკლიდა სუუკუნეებს. იგი ძეგლად ქცეული, გაქვავებული წარსული იყო.

როცა კი ვენახში მივიდოდი, ღობეს მივადგებოდი და ამ თვალწარმტაც, იდუმალებით სავსე ნაგებობას კარგახანს შევყურებდი. იდგა ჩუმად, არას ამბობდა მრავალი ამბის მომსწრე და მნახველი... სხვა, მისი ამბის მთხრობელი კი არ ჩანდა.

მაშინ ბევრი რამ არ ვიცოდი, ბევრი რამ არ გამეგებოდა, მაგრამ ვგრძნობდი კი, რომ აქ კოშკი ასე უბრალოდ არ იდგა. ისიც კი მეგონა, კაცის ხელით კი არ იყო ნაგები, არამედ დედაბუნების ნაშიერი იყო ისევე, როგორც თეძმის ხეკს გადმა ალმართული მთები, კლდოვანი, ჩამოფლეთილი მკერდები რომ მიეშვირათ სამყოფოსათვის.

იდგა ეს კოშკი მათსავით ჯიუტად მაგარი.

ქვეყნის დარაჯი ჩვენს ვენახსა შემორჩენოდა მეთვალყურედ. ახლა ალბათ ხალის ქურდებს აშინებდა სათოფურებიდან გამოშზირალი შავი თვალების ბრიალით. გული მწყდებოდა, რომ მის ძირში ეკალბარდები იყო და ბილიკიც არ ჩანდა მის წმიდა კედლებამდე მისასვლელი.

...რამდენიმე ათეული წელი მიიწურა, ცხოვრებამ ფერი იცვალა, მე ქალაქს შემოვრჩი, პაპაჩემი გარდაიცვალა, მის ნაგენახარს თაფლოვანი ყვავილებით სავსე ძეძვის ღობე შემოაცვდა, დაბერდნენ და ზეზეურად მიიცვალნენ ხეხილები, უფალს სული მიაბარეს ქიწურა ვაზებმაც... დრომ თავისი წილი წაიღო და წავიდა.

და ერთ დღეს ვნახე, რა ვნახე: კოშკი პირწმინდად აღეგავთ პირისაგან მიწისა.

მტერი ვერ ერეოდა, ქარი, წვიმა და თოვლი ვერაფერს აკლებდა, მეხოატეხას უძლებდა, ჟამის მსახვრალ ხელს არ იკარებდა... ვიღაცას უთუოდ რიყის ქვა დასჭირდა, ვიღაცას რაღაც ჰქონდა ასაგები, თეძმის პირზე ჩასვლა და მდინარის კალაპოტში რიყის ქვის შეგროვება დაეზარა და აპა, მზამზარეული — მისდგა კოშკს და სულ სათითაოდ აიცალა ქვები, გაძარცვა და გააპარტახა, დააკნინა და გაათახსირა, მოსრა, მოსპო მისი სახსენებელ-ი!..

რიყის ქვას ახლა ღობის, ბოსლისა და საღორის ასაგებად თუ იყენებენ. სახლებს აგურითა და ბლოკებით იშენებენ...

ჰაი, დედასა! კოშკის ნაკედლარი ბოსლის კედლად თუ ჩადუღაბდა! ანდა საქთმე, ან საღორე თუ ახონხლეს!..

ჰაი, დედასა, მტრისასა!

...ჩემს მეხსიერებაში კი დგას იგი, როგორც ცოცხალი და უკვდავი გუშაგი ჩვენი კუთხის საიდუმლოებით მოცული წარსულისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დარო ბებრის მუთაქა

დარო ბებოს ვიცნობდით მუთაქითა და ამ ერთადერთი ძველთაძველი გაყვითლებული სურათით, რომელიც ჩვენს საოჯახო სურათების გაბერილ ალბომში ინახებოდა.

სურათი არ იყო მკაფიო. სიძველისაგან კიდეებშელახულ მუყაოზე დაკრულ სურათში ჩიხტიკოპით თავდახურული. სანდომიანი სახის მანდილოსნის გარჩევა მაინც შეიძლებოდა.

ეს ქალი დიდედაჩემის დედა გახლდათ. წინა საუკუნის ქალი, რომელმაც მეოცე საუკუნის ათიოდე წელშიც გადმოაბიჯა.

მარტო ამ ერთ სურათსა და ერთადერთ მუთაქას რომ არ დაგვეტოვებდა, ჩვენ, მის ნაშიერთ, ცხადია. დაუტოვებია სახლ-კარი, კარგად გაწყობილი და მოვლილი აქეჯით სავსე. შეძლებული მაცხოვრებელი ყოფილა და არც შვილები დარჩენია ვულნაკლული. მწიგნობარი და ღვთის ღრმა მორწმუნე ყოფილა. დიდხანსაც უცხოვრია.

დიდედაჩემი ხშირად იხსენებდა დედას, მის დანატოვარ მუთაქას და სხვა რამეებსაც საოუთად უელიდა. ამ მუთაქაზე თავს რომ მისდებდა, დედის ალერსს, მის სურნელებას, წარსული დღეების სინაზესა და სითბოს გრძნობდა. მუთაქა მისთვის განსაკუთრებული განძი იყო და ასევე განსაკუთრებულად უელიდა.

დარო ბებოს ბევრი დანატოვარი ნივთი ზოგი დრომ, ზოგიც ცხოვრების სიავემ შეიწირა, ზოგი გაყიდა, ზოგიც ძალით წაიღეს, ზოგიც დაიმტვრა; სახლ-კარი შვილებმა დააქუცმაცეს, გაყიდეს, გადაცვალეს...

დიდედაჩემი რომ გარდაიცვალა, ცხადია, დედაჩემი ისეთი ალერსით ვეღარ ეპყრობოდა თავისი ბებიის მუთაქას. და ოჯახურმა რელიკვიამ მუშადამი ბინა ძველ ზანდუკში დაიდო ასევე ძველ სურათებთან ერთად. ზოგჯერ, როცა შინაურები სახლს ალაგებდნენ, ზანდუკსაც გამოასუფთავებდნენ, მაშინ მუთაქით თუ გაიხსენებდნენ დარო ბებოს.

ჩვენ, მისი შვილიშვილის შვილები, არ ვიცნობდით, არ გვინახავს და ამოტომ მის დანატოვარ ნივთსა თუ სურათს გულგრილად ვუყურებდით.

მუთაქას მუქი შვინდისფერი, ალაგ-ალაგ საგრძნობლად გაცრეცილი ხავერდი ჰქონდა გადაკრული. მატყლით საკმაოდ მაგრად, საშვილიშვილოდ დატენილი მუთაქა კიდეებში აბრეშუმის მსხვილი, ფუნჯიანი ზონარით იყო მონაოჭებული.

დიდხანს ხელუხლებლად ვინახეთ წინაპრის რელიკვია.

ყველასათვის ცნობილია, რომ ძველად ზოგიერთი შეძლებული ბებია-დიდედა მუთაქაში საშვილიშვილოდ ინახავდა ოქროს ნივთებს, ბრილიანტის თვლებს, თვალ-მარგალიტსა და ფულს. პაპები და ბაბუები, ამათაც თუ შეძლება ჰქონდათ, ძვირფასეულს ქონებში აგროვებდნენ და ვინ იცის, სად არა ფლავდნენ მიწაში, ზოგიც სახლის კედელში მალავდა... ვის უმზადებდნენ, ან ვის უმალავდნენ?.. ბევრი ისე წასულა ამქვეყნიდან, საიდუმლო სამალავი ახლობელი ადამიანისთვისაც არ გაუმჟღავნებია...

გაჭირვებამ ეს ძველი ამბები ჩვენს გონებაში ამოატივტივა და ზანდუკიდან დარო ბებოს ძველი მუთაქაც ამოგვაღებინა.

ღმერთმა იცის, ეგებ დარო ბებომაც... იმის გაფიქრებამ, რომ დარო ბებოს უთუოდ რაღაც ექნებოდა შემალული მუთაქის მატყლში, ყველას ჟრუანტელი მოგვგარა და ისე გადაგვრია, ისე აგვიტაცა, უკვე იქამდე მივედით, ლამის დაგვეფლითა მთელი მუთაქა...

უთუოდ რაღაც იქნება, უთუოდ!

დარო ბებო შეძლებული ქალი იყო და რაღაცას უთუოდ გადაუნახავდა შვილთაშვილებს...

ნაჭრის „ყულაბა“ ტახტზე დავდეთ. მთელი ჩვენი მრავალრიცხოვანი ოჯახი შემოვეხვეთ. ყველაზე პატარა თიკო�d, რომელიც ჯერ აინუნშიც არ იყო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა ხდებოდა, ან რა უნდა მომხდარიყო, გარინდებული გვიყურებდა.

დედაჩემმა მუთაქის ცალ მხარეს გაკვანძული ზონარი ძლიეძლივობით გახსნა, ნაოჭი გაშალა, მუთაქიდან ასევე ძლიეძლივობით გამოათრია ნაჭრის პარეში ჩატენილი მატყლი.

რა თვალებით, რა მღელვარებით, შეგყურებდით! სუნთქვა დავძაბეთ, ბუზის გაფრენას გაიგონებდა კაცი. ახლა ჩვენი ბედი და იღბალი მთლიანად ამ მუთაქის მატყლში გვეგულებოდა. იქიდან უნდა გამოენათებინა ჩვენი ბედის ვარსკვლავს!

მუთაქის ზემო პირი თუ გამძლე იყო, შიდა ნაჭერი მალე დაიფხრიწა. ბლომად მატყლი ჟამთა ვითარებაში მაგრად იყო დაწნეხილი, ამიტომაც ძნელად იჩეჩებოდა.

სანამ დედაჩემი მატყლს ჩეჩავდა და რაღაცას გულმოდგინედ ეძებდა, ჩვენ მოთმინების ფიალა გვევსებოდა. ალბათ ჩემსავით ოჯახის ყველა წევრი თავისთვის რაღაც სანეტაროზე ოცნებობდა, რომ აი, წუთი-წუთზე მატყლში ძვირფასი თვალი გაიელვებდა და ყველას ერთნაირად მოგვეტანდა ბედნიერებას.

განძის მოლოდინში ვიყავით ყველანი, ბავშვების გარდა. მათ მატყლის წეწვა უფრო ახარებდათ, ტახტის ცალ მხარეს რომ აბულულდა.

ბოდოს, როგორც იქნა, რაღაც გამოჩნდა, მომცრო ბურთულაკივით საგანი. დედაჩემმა დაზეპილი მატყლი გამოწეწა, თითები აარქარა, დაეშურა, რაც შეეძლება მალე გაეთავისუფლებინა ის პაწია საგანი მატყლის ტყვეობიდან.

ოოეული თვალი ამ საგანს მიაცევდა. გაჟეჟავდით, მზერად ვიქეცით. მერე ისევ გამალებით ამიძგერდა გული, როგორც კი დედაჩემმა ორთითშუა მოიგდო მოყავისფრო ბურთულაკი. გამიკვირდა სრულიად აუღელვებლად რომ დაიქერდა.

— რა არის, დედა? თვალია რამე?

დედა კვლავ გახევებული დასცქეროდა მიგნებულ საუნჯეს.

ხმის ორთოლვით რაღაც ჰკითხა ჩემმა ძალმაც.

დედამ ცივად ჩაიცინა და ამოიოხრა:

— კურკლია, შვილებო! ჩვეულებრივი, ცხვრის გამხმარი კურკლი!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოთარ მეოტიშვილი

ეს ლექსი არ ჰგავს მოვარდნილ მეწყერს
და ვერც მოისმამს რითმების ყვავილს.
მთელი საღამო
ღვარდაცემულ ფიქრის უფსკრულში
ბოლავდა, როგორც ობოლი ნისლი;
ეს ლექსი არ ჰგავს ღმერთთან საუბარს,
მიახლოებას,
სამზღვართა მოშლას.
ჭიასავით ღრღნიდა საწადელს,
დიდხანს ნასკვავდა ჩემს გზას
ყულფივით
ერთადერთ კითხვით:
ვინ ხარ და რა ხარ?
ეს ლექსი არ ჰგავს...
თუმცა იქნებ არცაა ლექსი —
შორს გასროლილი ბუმერანგივით
დაბრუნებულ ფიქრებს ვაროვებ
და მომაქვს თქვენთან სამსჯავროზე
განსაკითხავად.

მხოლოდ

ბევრი აიწონა,
ბევრი დაიწონა,
ბევრი ტალახი და
ბევრი ვარდის კონა,
მხოლოდ ჩემი ქედი დარჩა შეუცვლელი...
ბევრი ცრემლი დაშრა,
სისხლით ბევრი დათვრა,
ბევრი კვირტი ფეთქს და
ბევრი ფესვი გახმა,
მხოლოდ ეს ტკივილი ყვავის
ძველებურად.

საით ვავიდე

ვდგავარ დაღლილი ტვირთითი და
წლებით,
როგორც ქარაფზე ჩამსხვრეული
მდინარის ტალღა;
საით წავიდე,
ვის შევეფარო,
შესართავისკენ გავყევ დინებას,
თუ შემოვიქცე სათავისაკენ?
თუმცაღა ვიცი,
რომ ჩემთვის მყუდრო თავშესაფარი
არც სათავე მაქვს,
არც შესართავი
და ვიკრავები სადღაც გზადაგზა
ჩემი ცხოვრების უხმაურო შენაკადებში.

ამ ქედებს,
მინდვრებს,
ქალაქებს და სევდიან სოფლებს
ნაუცბათევი ძეგლებივით ემატებიან
ჩვენი დღეები
და მიბუტბუტებს ყველა დროის
მწუხარე შტკვარი
მარადქართული დაეჭვებით —
ვინ ვართ და რა ვართ?
ან ეს შავებით დათალხული
ამერ-იმერი
და ძმათა სისხლით მოქარგული
ყველა კუნჭული
გადარჩენაა ჩვენი ჯიშის,
თუ აღსასრული?
პასუხობს ყველა:
ბრძენიც და ბრიყვიც,
ცრუც და მართალიც,
მკვლელიც და მცველიც!
პასუხობს ყველა:
ჩვენებური თავგამოდებით,
ჩვენებური თავმოწონებით,
ჩვენებური მჭევრმეტყველებით,
მაგრამ პასუხს არავინ ვუსმენთ
და ერთგულების დასამტკიცებლად
გავინაწილებთ საქართველოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ვეზიდებით საკუთარ ქოხში,
მერე დავსხდებით ჭირისუფლებად
და საკუთარ წილს გამოვიტირებთ.
დრო კი არ იცდის...
ამ ქედებს,
მინდვრებს,
ქალაქებს და სევდიან სოფლებს
ნაუცბათევი ძეგლებივით ემატებიან
ეს დღეები
და პასუხს ითხოვს ის საქართველო,
რომელიც ცოცხლობს,
ვერ გავყიდეთ
და ვერ დავშალეთ.

ვიდრე

ვიდრე ამ დღეთა მღვრიე მორევში
წვეთივით უხმოდ არ ჩავკარგულვარ,
უნდა გავუდო ბეწვის ხიდი,
რომ გავიყვანო გაღმა ნაპირზე
ორიოდ ლექსით გადარჩენილი
ჩემი საწყალი წუთისოფელი.

●

გავყურებ სევდით —
რა შეუმჩნეველად ედება თოვლი
ჩემი დღეებით ახორხლილ მწვერვალს,
ნადირივით რომ მოიპარება
ყოველი მხრიდან დიდი სიჩუმე
და იმ ღუმილით როგორ ივსება
ჩემი სიმღერაც,
ჩემი ზარიც,
ლხინიც და გლოვაც...
მე კი ძველებურ თავგამეტებით
ისევ ჯიუტად ვიკრებ ძალას
და ვყვირი,
ვდაობ,
ვიცინი,
ვკვნესი,
რომ საღღაც ვინმეს გავაგონო
ხმა განწირულის.

1992 წლის თებერვალი

გადაშლი გაზეთს,
რთავ რადიოს,
ჩაჰყურებ ეკრანს
და ყველგან,
ყველგან ვეძახიან პანაშვიდებზე...
პანაშვიდები იმართება:
სვეტიცხოველში,
გრემში,
მარტვილში,
ზარზმაში,
ჯვარზე,
ყველგან, სადაც კი დაქცეულა
ქართველის სისხლი,
ყველგან, სადაც კი დაცემულა
ქართველის ცრემლი!
გასვენება კი ამ დღეებში,
რაღა თქმა უნდა,
თუ კიდევ დარჩა ჭირისუფალი...
გაასვენებენ საქართველოს —
ქართველის მოკლულს!

ორნი მოვედით

ორნი მოვედით ამ დიდ ქალაქში,
ორი ოცნების თავნება ბავშვი:
მე — მარტორობით გალაღებული,
ის — ხატის კარზე მლოცველივით
გულღია ლექსი...
ჩუმად შეეყვეთო ერთმანეთით გაოცილ
დღეებს,
ნაცნობ-უცნობის ეჭვიან ფუსფუსს
და შევეჩვიეთ:
ღედაქალაქის მზიან ქუჩებში
დამაღლებული სამშობლოს სითბოს,
პერის გრძელ რიგში დაკარგულ
სინდისს,
ბარიკადებად ქცეულ ტრიბუნებს,
ობელისკებად აღმართულ სკამებს,
ლიტონ სიტყვებში ჩამსხვრეულ
გრძნობებს,
საზიარო სარეცლის სიტკბოს
და მშობლიური ჯვარ-ხატებისკენ
ხანდახან ვგზავნით, როგორც
საკარგყმოს,
ლექსებს კი არა, ეპიტაფიებს
ჩვენთვის გათხრილი საფლავებისთვის.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჯუმბერ ხანთაძე

გერმანელები

ნოველები

ჰანსი

გერმანელი პირველად ომის მიწურულს ვნახე, ქალაქში გერმანელი ტყვეები რომ გამოჩნდნენ, მაშინ. ჯერ აქა-იქ, კანტიკუნტად შენიშნავდით. შემდგომ ძალიან მომრავლდნენ. ძირითადად მშენებლობაზე მუშაობდნენ. როგორც მახსოვს, ვაგზლისწინა მოედანზე და კიდევ ბევრ სხვა ადგილას აშენებდნენ სახლებს. მაშინ სამშენებლო ტექნიკა ჭირდა და მშენებლობა ყველა ეტაპზე მონური შრომის ფასად სრულდებოდა.

თბილისის ცენტრში, მარჯანიშვილის მოედანზე, ლამაზი კათოლიკური ეკლესია იდგა, ყელმოღერებული კირჰა. გერმანულს ეძახდა ხალხი. ძველი ქალაქელები ამ ადგილს ეხლაც „კირკად“ მოიხსენებენ ხოლმე. გერმანელ ტყვეებს დაანგრევინეს და იმ ადგილას დიდი სახლი ააშენებინეს. იქ ბევრნი მუშაობდნენ.

დასაწყისში ბავშვები აბრაზებდნენ გერმანელ ტყვეებს, „ვიტლერ კაპუტ“-ო, „ფრიც კაპუტ“-ო, უყვიროდნენ, მეც ვაბრაზებდი. არ სწყინდათ, მშვიდად ისმენდნენ და არც წყრებოდნენ ჩვენს შეძახილებზე.

მერე და მერე ტყვეებმა ქალაქშიც იწყეს სიარული. ჯგუფ-ჯგუფად დადიოდნენ, ცალ-ცალკეც. მოსახლეობისგან მოწყალებას ითხოვდნენ, სამაგიეროდ თავიანთ სამსახურს სთავაზობდნენ: შეშას დაგიჩეხავდნენ, შეგიკეთებდნენ რასმე, აგიშენებდნენ თუ რამ ასაშენებელი გქონდა, გაგილესავდნენ, შეგიკერავდნენ. ძალიან ხელმარჯვე და მშრომელი ხალხი იყო. ჩვენს ქუჩაზეც გამოჩნდნენ და ჩვენც მოვკაკითხეს.

განსაკუთრებით ხშირად ერთი გერმანელი მოდიოდა, ჰანსი. ძალიან ახალგაზრდა იყო, პირტიტელა, ფერმკრთალი, აწოწილი, ბეჭებში მოხრილი. მეტისმეტად კაცთმოყვარე გამოხედვა ჰქონდა, წყლიანი თვალები. დაკაკუნება არ იცოდა, იატუზებოდა ხოლმე და კარზე ფხაჭუნს დაიწყებდა. თუ გავეგონებდით, ხომ კარგი, თუ არადა, იდგა ასე, გაქვავებულივით. კვირაობით მოდიოდა ხოლმე ძირითადად. ყველას ძალიან შეგვიყვარდა ოჯახში. მეც მიყვარდა, თუმცა გერმანელი იყო.

მაშინ ძალიან ხელმოკლედ ვცხოვრობდით, მაგრამ იმედიანად, იმიტომ რომ ომს ბოლო უჩანდა.

ორ სურათს ატარებდა თან. ერთზე თვითონ იყო უფროს ძმასთან ერთად, მეორეზე — ბაბთიანი გოგონა. ძმაზე უყვარდა ამბების თხრობა, ეთაყვანებოდა, აღმერთებდა. ის ომის დასაწყისში წაუყვანიათ ჯარში და ჩქარა უგზოუკვლოდ დაკარგულა. ცოცხალი იქნებაო, — ასე სჯეროდა ჰანსს, ზორბა, ღონიერი და ყოჩაღი ბიჭიაო, ჩემსავით ბოთე და ჭიაყელა კი არ არისო, ტყუილად ხომ არ ჩარიცხავდნენ „ედელვაისშიო“, — იტყოდა ხოლმე. იმ ბაბთიან გოგონაზე არაფერს ამბობდა, დახედავდა სურათს ცრემლმორეული, მერე კაცებდა, ქაღალდში სათუთად გაახვევდა და გულის ჯიბეში შეინახავდა. ჩემთან თამაში უყვარდა განსაკუთრებით. მეც

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიყვარდა. ათასნაირ ფოკუსს მასწავლიდა, ხისგან სათამაშოებს მითლიდა. ახვევლებდა ხშირად — დედა ძალიან სწუხდა.

ერთ მშვენიერ დღეს ჩემი მამიდაშვილი დაბრუნდა ომიდან — ლევანი. ისეთი გამხდარი იყო, დედამ ძლივს იცნო. უფროსი იყო, სინათლე გასდიოდა ლოყებში, ფეხს ითრევდა, ჰოსპიტლიდან იყო გამოწერილი. ისიც სულ ახალგაზრდა, სტუდენტი წაიყვანეს ომში. მე მგონი, ვერც მოასწრო გასროლა, ისე მოხვდა ჰოსპიტალში. ოჯახი ქუთაისში ჰყავდა: დედა და პატარა ძმა. დილაუთენია მოგვადგა, ავიშალეთ მთელი ოჯახი, სიხარულით ცას ვეწიეთ. დედამ სახარონიანი ჩაი დაალევინა, საგულდაგულოდ გადანახული, ორცხობილა დაულბო და დაადინა. მერე ერთ ექიმთან წაიყვანა. ბაქრაძე იყო გვარად. ძალიან გამოცდილი და სახელოვანი ექიმი იყო, მოხუცი. მეც წავყევი, ლევანის „პილოტკა“ მეხურა.

ექიმმა ლევანს წელსზემოთ გახადა. საბაჯშო კინოსურათი მქონდა ნანახი — „კაშები ბესსმერტნი“ და ის გამახსენდა, რომ შეეხედე იმის ნეკნებს. ექიმმა დიდხანს აწვალა, ჩაკუნა, ააყენა, დაწვინა, თითები უკაკუნა, ჩიბუხის მსგავსი ყურმილით მოუსმინა, თავი გააქნია და დედას უთხრა — მძიმედ არის თქვენი ავადმყოფი, დაჩრდილვა აქვსო. იქიდან ფეხით მოვედით შინ, ტრანსპორტი ცუდად მუშაობდა.

შინ ჰანსი დაგვხვდა. ლევანი და ჰანსი, ალბათ, ტოლები იყვნენ. ბევრი ილაპარაკეს დამტვრეული გერმანულ-ქართულით. ამას თითო-ოროლა გერმანული ესწავლა, იმას — ქართული. ბედი არ გინდა: ორივეს ერთ ფრონტზე უომია. გადარჩნენ, მაგრამ ეთა ამ გადარჩენას! მერე კარგად ვიკაზმეთ ლევანის ჩამოტანილი „პაიკეთი“.

ლევანი ქუთაისში გაემგზავრა. დიდხანს იავადმყოფა. მერე ბავშვთა ექიმი გახდა. ახლაც ძალიან ავადმყოფობს ხოლმე, თუმცა ცნობილი ექიმია.

ჰანსი აღარ გამოჩენილა. სხვა გერმანელები კიდევ რამდენიმე წელიწადს გვაკითხავდნენ ხოლმე. ჰანსის შესახებ ვერავინ ვერაფერი გვითხრა.

ᲒᲣᲢᲐᲞᲔᲠᲩᲘᲡ ᲗᲝᲯᲘᲜᲐ

ომიანობის დროს უსახლკაროდ დარჩენილი ბევრი გაუბედურებული რუსი, უკრაინელი და ბელორუსი აიყარა შმობლიური ადგილებიდან და თავშესაფრის ძებნაში ჩვენამდე ჩამოაღწია. ქალაქი გაივსო ლტოლვილებით — ევაკუირებულებს ეძახდნენ ხალხში. ომის ბოლოს ჩვენი მეზობლის, დეიდა ქეთოს ოჯახმაც შეიფარა, შეიხიზნა რუსეთიდან გადმოხვეწილი ნათესავები, ჩემი ტოლი ნატაშაც. ნატაშა ძალიან კარგი გოგო იყო, კეკენებიანი, დედით ქართველი, მამით რუსი, რუსეთში დაბადებული და გაზრდილი. ომით გამოწვეულმა ბედუკუღმართობამ ჩამოიყვანა ჩვენთან, თბილისში.

თავდაპირველად ნატაშას იშვიათად უშვებდნენ ეზოსა თუ ქუჩაში ჩვენთან სათამაშოდ. გამოუშვებდნენ და დეიდა ქეთო სულს ჩაგვაბარებდა, არ აწყვინნოთ, რაიმე არ ატკინოთ, მოეფერეთ, შმობლები არ ჰყავს და ცოდო არისო.

ჩვენ, ბავშვები, ვვარიანად ვიყავით ერომანეთში შეთამაშებულები. ნატაშამ ქართული არ იცოდა, ჩვენ რუსული და, ალბათ, ამიტომაც კარგა ხანს არ გვეკარებოდა — ჩაიხუტებდა თავის გუტაპერჩის თოჯინას გულში, განმარტოებით აიტუზებოდა და შორიდან გვიცქერდა ხოლმე.

ერთხელ ეზოში გერმანელი ტყვე შემოვიდა. ფეხი შემოდგა თუ არა, ნატაშამ ისტერიული ტირილი დაიწყო. გამოვარდა დეიდა ქეთო, დაგვცოფა პირდაპირ — რომელმა ჩაარტყაო, რა ჩაარტყეთ, რა მხეცები ხართო, გვიყვიროდა. ყველანი სახტად დავრჩით. ღმერთი, რჯული, ხატი, კაცი არ გაჰკარებია.

გადაფიჩინდა ნატაშა, წყალი დაალევინეს, დაუყვავეს, მაგრამ ვერაფრით ხმა ვერ ამოაღებინეს, სიტყვა ვერ ათქმევინეს. ბოლოს, როგორც იქნა, „ტამ ფრიც“-ო, ამოღერღა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გავიხედე, ვერმანელი ეზოში აღარ იყო. ქუჩაში გავვარდი, ჩვენი სადარბაზოს კიბეზე იჯდა თავჩაქინდრული და ზლუქუნებდა.

მერე და მერე ნატაშა შეეჩვია ვერმანელებს, ჩვენც გაგვიშინაურდა, სიხარულით თამაშობდა ჩვენთან, ყველას გვჯობნიდა „კლასობანას“ თამაშში, „გუსი-გუსი დამოი“-ც იმან გვასწავლა.

ფა-ლიეზი

ომამდე დედაჩემმა ცნობილ მუსიკის პედაგოგს, ბაგრატიონს მიმგვარა. მუსიკალური განათლება უნდა მიმეღო. არ მინდოდა მუსიკაზე სიარული, ნოტების ტარება არ მიყვარდა, მეშინოდა ბიჭებს „ბოგოების მაჩალა“ არ დაეძახათ ჩემთვის. ორი კვირის თავზე ბაგრატიონმა დედაჩემი დაიბარა და განუცხადა: თქვენი ვაჟისგან მუსიკოსი არ დადგება და, გარდა ამისა, ძალიან ტურტლიანი ხელები აქვს და კლავიატურას მიფუჭებსო. მართალი უთხრა, ალბათ. ძველ პედაგოგებს სწვიდათ სიმართლის თქმა მოურიდებლად. რაც შეეხება ხელებს, ტურტლიანი მექნებოდა, აბა რა, სულ ღობე-ყორეს ვედებოდი, თუ სადმე ჟანგიანი რკინა იყო, ყველას ჯიბით ვატარებდი. გამიხარდა, ვიფიქრე, გავკეთდი ჭრელი დედალივით, მორჩა ჩემი მუსიკალური განათლება-მეთქი. მაგრამ შეეცდი, დედაჩემი ფეხებში ჩაუვარდა ბაგრატიონის ქალს — ნუ დამღუპავო, თქვენი ჭირიმე, ძალიან მინდა, ბავშვს მუსიკა შევაყვარო, მაგის ხელებს მე მოვუვლი და პირადად მოგვერიო დაბანილსო. მართლაც, ამის შემდეგ დედაჩემს დავყავდი მუსიკაზე დაბანილ-დავარცხნილი, გაკეთილის განმავლობაშიც თავზე მადგა. ცოტა წავიწიე წინ, ანა-ბანა ვასწავლე.

მერე ომი დაიწყო, გაჭირდა ცხოვრება. დედაჩემი ქსოვდა და ქარგავდა. ამ შემოსავლით ერთხანს კიდევ დავდიოდი ბაგრატიონთან, მერე ვეღარ ვიარე, ვეღარ შეძლო ოჯახმა ფულის გადახდა. მაგრამ რა გინდა, ჩემი საშველი მაინც არ აღმოჩნდა. ჩვენს მეზობლად, პირველ სართულზე ერთი მარტოხელა ბერძენი ქალი ცხოვრობდა, დეიდა სალომე, ქართველი კაცის ნაცოლარი. ქმარი ოცდაჭიდმეტში დაუხვრეტეს, ბინაც ჩამოართვეს, დაარბიეს ოჯახი. ერთ პატარა ოთახში გამოამწყვიდეს, ძალიან ხელმოკლედ იყო, მაგრამ პიანინო ჰქონდა და დედაჩემს შესთავაზა, ბავშვმა ჩემთან იაროს, შეძლებისდაგვარად დავეხმარებიო. კეთილი ქალი იყო დეიდა სალომე, მეტისმეტად კეთილი. უსასყიდლოდ მასწავლიდა, ხანდახან შაქრის ნატეხსაც მაძლევდა. ძალიან უყვარდა ჩვენი ოჯახი, მეც ძალიან ვუყვარდი. სიამოვნებით მივდიოდი ხოლმე მასთან, არც არასოდეს მაძალებდა რამე. ბრწყინვალედ ნაცხოვრები ქალი ჩანდა, დიდბუნებოვანი, დარბაისელი, კეთილშობილი.

გაზაფხულის ერთ მშვენიერ დღეს დეიდა სალომეს პიანინოსთან ვიჯექი და სავარჯიშოებს ვუკაკუნებდი. ფანჯარა ღია იყო, რაფაზე ყვავილის ქოთნები იდგა მზეზე მიფიცხებული. კაცი მოვლანდე ფანჯარასთან, კარგა ხანს გაუნძრევლად იდგა, მისმენდა, ალბათ. მერე მორიდებულად დააკაკუნა მინაზე და მთლიანად გამოჩნდა გამჭვირვალე ფარდის მიღმა. გერმანელი ტყვე იყო, ახალგაზრდა. პიანინოს შევეშვი, დეიდა სალომეც გამოეხმაურა. ფა-დიეზი მეორე რეგისტრში არეულიაო, — გვითხრა. დეიდა სალომემაც დაუთმწია — ჰო, ეგრე არის, მაგრამ ვინ არის მაგის ამწყობიო. თუ ნებას მომცემთ, მე აგიწყობთო. შემოიპატიჟა დასახლისმა. შემოვიდა გერმანელი, დაჭყა კლავიატურას, თავი ახადა ინსტრუმენტს, ხელსაწყოება თუ გაქვთ რაიმეო, იკითხა. აბა, დეიდა სალომეს რა ექნებოდა. გავვარდი შინ და თუ რამ რკინის მქონდა, ყველაფერი მივურბენინე: ნაჯახი, ხერხი, ბრტყელტუჩა, ხელეჩო. ბრტყელტუჩას დასჯერდა, ინსტრუმენტი ფრთხილად გამოაჩინა, მეც მივეხმარე. უკანა ფარი ახსნა და სიმების დაჭიმვა დაიწყო. მალე გაასწორა, ააწყო და მერე

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფლება ითხოვა: თუ ნებას მომცემთ, დავუკრავი. კი ბატონო, — უთხრა დეიდა სალომემ. მიუჯდა გერმანელი პიანინოს და დასცხო, მაგრამ რა დასცხო: აამდერა, აკკენსა, ატირა და აცინა. დიდებული მოსასმენი იყო და დიდებული სანახავი, როგორ დასრიალებდა მისი გრძელი თითები კლავიატურაზე. ძალიან გავიხარეთ. ამ ხმებზე დედაჩემიც შემოვიდა, დეიდა ვენერაც — ჩვენი მეზობელი; მთელი უბნის ბავშვები ფანჯარასთან მოგროვდნენ. ნატაშამაც მოირბინა. ყველანი სმენად ვიქეცით.

დამთავრდა კონცერტი, შემოვკარით ტაში, გერმანელმა დიდი მადლობა გადაგვიხადა — ასეთი სიამოვნება კარგა ხანია არ მიმიღიაო, თქვა. წასვლა დაგაპირა, დაგვემშვიდობა კიდეც. დარჩი, ერთად ვისაღილოთო, ყველამ ერთხმად შევთავაზეთ. თავდაპირველად იუარა. ჩამოვეკიდე, არ წახვიდე-მეთქი. უფრო ჩემმა მუდარამ გასჭრა და დარჩა. ჩქარა დაუშმაკადი. ჰანსზე გამოეკითხე, გული დამწყდა, რომ არ იცნობდი, ესეც კარგი ბიჭი ჩანდა და იმიტომ. ამასობაში ნუცებათვეი ღარიბული სუფრა გააწყვეს, ყველამ მოიქაჩა თავი: დედაჩემმა ლობიო მოიტანა, დეიდა ვენერამ კუს კვერცხები შეგვიწვა, დეიდა სალომემ ფინიკის რამდენიმე მარცვალი და ცაცხვის ჩაი მოგვართვა. მაშინ გავიგე, რომ დეიდა სალომეს გერმანული სცოდნია ბრწყინვალედ, აჟღურტულდა სუფრასთან გერმანულად, ბევრი ებაასა ჩვენს მუსიკოსს. კონსერვატორიის სტუდენტი ყოფილა და „შმაისერი“ მისცეს ხელში. არ ეხერხებოდა თურმე სროლა, დაკვრა უფრო ეხერხებოდა, მაგრამ რას იზამ, ძალა აღმართსა ხნავსო, — ნათქვამია.

ჰირამიდა

ზაფხულის გამოცდები დაიწყო. დიდი ბიჭები, მეთერმეტეკლასელები, სკოლას ამთავრებდნენ, იმ დღეს მათემატიკაში ჰქონდათ გამოცდა. დათოც აბარებდა. დათო მაღალი, ღონიერი, ონავარი ბიჭი იყო, კალათბურთს თამაშობდა ძალიან კარგად. დინამოშიც აიყვანეს სულ ახალგაზრდა, პირტიტველა, მერე საბჭოთა კავშირის ჩემპიონიც გახდა და ნაკრებშიც მოხვდა. ძალიან გვიყვარდა პატარა ბიჭებს დათო, იმიტომ, რომ სკოლაშივე სახელოვანი სპორტსმენი იყო. ყველანი მას ვბაძავდით კალათბურთის თამაშში.

ჩვენ უმცროსებმა აღრე დავამთავრეთ გამოცდა. სკოლდანაც გამოგვყარეს, — არ იხმაურით, დიდ ბიჭებს არ შეუშალოთ ხელი.

ჩვენი სკოლა დენდროლოგიურ ბაღს ესაზღვრებოდა, ტუპანოზას ბაღს ვეძახდით. ჩვენ დროს ეს ბაღი დიდი იყო. მერე და მერე სულ გაანანავეს, მაღალი რანგის ჩინოსანმა ხალხმა ჩაიდგა შიგ სახლები. მაშინ კი დიდი იყო და „შატალოზე“ წასულები იქ ვიფარებდით თავს. მეც, გამოცდის შემდეგ, ტუპანოზას ბაღს მივაშურე. ერთი აურზაური იყო იქ — დათომ ამოცანა ვერ ამოხსნა და ფანჯრიდან გადმოვადო პირობაო. ჩემზე დიდი ბიჭები შეკრებილიყვნენ და სჯა-ბაასი ჰქონდათ, როგორ ამოეხსნათ ეს დაწყევლილი ამოცანა. მეც დათოს გულშემატკივრებში გავერე და ძალიან განვიცდიდი, რომ არა ვამოდიოდა რა. რთული ამოცანა იყო, როგორც მახსოვს, პირამიდის ზედაპირის ფართი უნდა განსაზღვრულიყო.

ტუპანოზას ბაღში საჭარანსფორმატორო ჯიხურს აშენებდნენ გერმანელი ტყვეები, იმჯერად თხრილს თხრიდნენ ელექტროკაბელის ჩასადებად. რამდენიმე ტყვე მუშაობდა. ერთი, პატარა ტანის, სათვალიანი, წელს ზემოთ გახდილი, წერაქვით ჩიჩქნიდა მიწას. შეეგვატყო, რომ აფორიაქებულები ვიყავით, გაგვწი-გამოგვწია, იმ ქაღალდს დახედა, ამოცანა რომ ეწერა და ბიჭებს პირამიდა რომ დაეხატათ ზედ. ფანქარი გამოართვა ერთ-ერთს, პირში ჩაიდო, ერთი წუთით შეფიქრიანდა და შემდეგ ხაზი გაატარა, ბისეკტრისა და მისი გვერდთან გადაკვეთის წერტილი წვეროს შეუერთა. სამმა ბიჭმა ერთდროულად დაიძახა, ვაიო! და ამოცანის ამოხსნას შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

უდგა. იმ გერმანელმა ცოტა ხანს გვიყურა, მერე, როცა დარწმუნდა, რომ სწორ გზაზე ვიდექით, თავის საქმეს მიხედა — ისევ მიწის ჩიჩქნა დაიწყო. ბიჭებმა მალე მიიღეს პასუხი და მიურბენინეს. „გუტ“-ო, გვითხრა.

ჩვენს შორის ყველაზე წრიანა, ჩიპარკოზა, სკოლის კედელზე საწვიმარი მალით აცოცდა, მეორე სართულის ტუალეტში გადაძვრა და ქაღალდი დათის ჩუმად გადასცა.

დაიწყეს გამოცდიდან გამოსვლა დიდმა ბიჭებმა. აჭარხლებულები გამოდიოდნენ, დაღლილი თვალები ჰქონდათ, გაოფლიანებულები და აღგზნებულები იყვნენ. ბევრი უწვალიათ, როგორც თვითონ ამბობდნენ. დათოც გამოვიდა გაწვალებული, მაგრამ კმაყოფილი. სიტყვა შევაგებეთ — გერმანელმა ამოგიხსნაო. რომელმაო, იკითხა. ვიჩვენეთ. აქ დამიცადეთო და, სადღაც გაიქცა. კარგა ხანს ველოდეთ, დაგვიანდა. მერე ბავშვები დაიშალნენ, მიმოიფანტნენ. მე დავრჩი მხოლოდ იმიტომ, რომ ძალიან მოყვარდა დათო, თანაც მეამაყებოდა, რომ ჩვენს უბანში ცხოვრობდა, ჩემს მეზობლად.

დავიწყე საუბარი იმ სათვალიან გერმანელ ბიძიასთან. ცოტაოდენი „საყველპური“ გერმანული ჰასსასგან მქონდა ნასწავლი, ხელებიც მოვიხმარე და ვაგებინებდი რაღაცას. ისიც ძალიან ცდილობდა და გვარიანად ვილაპარაკეთ. მერე ჰანსზე ჩამოვუვდე სიტყვა. ერთი გერმანელი მეგობარი მყავს, მაგრამ კარგა ხანია აღარ მოგვკარებია, ხომ არ იცნობთ-მეთქი, ვკითხე.

— რომელ ბარაკში ცხოვრობდაო? ვერ ვუპასუხე, არ ვიცოდი, რომ ქალაქის განაპირას რამდენიმე ადგილას ყოფილა გერმანელების საცხოვრებელი „ბარაკები“ განლაგებული. ერთ-ერთი, სადაც ის ბიძია ცხოვრობდა, საბურთალოზე ყოფილა, ახლა რომ ინფექციური საავადმყოფოა, იქ. ჰანსი ბევრიაო, მითხრა, მარტო ჩვენს ბარაკში სამს ვიცნობო.

ავუწერე გარეგნობა — გამხდარი, მაღალი, ლამაზი ბიჭია, ბეჭებში მოხრილი-მეთქი.

— ხშირად რომ ახველებდა, ისო? — მკითხა. — თუ იმაზე მეკითხები, ის ამ ზამთარში მიიცვალაო, მძიმე ავადმყოფი იყოო, საწყალი.

ელდა მეცა, ჩავიკეცე მუხლებში. გერმანელი შეწუხდა, მიხვდა, რომ ულმობელი იყო მისი პასუხი.

— არა, ის ჰანსი, მე რომ ვიცნობდი, არც ისე მაღალი იყო და არც ბეჭებში მოხრილიო, — დამაიმედა. ალბათ, შემეშალა. შენი ჰანსი ცოცხალი იქნება ნამდვილადო. ჩვენგან ბევრი წაიყვანეს ჩითაჰესის მშენებლობაზე, ბორჯომში და, ალბათ, ისიც იქით გაგზავნესო. ცოტა იმედი მომეცა, აბა, ჰანსი როგორ მოკვდებოდა, ისეთი კარგი ბიჭი იყო, თანაც როგორ გვიყვარდა ყველას, არა, ის არ მოკვდებოდა, ალბათ, ვერ მოიცალა, ვერ მოახერხა შემოვლამეთქი, ვუთხარი.

— ჰო, ნამდვილად ეგრე იქნებაო, — დამამოწმა და მეც ხასიათზე მოვედი.

ამასობაში დათომაც მოირბინა, აქლიმშინებულმა ერთი „ბუხანკა“ თეთრი პური და კარაქი მოიტანა. იმი ახალი დამთავრებული იყო, მოსახლეობა შიმშილობდა და დათოს, როგორც სპორტსმენს, ბარათებს აძლევდნენ, „ტალონებს“, პროდუქტებისთვის.

გადასცა სათვალიან გერმანელს საზეიმო ვითარებაში ძღვენი. იმან მადლობა გადაგვიხადა, სხვა გერმანელებსაც მოუხმო, მერე ჯიბიდან თეთრი, გაქთქოფული ნაჭერი დაამრო, ბალახზე დაიფინა, დანა მოიმარჯვა და პური თხელ, კოხტა ნაჭრებად დაჭრა, ნაჭრებს კარაქი გადაუსვა და ჩამოარიგა. მეც შემომთავაზა. ბევრი ვიუარე, თუმცა ნერწყვებს კი ვყლაპავდი. არაფრით არ შემეშვა და, რა მექნა, გამოვართვი. ვჭამეთ ეკმრიელად.

შინისაკენ რომ მივდიოდით, დათომ მითხრა, ხვალინდელ „ანაიკსაც“ მაგათ მივუტან, წამომყევიო. ძალიან გამეხარდა. აბა, დათოსთან ყოფნას რა მერჩიენა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დილით მივაკითხეთ მე და დათომ სასადილოს, ზემელზე, — იქ აძლევდნენ სპორტსმენებს „პაიოკს“. მე დათოს სპორტული ჩანთა მქონდა გადაკიდებული და თავი მომწონდა. იოცდაუთ მანეთად თეთრი პური და შოკოლადიანი რძის ორი ქილა კონსერვი ვვერგო. გახარებულებმა ავირბინეთ ტუპანოზას ბაღში, მაგრამ გერმანელები არ დაგვხვდნენ. დიდხანს ველოდით, იმ დღეს აღარ მოსულან სამუშაოდ. დათომ ნახევარი პური და ერთი კონსერვი მე მომცა, ძალიან გემრიელი იყო, შოკოლადის გემო ჰქონდა. ნეტა გერმანელებსაც გაესინჯათ.

ისე კი, დიდობაში მივხვდი, რომ მოატყუა იმ სათვალიანმა გერმანელმა, დამაშვიდა, დამაიმედა.

სიმეტალი

ომის დროს ხალხს რომ გაუჭირდა, ნაწვერალებში დარჩენილი თავთავის შეგროვება დაიწყო: ახალ მომკილში დადიოდნენ ხოლმე. თუ მუყაითად იშრომებდი, ერთ ორ კილო ხორბალს შეაგროვებდი — დიდი სიმდიდრე იყო მაშინ. მერე ქალაქელებმა გაცვლა დაიწყეს: მიჰქონდათ ოჯახიდან სოფლად ჯამ-ჭურჭელი, გამონაცვალი ტანსაცმელი, ფეხსაცმელი და, რა ვიცი, რაღა არა. სოფელიც ძალიან ცუდ დღეში იყო. განსაკუთრებით ჩასაცმელი ჭირდა და ამიტომ სიამოვნებით თანხმდებოდა გაცვლაზე; იკლებდა საჭმელს — ლობიოს, მარცვლეულს, კვერცხს, ხილს და, სამაგიეროდ, შეიმოსებოდა ჩვენი ნაცვამი შარვალ-ხალათით. ბევრმა თბილისელმა გაიტანა ის მძიმე წლები სოფელთან ამგვარი კავშირით. მაშინ ბარტერი, რა თქმა უნდა, არ ვიცოდით. ისე კი ბარტერული ურთიერთობა გვქონდა სოფელთან. მერე, კარგა ხანს ომის შემდეგაც შემორჩა ეს პრაქტიკა. ჩვენი ოჯახიდანაც გავზიდეთ თუ რამ გვქონდა ავლადიდება. ბოლოს, ეს უკვე ომის შემდეგ იყო, დედაჩემმა მამაჩემის თოფს დაადგა თვალი. ძალიან კარგი თოფი იყო, ძველისძველი, ბელგიური, 16 კალიბრიანი, „პაპერ-ბაიარდი“ ერქვა. თვალს ვერ მოსწყვეტდი, ისეთი ნამუშევარი იყო. დარტყმა ჰქონდა — ნემ მტერს. კარგა ხანს ავავკრძალა მამაჩემმა თოფის სახლიდან გატანა. როგორც კი თოფზე ჩამოვარდებოდა სიტყვა, იმ წუთასვე დაადრობდა, დემონსტრატიულად დაშლიდა, საგულდაგულოდ გაწმენდდა, დაზეთავდა და ისევ შეინახავდა ხოლმე.

ბოლოს, ყოველივეს ჩემი ხანგრძლივი ავადმყოფობა დერთო, ფილტვებში დამეწყო ხახნი. ექიმებმა თქვეს, ამას სუფთა ჰაერი და კარგი კვება უნდაო. უკან დასახვევი გზა აღარ იყო და მამაჩემმაც გაიმეტა ჩვენი „პაპერ-ბაიარდა“. მსურველები, იცოცხლე, ბევრი იყო, მაგრამ რატომღაც ერთ მალაკანს მიხცა, ბიკოვი იყო გვარად. სართიჭალის მახლობლად, მალაკნების სოფელ აზამბურში ცხოვრობდა. იმ დროს სოფელს კრასნოგორსკსაც ეძახდნენ. კარგა შეძლებულად ცხოვრობდნენ მალაკნები.

ბიკოვი დიდი, ჩაფსკვნილი კაცი იყო. მეჩხერი წვერი და მელოტი თავი ჰქონდა. კარგა ხანს ათვალიერა ჩვენი თოფი. მერე შეთანხმდნენ ბარტერზე — მოზრდილ უშობელს და სამ სკა ფუტკარს გვაძლევდა. გაემგზავრა მამაჩემი ბიკოვთან ერთად, თოფიც წაიღო, პატრონტაშიც. პატრონტაშიც ძალიან ძვირფასი იყო, ტყავის ოცდაათ ვაზნიანი, საერთოდ, პატრონტაშები ოცდაოთხვაზნიანია, ოცდაათიანი არც მინახავს, არც გამიგია.

მეორე თუ მესამე დღეს მამაჩემმა უშობელი ჩამოგვიყვანა და ცოტაოდენი თაფლიც გამოაყოლა ხელს. უშობელი კი ეთქმოდა, მაგრამ ძალიან ზორბა იყო, საოცრად ლამაზი ჭრელი კოპლები ჰქონდა და ხატაველა შევარქვით. მამაჩემმა თქვა, ჩვენებური ჯიშის არ არისო. ომის დროს რუსეთიდან გადმოურეკიათ დიდძალი საქონელი. კოსტრომული ჯიშის თუ არისო, ამბობდნენ მეზობლები. დავაბით საწყალი, ჩვენს პატარა ეზოში და იქვე, სარდაფში მივუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩინეთ თავშესაფარი. ჩქარა წველაც დაიწყო ხატაველამ და გავსწორდით წელში. ხანდახან ბიკოვიც გვიგზავნიდა თაფლს და ჩემს ფილტვებსაც საშველი დაადგა. ბარე ორი-სამი წელი გვყავდა ხატაველი, მერე ქალაქში და ახლომდებარე სოფლებში აკრძალეს პირუტყვის ყოლა ანტიასანტარიის მიზეზით და, რა ძალა იყო, ჩვენც გავიღეთ. ისე კი, მადლი შოვისხით. აბა, ამოდენა ძროხის სულ ქალაქში, ბაგაზე ყოფნა საცოდაობა არ იყო? ვერ ვიხსენებ, თოფის სახლიდან გატანამ უფრო დამწყვიტა გული თუ ჩვენი ხატაველას გაყიდვამ. სხვისი არ ვიცი და, ძროხა უპირველესი ცხოველია ჩემი აზრით. რა სამსახურს უწევს კაცს, რა პროდუქტს აძლევს! სალამაზითაც არც ცხენზე ნაკლებია და არც ძაღლზე. ნამდვილად, კაცს ყველაზე დიდი მეგობარია. ჩემთვის კი ის იყო მაგდანას ლურჯაც, წიქარაც და ნიკორაც.

ჩვენი ხატაველა ახალი მოყვანილი გვყავდა, გერმანელმა ტყვეებმა ჩვენს უბანში სახლის მშენებლობა რომ დაიწყეს. ჩვენს ქუჩაზე აიკლიდნენ და ჩაიკლიდნენ ხოლმე. მამარემმა კედლის ღუმელის აშენება გადაწყვიტა და ორი გერმანელი მუშა მოიწვია. ღუმელი სამი ოთახის მიჯნაზე უნდა აშენებულიყო იმგვარად, რომ სამივე ოთახი გაეთბო. გერმანელები აღვილად მიუხედნენ მამარემს ჩანაფიქრს. ძველი, ნახმარი აგური იქვე, ეზოში გვქონდა. გერმანელებმა რამდენიმე პარკი თიხა მოითხოვეს და ფასზეც შეთანხმდნენ.

ვაკეში, სადაც ახლა კინო „ყაზბეგია“, აგურის ქარხანა იყო. თვალი ის ტერიტორია თიხის კარიერად იყო ქცეული და იქიდან მოვიტანეთ. ჩქარა გერმანელებმაც მოგვაკითხეს და შეუდგნენ მუშაობას. ერთმა ოთახში დაიწყო ფუსფუსი, მეორეს ეზოდან აგურები ამოჰქონდა. უცვე საოცრად სახეგაბრწყინებული, აფორაქებული შემოვარდა, ყვიროდა, „სიმენტალ-სიმენტალო“. უმალ ორივენი ეზოში გავარდნენ, ჩვენს ხატაველას მისცევდნენ და ბარე ერთი საათი ეფერებოდნენ, ვარცხნიდნენ, ლამის ცურები დაუკოცნეს. ისიც იდგა სიამოვნებისგან გატრუნული, თითქოს მათი ლაპარაკი ესმოდა. ჩვენი ხატაველა „სიმენტალის“ ჯიშის აღმოჩნდა და არა კოსტრომული.

რამდენიმე დღე იმუშავეს გერმანელებმა ჩვენთან და ყოველი სამუშაო დღის დასაწყისში ჩვენს „სიმენტალს“ მოინახულებდნენ ხოლმე. გლეხები იყვნენ, ფერმერები და ძროხის ხილვით ხარობდნენ.

კარგი ღუმელი გაგვიმართეს. საკვამლე მილი ლაბირინთებად ააგეს, ხან ერთი ოთახის კედელში გაიყვანეს, ხან მეორეში. რომ დავანთებდით, სამ უზარმაზარ კედელს ახურებდა და ოთახებში საამოდ დათბებოდა ხოლმე.

იმის მერე, ჩაიღიდა თუ არა ის ორი გერმანელი ჩვენს სახლთან, აუცილებლად შემოგვმახვედა „სიმენტალ-სიმენტალ“-ო. რამდენჯერმე შემოვიპატიჟეთ. მერე და მერე გაგვიშინაურდნენ, თვითონ მოგვაკითხავდნენ ხოლმე. ერთი კი იყო საკვირველი: საჭმელზე თუ მოვიწვევდით, აუცილებლად უარს გვეტყოდნენ, პირს არ დაკარებდნენ არაფერს, ვიდრე რაიმე დავალებას შეუსრულებდნენ, რაიმე, თუნდაც უმნიშვნელო სამსახურს არ გაუწევდნენ ოჯახს.

უნიმარო საჩუქარი

დიდი დრო გავიდა, ომისგან მოყენებული წყლულები დაუამდა ხალხს. მეც დავვაჟკაცდი ნელ-ნელა, სკოლაც დავამთავრე, ინსტიტუტიც. მუშაობაც დავიწყე სოხუმში; ფიზიკის ინსტიტუტში. იქ გერმანელებიც მუშაობდნენ ჩვენებთან ერთად.

ომის დამთავრების შემდეგ დამარცხებული, ნაცარტუქად ქცეული გერმანია თურმე ინტელექტუალურადაც გაუძარცვავთ: გერმანელი ინჟინრების, მეცნიერებისა და მკვლევარების ფართო იმპორტი დაუწყიათ მოკავშირეებს. უფრო ამერიკელებს და საბჭოეთს გამოუზიდავთ გერმანელი ინტელექტუა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლები. არ ვიცი, ამერიკელებმა ისინი ნებით წაიყვანეს თუ არა, ჩვენ რომ ძალით წამოვიხხით, ეს კი ნაღდია.

გერმანელ მეცნიერთა ერთი ნაწილი სოხუმში ჩამოუყვანიათ. სოხუმის მახლობლად, ზღვის გასწვრივ გამოუყვიათ მათთვის უზარმაზარი ტერიტორია, ტყეპარკი, სუბტროპიკული ლანდშაფტი. ძალიან ჩქარა ეს ადგილი ისე შემოურაგავთ, ბუზიც ვერ შეფრინდებოდა შიგ, არც ადგილობრივი მოსახლეობა ყოფილა საქმის კურსში — ჭორის დონეზე სცოდნიათ მხოლოდ, რომ მათ გვერდით კელეკეთი ინსტიტუტი დაარსდა.

გერმანელებს პირველ რიგში სახელოსნოები გაუმართავთ, სამონამბერო და სხვა დამხმარე სასახურები. შემდეგ დაუწყიათ დიდი, ფართო მასშტაბის მეცნიერული კელეკეები. ბევრი უშრომიათ, ბევრ საჭირო საქმისთვის ჩაუყრიათ საფუძველი. იქვე ცხოვრობდნენ ოჯახებით, ჩაკეტილნი. აჭმევდნენ, ასმევდნენ, ამარაგებდნენ, კოტეჯებიც აუშენეს, დიდი სახლებიც, მაღაზიაც ჰქონდათ სპეციმომარაგებით, კლუბიც, კინოთეატრიც, პლაჟიც, დიდებული პარკიც, — იმას მეც შევესწარი, შვლები რომ დაკუნტრუშობდნენ შიგ. მანქანებსაც აძლევდნენ. „ზიმებსა“ და „პობედებს“, სტალინურ პრემიებსაც ურიგებდნენ. ერთი სიტყვით, ყველაფერი ჰქონდათ თავისუფლების გარდა. ამიტომაც, როცა კანცლერ ადენაუერს საქვეყნოდ განუცხადებია, იმის მერე გერმანია უთავოდ დატოვესო და კატეგორიულად მოუთხოვია გერმანელ მეცნიერთა სამშობლოში დაბრუნება, ამათ სიხარულით ტირილი დაუწყიათ, იმედი გასჩენიათ, — იქნებ გვშველოს რამეო. დღეებს კი არა, საათებს ითვლიდნენ თურმე. ასე ხუმრობდნენ, საბჭოური ხუთი წუთი ათ წელიწადს უდრისო, — ხუთი წუთით გამოგვიმახეს „სუკ-ში“ და ათი წლით დაგვაკავეს.

როცა მათი სამშობლოში გაშვება გადაუწყვეტია მთავრობას, ნელ-ნელა ჩვენი ხალხი შეუშვიათ ობიექტში, რათა უცებ არ დაცლილიყო ამოდენა დაწესებულება, საქმე არ გაჩერებულიყო. ჩამოუყვანიათ სპეციალისტები რუსეთიდან, ჩვენებიც ბლომად იყვნენ.

მე როცა იქ მოვხვდი, გერმანელების დეპორტაცია თითქმის მთავრდებოდა. დიდი ნაწილი უკვე წასული იყო, მაგრამ ატმოსფერო, გარემო მაინც თვალშისაცემად განსხვავდებოდა ჩვენისგან, სული, გერმანული სული, კიდევ ტრიალებდა იქ.

ჩვენს ბიჭებს — ხოტოს, ფრიდონს, ბაჩანას, გურამს, ნიკას და კიდევ სხვებს, უკვე მოესწროთ გერმანელების გვერდგვერდ მუშაობა. გერმანელები ყველას ყველაფერს უშურველად ასწავლიდნენ და ამათაც ბევრი კარგი რამ აუთვისებიათ. მაინც ერთი იყო, ბაჩანა, ძალიან გაწაფული მეცნიერებაშიც და გერმანულშიც. მექანიკოსი იყო, ლაბორანტად მუშაობდა შულცთან. შულცი გამორჩეული კაცი გახლდათ, განსაკუთრებული ნიობოთი და სიყვარულით ვვეპყრობოდა ახალგაზრდებს, შვილი ჰყავდა ომში დაღუპული და, ალბათ, ამიტომ.

შულცი რენტგენული კელეკეის მეფე იყო პირდაპირ. თავად დიდი ტანის კაცი გახლდათ, როხროხა, მაგრამ უფაქიზეს სამუშაოს ასრულებდა მისი დიდი ხელები. ბაჩანა ძალიან ტანმორჩილი, გამხდარი, ბუნებისგან დაჩაგრული ბიჭი იყო, ცოტა კუზიანი, შულცს ჭიპამდე ვერ სწვდებოდა. არ ვიცი, შულცს უყვარდა თუ ეცოდებოდა, ის კი იყო, რომ ძალიან წვრთნიდა, ყველაფერს ასწავლიდა, ავარჯიშებდა. ამასაც კარგად გამოსდიოდა, ნიჭიერი იყო, აზრიანი და მშრომელი. შულციც კმაყოფილი იყო. ალბათ, ამიტომაც მეგობრობდა ბაჩანასთან. შესვენებაზე ხშირად დამინახავს, რომ დასეირნობდნენ ერთად. შულცს ბაჩანას მხარზე ედო ხელი და სულ რაღაცას უხსნიდა.

მაშინ კი, როცა შულცს სამშობლოში დაბრუნების უფლება მისცეს, ბაჩანას თავისი ახალთახალი ყავისფერი „პობედა“ აჩუქა, თანაც გადაუკეთა, იმი-

ტომ გადაუკეთა, რომ ტანმორჩილი ბაჩანა ბედლებს ვერ სწვდებოდა. ბევრი იწვალა შულცმა, ჩვენც ვეხმარებოდით. სავარძელიც გადაუკეთა, ბაჩანას ავადმყოფ ზურგს მოარგო, მანქანის ტარებაც თავად ასწავლა, ობიექტის ხეივნებში დაატარებდა. ბაჩანას გამო გამგზავრებაც დაგვიანა, ყველაფერი გაუმართა და მერე გულდამშვიდებული წავიდა სამშობლოში.

დარჩა ბაჩანა თავის „პობედით“ მარტო, უმამობლოდ.

ყველას ძალიან გვიყვარდა ბაჩანას „პობედა“. იმას ხომ თავს ერჩია. სულ აპრიალებდა და აპრიალებდა. მერე ინსპექციაში გაფორმების დროც დადგა. თავი მოიკლეს, არ გაუფორმეს, ნომრები არ მისცეს, გადაკეთებულიაო, გადაკეთება „ნე პოლოჟენო“-ი, უთხრეს. ძალიან დაგვწყდა გული ყველას. ბაჩანამაც ბევრი იდარდა, ალბათ, კუზიც ეტკინა, კუზზე დაანიჯეს ფეხი და იმიტომ.

უთუოდ კარგი მეცნიერი დადგებოდა ბაჩანა, ჯანმრთელობას რომ შეეწყო ხელი, მაგრამ მალე, სულ ახალგაზრდა გარდაიცვალა.

მინაწერი

ქალაქი ისე საოცრად გაიზარდა, რომ რიცა საბურთალოზე, საირმის გორაზე ერთ ახალაშენებულ უზარმაზარ კორპუსში მივიღე ბინა, ყველა მილოცავდა — ცენტრში მოხვდიო. არადა, ადრე აქ პატარა სახლები და მშვენიერი ბაღები იყო. იქით, განაპირას, ტრამალი იწყებოდა, — შებუნქული, მობიბინე ბალახი. ჯერ სახლები დანგრიეს და მათ ნაცვლად საცურაო აუზი ააშენეს, შემდეგ — სკოლა და საცხოვრებელი კორპუსები. როცა ტრამალის ათვისება დაიწყეს, ორმოს თხრის დროს ექსკავატორმა ადამიანის ჩონჩხები ამოყარა. მუშები სახტად დარჩნენ. შორიახლოს შემორჩენილ ქოხში მცხოვრებმა დედაბერმა გვითხრა, აქ გერმანელი ტყვეების სასაფლაო იყო. ქალაქმა შეჭამა სასაფლაო და გადაუარა არემარეს.

შეიძლება ბევრმა არც იცის, რომ სულ ახლახან, საირმის ქუჩაზე, ბავშვთა ხელოვნების სკოლის მახლობლად გაშენდა ნარგავებითა და ქარიანი ჯვრით დამშვენებული გერმანელ ტყვეთა საძმო სასაფლაო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სვეტლანა ალილუევა

წიგნი შვილიშვილთათვის

●

დილით აეროდრომში მივყავარ ახალგაზრდა კაცს საქართველოს წარმომადგენლობიდან — სწორედ ამას, გუშინ ოლგა რომ წაიყვანა. დღეს უკვე არავის ნახვა არ მინდა, რადგან მეშინია ემოციებისა და ცრემლებისა. ეს ისედაც მყოფნის. მაკა ხელში მიჭირავს. ის გრძნობს სიტუაციის მნიშვნელობას და კარგად იქცევა. სასტუმროდან გასვლის წინ ვესტიბიულში მხვდება საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი, რომელიც მთხოვს „ყველა საბჭოთა დოკუმენტის ჩაბარებას". ყოველივარი შედავების გარეშე ვაძლევ პასპორტსა და პენსიონერის წიგნაკს. ის მაუწყებს, რომ გუშინ ლონდონის საელჩოს თანამშრომლები დახვდნენ ოლგას და დღეს მას სკოლაში მიიყვანენ. „რა სასიამოვნო, როგორი ჭკვიანი გოგონაა!" — ამბობს გრძნობამორევით და მისი დიდად მადლიერი ვარ.

აეროპორტში მხვდება კეთილი მანდილოსანი ამერიკის საელჩოდან, რათა თვალი ადევნოს, როგორ ჩავდები თვითმფრინავში და გავფრინდები. ჩემს ამერიკულ პასპორტში არაა ვიზა, ამიტომ თვითმფრინავში საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებმა უნდა შემიყვანონ. ეს სისულელეა, მაგრამ მათ „ასეთი პოზიციის" დაკავება გადწყვიტეს. მანდილოსანი ამაზე იცინის და მთავაზობს მრგვალნახვრეტებიან მუყაოს კოლოფს, რომელშიც უნდა ჩავსვა მაკა. „თქვენ შეგიძლიათ კოლოფი მუხლზე დაიდოთ თვითმფრინავში. ეს ნებადართულია".

მსუქანი ახალგაზრდა კაცი საქართველოს წარმომადგენლობიდან იღებს დიდ ცხვირსახოცს, ვგონებ, ტირილს აპირებს: თვალები ცრემლებითა აქვს სავსე. ვეხვევი და ლოყაზე ვკოცნი. ტირის. მე არ ეტირი. მე მხოლოდ აქედან ჩქარა გაღწევა მინდა.

დასასრულ — ავფრინდი. ამ ხანმოკლე ფრენისას, კაბინის სითბოსა და სიმყუდროვის გარდა, არაფერს ვგრძნობ და მაკა მშვიდად იკუნტება, იგრაგნება ჩემს მუხლებზე. ის თურმე, სასიამოვნო კომპანიონია და მეხმარება კიდეც ამ საშინლად ნაღვლიანი ფრენის დროს. გულში აუტანელ სიცარიელეს ვგრძნობ.

სამი საათის შემდეგ ვეშვებით მწვანე, სალმიან, გაზაფხულის ჟამის შვეიცარიაში — ეჰ, ისევ აპრილია, როგორც მაშინ, 1967-ში... მოდი, მოდი, ჩემო გადარეული დრამატურგო, კიდევ რა პარალელების შემოთავაზება შეგიძლია?

როგორ მინდა აქ დარჩენა, ფრიბურში გამგზავრება და თუნდაც ერთი კვირით დაყოვნება წ მ ი დ ა წ ვ ე ვ ი ს მონასტერში. არადა, „მინდა" კარგია! ჩემმა დრამატურგმა ახლა სხვა გადაწყვეტილება მიიღო.

ციურიხში სასიმოვნო სი-რპრიზი მელის. მხვდება მოღიმარი ქალი — კომპანია „ოვისს ეირის" აგენტი, რომელიც გაფრთხილა მათმა წარმომადგენელმა მოსკოვიდან, რათა გადაჯდომაში დამხმა-

---

დასასრული. დასაწყისი იხ. „ცისკარი" № 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 1993 წ.; № 1, 1994 წ.; № 1-2, 3-4, 5-6, 7-8, 1995 წ.; № 1-2, 1996 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებოდა. რა დიდებული ამბავია! აფორიაქებული ვარ, წელში მიჭირავს მუყაოს კოლოფი, რომელშიც მაკა წრიალებს და ახლა ძალიან მჭირდება დახმარება. გზად ის ქალი მეკითხება, შვეიცარიაში ნამყოფი ვარ თუ არა? არადა, ხომ არ მოვუყვები იცი წლის წინანდელ მთელ ეპოპეას, როცა ის ჯერ კიდევ ბავშვი იყო... მე მხოლოდ ვრძნობამორეული ვამბობ: „კი, როგორ არა! საოცარი ქვეყანაა, საოცარი ქვეყანაა!“

მაკას მივასაჩერებთ მისი არცთუ მტკიცე, მინიატურული თათებით, შემდეგ კი დარბაზში ვზივარ და ველოდები ჩიკაგოსკენ მიმავალ ჩემს თვიმფრინავს. გულს ბაკბაკი გაჩქეს და ღმერთს ვევედრები, კეთილად დამთავრდეს ეს გრძელი გადაფრენა, რომელიც კიდევ რვა საათს გაგრძელდება.

როგორც იქნა, მე და მაკა სხვა, ფართო და კომფორტაბელურ თვითმფრინავში ვართ. გვიჩვენეს ადგილი, სადაც მაკა მგზავრებს ვერ წაეტანება. რატომღაც აგრესიული ხდება და საძაგლად უყეფს კოხტა სტიუარდესებს. მაგრამ მათ ეს არ აბრაზებთ. ჰო, დიახ, აქ ხომ ასეთი რამეებზე არ ბრაზობენ, ჩვენ აქ გვემსახურებიან, აქ — თქვენთვისაც და თქვენი ფინანსთვისაც განკუთვნილი სერვისია. მე ვმშვიდდები და ვიწყვებ იმის გაგებას, რომ ჩვენ უკვე გადავლახეთ ყველა ზღვარი, რომ ახლა სხვა სამყაროში ვართ, რომ ამიერიდან ყოველთვის სხვა სამყაროში ვიქნებით და დროა, შინაგანად მოვიწესრიგოთ თავი.

უფრო მოხერხებულად ვჯდები, მაკას მუხლზე ვითავსებ, თვალებს ვხუჭავ და უცებ ვგრძნობ, როგორ მეხსნება დაძაბულობა, როგორ ქრება ყოველგვარი შიში. მე კარგად ვხდები და შვებას ვგრძნობ, ისეთ შვებას, როგორიც უკვე დიდი ხანაა არ მიგრძვნია.

ეპილოგი

მხოლოდ ტყეში ჩაკარგული ნახევრად დანგრეულ ფერმაში, ძველ პატარა სახლში დაფუძნების შემდეგ, როგორც იქნა, შევძელი დამშვიდება და სულის მოთქმა. დიახ, აქაურები ამაოდ როდი ფიქრობენ, რომ ამ რაიონს განმკურნებელი თვისებები აქვს. ახლა ძნელი იცო ამის დაჯერება, რომ ამ უკანასკნელი თვრამეტი წლის მანძილზე ჩვენ — ორივეს — რაღაც შეგვემოხვა. სამშობლოში ჩვენი მოგზაურობა სიგიჟეს ჰგავდა, მაგრამ არ შეიძლება ეს ვინანოთ.

არასოდეს არ უნდა ვინანოთ ის, რაც ჩვენს თავს ხდება, — თვით ყველაზე უარესიც კი, — იმიტომ, რომ ყველაფერს თავისი ადგილი აქვს ცხოვრებისა და ბედისწერის საერთო ჯამში. მე კელავ უნდა მენახა შშობლიური ადგილები და ძველი მეგობრები. ოლიას უნდა გაეცნო თავისი ნათესაობა. ამ თვრამეტი თვის გარეშე, მისი ცხოვრება, ისევე, როგორც ჩემი, ნაკლული, დაუსრულებელი და არაბუნებრივიც კი იქნებოდა.

ტრაგედია ისაა, რომ საბჭოთა საზოგადოებაში ხალხს უკვე დიდი ხანაა დაუკარგეს ბუნებრიობა: სხვაგვარად როგორ შეიძლება აიხსნას ის, რაც გადაგვხდა ჩვენთვის ყველაზე ძვირფასი და ახლობელი ადამიანების წყალობით? და როგორც საქართველოს კათოლიკოსმა ბრძანა, ჩვენ მათზე ამის გამო კი არ უნდა გავბრაზებულიყავით, არამედ დიდად უნდა შეგვცოდებოდა მათი დამახინჯებული სულები, რომელთაც არ უწყოდნენ სიყვარული, არ უწყოდნენ მიტევება. სხვები უფრო გულსავსენი იყვნენ — საბჭოთა პროპაგანდამ მათზე ვერ იმოქმედა.

ჩემთვის საბოლოო კთარზისი დგებოდა. ფაქტები უნდა მიმეღო იმგვარად, როგორიც ახლა იყო ჩემთვის — სამიცი წლის დედისა და ბებიასთვის. საღამოობით, როცა განუწყვეტლად კიეის ფრინველი, რომელსაც საცოდავი უფეხურა (ბომცრო მელამური ფრინველი, ცხოვრობს ტყეებში, ბუჩქნარებში, ველზე, ანადგურებს მავნე მწერებს — მთარგმნ.) ჰქვია, შფოთიანი, ფაცუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა ამერიკის ამ მშვიდობიანი კუთხის თავზე მოკიაფე წყნარი ვარსკვლავების ქვეშ თანდათან გონს მოვდიოდი. ეს უფეხურა ყოველ საღამოს, დანველებისთანავე, რეგულარულად ჩნდებოდა და იჯდა სადღაც, მთლად ახლოს ტყისკენ, დაბალი ტყიანი გორაკებისკენ, მწვანე ველისკენ გამზირალი ტერასის გვერდით. მისი კიბელი განსაკუთრებულია, დასაწყისში კითხვისნიშნიანი, შემდეგ კი პასუხნიანიც. როცა ეს კიბელი გაუთავებლად მეორდება და მეორდება, ის გვინანავებს, ძილს და ღრმა შინაგან სიმშვიდეს გვვერის. ხედავთ, უფალმა ფრინველიც კი ისეთი გამომგზავნა, როგორიც საჭირო იყო, — ჰოდა, შეეშვი ურვასა და სულიერ ვაებას! მადლობელი იყავი ღმერთისა ყველაფრის გამო, რაც მოგცა, ყველაფრისთვის, რისგანაც ვიხსნა, ყველაფრისთვის, რითაც კი შეგიძლია შენს ასაკში კმაყოფილი იყო.

ამ მხარეში მართლა დიდებული გაზაფხული იცის. ის უფერულ გორაკებზე ხეების ნაზი მწვანე ფოთლებით დაიწყო. შემდეგ თავაწყვეტით აყვავდა ტყის ალუბალი და ტყის ქლიავი — ისინი თეთრ ფენებად დაჩნდნენ ტყეებში. მიწა იებით დაიფარა, ირგვლივ ყველაფერი გაძწვანდა, ბებერი ვაშლის ხე უხვი ნაყოფისგან წელში იღუნებოდა და დედისით მზე მცხუნვარდებოდა, რითაც ზაფხულის მოახლოებას მიგვანიშნებდა.

დაბრუნების ეს პირველი გაზაფხული რაღაც არაჩვეულებრივ მანუგეშებელი, განმკურნებელი იყო და ყველაფერი ცხოვრების გაგრძელებაზე, სიცოცხლისა და ირგვლივ ამ სილამაზის ხილვის ბედნიერებაზე დაადებდა. ოლია ინგლისიდან იწერებოდა, თუ როგორ უხარიდა ისევ თავის თანაკლასელებს შორის ყოფნა, — კვლავ მათთან მოახვედრეს, თუმცა წელიწადნახევარი გამოტოვა. სკოლამ სწორად გადაწყვეტა, რომ მისთვის ისევ თანაკლასელებთან ყოფნა ძალზე მნიშვნელოვანი იყო, გავლილ პროგრამას კი შემდეგ დასძლევდა.

მხოლოდ ახლა შევიტყვე ყველა ეს ეზრადან ჩემი მეგობრების მიერ გამოგზავნილი აურაცხელი გაზეთების ამონაჭრებით, თუ როგორ შეხვდა სსრკ-დან დაბრუნებულ ოლგას ტელევეზია. როგორ მოაკადოვა ამ ოთხმეტი წლის გოგონამ ყველა, რა კარგად ეჭირა თავი. მან მომწიფებული „დამიანისთვის შესაფერისი ბრძნული განცხადება გააკეთა: „ეს იყო ჩემთვის ძალიან საინტერესო გამოცდილება და არც ერთი იქ გატარებული წუთი არ მენანება... ყველა მოსწავლეს როდი უწევს სამი სხვადასხვა ქვეყნის გაცნობა, გაგება, მსოფლიოს სამ ყველაზე მნიშვნელოვან ქვეყანაში ყოფნა“. ის, თანაკლასელებს ჩახუტებული, ტირდა. გაზეთებში სკოლაც მოხვედა და მისი დირექტორიც — ოლგამ შეძლო კეთილი სიტყვების თქმა სკოლაზე, მისთვის კარგი რეპუტაციის შექმნა, და ეს იყო მადლიერება მისი დაბრუნებისთვის კრის ფართოდ ვაღების გამო. მისმა ლამაზმა თეთრკბილებმა, ღიმილიანმა პირისახემ იმ დღეებში ყველა გაზეთი მოიარა და მე, როგორც იქნა, შევძელი შეიღლის მზერით დავმტკბარიყავი, რადგან იმ მომენტში, როცა ინგლისსა და აშშ-ში მის დაბრუნებას ტელევეზორთა ყველა ეკრანის ახალი ამბების პროგრამებში უწევენებდნენ, მე ჯერ ისევ მოსკოვში ვიყავი — სხვა სამყაროსგან მოწყვეტილი — და არაფერი ვიცოდი. მხოლოდ მეორე დღეს მაცნობეს, რომ ოლგა ინგლისში მშვიდობიანად ჩაფრინდა.

პრესა მეც მეძებდა, მაგრამ პატარა მეგობრულმა სპრინგ-ვრინმა (იქ დაახლოებით 1500 ადამიანი ცხოვრობს) ჩემი ადგილსამყოფელი არ გაამხილა და მალე ეს ძიება მიყუნდა.

ზაფხულში ოლია აქ არდადეგებზე ჩამოვიდა და მხოლოდ ერთი ინტერვიუ მისცა პატარა გაზეთ „პრესსა ვეანსეიტლას“, რომელიც პაპამისმა ფრედერიკ რომერ პიტერსმა დააარსა 1911 წელს თავის მშობლიურ ქალაქში. ჩვენ დაკურეკეთ ამ გაზეთის რედაქტორს და ეუთ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხარით, რომ ყველა სხვასთან საუბარს, მასთან საუბარს ვარჩევდით და ამან ის აღაფრთოვანა. ჩავედით სპრინგ-გრინში და ოლია მივიყვანეთ ვეანსვილში, სადაც თავის ჯერ კიდევ იქ მცხოვრებ ნათესავებს გაეცნო. გაზეთმა მასზე მიბა სვეტი ჩინებული ფოტოსურათითურთ, საწყენი მხოლოდ ის იყო, რომ ჩემი იმედები არ გამართლდა: მე ვფარავდიდი, რომ ახლა დროული, მართებული იქნებოდა საუბარი მის ამერიკელ პაპაზეც, მისი ცხოვრებისა და თავის დროზე კარგი, პროგრესული გაზეთისთვის გაწეული ამაგის გამო საჭირო პატივის მიგება, ასე ეთქვათ, ოლგა პიტერსის ამერიკული ფესვების ხაზგასმულად წარმოჩენა. მას ძალიან კარგი ამერიკული ფესვები აქვს, შეიძლება პიტერსების აღწერა, როგორც ამერიკის შუა დასავლეთიდან ჩამოსული ღირსეული, გამრჯე ოჯახისა, რომელმაც მოიხვეჭა წესიერების, სტაბილურობის, მუშაობაში დამსახურებული წარმატების რეპუტაცია: ის, რაც ამერიკაში ყველაზე მეტად ფასობს.

ვაგლახ! გაზეთმა თითქმის არაფერი თქვა პიტერსზე, მაგრამ ოლიას ფოტოსურათთის გვერდით, რასაკვირველია, მისი მეორე სახელგანთქმული პაპის სურათი მოთავსა. უამისობა მათ, უბრალოდ, არამც და არამც არ შეეძლოთ! მაგრამ, სამაგიეროდ, სსრკ-ში მოგზაურობით მიღებული თვით ოლიას შთაბეჭდილებები საკმაოდ დაწერილებით იყო გადმოცემული.

სსრკ-დან დაბრუნების შემდგომ, ამ პირველ ზაფხულს ორივენი ვცდილობდით, აღგვედგინა კავშირები ამერიკის აღმოსავლეთ და დასავლეთ მხარეებში ჩვენს მეგობრებთან, რომლებიც ხშირად გაოცებული რჩებოდნენ, თუ რატომ ავირჩიეთ საცხოვრებლად ეს შორეული „მეკვეველობის პროვინცია“,—ესაა ერთადერთი რამ, რაც ამერიკის ორივე ნახევრის ქალაქელებმა იციან ვისკონსინის შესახებ. მაგრამ ჩვენ იქ კარგად ვგრძნობდით თავს და მალე ვიყიდეთ პატარა სახლი ტყეში — ვიღაცის „მონადირის სახლი“ — იქ, სადაც ირმებზე, ტყის ინდაურებზე, როჭოებსა და კაკბებზე ნადირობენ. ოლიას ძალიან უნდოდა ეს ადგილები თავის საამობლოდ ჩაეთვალა.

მე კი არასოდეს ვივიწყებდი ერთ განწყობილებას, რომელიც აქ განვიცადე, როცა ვესლის ცოლი ვიყავი და აქ ჩვენი პატარა ფერმა გვქონდა.

1971 წლის ზაფხულში ამ ფერმის წინა ტერასაზე ვიჯექი სამი თვის ოლიათურთ, რომელსაც ჩემს მკლავებზე დაეძინა. ჩემს ფერხთით უშველებელი ირლანდიური ნაგაზი იწვა. ძველ ხის სავარძელ-სარწეველაში ვირწეოდი და ჩემს წინ გაწოლილ გზასა და ველს გავყურებდი. წყნარი საღამო იყო და ყველაფერს დაისხსწინა ჟამის მზის ოქროსფერი ნათელი ეფინა. გზაზე ზანზალაკების რეკვა-რეკვით ძროხების დიდი ნახირი მოემართებოდა. შორს ეხედავდი ვესლისა და მის ცამეტი წლის ვაჟიშვილს: შარლის ჯიბეებში ხელებჩაწყობილნი იდგნენ და ფერმის საქმეებზე აბაობდნენ. საკარიელი ნელა იარწეოდა. ოლიას მშვიდად ეძინა და მე ვფიქრობდი, რომ აი, ეს იყო ჩემი ცხოვრების უმაღლესი ჟამი. მე მყავს ოჯახი, ამ ქვეყანაში შინა ვარ, და მთელი ჩემი ცხოვრება ახლა ამ საღამოს ნათელივით ჩუმი ბედნიერების უწყვეტი, მშვიდობიანი დღე იქნება. ვფიქრობდი, რომ ვერაფერი ვერასოდეს დამიკარგავდა იმ მშვიდ რწმენას, რითაც ვიყავი გამსჭვალული აქ ყოფნისას, როცა ირგვლივ ჩემი ახალი ოჯახი მეხვია, და ვტკბებოდი ჩემი ახალი ქვეყნით, რომელიც სწორედ ამ მხარეშია ასე მშვენიერი. სიმშვიდისა და ბედნიერების ეს ჟამი, მთელი ჩემი ამერიკული არსებობის უმაღლესი წერტილი სამუდამოდ დამამახსოვრდა. და ამჟამად, წლების შემდეგ, ნათლად, მკაფიოდ მახსოვდა, თუ სწორედ ამ მხარეში როგორ შევიგრძენი ოდესღაც ცხოვრების ასე არაჩვეულებრივი სისავსე, მისი სილამაზე, სიუხვე. მაშინ ყველაფერი ასე სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიხარულო იყო — ჯანმრთელი ბავშვი, ჩინებული ქმარი, ბარაქიანი ზაფხული და ამ ზურმუხტოვან-მწვანე მიწის თავზე მშვენიერი, უშველებელი, აფოფრილი ღრუბლები. იმ დღეების შემდეგ ვიცნობდი მე მთელ ამ მხარეს, ტყისა და ველების გზებს, ვიცოდი, სად მომეხახა მინდვრისა და ტყის ყვავილები, ერთიმეორის მიყოლებით რომ ჰყვაოდნენ ყოველ თვეში, ვიცნობდი აქაურ სიღიცხლისმოყვარე და კეთილ ადამიანებს, რომლებიც მაშინ ხშირად კომუნა ტ ა ლ ი - ე ს ი ნ ი ს გალავანს გარეთ იმყოფებოდნენ. მაგრამ იქაც კი იყვნენ კეთილი სულები, რადგან კეთილი ადამიანები ყველგან ა რ ი ა ნ.

გაყრის მომდევნო წლებში მე და ოლია არაერთხელ ჩამოვედით აქ. ოლიას უყვარდა ბანაკი ცხენოსანი ვოგონებისათვის, რომელიც ერთმა ჩვენმა ახლო ნაცნობმა ოჯახმა მოაწყო. მეც მიყვარდა აქ უბრალოდ ყოფნა და ამ სოფლის გზებზე ცხენით სეირნობა. ჩვენი ძველი ფერმა დიდი ხანია გაყიდულია, მაგრამ მაინც სასიამოვნოა მისი ნახვა გზიდან, რომელზეც ჩვენ ხშირად დავდიოდით. რა გასაკვირია, რომ მუდმივ რეზიდენციად სწორედ ეს ადგილები ავირჩიე? „როგორ არ გვგრით ნაღველს გარდასული ბედნიერების ადგილებში ცხოვრება?“ — მკითხა ერთმა ამერიკელმა პოეტმა ქალმა. მე დიდხანს ვუხსნიდი ყველაფერ იმას, რაც ზემოთ ვთქვი. წარმოშობით ნიუ-ჯერსელი ეს პოეტი, რომელიც ახლა ნიუ-იორკში ცხოვრობს, ფიქრობდა, რომ მე, ალბათ, ვმალავდი აქ ცხოვრების „ნამდვილ მიზეზებს“. მაგრამ ვიმედოვნებდი, რომ, როგორც პოეტს, მას ჩემთვის სხვებზე მეტად უნდა გაეგო. ჩვენ აქ პოეზიის, სილამაზის, უბრალო ადამიანთა სიკეთის საუფლოში ვიყავით.

აი, იქ კი, „რკინის ფარდის“ იქით რა ხდება?

რასაკვირველია, არავითარი ფ ა რ დ ა არ არსებობს. ის ორივე სახელმწიფოს პროპაგანდის მიერაა მოგონილი, როგორც ამაში ახლა უკვე მტკიცედაა დარწმუნებული ოლია. ფარდა იმისთვისაა მ ო გ ო ნ ი ლ ი, რომ ერთმანეთის ამდენად მსგავს ორ დიდ ხალხს ურთიერთში, ურთიერთუნდობლობა გაუღვივონ. სხვაგვარად, აბა, რითი შეიძლება მთელი ამ „იდეოლოგიური ბრძოლის“, ადამიანების მთელი „ამ ზ ვ ე რ ვ ი ს, თითქოს წმიდა მამულის დ ა ც ვ ი ს თ ვ ი ს გამალებული შეიარაღების გამართლება? „რკინის ფარდა“ აუცილებელია მხოლოდ ყველა მათთვის, ვინც მის ხარჯზე ცხოვრობს როგორც სსრკ-ში, ისე აშშ-ში, ამ მილიონნახევარ ადამიანთვის, რომლებიც გაშლილი არიან მთელი მსოფლიოს დედამიწის ორი შეურიგებელი ცენტრის სივრცეებზე.... ისინი ყველგან უნდა გაუქმდნენ და მათთვის განკუთვნილი მთელი ფული მშვიდობიან ცხოვრებას უნდა მოხმარდეს. აი, ჭეშმარიტი გ ა რ დ ა ქ მ ნ ა ეს იქნებოდა. იქნებ, ჩემი შვილიშვილები მოესწრონ ამას?

ჯერ კიდევ ჩეხოსლოვაკიის მოვლენების დროიდან ველოლიაევებიდ იმედს, რომ გვეყოლებოდა ჩვენი, რუსი დუბჩეკი: ახალი თაობის ადამიანი, რომელიც გაქვავებული „ბოლშევიკების“ პარტიაში გაჩნდებოდა. მე ყოველთვის ვფიქრობდი, რომ ამ პ ა რ ტ ი ი ს შიგნით უკმაყოფილების ზრდის ღრმა პროცესი, რასაც კარგად ვიცნობდი ბევრი ჩემი მეგობრის მეოხებით, აუცილებლად წამოსწევდა წინა პლანზე ვინმეს, ვისაც თვით პარტიის და, ამ პარტიასთან ერთად, დრმოჭმული, მსოფლიოს ჩამორჩენილი საბჭოთა ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ი ს გარდაქმნა შეეძლებოდა. გორბაჩოვი ისტორიამ, ცხოვრებამ მოითხოვა. ის რომ არ ყოფილიყო, სხვა ვინმე ასევე გარდუვალად გაატარებდა საბჭოთა ჩამორჩენილი ყოფის განახლების, გარდაქმნის, მოდერნიზაციის პროცესს. ათი გორბაჩოვი გახდება საჭირო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ პროცესის დასრულებისთვის, რათა საბჭოთა კავშირი გვერდით მაინც დაუდგეს თანამედროვე განვითარებულ ქვეყნებს — სადაც არსებობს მრავალპარტიული სისტემა, თავისუფალი არჩევნები, დემოკრატიული თავისუფლება. მრავალი წელი გავა მანამ, სანამ რუსეთი შეძლებს დაიბრუნოს სახელი „ევროპის მარჩენლისა“, რაც იყო ის ოდესღაც, როცა მისი მიწა თავისუფალ მიწათმოქმედთა ხელში იყო. მაგრამ ეს დროც დადგება. უკვე ისმის ამის თაობაზე სიტყვები და დაპირებები. თუმცა საამისო საქმენი ჯერ არ ჩანს. „გარდაქმნის“ შესახებ წიგნების წერა გაცილებით უფრო იოლი საქმეა, ვიდრე იმავე პარტიის მიერ ჩიხში მოქცეული კოლოსალური ქვეყნის გარდაქმნა, როგორც ახლაც მმართველ ძალად რჩება და საკუთარ ჩაკარდნათა ისტორიის ადიარების ნაცვლად, ცდილობს ყველაფერი ან თავის „ცუდ ბელადებს“ დააბრალოს, ან ხალხს, რომელსაც თითქოს ისე „მწარმოებლურად მუშაობა არ შეუძლია“, როგორც სხვა ხალხებს... მაგრამ, ამასთან, ის „სხვა ხალხები“ დემოკრატიის თავისუფლებებით სარგებლობენ და თავისუფალი არჩევნების დროს მრავალი პარტიიდან ის პარტიას ირჩევენ, რომლის ხელისუფლების დაქვემდებარებითაც სურთ ცხოვრება — ამაზე ჩვენ თანამედროვე ლიდერისგან ჯერჯერობით არაფერი გვსმენია. ვორბაჩოვი კი საზღვარგარეთ ისეთი პოპულარობით სარგებლობს, თითქოს თავის ქვეყანაში უკვე ყველაფერი გარდაქმნას.

ოჰ! არა, ჯერ ძალზე შორსაა წასასვლელი და ზანზალაკების აყოლებაც ძალზე ნაადრეკია. სკკპ ნელ-ნელა ძლევს, ნელა ეცევა თავის თავს, მაგრამ ის დათოფილი იხტიოზავრივით პირდაპირ კი არ დაემხობა, დიდხანს, კიდევ დიდხანს განაგრძობს კრუნჩხვას და ირგვლივ ისევ იმ სიცოცხლე გაავრცელებს, ისევ იმ შხამიანი სუნთქვით ისუნთქავს და მთელი მსოფლიოს გასაგონად დაღრჭიალებს ხარბ კბილებს.

მრავალმილიონიანი ხალხი კი მომთმენი და სულგრძელია. არსად არ არის ისეთი მიმტევებლობა, როგორიც რუსეთში, იმიტომ, რომ იქ ქრისტიანობის მოსპობა ვერა და ვერ შეძლეს. ამიტომ ის, რაც სხვა ქვეყანაში დიდი ხნის წინათ გამოიწვევდა აჯანყებას, აქ მხოლოდ გულს ტკენს მომთმენთ. დასავლეთის ქვეყნებში ვერა და ვერ გაუგიათ — როგორ შეიძლება ცხოვრების საბჭოური წესის ათწლეულობით მოთმენა? მთელი „საკუთრობის“ მიუხედავად კი, ისევ იმ მმართველ პარტიას უნდა შეუჩივლონ ეს. სხვა რა გზა! აი, როცა იქ სხვა პარტიებიც შეიქმნება — როგორც ეს ჯერ კიდევ მეფის რუსეთში იყო, — მაშინ, უდავოდ შესაძლებელი გახდება ჭეშმარიტი საკუთრობის ხილვა და ის თავის ნაყოფს მოიტანს.

ის, რაც ახლა იწყება სსრკ-ში, გაფართოვდება და გაგრძელდება. ისტორიის პროცესი გარდუვალია: საბჭოთა წყობა ჩიხში მოექცა და მისი შეცვლა, ტრანსფორმირება საჭიროო და, იმედი ვიქნიოთ, რომ ეს მშვიდობიანი გზით მოხდება. და არა იმიტომ, რომ „ახალი ლიდერი“ გამოჩნდა, არამედ იმიტომ, რომ ამას ცხოვრება და ისტორია მოითხოვს.

ჩვენი შვილიშვილები მოესწრებიან იმ დროს, როცა საზღვარგარეთ წასვლა მხოლოდ ბილეთის ყიდვაზე იქნება დამოკიდებული, რაც უცხოელზე გათხოვება ან სხვა ქვეყანაში ცხოვრება საჭელმწიფოსა და ხალხის წინაშე დანაშაულად აღარ ჩაითვლება. მაშინ მათი ბებიების ცხოვრება მათ უცნაურად მოეჩვენებათ, რადგან არ დასჭირდებათ ბრძოლა იმ წინააღმდეგობებთან, რომლებიც ჩვენს დროში ჩვენს წინაშე იდგა. იმედი ვიქონიოთ, რომ ეგრეთ წოდებული „მტრის მხარეზე გადასულთა“ ტანჯვა და დამცირება წარსულს ჩაბარდება. მაგრამ მათ, ისევე, როგორც ჩვენ, მაშინ აუცილებლად უნდა იგრძნონ თავი ინტერნაციონალისტებად, რათა მთელი სამყარო გულში ჩაიხუტონ. ვერწ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუნოთ, რომ ეს იქცევა სახედ აზროვნებისა სსრკ-ში, სადაც ბოლოს და ბოლოს გახსნიან საზღვრებს იქიდან თავისუფლად გასვლისა და იქ თავისუფლად შესვლისთვის. ჩვენ კი გვიხდება გაქცევა; ჩვენი ხვედრია ორივე მხრიდან პროპაგანდის თავდასხმების ატანა, მოქალაქეობის, შვილების, მეგობრობის, პატიოსანი სახელის, ამქვეყნად ყველაფრის დაკარგვა...

შესაძლოა, ჩემს შვილიშვილებს ყოველივე ამის ცოდნამ არ მოუწიოს. ისინი უკვე ორგზის იქნებიან გაძევებული მამაჩემის სახელით, მათი ბავშვები — სამგზის და ეს გაძევება მათ, მე რომ მომიტანა, იმდენ უსიამოვნებასა და სირთულეს (გულუბრყვილო ცნობისწყდილიდან დაწყებული დიდი სიძულვილით დამთავრებული) არ განაცდევინებს. ისინი შეძლებენ იცხოვრონ ისე, როგორც მოისურვებენ. მათ ბებიას კი ყოველთვის ორჯერ უწევდა ამეებზე დაფიქრება.

ჩემგან გაუთავებლად მოითხოვდნენ მთელი ამ ოცი წლის განმავლობაში, რაც სსრკ-ის გარეთ ვცხოვრობ (აგრეთვე ჩემი პირველი წიგნის „ოცი წერილი მეგობარს“ დაბეჭდვის დროიდან), რომ მე მეკითხა სხვადასხვა მკვლევარებისა და ისტორიკოსების მიერ დაწერილი სტალინის ბიოგრაფიები, კომენტარები მეკეთებინა მათთვის, გამოვსულიყავი სტალინის ცხოვრებისადმი მიძღვნილ სატელევიზიო პროგრამებში ან მონაწილეობა მიმეღო ამ თემაზე გამართულ დისკუსიებში. მე ამაზე არასოდეს ვთანხმდებოდი და ამეებში მონაწილეობას არ ვიღებდი. დიდი სახელმწიფო მოღვაწეების პოლიტიკის საკითხებზე მათს ნათესავებში პასუხების ძიება სისულელეა და ამას უგმირნობის სუნი უდის. ჩვენ არ შეგვიძლია ჩვენთვის ადამიანური მხრივ ნაცნობი ამ პირების პოლიტიკის კომენტარება და ეს არც უნდა ვაკეთოთ. ჩვენ მაიზე შეგვიძლია ვილაპარაკთ როგორც ადამიანებზე, რასაც მე ვაკეთებდი ჩემს ღრმად პირად წიგნებში. მე წარმოვაჩენ ჩემი ოჯახის ცნობილ ფაქტებს და ვცდილობ ისტორიისთვის დაეტოვო ეს დეტალები, რადგან დიდი მოღვაწეების პირად ცხოვრებას ყოველთვის ამახინჯებენ როგორც მათი პოლიტიკური მტრები, ისე ყველა ჯურის უვიცი და უნიჭო პირები. ამგვარ ხვედრს ვერც ნაპოლეონი ასცდა, ვერც ლენინი, ვერც ჰიტლერი, ვერც რომანოვები, ვერც სტალინი. მე ჩემს თავს იმის უფლებას არ ვაძლევდი, რომ შეეკამათებოდი ისეთ სერიოზულ ისტორიკოსებს, როგორიც არიან ისააკ დეიტჩერი ან ადამ ულამი, ჯორჯ კენანი ან ბერტრან ეუფი: მათ თავიანთი „კონცეფციის“ უფლება აქვთ. ჩემი პირადი კონცეფცია კი იმაში მდგომარეობს, რომ ყოველთვის გამემიჯნა ერთმანეთისგან სტალინი — ადამიანი და სტალინი — პოლიტიკოსი. პირველი იქცა ჩემი „ოცი წერილის“ მასალად, მეორემ თავისი ადგილი იპოვა წიგნში „მხოლოდ ერთი წელიწადი“. მე ვცდილობდი, ეს ორი მიდგომა ერთმანეთში არ ამერია.

წლების განმავლობაში შესაძლებელი გახდა რაღაც განზოგადებების გაკეთება. მე ეფიქრობ, რომ სტალინი, რასაკვირველია, თავისი ტემპერამენტით, მეშკვიდრეობითობით, ხასიათით საქართველოს მეიკუთვნებოდა, მაგრამ რუსეთს ის ეკუთვნოდა, როგორც რევოლუციონერი: ყოველივე იმით, რაც მან გაიგო და რაც მთელ თავის სიცოცხლეში გაკეთა. მან საქართველო ადრე დატოვა და შეიყვარა მძლავრი, სასტიკი რუსეთი, იმატომ, რომ ძალა უყვარდა. სწორედ რუსეთს ემსახურებოდა ის შეძლებისამებრ, ის ინდუსტრიალურ ქვეყნად აქცია, გაიმარჯვა ნაციასტურ გერმანიაზე.

მარშალმა ჟუკოვმა ჯერ კიდევ მის სიცოცხლეში გამოსული თავისი მემუარების პირველ ვარიანტში ჯეროვნად დაფასა სტალინის, როგორც დიდი მხედართმთავრისა და ორგანიზატორის, ნიჭიერება. ჟუკოვმა იქ გამარჯვების დღეებთან დაკავშირებული ერთი ეპიზოდიც გაიხსენა. სტალინს ბერლინში,

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოტსდამის კონფერენციაზე ელოდებოდნენ. ის იქით მატარებლით გაემგზავრა. მოამზადეს შეხვედრა ორკესტრებითა და ფანფარებითურთ — და არცთუ უსაფუძვლოდ, რადგან ზედებოდნენ ომის მომგები არმიის მთავარსარდალს, მაგრამ მან ჟუკოვს შეუთვალა, არავითარი პომპა, არავითარი ორკესტრები და არავითარი ამგვარი სისულელეები არ იყოს, ჩვენ დაუყოვნებლივ უნდა დავიწყოთ მუშაობო. სამუშაო წესით შეხვდნენ და გაემგზავრნენ მშვიდობის პირობების მოსამზადებელ მოლაპარაკებებზე. ჟუკოვის მეშოფერებში სტალინის პორტრეტი დადებითზე დადებითი იყო. ასეც მოხდა. მოგვიანებით, უკვე ჟუკოვის სიკვდილის შემდეგ, სამხედრო „სარედაქციო კოლეგიამ“ ტექსტში მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა და ბერლინში ჩასვლის ეპიზოდი ამოიღო.

პოლიტიკოსები ისტორიის ფაქტებს ყოველთვის თავიანთი ინტერესების შესატყვისად ასხვაფერებენ: სტალინი ამასვე უშვრებოდა პარტიის ისტორიას. მაგრამ ის ამაში მარტოკა არ იყო, ისევე, როგორც მარტოკა არ იყო არაფერში, რაც კი გააკეთა პარტიამ სამოცდაათი წლის მანძილზე. პოლიტბიუროს მიერ განხორციელებული კოლექტიური ხელმძღვანელობის პირობებში უკლებლივ ყველას უნდა ეკისრა პარტიის ქმედებების გამო მორალური პასუხისმგებლობა. კოლექტიურად იქნა მიღწეული გამარჯვება, კოლექტიურად იყო ორგანიზებული და თავის სასჯელს კოლექტიურად ახორციელებდა გულაგი. მე პარტიას პასუხისმგებლად მივიჩნევ ყოველივე იმის გამო, რაც ახლა მხოლოდ სტალინს მიეწერება. ჩემს ამ შეხედულებას ბევრი იზიარებს. ეს „დაცვა“ კი არა, ისტორიული ობიექტურობაა.

დაველოდოთ ა. ი. მიქოიანის, ა. ნ. პოსკრებიშევის, კ. ე. ვოროშილოვისა და ბევრ სხვათა მემუარებს. მე სსრკ-ში გამგზავრების დროს წავიკითხე მარშლებისა და შეიარაღების კონსტრუქტორთა მემუარები: ისინი იზიარებდნენ ჟუკოვის თვალსაზრისს. ასეთი დიდი მასშტაბის ლიდერები უნდა შეაფასონ თავადაც ასეთ მასშტაბებს, რამდენადე მაინც მიახლოებულმა პიროვნებებმა, ისეთებმა, ვთქვათ, როგორიც იყვნენ ჩერჩილი, რუზველტი, დე გოლი. ჩემთვის მათი შეფასებებია მნიშვნელოვანი. იმ აკადემიკოსების, ჟურნალისტებისა და მწერლების შეხედულებებს კი, რომლებიც არასოდეს ყოფილან დიდი ქვეყნების ლიდერები, მე უგულებელვყოფ.

ამერიკაში არ შემიმჩნევია რუსეთისა და მისი ერთგული ეროვნული „გარეუნების“ ისტორიისა და კულტურის სერიოზული შესწავლის მცდელობა. ზემოთ მოხსენებული ზოგიერთი დიდი ისტორიკოსის ზოგიერთი ნამუშევარი ცალკე დგას. ამერიკელთა უმეტესობამ არ იცის, თუ რაა სსრკ — კოლოსალური ქვეყანა, რომელიც ასე ჰგავს შეერთებულ შტატებს თავისი მრავალეროვნულობით, თავისი ხასიათით, ტემპერამენტითა და ბევრი ისტორიული გარემოებით. საბჭოთა კავშირის თითქმის სამასმილიონიანი მოსახლეობა საშუალო ამერიკელს ჯერ კიდევ „კომუნისტების“ სულ მთლად უფერულ მასად წარმოესახება, „კომუნისტებისა“, რომლებიც ზარად ესწრაფვიან მთელი მსოფლიოს ხელში ჩაგდებას, ამერიკისა და კერძო საკუთრების მოსპობას და „კომუნალურ საწყისებზე“ დაფრდნობით ცხოვრობენ. სსრკ-ში პირველივე ჩასვლა შოკს იწვევს: თურმე, ადამიანები იქაც ისეთნი ყოფილან, როგორნიც აქ არიან, თურმე, ამერიკას ისინი დაუფარავი სიმპათიით უყურებენ. მათი და ამერიკელების ურთიერთგაგება დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს — თუ თქვენ ბედმა გაგიღიმათ და მოგიხდათ საუბარი ნორმალურ ადამიანებთან და არა პარტიულ ბიუროკრატებთან. საბჭოთა მოქალაქეების შეუზღვავი ტანსაცმლისა და საკუთარი ავტომობილების მცირე რაოდენობის გამო მათი სასაცილოდ ადგება საჭირო არაა. გონების ხარისხი და ინტუიციის უნარი ფრიად მაღალია იქ, სადაც არც ხელოვ-

ნებაში და არც მეცნიერებაში ნიჭი სანლილი არაა საძებნი.

მე ყოველთვის ჩემი მემართება, როცა ამერიკული ტელევიზიის ელეგანტური წარმომადგენლები მოსკოვის ქუჩებში მცირემცოდნე სქელ დედაკაცებს დასდევენ, რათა ჰკითხონ — უხეირო მთარგმნელის მეშვეობით — თუ რას ფიქრობენ ისინი „გარდაქმნაზე“. არადა, რატომ არ შეიძლება ეს ჰკითხონ მთ, ვინც საკმარისად განათლებულია ასეთ კითხვაზე პასუხის გასაცმად: ეკონომისტებს, მეცნიერებს, მკვლევრებს, ვინც ცუდად როდი ლაპარაკობს ინგლისურად? რატომ უნდა წარმოდგენინონ რუსეთი ისევ იმ „თავსაფრიან დედაკაცად“, როცა იმ დედაკაცს უკვე ჰყავს შვილიშვილები, რომლებმაც, შესაძლოა, უცხო ენების ინსტიტუტი ან საერთაშორისო ურთიერთობათა ინსტიტუტი დაამთავრეს?

სწორედ ამიტომ მიხარია ის, რომ ჩემი მოზარდი გოგონა თან წავიყვანე და თავისი თვალით ნახა სსრკ-ში ცხოვრება და ადამიანები ისეთნი, როგორნიც სინამდვილეში არიან. ახლა უკვე ეერავითარი პროპაგანდა — ვერც იქიდან, ვერც აქედან — ბარის ვერ შეუცვლის. მართალია, ამერიკულ პრესას ბნელი ფერები არ დაუშურებია ჩემს უკეთურ დედად დასახატად, მაგრამ ოლიამ რუსეთზე თავისი შთაბეჭდილებები სწორედ იქ ჩასვლით შეიქმნა. და, შესაძლოა, მალე შესაძლებელი გახდეს იქ ისე ჩასვლა და იქიდან ისე წამოსვლა, რომ ამის გამო გაზეთებმა და ტელევიზიამ პანიკა არ ატეხონ: კაცმა რომ თქვას, საბჭოელთაგან რატომ სესხულობენ ისინი ამ მოჩვენებით „პატრიოტიზმს“?

სადღაც იქ, შორს (თუ რუკას დავხედავთ), მაგრამ ამერიკის ალიასკიდან არცთუ ისე შორს, მდებარეობს კამჩატკა, სადაც მუშაობს ჩემი ძვირფასი გეოლოგ-ეულკანოლოგი, ჩემი უფროსი ქალიშვილი კატია. და სადაც ცხოვრობს ჩემი პატარა შვილიშვილი ანიუტა. მე მიყვარს გეოგრაფიული რუკები. მიყვარს დიდი მანძილები და სივრცეები. რა ადვილად უყურებენ ერთმანეთს — მათ შორის მხოლოდ დიდი ტბაა — კამჩატკა და ორეგონი, ვაშინგტონი და ალიასკა — ეს ოდესღაც საერთოდ რუსული მიწა... აი, სწორედ იქ გავა მომავალი ყველანაირი საკომუნიკაციო ხაზები: მეცნიერებითა და ეაჭრობით დაწყებული, და თევზჭერითა და ეულკანმცოდნეობით დამთავრებული. ჩემი კატია რატომ არ უნდა გადმოვიდეს წყნარ ოკეანეზე და რატომ არ უნდა შეხედოს მაუნტ ჰელენს, ამერიკულ ეულკანს?.. როგორ ძალიან მინდა, რომ ორმა დამ, რომლებიც ასე ჰგვანან ერთმანეთს გარეგნულადაც და შინაგანადაც, როდესმე ნახონ ერთმანეთი — მტრობის გარეშე, მათს ზურგსუკან მდგომი ორივე მთავრობის მხრიდან პროპაგანდისტული ძალისხმევების, სიძულვილის გარეშე. მაშინ ორივე მათგანის მუშაობა თავისი ხმით გაფლერდება ა ეუკეთესი მომავლისთვის ადამიანურ ძალისხმევათა საერთო ნაკადს შეერთვის.

მიხარია, რომ ორივეზე ამგვარად შემიძლია ვიფიქრო. საჭიროა „მოეწყვეტ“ ყველა პირადულ, უსიამო მოგონებას, რათა ისინი წარმოსახვით მაინც ერთად დავინახო. ჩემი შვილიშვილები კი, რასაკვირველია, ისევე იკამათენენ თავიანთ დედებთან და ისევე თავისებურად მოიქცევიან, როგორც იქცეოდნენ მათი დედებიც.

მე ის მიამდებს, რომ მალე წიგნები სამყაროში ადამიანებზე გაცილებით სწრაფად დაიწყებენ მიგრირებას, და ჩემი თაობის მ ე მ უ ა რ ე ბ ი გარკვეულად ფასეული გახდება იმათ თვალში, ვინც ჩვენს დრო-ჟამს არ იცნობდა. ეს მემუარები მათ დაეხმარება არა იმდენად სხვა ე რ ს, რამდენადაც ს ხ ვ ა გ ვ ა რ ი ადამიანების შეცნობაში და ყველა ჯურისა და ყაიდის შვილიშვილები — არა მაინცდამაინც მხოლოდ ჩემი შვილიშვილები — მაშინ ამ ძველმოდურ ფურცლებზე ამოიკითხავენ უცნაურ, დაუჯერებელ სიტუაციებს, აგრეთვე ნახავენ ზოგიერთ ნ ა ც ნ ო ბ სახეს.

რუსულიდან თარგმნა **ჯუმბერ თითბერიამ.**

ვისკონსინი, აშშ, 1986—1988

ᲓᲘᲐᲜᲐ ᲭᲘᲚᲔᲜᲢᲘ

ᲓᲐᲕᲘᲗᲐ ᲨᲕᲘᲜᲒᲔᲚᲐᲨᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲣᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲕᲘᲜᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲢᲘᲚᲘᲡ ᲖᲝᲒᲘᲔᲠᲗᲘ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘ

შესანიშნავი ქართველი მწერალი დემნა შენგელაია ახალი ქართული რომანის ერთ-ერთი ფუძემდებელია. იგი მიეკუთვნება იმ რჩეულ მწერალთა რიცხვს, რომელთათვისაც სიტყვის ფენომენს პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს. მისი ნაწარმოებების კითხვისას თვალში გეცემათ სიტყვიერი მასალის სიუხვე; ზშირად იყენებს ფოლკლორის მოტივებსა და მითოლოგიის ელემენტებსაც, რაც მისი შემოქმედების ერთ-ერთი განსაზღვრელი ფაქტორია. და მის ენახა და სტილშიც ვლინდება.

დ. შენგელაიას მხატვრულ ნაწარმოებთა ენა მეტად მდიდარი და ფერადოვანია. მწერლის ენის სიმდიდრე კი დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ფართოდ იყენებს იგი სიტყვა-სახასლხო ენის ამოუწურავ შესაძლებლობებს. მწერალს მკვეთრად განსხვავებული, თავისებური წერის მანერა აქვს, რაც განაპირობებს დიდ ინტერესს მისი ნაწარმოებების ენობრივი თვალსაზრისით შესწავლისადმი.

შეეხებით დ. შენგელაიას თხზულებათა ენისა და სტილის ზოგიერთ საკითხს. მის ნაწარმოებთა ამ თვალსაზრისით შესწავლა საინტერესო სურათს გვიჩვენებს.

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს თავისებური სიტყვაწარმოება. ამ მხრივ მისი შემოქმედება უხვ მასალას იძლევა. მაგალითად, შეინიშნება ტენდენცია სუფიქსის ნაცვლად მიმდეობების ნა პრეფიქსით გაფორმებისა. ეს ფორმები დღევანდელი ქართულისათვის არაბუნებრივია: „გაგზავდი... ამდენი დარდითა და ᲒᲐᲓᲐᲜᲐᲪᲐᲚᲘᲗᲘ“, „ცრით ᲨᲔᲜᲔᲨᲓᲝᲛᲔᲑᲘᲗ ᲫᲘᲓᲚᲘᲡ ᲐᲐᲛᲐᲪᲔᲠᲐ“, „ტაკვაკვეშ ᲩᲕᲔᲜᲒᲐᲜ ᲬᲐᲜᲐᲑᲚᲔᲯᲘᲗ ქონი გაქვთ ამოოდებული...“

ზოგჯერ სუფიქი ნახმარია იქ, სადაც იგი საჭირო არ არის. ან ერთი სუფიქსის ნაცვლად მეორეა გამოყენებული. ამის გამო ბევრ სიტყვას ხელოვნურობის ელფერი დაჰკრავს. მაგალითად, ნაცვლად მოსალოდნელი Უ-ᲔᲚ პრეფიქს-სუფიქსისა, გვხვდება Უ-ᲐᲠ. „ᲒᲝᲗᲘᲐᲜᲐᲠᲘ ᲮᲔᲚᲘᲗ ᲬᲠᲐᲤᲐᲓ ᲬᲔᲠᲓᲐ...“

ნაცვლად დღევანდელი ქართულისათვის ბუნებრივი „ურ“ სუფიქსიანი ფორმისა, დასტურდება რედუცირებული სახით ნახმარი „ოვან“ სუფიქსით გაფორმებული სიტყვა: „ᲮᲜᲔᲜᲖᲔ ᲓᲐ ᲙᲐᲚᲬᲘᲜᲘᲡᲐ ᲒᲐᲛᲝᲙᲘᲗᲮᲝᲕᲔᲑᲐ...“

მოსალოდნელი „ᲝᲐᲜ“ სუფიქსის ნაცვლად ქონების აღსანიშნავად ზოგჯერ „ოვან“ და „ᲝᲡᲐᲜ“ სუფიქსებია გამოყენებული: „ᲡᲘᲪᲘᲪᲚᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲕᲡᲘᲡ ᲮᲝᲠᲪᲝᲕᲐᲜᲘ ᲑᲘᲑᲘᲚᲝᲗᲘ ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲘ ᲛᲝᲒᲔᲓᲜᲐ“, „ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲛᲔᲢᲐᲕᲔ ᲘᲡᲐ ᲪᲮᲝᲠᲛᲝᲓᲐ... ᲮᲝᲠᲗᲝᲕᲐᲜᲘ“.

ნაცვლად „ᲝᲐᲜ“ სუფიქსისა, სიტყვა გაფორმებულია „ᲔᲠ“ სუფიქსით: „ᲣᲗᲘᲠᲗᲝᲓᲐ ᲜᲘᲗᲮᲝᲜᲔᲑᲘ ᲯᲘᲗᲘᲜᲐᲠᲘ ᲪᲮᲘᲜᲔᲑᲘᲗ“.

ასევე, დღეისათვის ბუნებრივი სა-ო აფიქსების ნაცვლად სიტყვაში „ურ“ სუფიქსია გამოყენებული: „ᲘᲪᲧᲝᲓᲐ ᲝᲠᲝᲛᲝᲓ ᲡᲘᲢᲧᲕᲐᲗᲐ ᲒᲐᲖᲣᲠᲗᲣᲠᲗᲐ“.

„ᲔᲚ“ სუფიქსიან ფორმასთან შედარებით მწერალი უსუფიქსო ფორმას ანიჭებს უპირატესობას: „ᲝᲗᲮᲐᲣᲗᲘᲡ ᲗᲐᲕᲘ ᲛᲮᲠᲔᲑᲗᲐ ᲩᲐᲜᲓᲐᲜᲐ“.

ზოგი სიტყვა ნაწარმოებია შინაარსობრივად მისი ფარდი სახელის ანალოგიით; მაგალითად, ᲡᲘᲩᲣᲛᲔᲚ ანალოგიით მწერლის ენაში გვხვდება ᲡᲘᲣᲠᲘᲐ: „ᲡᲘᲣᲠᲘᲐᲨᲘ ᲧᲕᲔᲚᲤᲔᲠᲘᲐ სხვანაირად ისმის“.

დ. შენგელაიას ნაწარმოებთა ენაში შეინიშნება უცხო წარმოშობის სუფიქსის „ᲑᲐᲜ“-Ს ᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐ. „ᲑᲐᲜ“ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲐ და, როგორც ა. შანიძე წერს, ნიშნავს სახლს. დ. შენგელაიას ენაში ეს სუფიქსი ძირითადად ამავე მნიშვნელობით არის ნახმარი: „ᲒᲔᲜᲐᲗᲔᲚᲘ ᲓᲐᲓᲐᲛᲐᲠᲑᲐᲜᲐᲨᲘ ᲯᲮᲚᲘ“, „ᲓᲐᲑᲐᲑᲐᲜᲐᲨᲘ ᲐᲚᲐᲠ ᲘᲡᲛᲝᲓᲐ ᲥᲝᲜᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲪᲘᲛᲐ“, „ᲚᲘᲚᲘᲐᲜᲐᲨᲘ ᲐᲚᲐᲠ ᲤᲠᲐᲚᲘᲚᲔᲑᲓᲜᲔᲜ ᲜᲐᲠᲘᲜᲘ ᲗᲝᲗᲘᲡᲔᲑᲘ“.

საინტერესოა ის გარემოება, რომ იგივე სუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფიქსი დ. შენგელაიას ერთ-ერთ რომანში („შთაგონება“) საკუთარი სახელის გასაფორმებელად არის გამოყენებული: საფიქრებელია, სალარო მნიშვნელობით: „ჩემი **ᲓᲐᲠᲬᲣᲚᲘᲐ** გოგო“.

ცნობილია, რომ ქართულში არსებობს სუფიქსები: ᲘᲐ, ᲘᲜᲐ, რომლებიც ენინობის ფორმებს აწარმოებენ: ᲘᲐ გამოხატავს, ადგილთვე, ქონებასა და მსგავსებას. დ. შენგელაიას თხზულებათა ენაში ᲘᲐ ᲘᲜᲐ აღინშნავს: „ᲩᲐᲚᲘᲡ-ᲤᲔᲠᲘ **ᲨᲐᲕᲓᲔᲜᲘᲐ** ᲒᲐᲛ ᲪᲔᲚᲤᲐᲠᲘᲗᲐ მიემწყვდია...“ „**ᲐᲒᲘᲚᲘᲡᲐᲜᲐ** ᲤᲐᲪᲘᲠᲘᲡᲘᲡ ᲜᲐᲚᲘᲜᲐᲡᲗᲐᲜ... მიგდებულიყო“, „ᲗᲐᲕᲘᲡᲚᲘᲡᲐᲜᲐ ᲤᲣᲤᲔᲚᲗᲐᲛᲘᲡ... თავისი ეშმით დაიპა“, „ᲨᲔᲣᲪᲘᲐ ᲛᲝᲛᲗᲘᲜᲔᲑᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲛᲬᲘᲡᲐ ᲔᲣᲤᲘᲡ ᲯᲐᲠᲜᲘᲡᲐᲪᲐᲛᲐ...“

ამ უკანასკნელ მაგალითში ᲔᲣᲤᲘᲡ დიდი ტუჩის მქონეს უნდა აღნიშნავდეს.

როგორც ჩანს, ᲘᲐ სუფიქსი დ. შენგელაიას ენაში ძირითადად რთულ ფუძეებზეა დართული.

სუფიქსი ᲘᲐ აღნიშნავს ვისამე ან რისამე ხელობას ან თვისებას, დაკავებულ. დ. შენგელაიას ერთ-ერთ მოთხრობაში („შემოქმედი“) დასტურდება ამ სუფიქსით გაფორმებული ფორმა „**ᲮᲐᲜᲘᲐᲠᲘᲐ**. სხვა შემთხვევაში იგი დაცინვით შერქმეული სახელია. დ. შენგელაიას ენაში კი მნიშვნელობის სახელს აღნიშნავს: „ᲛᲮᲝᲚᲝᲓ **ᲮᲐᲠᲘᲐᲠᲘᲐ** ᲪᲘᲙᲐᲜᲝᲒᲐ ᲜᲘᲜᲬᲘᲡᲪᲕᲔᲚᲘᲡᲐᲒ“.

არანაკლებ საინტერესოა კომპოზიციის სფეროც. დ. შენგელაია კომპოზიტთა შექმნის უსადილო ოსტატია.

მწერლის მიერ შექმნილია კომპოზიტთა საინტერესო ფორმები, თუმცა ზოგიერთ მათგანს ხელოვნურობის ელფერი დაპკრავს. კომპოზიტთა დიდი ნაწილი ნაწარმოებია არსებითი სახელისა და **ᲬᲐᲠᲘᲡᲔᲚᲘᲡ** დროის მიმღეობის შეერთებით. მაგალითად: „ანწლმარეული“, „შემოდგომადკრული“, „უბედურებაგადანაცადი“, „ბურტულგამარცვნილი“, „რიერაუნკარავი“ „რკესბერხნილი, „მზემოფაღლებელი“, „მხარგადაგდეკილი“, „ლოსოდაქმელტილი“, „სულაწრიალეული“, „ზარხოშნაკრავი“ „ქონაკურებდალრეენილნი“ და სხვ.

კომპოზიტთა განსაკუთრებული სიმდიდრითა და მრავალფეროვნებით გამოირჩევა რომანი „ბათა ქექია“, რომელშიც გვხვდება „ტენდადნეულები“, „ᲩᲣᲪᲣᲐᲠᲗᲮᲕᲔᲚᲘ“, „თავმბისკვდილეული“, „ᲮᲠᲐᲩᲨᲘᲛᲜᲝᲒᲣᲚᲘ“, „კაბაკარაწმენეული“ და სხვ.

აᲦᲘᲜიᲐᲛᲐდ დასტურდება ორᲬᲐ მეტი ფუძის შემცველი კომპოზიტებიც: „ᲤᲘᲪᲣᲠᲩᲚᲔᲣᲚᲘᲐᲛᲘ“, „ᲒᲐᲖᲐᲪᲐᲚᲐᲠᲔᲣᲚᲘ“...

დ. შენგელაიას თხზულებებში, როგორც რომანებსა, ასევე მოთხრობებში, შეინიშნება მწერლის ენისათვის დამახასიათებელი ფრაგᲛᲔᲜᲢᲘᲡᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠᲘ ᲗᲐᲕᲘᲡᲔᲑᲣᲠᲘᲡᲐ — არქაიზმების ხმარება. მწერალი არქაიზმებს ზომიერად იყენებს. საინტერესოა ის გარემოება, რომ არქაიზმები, როგორც მოსალოდნელია, ძირითადად ნაბმარია ისეთ ნაწარმოებებში, რომლებშიც ისტორიული წარსულია გაცოცხლებული („შემოქმედი“, „ᲑᲐᲠᲯᲐᲓᲘᲚᲘᲐᲜᲘ“...), მაგრამ ისინი დასტურდება არაისტორიული ხასიათის ნაწარმოებებშიც, რასაკვირველია, ნაკლები რაოდენობით. გვხვდება როგორც გრამატიკული, ასევე ლექსიკური არქაიზმები.

ფუძეთანხმოვნიანი საკუთარი სახელები სახელობით და მოთხრობით ბრუნვებში, არაკანონიერი ვითარებისამებრ, ზოგჯერ გაფუფრიᲚᲔᲑᲘᲡ: „ᲛᲐᲠᲘᲐ **ᲐᲚᲡᲚᲔ** ᲛᲐᲠᲗᲘᲛᲔᲠᲒᲚᲘᲗ“, „**ᲡᲐᲠᲐᲛᲐᲜᲘᲡ** ᲛᲝᲒᲘᲠᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲪᲘᲪᲘᲗ“, „**ᲛᲐᲒᲓᲐᲜᲐᲡ** ᲜᲐᲜᲐ — ᲪᲔᲚᲐᲒ ᲒᲐᲛᲝᲭᲘᲠᲣᲚᲐᲠ ᲩᲐᲤᲣᲤᲣᲚᲘᲧᲝᲤᲔᲜᲘᲗ“. აღსანიშნავია, რომ მოთხრობაში „შემოქმედი“ პერსონაჟთა მეტყველებაში შეინიშნება ფუძეხმოვნიანი საკუთარი სახელის გაფორმება სახელობით ბრუნვაში არქაულ ფუძეხმოვნიან საზოგადო სახელთა ანალოგიით: „მე ვარ ᲒᲝᲪᲘᲜᲐᲫᲘ“. საინტერესოა ის გარემოება, **რომ** სხვა შემთხვევაში იგივე სახელი სახელობით ბრუნვაში გვხვდება ი-თი გაფორმებული: „**ᲒᲝᲪᲘᲜᲐᲫᲘ** მომეკვარეთ, **ᲒᲝᲪᲘᲜᲐᲫᲘ** — ყვიროდა იგი მიზეზიანად“.

ფუძეხმოვნიან საკუთარ სახელთა ამგვარი გაფორმება უცᲮᲝ ძველი ქართულსახოვის, თუმცა ამ ფორმების გვერდით მოთხრობაში შეინიშნება ამავე სახელის დღევანდელი სახით ხმარებაც: „ᲒᲝᲪᲘᲜᲐ, ᲒᲐᲘᲪᲘᲜᲗ!“

ფუძეხმოვნიან საკუთარ სახელთა ზემოხსენებული ფორმების თავისებური ხმარება მწერლის სტილს ერთგვარ ინდივიდუალობას ანიᲭებს.

მოკმედებითი ბრუნვის ფორმაზე „ᲒᲐᲜ“ თანდებულის ხმარების შემთხვევაში ზოგჯერ ძველი ვითარებაა დაცული. ამავე დროს, თანდებულთან ფორმაზე დართულია ნაწილაკი: „ᲜᲘᲣᲠᲘᲗᲘᲗᲑᲜᲘᲗ ᲒᲐᲜᲘᲗ ᲮᲔᲚᲘᲡᲐᲜᲠᲐᲒᲣᲚᲘ ᲐᲒᲔᲚᲘᲗ“, „ᲑᲐᲚᲔᲚᲝᲑᲘᲗᲑᲜᲘᲗ ᲒᲐᲜᲘᲗ ᲨᲔᲜᲘᲚᲘᲗᲘᲗ ᲒᲐᲜᲘᲗᲑᲘᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲘᲗ ᲩᲐᲚᲔᲚᲘ“.

„...ᲣᲛᲔᲢᲔᲡᲘ ᲓᲠᲝᲡ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲔᲜᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲧᲠᲗᲔᲚᲘᲐ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘᲐ ᲑᲠᲣᲜᲕᲐᲨᲘ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡᲐᲪ ᲘᲐ ᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲓᲐ. ეს ბრუნვა უნდა ყოფილიყო ერთ-ერთი სახელობითბითისა. მისი ფორმები ნაშთის სახითაა მოწმეᲣᲚᲘ... აღნიშნულ ფორმებს დღევანდელ ენაში თავისუფლად ენაᲪᲘᲔᲑᲐ მოკმედებითი, ვითარებითი ან სადაᲛᲝᲗᲘᲗ (ა. ᲬᲐნიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, გვ. 76).

დ. შენგელაიას თხზულებაში „შემოქმედი“ გვხვდება ᲘᲐ მაწარმოებლით გაფორმებული სიტყვა ვითარებითი ბრუნვის ფუნქციით: „ᲒᲝᲪᲘᲜᲐᲫᲘᲐ მოარეულ“.

ძველი ქართულის ვითარებისამებრ, შეინიშნება მიზნის გარემოების გადმოსაცემად ვითა-

რებით ბრუნვაში დასმული საწყისის ხმარება: „ეძახდეს ᲚᲘᲚᲐᲕ“, „ᲬᲘᲠᲐᲕ ᲕᲔᲛᲔᲜᲐᲓᲔᲑᲐᲜ“.

უბრალო დამატება ᲬᲝᲒᲠᲘᲡ უთანდებულო მიცემითით არის გამოხატული. მაგალითად: „ᲬᲝᲒᲠᲘᲡ ᲒᲣᲚᲘ ᲚᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲒᲔᲚᲕᲔᲚᲘ“, „ᲗᲐᲕᲘᲡ ᲡᲘᲪᲘᲠᲔ ᲓᲐᲫᲐᲠᲔᲑᲘᲗ“.

ᲨᲔᲘᲜᲘᲨᲜᲔᲑᲐ ᲐᲓᲒᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲛᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲮᲐᲢᲐᲒᲐᲓ ᲕᲘᲜᲐᲠᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ „ᲓᲐᲜᲓᲐᲒ ᲯᲘᲜᲯᲘᲮᲘᲡᲗᲐᲕᲘ ᲩᲐᲕᲘᲓᲐ“, „ᲩᲔᲣᲓᲔ ᲒᲐᲒᲚᲔᲗᲐᲗ“, „ᲘᲠᲘᲗᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲓᲐᲫᲐᲠᲔᲑᲐ ᲘᲒᲘ ᲩᲔᲣᲓᲔ-ᲕᲔᲚᲐᲓ“.

„ᲓᲐ“ ᲡᲣᲤᲘᲥᲡᲘᲐᲜᲘ ᲛᲠᲐᲒᲚᲕᲚᲝᲑᲘᲗᲘᲡ ᲒᲕᲘᲠᲓᲘᲗ Დ. ᲬᲔᲜᲔᲚᲘᲐᲜᲘᲡ ᲗᲮᲖᲣᲚᲔᲑᲔᲑᲨᲘ ᲨᲔᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ ᲜᲐᲠᲬᲐᲛᲔᲜᲘᲡ ᲛᲠᲐᲒᲚᲕᲚᲝᲑᲘᲗᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ. ᲑᲝᲜᲔᲑᲠᲘᲕᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲐᲛ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲗᲐ ᲣᲛᲝᲩᲐᲛᲔᲑᲚᲝᲑᲐ ᲛᲐᲜᲙᲘ ᲘᲛ ᲜᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲔᲑᲨᲘ ᲒᲐᲯᲔᲠᲓᲐ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲨᲘᲪ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲐᲛᲑᲐᲜᲘ ᲒᲐᲓᲛᲪᲔᲛᲣᲚᲘᲐ. მაგალითად: „ᲐᲮᲐᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲡᲐᲡᲘᲛᲘᲜᲝ ᲛᲝᲛᲝᲘᲛᲝᲓᲜᲔ“, „ᲑᲐᲒᲔᲜᲘᲡ ᲠᲐᲓᲐᲒ ᲔᲠᲗᲘᲡᲚᲘᲡ ᲛᲝᲛᲒᲠᲔᲚᲘᲡ ᲪᲘᲠᲒᲔᲚᲘᲡᲐᲜᲘ ᲔᲣᲛᲝᲓᲜᲔ“, „ᲒᲐᲜᲘᲗᲘᲡ ᲑᲔᲜᲔᲓᲘᲥᲢᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲡ, ᲡᲐᲮᲚᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲓᲒᲝᲜᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲔᲛᲘᲠᲝᲜᲔᲑᲓᲐᲜ“.

ᲨᲝᲒᲠᲯᲘᲠ ᲐᲠᲩᲐᲘᲜᲘᲡ ᲤᲣᲜᲥᲪᲘᲐ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘᲐ: 1) ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲐᲢᲘᲕᲘ. ᲠᲝᲒᲝᲠᲘᲪ ᲪᲜᲝᲑᲘᲡᲐ, ᲫᲕᲔᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘᲡ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲡ ᲤᲝᲠᲛᲐ ᲨᲔᲓᲘᲠᲔᲑᲘᲗᲐ, ᲠᲐᲪ ᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ ᲨᲔᲬᲘᲠᲕᲘᲗᲐᲡ. ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲐᲢᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲫᲘᲚᲔᲚᲘᲐᲓ Დ. ᲬᲔᲜᲔᲚᲘᲐᲜᲘᲡ ᲛᲘᲠᲘᲗ ᲐᲛ ᲤᲣᲜᲥᲪᲘᲘᲡ ᲘᲧᲔᲜᲔᲑᲘᲡ — ᲡᲣᲚᲔᲠᲔᲓᲘᲠᲔᲑᲘᲗᲘ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲘᲗᲥᲕᲐ ᲐᲛᲐᲕᲘ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲥᲜᲘᲡ: მაგალითად: „ᲫᲐᲚᲔᲚᲘᲡ ᲡᲣᲚᲔᲠᲔᲓᲘᲠᲔᲑᲘᲗᲘ ᲬᲘᲜᲐᲓᲐᲓᲔᲑᲐ ᲐᲬᲧᲐᲚᲔᲑᲐ“. ᲐᲮᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ, ᲠᲝᲛ ᲐᲛ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲡ ᲤᲐᲠᲗᲝᲓ ᲛᲧᲝᲤᲘᲡ ᲬᲘᲠᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲗᲕᲘᲗᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲥᲜᲘᲡ: მაგალითად: „ᲫᲐᲚᲔᲚᲘᲡ ᲡᲣᲚᲔᲠᲔᲓᲘᲠᲔᲑᲘᲗᲘ ᲬᲘᲜᲐᲓᲐᲓᲔᲑᲐ ᲐᲬᲧᲐᲚᲔᲑᲐ“, „ᲐᲮᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ, ᲠᲝᲛ ᲐᲛ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲡ ᲤᲐᲠᲗᲝᲓ ᲛᲧᲝᲤᲘᲡ ᲬᲘᲠᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲗᲕᲘᲗᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲥᲜᲘᲡ: 2) ᲡᲣᲚᲔᲠᲔᲓᲘᲠᲔᲑᲘᲗᲘ. „ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲑᲐ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗᲘ ᲛᲘᲬᲔᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲨᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ“. ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲓᲔᲑᲝᲑᲐ: „ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲑᲐ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗᲘ ᲛᲘᲬᲔᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲨᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ“. ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲓᲔᲑᲝᲑᲐ: „...ᲣᲛᲐᲪᲚᲘᲡ ᲠᲘᲪᲮᲕᲔᲑᲘᲗᲘᲡ ᲓᲐᲚᲔᲚᲘᲚᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲒᲔᲚᲕᲔᲚᲘ“, „ᲕᲔᲠᲪᲮᲚᲘᲡ ᲛᲐᲜ ᲛᲘᲪᲔᲜᲘᲡ ᲓᲐᲚᲔᲚᲘᲡᲐᲒᲛᲔᲠᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗᲘ ᲛᲘᲬᲔᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲨᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ“.

ᲑᲝᲜᲔᲑᲠᲘᲕᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲐᲛ ᲗᲮᲖᲣᲚᲔᲑᲔᲑᲨᲘ ᲛᲘᲜᲘᲨᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲤᲣᲜᲥᲪᲘᲐ ᲛᲘᲜᲘᲨᲜᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲒᲐᲠᲛᲝᲛᲘᲜᲐᲡ ᲒᲐᲓᲐᲛᲪᲚᲘᲐ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗᲘ ᲛᲘᲬᲔᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲨᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲠᲛᲝᲛᲘᲜᲐᲡ ᲒᲐᲓᲐᲛᲪᲚᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ ᲛᲘᲬᲔᲠ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მედი“ თხრობა ზვიადი, ამ ეანრის ნაწარმოებისათვის შესაფერისი: დღითიდღე წარმატებასა და განდიდებაში იყო მეფე თამარ... ეს ზამთარიც მან ცხუმს გაატარა, აღდგომა ბეღიაში გაითენა და ახლა გეგუთს ბრძანდებოდა... იქვე იმყოფებოდნენ გაზრდილნი მამისა მათისა“. არჭაულია პერსონათა მეტყველებაც: „მზევ, მზევ... მძინარევ აკვანსა შინა, მომან

-ბე მე ძალი და შეწევნაი, რათა გულისთქმა ჩემი არა ისწრაფოდეს მრუშებად დედაშენისაკენ...“

დ. შენგელაია თავის თხზულებებში ხშირად იყენებს ხალხური შემოქმედების ნიმუშებს, რაც მწერლის სტილის ერთ-ერთ განმსაზღვრელ ფაქტორად შეიძლება ჩაითვალოს. ამ მხრივ გამორჩეული რომანები „ბათა ქეკია“ და „სანავარდო“. „ბათა ქეკიას“ მთელი ენობრივი მასალა, მთელი ინტონაცია ხალხურია. ეს რომანი მდიდარია დამახასიათებელი ყოფითი დეტალებით, ხალხური იუმორითა და ზმებით, იგავ-არაკებით, მდიდარი სიტყვიერი მარაგით, რომელსაც მწერალი ხალხური შემოქმედებიდან სესხულობს. მოვიტანთ ნაწყვეტს ამ რომანიდან: „...ბავშვობა მწყემსობაში გავატარე... სამწყემსურში რომ მივიდოდი, თან იღებიანი ამოდებული წიგნი და მშაღის ნაფრები მიმქონდა. ხანამ საქონელი ძოვდა, ჯკითხულობდი... ხან ამირან დარეჯანის ძე ვიყავ და ვებრძოდი ჩალის ღერებს, ხან მეკუნეი, ხან ყაჩაღი არსენი და ვბრუვდებოდი. მუხლებმოსხლეტილი ვიჩოქებდი ლოგინში და პირჯვრის წერით ვეუფლებოდი ილორის წმინდა გიორგის, ყულის კარს, ქიაჩის ხატსა და ნოქალაქევის ორმოც მოწამეს ადრე და მალე გათენებას“...

რომანში „სანავარდო“ მწერალი უზვად იყენებს ხალხურ თქმულებებს, ავი სულებისა და მისნობის თემებზე შექმნილ ზღაპრებს, მითოლოგიის ელემენტებს. მაგალითად: „იყო ერთი დიდო ბაკაეი. იჯდა დიდ ქოობში გაუთხოვარი. მთვარიან ღამეში გამოვიდოდა იგი, ციების ლორწოს დალვრიდა ირგვლივ. მისი ყიყინი შიშის ზარს სცემდა მის ქვეშევრდომებს. გველი ვერ უბედავდა შეტევას... ავი იყო დიდო ბაკაეი, მწვანე მუცელგაკეცილი...“

ზოგჯერ მწერალი ცდილობს ძენწად, ლაკონურად, მოკლედ გამოხატოს აზრი. ამ მიზნით იგი იყენებს სახელდებით წინადადებებს, რითაც დიდ მხატვრულ ეფექტს აღწევს. სახელდებითი წინადადებებით მდიდარია რომანი „სანავარდო“. მაგალითად: „ეპოობი და ბეონგეო. ლელი და ლაკაში. აკა-იქ ისლით დახურული, წაფერდილი ქოხები. ეზოები მოლნარით გადაწყვეტილები. რიონის ამდორებული, მღვრიე დენა... ჩამონგრეული ღობეები... აკა-იქ აშოლტილი ალვის ხეები და დაკრუნჩხული ტირიფები... ნრავალეამიერის ბერში ტყორცნა“.

ზემოგანხილული ენობრივ-სტილური თავისებურებანი მიგვანიშნებენ იმაზე, რომ დემნა შენგელაია მკვეთრად განსხვავებული ორიგინალური ხელწერის მქონე შემოქმედია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეკა გუნთაიშვილი

„ვეძებ, ვიბრძვი და ამ ბრძოლას სულსა და გულს ვწირავ“

ხელოვნება არსებობდა ყოველთვის, რაც კაცობრიობას თავისი თავი ახსოვს. როგორც სოციალურ-კულტურული ფენომენი, ის უმეცლესია საზოგადოებაზე, სახელმწიფოზე, იდეოლოგიაზე. ადამიანის სულზე ზემოქმედების ძალით მას მხოლოდ რელიგია უსწრებს და ჭეშდება.

ხელოვნებას მთელი თავისი არსებობის მანძილზე არ განუცდია ისეთი საზოგადებრივი ბუმი, როგორც ამ ბოლო წლებში. მხატვარი იქცა თანამედროვე სოციალური მითოლოგიის ერთ-ერთ ძირითად ფიგურად.

ჩვენი კვლევის საგანია — ზოგადად, ძირითად ხაზებში წარმოვაჩინოთ სამხატვრო ატმოსფერო, რომელშიც ჩამოყალიბდა ქართველ მხატვართა იმ თაობის ესთეტიკური იდეალები, ქართული ხელოვნების ისტორიაში 80-იანელთა სახელით რომ შევიდნენ, რამდენადაც წერილი ეხება ამ თაობის ერთ-ერთი კოლორიტული წარმომადგენლის გია ბუღაძის შემოქმედებას.

60-იანი წლების სოციალური ატმოსფერო ისეთი იყო, რომ მხატვრები პირველივე ჭიდველის გამოჩენისას ვიდდნენ თავიანთ ნაშრომებს იმისათვის კი არა, რომ ფული გაეკეთებინათ, არამედ უმთავრესად იმისათვის, რომ გადარჩენილ ნამუშევარი შემთხვევით დალუქვისაგან.

დღეს იმ წლების ნამუშევრები, რომელთა კოლექციები ხელნაწერად იქმნებოდა, ძნელად ხაშოვარი არქეოლოგიური მასალაა. მოსკოვის 60-იანი წლების ალტერნატიულმა ხელოვნებამ ხათავე დაუდო ახალ ეტაპს რუსულ ხელოვნებაში.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ავანგარდის დასაწყეთის ხელოვნება თავის სათავეებს ხედავს 1910-1920-იანი წლების რუსულ ავანგარდში, რომელის ბოლო გამოფენები ხსრკ-ში მოეწყო 20-იანი წლების ბოლოს. რუსული ავანგარდი გახდა პოლიტიკური შეთქმულების მსხვერპლი. დიდი ხნის მანძილზე სიტყვა „ავანგარდიზმი“ ხსრკ-ში იყო ფორმალიზმის სიმბოლო. ფორმალიზმი ტოლი იყო უიდეობისა, სოციალისტურ რეალიზმს კი წარმოგვიდგენენ სალვადორ დალის მიერ აღბეჭდილი წინააღ ანტრნიოს სახით, რომელმაც ავანგარდიზმის ბორიტი ხელების თავდასხმა განიცადა.

50-70-იანი წლების რუსულ კულტურაში დამრუნდა საუკუნის დასაწყისის რუსული ავანგარდის მეორე ტალღა მისთვის დამახასიათებელი ნოვაციებით. მათი დადგმითად ხსენება პრესაში შეუწყდა 1962 წლის გახმაურებული გამოფენის შემდეგ. ისინი, განსხვავებით თავიანთი დიდი წინამორბედებისაგან, რნებოდნენ ხელოვნების საერთო სახლის სადღაც სარდაფებსა და სხვენებზე. პროცესის შეჩერება უკვე შეუძლებელი იყო. მხატვრები წავიდნენ იატაკქვეშ. „რკინის ფარდა“ გაიხსნა და ევროპიდან შემოიჭრა ეკზისტენციალი და ცნობილ მხატვართა რეპროდუქციები. მათ გააცნეს მსოფლიოს იატაკქვეშა რუსული ავანგარდიზმი.

80-იანი წლების ახალგაზრდა მხატვრები — ავანგარდის მუსამე ტალღის წარმომადგენლები, აწყობენ და სხვენებზე. მათი ნამუშევრები დაუბრკოლებლივ იყიდება და შეუშრეებელი ნაკადით მიდის დასავლეთში.

70-იანი წლები და 80-იანის დასაწყისი აღინიშნა საბჭოთა ესთეტიკური ხელოვნების ღრმა ღეგრადაციით. სოციალისტური რეალიზმი, რომელიც ათეული წლების მანძილზე იყო გაბატონებული მიმართულება ხსრკ ხელოვნებაში, სინამდვილეში წარმოადგენს არა ხელოვნებას, არამედ პოლიტიკის პროპაგანდის ინსტრუმენტს. გამოჩენილმა დასავლეთგერმანელმა ხელოვნებათმცოდნემ პან პეტერ რიზენ 1989 წელს მოსკოვში მხატვრის ცენტრალურ სახლში გამოსვლისას განაცხადა: „თეორიის კატეგორიებით თუ ვიმსჯელებო, სოციალისტური რეალიზმის რეპტილიული კონცეფცია ხელოვნების განადგურების პოლიტიკური მცდელობაა“.

80-იანი წლების მეორე ნახევრიდან იწყება

ეროვნული ბიბლიოთეკა

სერიოზული ძვრები ჩვენს სამხატვრო და სოციალურ სიტუაციაში. სამხატვრო პოლეტიკა იფეოლოგიური მომენტებით გრძელდებოდა 1987 წლამდე, როცა ხელოვნების განვითარების ახალი ტენდენციები და მისი ორგანიზაციის ახალი ფორმები გაჩნდა, როცა ვუჩეტინის სახელობის საკავშირო სამხატვრო სარწმოო კომბინატის ექსპერტის განყოფილებას ნება დაერთო გაეყიდა ახალგაზრდა მხატვრთა ის დროისათვის გაბმაულებული 3-17 გამოფენაზე ექსპონირებული ნაწარმოებები. ეს ეპიზოდი ანგარიშიანობისა და თვითფინანსირების დასაწყისი სამხატვრო პოლიტიკაში. ამიერიდან დაიწყო ბრძოლა ნორმალური ფასებისათვის. სახელმწიფო შეცვლიდა ბინაპოლიზაციას. ამას ხელი შეუწყო სხვა-ში დაწყებული პროცესმა, რომელსაც დიპლომატიურად „გარდაქმნა“ ეწოდა.

ცენზურული შეზღუდვებისა და სახელმწიფო იფეოლოგიური დიქტატის მოხსნამ გამოიწვია ხელოვნებაში ახლის დამკვიდრების პათოსი, სიუჟეტების, სახეების, ენების, წარსულის გამოცდილების ახალი კაუზრება, შემოქმედებითი ექსპერიმენტის წყურვილი, ხატოვან-კონცეპტუალური გადაწყვეტების ძიება.

ხელოვნება სოციოლოგიზაციის ახალ ტალღაზე გავიდა.

ჩვენი დრო აღინიშნება სინოფეტრი შემოქმედების მოვლენებით, ჟანრების საზღვრების რღვევით, სხვადასხვა მხატვრული საწყისების შერწყმით, უკიდურესი ავანგარდიზმიდან ტრადიციულ აკადემიზმამდე დაძაბული რიგით. ახე, რომ ახლა უფრო ძნელი გახდა შეიერძნო, ვიდრე იფიქრო. გაიზარდა მხატვრული თვითკმაყოფილების შესაძლებლობა, ანუ შემოქმედების თავისუფლება.

დღეს ნებისმიერი მიმართულების მხატვარს უფლება აქვს გამოფინოს თავისი ნამუშევრები.

დასავლეთში მოსწყვლდათ გამოფენები. ჩვენთან გამოფენების ბუმია.

გამოფენა-გაყიდვებით, აუქციონებით, ბაზრობებით ყოფილი სსრკ და ყოფილი მოკავშირე რეპუბლიკები თანდათან შედიან მსოფლიო მხატვრულ კულტურაში. გამოფენები აგალენენ ახალ სახლებს, ახალ ადგილნებს, ახალ იდეებს, ახალ პრობლემებს.

ხელოვნების თანამედროვე სოციალურ და კომერციულ ექსპანიას ჩვენს დროში ახლავს ის, რომ ის აღარაა ორიგინალური და ნოვატორული. ხელოვნებათმცოდნეთა აღიარებით, „ხელოვნების შესაძლებლობებზე საყოველთაო ეუფალურება პირდაპირ პროპორციულია მისი გარეგანი წარმატებისა“, „ბევრი მხატვრის შემოქმედების თავშეუბღუბა კომერციალიზაციამ მიგვიყვანა მხატვრული კრიტერიუმების დონის დაკვეთებამდე“.

მხატვრების მასობრივი წასვლა საზღვარგარეთ რსფსრ-ისა და ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში სამხატვრო ცხოვრების ჩვეულებრივი მოვლენა გახდა. მაგრამ ეს წასვლაც არ არის უმტკივნეული. ის ახვა დახასიათებული ეურნალ „ტვორჩესტვოში“: „დასავლეთში გამოფენების მოსაწყობად რომ მიდიან, ამ მხატვრებს იმედი აქვთ, რომ დაიპყრობენ დასავლეთის სამხატვრო სამყაროს. იქ მართლაც ხედავან მათ დიდი ინტერესით, მაგრამ ესა ინტერესი მაინდე უცინობ ქვეყნის ამორიგენების ხელოვნებისადმი, ე. ი. ეს ინტერესი ეთნოგრაფიული ხასიათისაა. ისინი ბრუნდებიან შეიძლება გამდიდრებულნი, მაგრამ ძალიან აღრეული გრძნობით, უმრალოდ უკმაყოფილნი, დაცლილნი, გაწყვეტებულნი...“ (1990, № 8, გვ. 15).

ადრე მხატვრისათვის მთავარი საფრთხე ხელისუფლების, კერძოდ სუკის მხრიდან მოდიოდა. ახლა მტერია დასავლეთის ბაზარი. ძნელია განსაზღვრო, რომელი უფრო საშიში და ძლიერია.

კულტურის რიული პერპეტეტებისა და კრიზისული სიტუაციების ამ პირობებში მოუხდათ ხელოვნების ასპარეზზე ვამოსვლა ქართველ ოთხმოციანელებს. პარადოქსებით საგხე სამყაროში მათ მოიტანეს ჩვენს ხელოვნებაში მეტაფორების, გროტესკის, ისტორიასთან დიალოგის, უსაზღვრო პარმონიის, ამალლებული ემოციურობის მოტივები, სამყაროს სტრუქტურული აღქმის ახალი მოდელი, ახალი პოეტიკა, გამრავლებული შესრულების ვირტუოზულ არტისტიზმზე. მათ მხატვრობას დაუბრუნეს ესპიერობა, რომანტიკული ხედვა.

ამ თაობის ერთ-ერთი ყველაზე ღირსეული და წარმონენილი წარმომადგენელია გია ბუღაძე. იგი ჯერ ორმოცი წლისაც არ არის, ეს ასაკი შემოქმედისა და მოაზროვნისათვის სიმწიფის ხანაადა მიჩნეული. „ჩემი თაობა ჯერ კიდევ ახალგაზრდათა რიგსეკ ეკუთვნის, ამიტომ მომავალში ნიახლეებს უნდა ველოდოთ“, — გაანაცხადა მან გაზეთ „ქართველი ერის“ კორეს-პონდენტთან საუბარში. დაიბადა 1956 წლის 24 სექტემბერს, თბილისში, ექიმების ოჯახში. დამთავრა თბილისის სამხატვრო აკადემიის ფერწერის ფაკულტეტი, შემდეგ — საკავშირო სამხატვრო აკადემიის ასპირანტურა. 1981 წლიდან რეგულარულად იღებს მონაწილეობას პერსონალურ და რეტროსპექტივულ გამოფენებში, რომელთა არაელი მოიცავს ლატვიას, ესტონეთს, პალერმოს, ბერლინს, ბიუნხენს, პარიზს, კანს, პარსელონას, ციურიხს, მოსკოვს, კიოლნს და, რა თქმა უნდა, თბილისს. სულ ანლახან შეეცალიანაა (ბაზელში) მოაწყო სამი ბაფოფენა უკანასკელ და შეეცალიელ მხატვრებთან ერთად.

1989 წელს ბერლინში მოხატა მარტინ ლუთერ კინგის ეკლესიის თეძის დარბაზი. 1990

ეროვნული ბიბლიოთეკა

წელს გააფორმა პარიზის წმ. ნინოს ქართული ეკლესიის კედელი... კედლის ფერწერაში დასტია მრავალი ჩვენი ისტორიულ-რელიგიური სიმბოლეკი. 1985 წელს მიიღო პრემია წლის საუკეთესო ნამუშევრისათვის, 1990 წელს — „საფრანგეთის პრეზიდენტის პრემია" კანის სამხატვრო საერთაშორისო ინტერნაციონალურ ფესტივალზე — საუკეთესო ნაციონალური ჯგუფისათვის (ჯგუფში შედიოდნენ აგრეთვე ლევან ჭოფლიშვილი, ილია ნიტაკე და ლუკა ლასარეშვილი). ამ ფესტივალზე ჯგუფი სრულიად შემოხვევით მოხვდა. მათი ხელნერობა ხალეების ფონდის განკარგულებაში მალვა თაყაიშვილმა იკისრა. როგორც იმ დროების პრესა იუწყებოდა, დებიუტი ტრიუმფად ექცევა — ფესტივალზე დაწესებული ორი გრანდ-პრიდან ერთი მათ ერგოთ. ეს იყო ქართველ მხატვართა ახალი გამარჯვება. ყველაფერი მოხერხდა მოსკოვის გვერდის აყენა. მაგრამ პრემია რუსეთის ნაციონალური ჯგუფის კუთვნილებად გამოცხადდა და ოქროს medaliona და ფულადი ჯილდოც გადასცეს სხვა მხატვართა კავშირის მდივანს ვლ. გორონოვს, როგორც საბჭოთა ქვეყნის ოფიციალურ წარმომდგენელს...

კანის ფესტივალზე გიან წარადგინა „ქართული დროშა" და „ვახტანგ გორგასალის ბრძოლა".

1983 წელს ხელოვნების მუზეუმთა სახლში მოეწყო გია ბუღაძის, ლევან ჭოფლიშვილის, გია ჯუჯუშვილის, ქეთი მატანელის, ლეელა შელიას, ვახტანგ ბაბალიას ნამუშევრების გამოფენა, რომელიც დიდწო რიბარდ ვაგნერის შუხეკოთ. გია ამ გამოფენაზე წარმოდგენილი იყო კომპოზიციით ვაგნერის ოპერების თემებზე. 1993 წელს, საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში კვლავ მოეწყო ოთხმოციანელთა ჯგუფური გამოფენა — „ათი წლის შემდეგ", რომელიც-ზეც და ეარსებდა პანორამული ნაწარმოებით — „ინტუიციები დანტეს მიხედვით". თვით მხატვრის თქმით, „ეს არ გახლავთ ილუსტრაცია დანტეს დიდებული შემოქმედებისა, მასში პარალელია გაკეთებული დღეკანდელ ტრაგიკულ ყოფასა და დანტეს ღვთაებრივ სამყაროს შორის".

ამავე ხანებში მან, საკუთარი აღიარებით, გაიცნობიერა პოსტმოდერნისტული სიტუაციის რეალობა და ინტენსიურად შეუფვა მუშაობას პოლიპტიხების სისტემაზე, რომელიც დაიწყო მისი ერთ-ერთი ციკლიდან — „დონ ჟუანი".

მხატვრის მრავალრიცხოვან ფერწერულ ტილოებში, ხერიგნსა და ციკლებში ოვრანობა სწრაფვა არა თვითდამკვიდრების, არამედ თვითსრულყოფისათვის, როგორც ის ახასიათებდათ ავანგარდისტებს.

მხატვრის მიკუთვნება რომელიმე მიმდინარეობისათვის რამდენადმე საკამათოა. ხაინტერესოა მარკ შაგალის აზრი ამ საკითხზე: „მიმდინარეობა! ეს უმალ შემოქმედებითი ცნებაა. დიდი მხატვრები ის ოსტატები არიან, რომლებიც არდევევენ მიმდინარეობათა ჩარჩოებს, მაგრამ მაღლა დგებიან, არ იბორკებიან მიმართულებათა ნორმებითა და წესებით. მიმდინარეობათა ჩარჩოებში სრულად თავსდებიან მხოლოდ საშუალო ნიჭის ადამიანები.

მიმდინარეობა, ისე როგორც ძოდა, ხელს უშლის მხატვრის ნამუშევრის სწორ, მიუდგომელ შეფასებას".

მხატვარი გია ბუღაძე მიმდინარეობის საკითხში მარკ შაგალის თვალსაზრისზეა: „არც ერთ მიმდინარეობას არ ვეკუთვნი. არა ვარ ავანგარდისტი, არც პრიერეგარდისტი, არც მოდერნისტი, თუმცა ნეშთის ახლოგელია XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისის მოდერნისტული მისწრაფებები. საკუთარ თავს უფრო მეტად აღვიქვამ პასოლინერი ტიპის მხატვრად, რომანტიკოსად, ხოლო თუ უფრო დეკადენტენებს — ნეორომანტიკოსად ექსპრესიონისტად განხრით. ინტერეს ექსპრესიონიზმის მიმართ ნეი თაობის დამსახურებაც არის, 80-იანი წლებიდან რომ გამოვედით".

რომანტიკული განწყობილებანი აიხსნება გიას გატაცება რიპარდ ვაგნერით როგორც მუსიკაში, ისე მხატვრობაში. შემოხვევითი არაა, რომ მისი სურათების უმრავლესობაში ფერი მუსიკალური აკორდის მსგავს ელერადობას აღწევს.

გია ბუღაძის თეორიულ ნააზრევში ხშირად ეხვდებით გერმანული კულტურისა და ხელოვნების, ფილოსოფიისა და ისტორიის ცნობილ მოღვაწეთა სახელებს (გოეთე, ნიეშე, მოცარტი, ვაგნერი, კირხეკერი, ჰოფმანი, კანტი, შილერი, ფიხტე, შელეელი და სხვა). ეს არაა შემთხვევითი: გერმანია გია ბუღაძეს რატომღაც ყველაზე მისაღებად მიაჩნია ქართველებისათვის, რადგან ის „ერთდროულად ატარებს ეროვნულობას წარსულიდან და სახელმწიფოებრიობას მომავლიდან". ჩვენი რომანტიკოსობაც, ნეორომანტიკოსობაც და ექსპრესიონიზმიც — ყველაფერი გაერთიანებულია საქართველოსა და გერმანული კულტურის სიყვარულითო, — განაცხადა მან. მისი ნატურისადგან დამახასიათებელი რომანტიკული ტენდენციები ყველაზე მეტად ეხმიანება გერმანული რომანტიზმის იენის სკოლის ტენდენციებს, რომელიც დაკავშირებულია შლეგელის, შელინგის, შილერის, ჰერდერის სახელებთან.

გიან მხატვრულად ააფორმა ფილმი „იავნანამ რა ჰქმნა"; ხელმძღვანელობს ექსპერიმენტულ ჯგუფს აკადემიაში; ლექციებს კითხულობს თეატრალურ ინსტიტუტში; აქტიურად მონაწილეობს რესპუბლიკის სამხატვრო ცხოვრებაში; არის რესპუბლიკის მხატვართა კავშირის მდივანი. მისი ზრუნვისა და ინტერესების წრე მოიცავს სამხატვრო ცხოვრების

ეროვნული ბიბლიოთეკა

უამრავ მხარეს: გაცვლითი ხასიათის გამოფენების მოწყობა ანანოვიანის ახალგაზრდა შემოქმედთა კლუბში, კომპლექსური კვლევითი სამუშაოების ჩატარება, მხატვართა წახალისების ფორმების შემუშავება, ახალგაზრდა მხატვართა ნამუშევრების გამოფენა ქუჩაში ან კოშეტარების ბაღში. „ეს შეეხეინი ბაღი, — წერდა ი.მხატვრის კვირეულის ერთ-ერთ საგაზეთო მიმოხილვაში, — კულტურული თვალსაზრისით აუთვისებლად მეჩვენება, მიუხედავად თავისი ხელსაყრელი მდებარეობისა“. თბილისში კერძო პრესტიჟული გალერეებისათვის რომელიმე უნნის შექმნისა და ქართული ხელმაკეთების წარმოების საკითხებზე პრაქტიკული ნაბიჯებიც გადადგა.

როგორც მხატვარს, გიას ახასიათებს სწრაფვა მონუმენტური მხატვრობისაკენ, დიდი ფორმებისაკენ. აქ სულ სხვა სივრცობრივ-მხატვრული პრობლემები დგება მხატვრის წინაშე. „ეე დიდ ტილოებზე მიეკარნ მუშაობა, ისტორიული ანალოგიათ დღეკანდელობასთან ლაპარაკი“, — განაცხადა მხატვარმა ერთ-ერთ ინტერვიუში.

ასე შეიქმნა სერიები, ციკლები, ილუსტრაციები დიდფორმატიანი ნამუშევრებისა დავით გურგანიშვილისა და სახარების თემებზე, დანტეს ღვთაებრივი კომედიის ვარიაციებზე, ციკლები „ამალლონი ტრაგედიები“, „სტუმრები“, „ქართული დროშები“, „ქართლის ცხოვრება“. ეს პანორამები მოითხოვს სპეციფიურ სივრცეს, რაც ართულებს მათ გამოფენას ჩვენს დარბაზებში.

ფერწერული პანო „სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსი ხელაია“ გამოიფინა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქმო დარბაზში, 1989 წლის იანვარში. ეხაა ექვსი ტილოსაგან შემდგარი პოლიტიხი 25 კვ. მ. ფართობით. პანოს პირველი სურათი გამოხატავს ჯვარცმული ქრისტეს წინაშე მუხლთმოყრილი კათალიკოს-პატრიარქის ღაღადს; მეორე სურათზე ამბროსის ფიქრები და ზრიამენია წარმოდგენილი (ამბროსი რამდენიმე თვოლოგიურ თხზულებათა ავტორია); მესამე სურათში საპრობილიდან ქალაქში მოშვაული ნეტარხსენებული ამბროსის ფიგურაა გამოსახული მეტეხის ხიდზე. შემდეგი სურათები ამბროსის პორტრეტს და სინათლის ტრიუმფს გამოხატავს.

რელიგიური თემა მოითხოვს „მაღალ წყობას“, სერიოზულ ამალლებულ სტილს. იკონოგრაფია ადამიანის შემოქმედების ურთულესი და უღრმესი სფეროა, არსებობად ეს ღვთისმსახურებაა. საგულვალოდ დამტკიცებული რუსული ავანგარდის დაინტერესება ხატებით (მალევიჩი, გონჩაროვა, ლარიონოვი, კანდინსკი, ტატლინი). ძირითადად კი და ბუდაე რელიგიურ სიუჟეტებთან დამოკიდებულებაში ტრადიციული იკონოგრაფიიდან კი არა, საკუთარი განცდებიდან გამოდის, რაც ქანსაკუთრებით ნათლად გამოხატა მხატვრის ბოლო რელიგიურ სიუჟეტში „ჯვრის ზიდვა“. აქ ტრადიციული ფორმა საკუთარი ინტერპრეტაციითაა წარმოდგენილი. ანალეკა სერიაში „ათაქმენი ახალი ზამბარი“, რომელიც 1986 წელსაა შესრულებული. ეს უფრო განზოგადებული ფიერწერული სახეებია.

გია ბუდაძის როგორც მხატვრისა და მოქანდაკის მხატვრული შემოქმედებით მიწაში, ენობრივი, ზნეობრივი და რელიგიური იდეალები, ყველაზე მეტად გამეღვენნდა „ქართლის ცხოვრების“ თემაზე შექმნილ ციკლში. თავისი სტრუქტურით ეხაა რთული პოლიფონური ტილო, ალბეჭდილი სუბიექტური და ობიექტური, ინტუიციური და რაციონალური, შეგნებული და ქვეცნობიერი მომენტებით.

რახან სიტყვა „ქვეცნობიერზე“ ჩამოვარდა, ასეთი მომენტი ვვინაა ალვნიშნოთ მხატვრის შემოქმედებით ბიოგრაფიიდან, მის მიერ მოხსენიბილი ერთ-ერთ საგაზეთო ინტერვიუში: გია წარმოშობით იმერულ სოფელ ჯალაურთიდანაა. პირველად სულ რამდენიმე წლის წინ ნახა ეს სოფელი და გაოცდა: „ბარემ, მთები, ხეები ყოველივე ძალზე ჰგავდა ამ ადგილებს, რომლებსაც მე ვხატავ, თუმცა მანამდე ჩემს სოფელში არასოლს ვყოფილაარ. ეტყობა, არსებობს რაღაც ვენტიკური მეხსიერება“.

ჩვენს დროში საგულვალოოდ აღიარებულ ატელელმლიდან იქცა ხალხის დამრწმენა საკუთარი კულტურის ძირებისაკენ, შემობლიურ კულტურულ მემკვიდრეობაზე დაყრდნობა. დროდადრო ჩნდება ედები, თანამედროვე მხატვრული კულტურის სხვადასხვა მოვლენას შეხელნ არქაულ, კერძოდ, მითოლოგიურ აზროვნებასთან მათი კავშირის თვალსაზრისით. აქედან მოდის ხელოვნების ნაწარმოებების ახალი, მოულოდნელი ინტერპრეტაციები. მიმართავენ მითის, როგორც აზროვნების სპეციფიკური სტრუქტურის, სტილიზებას.

ეროვნულ უოანხმობებია გამწვავებისას საკუთარი სულიერი საწყისების ძიება გავრცელებული მოვლენა ხდება და აირეკლება ბევრ მხატვრულ ნაწარმოებში. ახალი ალქმის სახეები ფართო ნაკადად იჭრება თანამედროვე სამხატვრო კულტურაში.

გია ბუდაძის მოელი მხატვრობა, ისე როგორც თეორიული შემოქმედება, დაბეიროლია მემკვიდრეობის, ტრადიციის, ნოვატორობის, კულტურულ-ზნეობრივი ძიებების თემებით.

მხატვრის სწრაფვამ მხატვრობაში, სინათლეს და ფერში ახსოლუტური თვითრეალიზაციისაკენ უმალლესი გამოხატულება ჰპოვა „ქართლის ცხოვრების“ ციკლში, რომელზეც წელიწადნახევარი იშუშავა და 1985 წელს დაასრულა. თუმცა თელის, რომ ჯერ კიდევ არა აქვს დასრულებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სერია შესრულებულია რომანტიკული მანერით, მონტაჟური კომპოზიციის პრინციპით; წარსულის გაცნობიერებას, ისტორიული თემის ახალ თავისებურ ინტერპრეტაციას ქართული ლეგენდა-ძველებები უდევს საფუძვლად. ისტორიული დრო გადმოცემულია სიტუაციაში. ციკლი მოიცავს სურათებს: „მარტოხე", „ქალიღმოვლობის ღამე", „სიდონიას საფლავი", „თხოთის მთა", „ჯვრის აღმართვა", „ჯორგასლის სიკვდილი", „ბაბილონის გოდოლი", „ქართველ მეფეთა ცხოვრების ეკუნალიგიური ხე", „მირიანი და აბეშურა", „მირიანი და ნანა", „ფარნავაზის მეტეთა", „არმაზის მსხვრევა", „მირიანის სასახლე", „ნათლის ღება", „ჩრდილოთა თეატრი", „ცისნე ღიღი", „სარკინე", „ბუეუს წყარო", „სამეფო გზა", „ქართლოსის წილი" და სხვ. სულ 36 სურათს. თითოეული სურათის იდეა პეიზაჟური მოტივების საშუალებითაა გახსნილი. ფერს აქ, ისე როგორც გიას ყველა ნამუშევარში, სიმბოლურ-მეტაფორული დატვირთვა აქვს და ემსახურება სიუჟეტის გახსნას.

ციკლი შესრულებულია ზეთით. მხატვარს უმუშავია ტემპერითაც, აკვარელითაც, მაგრამ მისი საყვარელი სალებავი ზეთია. „ზეთი მაინც ზეთია, ზეთი მეფეა სალებავებს", — ამბობს მხატვარი.

ციკლის ყველა სურათში ფერი თამაშობს აქტიურ სიმბოლურ როლს. ფერის საშუალებით ზუსტადაა დადეფსირებული ბუნების მდგომარეობა, ნისლი, ნეხტი, ყინვა ზუსტი ფერადი გადასვლებით. ლაკონური ფერების გამით მიღწეულია სივრცობრივი სიმრავლის ილუზია, სტილიზაციის სტრუქტურის ემოციურობა, კომპოზიციური და სატიპანი გადაწყვეტები.

სილამაზისა და ჰარმონიის შეგრძნებით, ნატურის პოეტიზაციით გამოირჩევა ციკლის ძოელი რიგი სურათები. ჩვენს წინ ეოცსლდება ძველი მეხოო. ჯვრის აღმართვა მზის რბილი შუქითაა განათებული. ძოელი ტილო, ჯვარიც, ადამიანიც ჩალიჰრეითაა მოცული. „ნათლის ღღეში" მზის სხივებით განათებული ტყის დაბურული ფუძე მწვანე ბარეთის ფონზე წარმოდგენილია ალასტეიური ეფექტებით აღბეჭდილი ფიგურები.

ძირითადი და გარდამავალი ფერების ძოელ გამაში, რომელსაც მხატვარი მიმართავს მეტაფორული აზრის გამოსახატავად, ყველაზე მეტად მაინც თეალში საცემია ოქროსფერი. „ქართლის ცხოვრებაზე" მუშაობისას, — წერს მხატვარი, — ოქროსფერმა ვამეტაკა. თემა იყო ისეთი, რომანტიკულ ნათელში უნდა გამეკეთებინა, ამიტომ დამჭირდა ოქროსფერი.

მეტაფორა მხატვარის მეორე შინაგანი რეალობაა, წინათგრძნობაა. ქვეცნობიერების ალაბტებზე ლაპარაკი მის მხილოდ მეტაფორების დახმარებით შეუძლია. მეტაფორული აზროვნების საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს სურათი „მარტოხე". მუქ და რბილფერ ტონებში წითელ-ვარდისფერი გამით შესრულებულ სურათს ერთგვარი დისონანსი შეაქვს ციკლის საერთო მაკორსულ განწყობილებაში. მიუვალ მთაზე მდგარი მარტოხე ქმნის ამაყ, მაგრამ ტრაგიკულ განწყობილებას.

მარტოხის თემა ქართულ პოეზიაში გიორგი ლეონიძემ და ქართულ ფიტოხელოვნებაში — გუნაშ თიკანიძემ დაამკვიდრეს. ბატონმა გიამ მხატვრის ენაზე ამიტყველა ეს თემა და მისცა მას ისტორიული ეკლესიადობა.

მთელ რიგ სურათებში მითოლოგიური ხასიათი გამლიერებულია ადამიანთა ფიგურებით. მხატვარმა როგორდაც შენიშნა, რომ ის ნიშეში, რომლებზეც რაღაც არსებობა გამოსახული, დროთა განმავლობაში ჩემთვის სხვა შინაარსებს იძენს, ხოლო ნონფიგურაციული, აბსტრაქტული კარგავს ამ მნიშვნელობასო. „ქართლის ცხოვრების" ციკლის თითქმის ყველა სურათზე რაღაც არსება კი არა, თვითონ ადამიანია გამოსახული. ამასთან ეს ადამიანები უმთავრესად ისტორიული პიროვნებები არიან, რომლებიც მხატვარმა წარმოადგინა საკუთარი ხედვით და პლასტიკური სისტემით.

სურათში „ფარნავაზის ნაფირობა" სცენის სიღრმისეულად გამოსახვაში ეიჭრნით წინა პლანიდან. მოქმედება გამოსახულია ტყეში, ტყის ფონი გაყოფილია ორ ნაწილად, რაც ადგილებს გზის შუა ნაწილის აღქმას. ამ გზის მიმართულებით ისახება შორეული პლანი, შთამეშნდოვად და რეალურადაა წარმოდგენილი ტყის ფაქტური, რაზეც მიგვანიშნებს ხის გულმოდგენე დამუშავება — ტყის ეეიზაეის ცალკეული ელემენტები წარმოდგენილია ცოცხად, თითქოს ხელშესახვიდან. ტყის ფაქტური მოღიანობაში აღიქმება საერთო ფონად, რაც შეუსაბამებს თემის სათაურს.

მეფე ფარნავაზი მოწითალო მოსასხამით ზურგშექცევით დგას. მოსასხამის მოწითალო ფერი ორ ფერად აირეკლება. განსაკუთრებით მკეთრად აღიქმება ხელი. ფიგურულ გამოსახვაში მოიასამნისფერო, მოწითალო, მორუხო და მოიისფერი ფერების შეხვედრა მაქსიმალური ეფექტურობის მიღწევას ემსახურება. ანატომიური თვალსაზრისით ფიგურა პროპორციულია, შესრულებულია თავისუფალი ხელწერით. ფერთერთშეპირისპირებულია მოცისფერი, მორუხო, მოწითალო, მოყვითალო ფერები. განსაკუთრებით მკეთრადაა წარმოჩენილი მუქი წითელი და მუქი შავი ფერი, რომლებსე ერთმანეთს ეფუძნა კონტრასტულად, მაგრამ მათში გამოსჭვივის მოთეორო, მოყვითალო, მორუხო ფერები, როგორც ეა ფერები, რომლებიც წარმოსახულია უკანა პლანის ფონად.

ციკლის ყველა სურათში გამოსჭვივის მთავარის გამორჩევის და მისი უფრო რელიეფუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რად ჩვენების უნარი. ზოგჯერ მხატვარი ამას აღწევს ორიოდე შტრიხით და ხაზით — ეს მისი ფეოდწერის მარული ძირითადი თვისებაა. ფარნაოზის ნადირობის სცენაში ახეთ შტრიხად გვევლინება მეფის ხელი, რომელიც საგანგებოდ და მაღალი ოსტატობითაა დამუშავებული.

ფარნაოზისადმი მიძღვნილი მეორე სურათი „ფარნაკაზის მცხეთა“ მიგვანიშნებს ქართლელთა და მცხეთოსის პრინციპთა შეერთებაზე, რაც სიმბოლურად გამოხატულია ორი ურთიერთგადაკვეთი ციხარტყელით.

ქართლში წარმართული პანთეონის ნგრევის ისტორიულ ფაქტზეა აგებული სურათი „არმაზის მსხვრევა“. აქ ნაბერის მოლიან აღქმას ემხატვრება. სინათლისა და ფერების ურთიერთობათა ზუსტი გადმოცემა. ძველი კერპების მსხვრევვის სიმბოლოებადაა გაპრწყვილი ჩამოქუფრული ცა, ქარიხვან გადახრილი ხეები, ჭეკა-ქუხილი, გაფაფული ფოთლები.

„არმაზის ციხეში“ იკივე მოტივია განვითარებული. ალდის ფონი მოგრძო, ფართო ლაჟვარდით აღიქმება ახლოდან დანახულად. ფაქტური რიტმულ მოძრაობაში დიდ როლს ასრულებს ორად გაყოფილი კედელი და გუმბათოვანი ტაძრის სამრეკლო, რაც ბზის ფონად აღიქმება. აქ ერთიანი მორუხი ფერთა ტონალობის ბატონობს, რომელშიც ხუფვეს მიმწვანო, მიშავო, ყავისფერი, შინდისფერი, სტაფელოსფერში გადასული მოწითალო. სურათის მარჯვენა კუთხე აღინიშნება თეთრი და ღია ტონალობით. ჩნდება შეერანება, რომ მხოლოდ კედლის ფონის ფრაგმენტია გამოსახული. სურათის თლიანი შინაარსი გადმოცემულია მეტაფორულად — ფერების შეშეკობით. სურათზე მნიშვნელოვანი დეტალია ნანრეკვები ქვების სახით. გულმოდგინედაა დამუშავებული ფერების შეშეკობით კედლის ფაქტურა და ქვების ფორმა. მოლიანობაში ტილო არის სად ფაქტურით შესრულებული.

ქართველთა განმანათლებელ მირიან მეფეზე „ქართლის ცხოვრება“ გვაუწყებს: „აღიზარდა მირიან მსახურებაში შეიდა მათ კერპთა და აგრეთვე ცეცხლისასა“, ე. ი. მირიანი ორ რეალურ მსახურებდა: სპარსთა სულს — ცეცხლისმსახურებას და ქართველთა რეალს — კერპთმსახურებას, ვიდრე არ მოიქცა სასწაულით „ყოველსა ქართველსა წმინდისა და ნეტარსა ღვიძსა ჩვენისა ნინო მოციქულის მიერ“.

„ქართლის ცხოვრების“ ციკლში მირიან მეფეს რამდენიმე სურათი აქვს მიძღვნილი. „მირიანის დაბრენება“ ასახავს თხოთის მთაზე ნადირობიდან დაბრუნებულ მეფეს, რომელსაც გზა აუბნა და სასწაულებრივად გადარჩენილი ილეს გადაწყვეტილებას ეწამოს მაცხოვარი. ის დაპყრობს მის წინ გაშლილ ქალაქს და ხედავს მას განათებულს, განწმენდილს, რომლის სიმბოლოც თეთრი ფერია — ნიკეთის, სიყვარულის და სულიერების სიმბოლოა.

სურათის „მირიანის სასახლე“ შინაარსობრივი მხარის გადმოსაცემად გამოყენებულია ფარდის დრაპირების პრინციპი ხაზოვანი და ტალღოვანი ირეთ. სასუნაოე სიბრტყეზე ვხედავთ მოქმედ პირებს, რომლებიც ზურგშექცევით დგანან ჩვენგან. უკანა პლანი მიგვითითებს სივრცეზე. სასახლე გაშლილია ამ სივრცეში. ნახატის საერთო კომპოზიციურ ქსოველში განლაგების სტილით ორგანულადაა ჩასმული ეკვალი, ფოთლები, ფარდის ნაოჭები. სივრცობრივად სცენის რაღაც ნაწილი გამოსახულია შემჭიდროებული სახით, რაც მიგვითითებს განაწილების გულდასმით შესრულებაზე სასურათე არეში.

სურათი რაღაც სცენური მოქმედების ეერს ატარებს. მაყურებლისგან ზურგშექცეული ქალთა მწკრივი დგას ოფალური ფორმის ამაღლებაზე. ეს დეტალი მთელ სურათს ანიჭებს დრამატულ-ღირიულ ელერადობას. მთლიანობა მიღწეულია ფერადოვნებით, ჩანელებულად ფერთა შეპირისპირებით ღია ფერთა ხელაშლა. რაღაც იდუმალი და უნეკეული იერძრნობა ბურუსში გახვეული, თითქოს მარმაშის ფარდაჩამოფარებული დარბაზის ქერალი სილუეტების მიღმა.

ეურადღებას იქცევს ინტერიერის გამოსახვა კომპოზიციური ჩარჩოებით.

დინამიკით გამოირჩევა მრავალფიგურიანი კომპოზიცია „მირიანი და ნანა“. სურათი წარმოდგენილია არმაზის პეიზაჟის ფონზე. კომპოზიციის ფერადოვან ნყობაში ეველაზე მკვეთრად აღიქმება სამეფო სამოსის მეწამული ფერი, რომელიც ქმნის სასახლობრივ-გამომსახველობის მთავარ ეფექტს. კომპოზიცია გამოირჩევა ფერით ტონალობისა და გამოსახვის განსხვავებული მანერით. ცენტრში მირიანისა და ნანას ფიგურებია. ოდღიფლის მხეკალი ვარდების თაიგულით ხელში მთელ სურათს ანიჭებს ზეიმერობის ელფერს. ფონის წინა პლანზე გამოსახული ფიგურები ორ ან ოთხ მოქმედ პირად აღიქმება. უკანა პლანზე გამოსახული შენობა აღიქმება ციხედ. ორივე მხარე იღლვა ხეებუბჭოვანი ხაფარის აღქმას ორი ფერის მონაცვლეობით. მარცხენა მხარეს ფოთლოვანი ხის გაშლილი ტოტების ფაქტურას შემოაქვს სურათი რაღაც ჩამფიქრებელი, ფსიქოლოგიური განწყობის ხფერდან. მოქმედი პირები გამოსახული არიან სახის სერიოზული გამომეტყველებით და შეჩერებული რაღაცის მიმართ.

მოქმედება იშლება წინა პლანზე მირიანისა და ნანას ფიგურაოა სახით. აქ ისტორიული მოტივია ალბეჭდილი. უკანა პლანი გამოსახულია როგორც მეორეხარისხოვანი, მაგრამ მაინც ეკალმოდგინედ შესრულებული დეტალი, რაზეც მიგვანიშნებს ფიგურების, შენობების თით-

digitized by eurasianet

ქოს ახლოდან დანახული მეორე პლანი. შენობა ბუნდოვანებული ზოგადად ღია ტონალობით, მიწიათალო ფერის სახურავით, რასაც ესადგება ცის პლანის თეთრი-მორუხო ფერები, რომლებიც გადაკრეს შენობებს და კონტრასტულ ფერებთან ერთად მთელ ტილოსაც.

კომპოზიციაში ყურადღებას იქცევს დაწოლილი ქალის, მის წინაშე ხელადგომილი ქალის და ორი მამაკაცის ფიგურები. აქ რაღაც ღრმა ჩანაფიქრი გამოსჭვივის. დაწოლილი ქალის ჩაცმულობის მკვეთრი მწვანე-მონაცრისფერი ტონალობა თითქოს მინდერიდანაა გადმოფენილი. მეორე ფიგურის ჩაცმულობის მოწითალო ფერადოვნება ესადგება მამაკაცის ჩაცმულობის წითელ ფერს. მათი მშვიდი გამომეტყველება და ეგზოტიკულიცია გააზრებული იღეთ ირწყმის ერთმანეთს.

კომპოზიციაში ლირიული ბუნება შეაქვს ვეგეტალურად წვრტილებს მსხვილ ლაქებად.

კომპოზიციაში სამეფო ჩაცმულობის კეთილშობილ მეწამულ ფერებთან მეზობლობენ წითელი, მომწვანო-მორუხო, მოთეთრო, ღია ტონალობის ფერები და ყველანი ერთად და თითოეული ცალკე ქმნის ფაქტურის რიტმულ მოძრაობას და გამოსახველობის ეფექტურობას.

მომნტნის ღრმამტკიცობას აძლიერებს მუქი მოლურჯო-მონაცრისფერი გამაში შესრულებული აბეშრას ფიგურა.

რომანტიკული მანერიაა გადაწყვეტილი ფართო ემოციური დიაპაზონის ტილო „ნათლის ღება". ესაა დაპირისპირება ნისანფისა და ნიმნელისა. წინა პლანი ნისანფა. ხუთთა წყალი ნისანფის ჭალად აღიქმება. აქ ფილოსოფიური ჩანაფიქრია, ღრმად მეტაფიზიკულ-სიმბოლური ყღერადობით. ნისანფის ჭალები, აეტერის ჩანაფიქრით, სიმბოლოა სამშობლოს წყალ-სიერცისა, რომელსაც მინიჭებული აქვს ადამიანის არსზე ფიქრის უნარი. სურათი შუაწიდან ასხივებს ფერსა და ნისანფას.

ციკლის ერთ-ერთი შთამბეჭდავი კომპოზიციაა „სიფონიას საფლავი". კომპოზიციაზე თვით საფლავი არ ჩანს (გადმოცემის მიხედვით, მისი ადგილსამყოფელი უცნობია და თვით წმინდა ნინო ამაოდ შეეცადა მიეკვლია მისთვის). მხატვრის ფუნჯმა ტილოზე აღბეჭდა შემოდგომის თვის სამთავრის პეიზაჟები, ყოფითი დეტალები, საყოფაცხოვრები სცენები, კერამიკული ნივთები, ადამიანთა დინამიური ფიგურები, კანრული ეპიზოდები, შესრულებული მუქი და ღია ფერების გრადაციული სვლით, რეალური სამყაროს ყოველდღიურობა, რომელიც არ ეშორჩილება დროსა და სივრცეს. აქაც კომპოზიციის ერთ-ერთი ძირითადი საწყისი ფერია, ფერადოვანი ნიუანსები, რომლებიც ქმნის ფორმათა სკულპტურულობას, ხაზთა მოუხვევნარ ღინებას, შტრიხის ექსპრესიულობას.

მთავარი მთელ ამ კომპოზიციაში მსხმოიარე ხეა, რომელიც წარმოადგენს ახალი აზრის, იდეის აღმოცენების სიმბოლოს.

„ქართლის ცხოვრებაშ" ბუნწი ცნობები შემოვვინახა III საუკუნის ქართლის მეფეზე — რევ მართალზე: „თუმცა წარმართი იყო, მაგრამ მოწყალე და შემწე ყოველთა გაჭირვებულთა, რამეთუ ცოტა რამ სმენოდ სახარებიდან უფლისა ნვენისა იცოდ ქრისტესი და ჰქონდა სიყვარული ქრისტესი". რევ მართალმა აკრძალა ეკრეშის მსხვერპლად შეწირვა კერპებისათვის და ცხვრისა და ძროხის შეწირვა დაწესა.

ეიამ რევ მართალი წარმოადგინა მეცნიერის, ჭკუმარტების მკვლევრის სახით. მზის შუქით განათვალა დარბაზში რევ მართალი ხელში მინეტდით თუ რაღაც ნივთით ვვგალნეს სამყაროს შეცნობით ეატაცებულ ეკიმ ფუსტტ თავიხი ალქიმიკური იარაღებით ხელში.

ციკლის ყველა სურათი საკმაოდ დიდი მოცულობისაა. „ჯერ ერთი, მე მინდა მსჯტბაბერ თვმს შესაბამისად მოეუღებნო მასშტაბური ფორმა, მეორეე, ძალიან ბანალურია, მაგრამ ფაქტია: სადაც ეი ვმუშაობ, მაქეს ტეირე ფართობი: პატარა ოთახი, პატარა სახელოსნო, ნაკლები სივრეე და სინათლე. ამის კომპენსაციას ნაშრომში ვახდენ" — ასეთია მხატვრის ახსნა კითხვაზე: — რატომ ირჩევთ დიდ ტილოებს?

„ქართლის ცხოვრების" ციკლი, დაწყებული ლეგენდარული ჰერიოდიდან, შესრულებულია სტილური, სიუჟეტური დაშლის შეთხდით. ყველა მოქმედ პირს თავისი პერსონალური თემა აქეს. ყოველი სიუჟეტის გადმოცემისას იცვლება ლაიტმოტივი როგორც გამოსახვის საშუალება, იმის მიხედვით, თუ რომელ პერიოდს ეხება — წარმართულ, თარგამოსულ პერიოდებს თუ მირიანისა და ნანას ხანას. სურათები წარმართულ ეპოქაზე კორპუსული, ცვეწლოვანი წერის მანერიაა შესრულებული, ადრეული ქრისტიანული ხანისა — ნისანფის თბილი ტონალობით. მაგრამ ორივე შემთხვევაში სურათის ემოციური ყღერადობის საფუძველთა საფუძველი ფერია. კოლორიტის განსაკუთრებული ელეგანტურობა და კეთილშობილება, კომპოზიციის ერთიანობა მიღწეულია ძირითადი ფერების უნარიანი შერეწვითა და განაწილებით. ამასთან ფერის პარტიტურა მუდამ ზუსტადაა გათვლილი და მნიშვნელოვან როლს თამაშობს ტექსტის ორგანიზაციაში.

ასეა მხატვრის ყველა ქმნილებაში ფერის როლი და ეს არც არის შემთხვევითი — ეია ბუღამე აქტიურად მუშაობს ფერთა თეორიის საკითხებზე. მის სამხატვრო მიკროსამოსსა და თეორიულ ნააზრევში ფერი ფლობს ერთიან დინამიურ ბუნებას, განუზომლად ზრდის მხატვრული ხედვის შესაძლებლობებს და ეკვეკლინება როგორც მხატვრის ხელის ალსარება.

ქართული ხელოვნება მდიდარია მხატვრებით,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელოვნებამოცოდნეებით, მაგრამ, რა დასაბალია, ღარბაია ხელოვნების თეორიის საკითხებზე მომუშავე მხატვრებით, მხატვარ-მკვლევარებით. გია ბუღაძე თანამედროვე ქართულ სინამდვილეში ერთეულად ავსებს ამ სამწუხარო ხარვეზს და გვეელინება დღეით კაკაბაძისა და ხერგო ქობულიანის ღირსეულ მემკვიდრედ. მისი სტატიები ხელოვნების თეორიისა და პრაქტიკის საკითხებზე ხშირად იბეჭდება რესპუბლიკის ჟურნალ-გაზეთებში. სულ ახლახან დაიტკაბა მისი თეორიული სტატიების არასრული კრებული.

მხატვარ გია ბუღაძის ნაშრომი „რამდენიმე მოსაზრება გოეთეს „ფერთა თეორიის“ პრაქტიკული გამოყენებისათვის მხატვრობაში“ ეძღვნება გოეთეს ფერთა თეორიის განხილვას. ავტორის თავმდებლური განცხადებთ, რომელიც მოგვიანებით გაკეთდა, ეს იყო „ამ თეორიის კონცეპტუალური აპარატური გამოყენების, მისი ერთგვარი მოხელთების მოკრძალებული სურვილი“.

ეს მოკრძალება იგრძნობა წინათქმაშიც: „გოეთეს ფერთა თეორია ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ცალკეულ მკვლევართა ერთგვარ აპერჩიტულ ნარევებსაც თვალისწინებს და დასაშვებს ხდის ინდივიდუალურ ინტერპრეტაციებსაც. ამიტომაც ჩვენ თავს უფლებას მივცემთ ჩვენეული სისტემით წარვმართოთ ფერთა შემეცნების ინტერპრეტირება“.

ნაშრომი შეიცავს არა მარტო გოეთეს ფერთა თეორიის შესახებ მსჯელობას, არამედ მწერლის საერთო საბჭოთა მოტივების გარკვევისა და მათში ჩაფრქვევის ცდასაც. ავტორის მიზანი, უფრო სწორად — სურვილია: „შეძლებისდაგვარად შევიმუშაოთ ფერითი შემეცნების ისეთი საბჭოთა სისტემა, რომელიც შეშოქმედ ხელს შეუწყობს მხატვრულ-ფერწერული პროცესის წარმართვაში, ამავე დროს დაეხმარება იმ პრობლემების გადაჭრაში, რომლებიც მის წინაშე ეგზომ გართულებულა, ოპტიკის ხერხით მოპოვებულმა ფერთმა გამოცდილებამ დაახავა“.

ფერით აღქმის მხატვარი გ. ბუღაძე განიხილავს როგორც ადამიანის შინაგანი ცხოვრების ზუსტ გამოხატულებას, ამიტომ ყველა ეპოქას ფერი თავისებურად ეხმოდა.

ფერთა შესახებ გოეთეს მოძღვრების უღიდეს დამსახურებად მხატვარი თვლის იმას, რომ მაქსიმალურ აგტონომიურობას ფერთა ამ მოძღვრებაში მიაღწია ისე, რომ არ დაუკარგავს ხიღრმისეული ტრადიციული მნიშვნელობა. ამ თეორიამ ახალი სამყარო შექმნა ფერთა მეტყველებაში — პირველმა გახადა მსჯელობის საგნად და დასაბაუთა თბილი და ცივი ფერების არსებობა; მან ფერს მიცა მორალური დატვირთვა და ამით განსაზღვრა მისი მნიშვნელობა — ურთიერთდამოკიდებულებანი ფერებს ბადებენ ანა კონტრასტის მხრივ, არამედ მეტამორფოზის საშუალებით ერთმანეთში გარდაიქმნებიან და ამით ერთმანეთს ქმნიან. და ბოლოს, გოეთეს თეორია ძირითადად გამომდინარეობს ადამიანის შემოქმედებიდან, როგორც ყოველი მოვლენის საფუძველიდან; ადამიანისა და საგნის კავშირში ადამიანური, შშვინვიერი ელემენტი, ანიჭებს რა ფერს ემოციის შინაარსობრივი გახსნის, ღრმამეული მოძიების შექმნის უნარს. ერთი სიტყვით, გ. ბუღაძეს თავის შესახებშავ სტატია-ნარკვევში თვალნათლად წარმოაჩინა გოეთეს ფერთა თეორიის მიზანი, აღწერა ამ თეორიის ძირითადი ხასიათი და, რაც მთავარია, მისი პრაქტიკული გამოყენების საშუალებანიც დასახა „გოეთეს აზროვნების მეთოდის საკვანძოში მცირე ექსკურსის“ შედეგად.

გოეთეს თეორიის მიხედვით მხატვარი — მკვლევარი გ. ბუღაძე ადალიებს შეაკლა, რომელნაც თვალნალიე ჩანს ფერთა მეტამორფოზირების, ერთმანეთად ქცევის, გარდაქმნის და ერთმანეთის დამაგების უნარი.

ათელის ძირითად წერტილად ამ შკალაზე გამოყენებულია ამსოლუტური სიბნელე — შავი ფერი, რომელშიც იწყება მოძრაობა სინათლისაკენ — თეორიისაკენ, არა გადიოვებინ, არამედ მისი გაცოცხლებული მგრძნობიარის მეშვეობით. გ. ბუღაძის მიერ ჩამოყალიბებულ წრეულ შკალაზე შავში დამაგებას იწყებს კონკრეტული ფერი — ოფნაგ მოძელნისფერი მუქი ლურჯი, რომელიც თავის თავში სინათლეს ეძებს, მაგრამ ამსხი, როგორც ყდერად ფერში, შემოიპარება სინათლეთან ყველაზე ახლო მდგომი ფერადოვნება — ყვითელი, რომელიც ლურჯთან ქმნის მიმწვანო ფერადოვნებას.

მწვანე ძლიერი ფერია, მოისწრაფის ყოველი-მომცველობისაკენ, პირველ რიგში კვლავ სინათლისაკენ, და გადაიჭრება სუფთა ყვითელში. ყვითელი თითქმის თეორში გადადის და თეორის სინათლეში განზავდება, თუმცა ეძებს ძალებს საკუთარი მეობის შესანარჩუნებლად და მკვიდრდება თავის სიღრმეში; ტონალობით მუქისკენ მიდის, ფერადოვნებით — თავის გუფში მოიძიებს წითელს და ხდება ნარინჯისფერი.

ნარინჯისფერი ცდილობს მაქსიმალურად გაიშალოს და ვიღაცა წითელს, ძლიერ, განშლად ფერს, გარეშეთა, ვანფანტვის შედეგად წითელი კარგის ხმიფოსნობას, მაგრამ ხდება უფრო მკვრივი და თავის სიღრმეში თანდათან იღებს მოიისფერ ძოწისფერს, შემდეგ კვლავ უბრუნდება სიმუქეს — სიბნელის ამოსაგალ საფრენეს: ძოწისფერ-ვეწმეული კიდევ უფრო მეტად ხდება მომეწნისფერი წითელი და ამით ჩაშეუვნება შავში.

ამრიგად, „ამ შკალის მიხედვით ფერებს შესწევთ უნარი არა მარტო ერთმანეთი გამოიწვინონ, არამედ ყოველ აუცილებელ შემთხვევა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში გამოიცვალონ კიდეც, გასწიონ ერთმანეთის მაგივრობაც გარკვეულ ფერადოვან სიტუაციაში, იმ მდგომარეობიდან გამომდინარე, სადაც დგას შავალში ფერი და რა მონათესავე ფერადოვნებები აქვს სინათლესთან ან სინნელესთან მიმართებაში“.

ამასთან ან ხაქმე გვაქვს არა ცნობილ ნახევარტონებთან, არამედ გამოუცნობ „ნახევარფერებთან“.

ავტორის კომენტარებიდან ჩანს, რომ ის კვლავ ამორებს ამ საკითხს დაუბრუნდეს, რადგან მისთვის ჩვენი უკმარისობის გრძნობით ხედავს, რომ ამ შავალზე ყველაფერი დადგენილი არ არის და ფერთა მეტყველების ისეთი რიული საკითხები, როგორიცაა ტონი, ელერადობა, გამა, ცალკე მსჯელობისა და განხილვის საკან წარმოადგენს.

ერთი რამ მაინც ნათელი ხდება: „ადამიანის თვალი თავის ემოციურ ბუნებასთან ერთად ახ-ერხებს ჩანაწედს ფერთა მეტყველებას, ფერთა სიცოცხლით ხასხე მეტამორფოზის უნარს“; „ხედავსხვა ფერთა ერთნაირი ხერხით გამოყენება არ შეიძლება“.

ფერთა საიდუმლის და მათზე დაკვირვების მხატვარი-მკვლევარი შეჰყავს ჩვენი არხვობის ყველაზე იდუმალ სამყაროში. ფერთა კვლევა მას წარმოუდგენია მთელი ცხოვრების ბრად და დანიშნულებადაც კი და დარწმუნებულია, რომ ყოველ მომენტშია შესაძლელი ახალი შტრიხი შეემატოს მხატვრის გამოცდილებას ფერთა მეტყველების კვლევის პროცესში. მაგალითად, ტიციან ვეჩელოს „წმინდა სებასტიანეს“ ფერწერულ ნიუანსირებაზე დაკვირვებსას გ. ბუდაძემ, მისდა გასაოცრად, აღმოაჩინა ურთულესი და ულამაზესი ტექნიკურ-ტექნოლოგიური ხერხით გამოხატვა სინათლის ერთგვარი ჩაქრობისა შუქის საშუალებით და დაისის სიწითლისა.

ორი ფერის — წითელისა და ლურჯის არსისა და არსების კარკვევას მიუძღვნა მხატვრმა ნარკვევი „რამდენიმე სიტყვა ფერთა შესახებ“.

წითელი ფერის მითოლოგიზირება საყოველთაოდ ცნობილია. გ. ბუდაძის დაკვირვებით, წითელი ფერმოადგენს ნათელის გამოკონვას ბნელში, წითელს ქმნის სინნელის მიღმიდან გამოწეული სინათლე, ე. ი. წითელი თვით არის სინათლე — სინნელის დაძლევის შედეგად სიღრმიდან გამოწეული ფერადოვანი ელერადობა, რომელიც სინათლისმიერი ძლიერი ტონალური განცდით ავლენს შესაძლებლობის მაქსიმუმს. „წითელი ფერი — სინათლის დრამატული თავგადასავალია სინნელიდან თავის დაღწევის პროცესებში და ჭიდილში“.

წითელი ფერი თავისი სინათლისმიერობით სიზმრის სპეციფიკისა და შედგენილობის ფერია: როგორც „სიზმარი გამოკრთის თავისი სახე-ხატებებით ღრმა ძილის სინნელის მიღმიდან, ასევე წითელი გამოკრთება სინნელიდან“.

წითელ ფერს უფერს საზღვარი, შემოსაზღვრა, თავისი შესაძლებლობების მაქსიმუმს შემოსაზღვრის პათოსში ამყელენებს. მას უფერს განშლაც, მაგრამ დადგენილი საზღვრების ფარგლებში, ის ვერ გუობს სივრცის ილუზორულობას და „ყოველივეს, რაც ჩვენს თვალწინაა, პერსპექტივის კანონებით თავის ჭკუაზე ანაწილებს“. თავისი დასრულებულობით წითელი ფერი შედარებულია ანტიკურ სკულპტურასთან, სადაც „ყოველივე თავის არსშია თავშოყრილი“, ანტიკურ ქალაქ-პოლისთან, როგორც „ქაკრი საზღვრების ფარგლებში არსებულ თვითდასრულებულ პოლიტიკურ სუბიექტთან“.

ის, რომ საბჭოთა კავშირი თავის ძირითად ფერად სწორედ წითელ ფერს აღიარებდა, გ. ბუდაძეს მიაჩნია ამ ფერის ერთ-ერთი განსაკუთრებული ასპექტის გამოხატულებად.

სივრცეში ბანგრცობილი დროის ცნების გაჩენის შემდეგ სივრცე გახდა პერსპექტიულად სიღრმობრივი. საგნებს შორის შექმნილი მანძილი უფრო დიდი მნიშვნელობის აღმოჩნდა, ვიდრე თვით საგნები, რაც მათი მნიშვნელობის დაკარგვის ტოლფასია. ამის გამო წითელი ფერი ნელ-ნელა თმობს თავის განმსაზღვრელ მნიშვნელობებს და ადგილს აქტიურად იკავებს სივრცისა და სიშორე-მანძილის, განშორებისა და მარტობის ფერი — ლურჯი ფერი ცისფერი ელფერით. ლურჯი ფერი, ლეონარდის მიხედვით, სინათლეა, რომელმაც გაიელვა სინნელის წინ, ე. ი. სინათლის მიღმა გამოშრირავი ბნელი მონახს როგორც ლურჯი.

გ. ბუდაძისათვის ლურჯი დაშორების ფერია, საზღვრების წაშლის, უსაზღვრობის ფერია. ამ მხრივ ის სრული ანტიპოდია წითელი ფერისა. წითელი მარადიული იდეების საზღვრის ფერია, ლურჯი ფერი შლის ამ საზღვრებს.

ლურჯი ფერი სინათლის სწრაფვაა გაერობისაკენ, „სინათლის მსხვერპლადგასის სენტიმენტალური თავგადასავალია წარმავალში მარადიულის დამკიდრებისათვის“, ადამიანის დამოკიდებულების გამომხატველია აბსოლუტის მიმართ.

წითელი სინათლეს შინაგანად ატარებს, ლურჯი თვით საჭიროებს სინათლეს, იგი შთანთქავს სინათლეს, — აღნიშნავს მხატვარი.

ფერების სიმბოლიკასა და სიცოცხლისუნარიანობაზე, მათი შინაგანი ცხოვრების კანონზომიერებასა და პრინციპებზე, ძველ რელიგიურ წარმოდგენებსა და კოსმოგონურ მნიშვნელობებზე დაკვირვების საფუძველზე შეიქმნა მხატვრის ნარკვევი „დღისა და მისი ფერი“. მხატვარი-მკვლევარი უპირველეს ყოვლისა არკვევს მნიშვნელობებს, რომლებიც ფერს შეიძლება ჰქონდეს დროში სიბრძეკვზე. კონკრეტულად განიხილავს თავისუფალი ხალრთველების პარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლამენტის მიერ 1918 წელს მიღებულ დრო-ᲨᲘ, როგორც „დიდი ბრძოლებისა და ტანჯვის — თიმეᲨᲘ წამებულის სიმბოლოს“.

გ. ბუდაᲨᲘ კომპეტენტური განცᲮᲐᲓᲕᲘᲗ, ის „თავისი ფერადოვნებით (და არა ლაკᲘᲗ კომᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐᲗ განლᲐᲒᲔᲑᲘᲗ) უპირველესი და უდრᲔᲚᲘ ქართული კოᲛᲞᲝᲖᲘᲢᲝᲠᲘᲡ ფერადოვᲜᲔᲑᲘᲡ ინტერᲞᲠᲔᲢᲐᲪᲘᲐ განლᲐᲒᲔᲑᲘᲗ“.

ეს დრᲝᲛᲓᲔ აკეᲗᲔᲡᲔ ᲞᲝᲠᲘᲖᲝᲜᲢᲐᲚᲣᲠᲘ ორᲘᲔᲜᲢᲐᲪᲘᲘᲡ ფერადოვᲜᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲘ. მᲮᲐᲪᲕᲐᲠᲘ გᲐᲛᲝᲛᲭᲘᲐᲡᲗᲐᲜ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲠᲔᲑᲘᲡ ფერთა შᲝᲠᲘᲡ-გᲐᲜ მაგრᲘ ურთიერთᲛᲝᲜᲐᲬᲘᲠᲔᲑᲘᲗ დრᲝᲛᲘᲡ ფერთა კᲝᲛᲞᲝᲖᲘᲪᲘᲘᲗ წყᲝᲜᲐᲡᲗᲐᲜ მᲐᲛᲐ ლᲔᲒᲘᲝᲜᲘᲡ განვᲝᲜᲐᲠᲔᲑᲐ-მდᲔᲑᲐᲠᲔᲑᲘᲡᲗᲐᲜ თვალᲗᲐᲜᲬᲘᲠᲘᲡᲗᲐᲜ. იწᲧᲔᲑᲡ იᲛᲐᲗ, რᲝᲛ ᲗᲐᲒი ᲐᲛ დრᲝᲛᲘᲗᲘ აკეᲗᲔᲚᲘᲡ სიᲑრᲫᲘᲡ უᲗᲐᲚᲔᲡᲘ არეᲑი და ᲝᲠᲒᲜᲘᲗᲐᲜ თᲝᲜრᲘᲗ — ფაქტᲘᲠᲐᲒ სულიერᲔᲑᲐᲗᲐ და მᲝᲛᲐᲯᲔᲚᲘ. გერმᲐᲜᲘᲘᲡ დღეᲗᲐᲜᲓᲦᲔᲚᲘ დრᲝᲛᲘᲗ ᲬᲘᲛᲘ არეᲑი შᲔᲕᲝᲛ იᲞᲐᲠᲔᲑᲐ, მაგრᲐᲛ იქ სულ სხვა ᲥᲔᲠᲐᲠᲓᲘᲡᲗᲐ ᲑᲒᲔᲠᲔᲑᲘ შᲔᲕᲝᲡ ᲒᲒᲔᲠᲓᲘᲗ, რᲝᲛᲚᲔᲑᲘᲡ განᲮᲐᲚᲘᲠᲔᲑᲘᲗ ᲒᲝᲜᲘᲠᲔᲑᲐᲡᲐ და სიᲪᲘᲠᲔᲡᲗᲐᲜ და დრᲝᲛᲐ მᲝᲪᲘᲜᲐᲜᲐᲡᲗᲐᲜ აღიᲬᲔᲑᲐ ᲤᲘᲠᲛᲐ ᲗᲐᲜᲪᲘᲡ ᲛᲘᲗᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲡᲐᲮᲘᲡᲘᲡ ᲠᲔᲚᲐᲥᲡᲘ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ.

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲗᲐᲜ ᲛᲮᲐᲪᲕᲐᲠᲔᲑᲘᲡᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲠᲔᲜᲐᲡᲐᲜᲡᲘᲡ ᲓᲠᲝᲗᲐᲜ, მის ᲤᲘᲠᲛᲐ ᲬᲧᲝᲜᲐᲡ და ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲒᲐᲛᲝᲛᲭᲘᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲒᲐᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲡ ᲒᲐᲜᲐᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲡ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲐᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲡ ᲛᲘᲜᲐᲛᲓᲔ ᲐᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲡᲐᲮᲘᲡᲘᲡ ᲠᲔᲚᲐᲥᲡᲘ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ.

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲓᲠᲝᲨᲔᲑᲘ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲛᲮᲐᲪᲕᲠᲔᲚᲘ-ᲤᲘᲠᲐᲓᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡᲐ და კᲝᲛᲞᲝᲖᲘᲪᲘᲘᲡ თვალᲗᲐᲜᲬᲘᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲩᲔᲜᲘᲚᲘ ᲡᲐᲛᲘᲡᲐᲮᲘᲡᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲠᲩᲔᲜᲘᲚᲘ ᲒᲐᲠᲔᲙᲐᲜᲘᲡ, რᲝᲛᲚᲘᲡᲐᲪ „ᲧᲕᲔᲚᲐᲜᲐᲠᲘᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ“ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ ᲓᲠᲝᲨᲐ და ᲛᲮᲐᲪᲕᲠᲔᲚᲘ-ᲘᲛᲔᲠᲗᲘᲡ თვალᲗᲐᲜᲬᲘᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲫᲐᲚᲖᲔ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔᲓ ᲥᲔᲠᲨᲘ. ᲔᲡ ᲓᲠᲝᲛᲐ, გᲐᲛᲝᲩᲔᲜᲘᲚᲘ ᲐᲠᲘᲠᲘᲗ, ᲒᲐᲛᲝᲩᲔᲜᲘᲚᲘ ᲒᲝᲠᲒᲐᲚᲘᲡᲣᲚᲘ ᲝᲘᲛᲔᲠᲘᲗ, რᲐᲗᲘᲡ ᲚᲐᲪᲐᲠᲘᲪᲐ „ᲥᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲪᲮᲝᲠᲔᲑᲨᲘ“.

„ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲘᲐ-91“-ᲘᲡ ᲑᲐᲡᲐᲛᲝᲛᲬᲘᲜᲔ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲘᲡᲗᲕᲘᲡ, რᲝᲛᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲡᲮᲕᲐᲒᲐᲠᲔᲗ „ᲐᲮᲐᲚᲘ ᲒᲐᲚᲔᲠᲘᲐᲡᲐᲗᲕᲘᲡ“ ᲣᲛᲝᲛᲭᲘᲠᲔᲑᲘᲗ, ᲒᲐᲐᲮ ᲞᲐᲠᲒᲔᲡᲐᲜ ᲬᲐᲠᲛᲝᲐᲒᲓᲘᲜᲔᲡ ᲕᲠᲪᲔᲚᲘ ᲡᲔᲠᲘᲐ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘᲡ ᲓᲠᲝᲨᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲪᲘᲜᲔᲑᲘᲡ.

ᲒᲐᲛᲝᲩᲔᲜᲘᲚᲘ ᲗᲘᲛᲔᲨᲘ ᲧᲕᲔᲚᲘ ᲜᲐᲬᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲪᲐᲒᲐᲡ ᲛᲮᲐᲪᲕᲠᲔᲚᲘᲡ ᲐᲠᲡᲘᲡᲐ და ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲘᲗ. ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ, მᲘᲡᲘ ᲓᲠᲝᲛᲐ ᲠᲬᲛᲔᲜᲘᲡ, ᲐᲠᲐᲡᲐᲯᲔᲠᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲨᲔᲪᲘᲜᲐᲡᲐᲮᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲡᲐᲮᲘᲡᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲡᲐᲮᲘᲡᲘᲡ ᲛᲘᲜᲐᲛᲓᲔ ᲐᲠᲐᲡᲐᲯᲔᲠᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ. ᲔᲡᲐᲐᲠᲘᲡ ᲛᲝᲛᲘᲪᲔᲚᲘ ᲒᲐᲜᲘᲗᲮᲝᲕᲜᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲡᲐᲮᲘᲡᲘᲡ ᲠᲔᲚᲐᲥᲡᲘ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ.

ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲜᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲗ, ᲘᲡ „ᲗᲐᲕᲘᲡᲘᲗᲘᲗ ᲤᲐᲠᲐᲓᲝᲕᲜᲔᲑᲘᲗ“ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲠᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲜᲐᲒᲐᲜ ᲛᲐᲒᲠᲘᲗ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲒᲐᲛᲝᲛᲭᲘᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲓᲠᲝᲨᲘᲡ ᲤᲘᲠᲛᲐ ᲨᲔᲜᲐᲒᲐᲜ ᲨᲔᲕᲝᲛ იᲞᲐᲠᲔᲑᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ იქ სულ სხვა ᲥᲔᲠᲐᲠᲓᲘᲡᲗᲐ ᲑᲒᲔᲠᲔᲑᲘ შᲔᲕᲝᲡ ᲒᲒᲔᲠᲓᲘᲗ, რᲝᲛᲚᲔᲑᲘᲡ განᲮᲐᲚᲘᲠᲔᲑᲘᲗ ᲒᲝᲜᲘᲠᲔᲑᲐᲡᲐ და სიᲪᲘᲠᲔᲡᲗᲐᲜ ᲓᲐᲛᲐᲡᲐᲮᲘᲡᲘᲡ ᲛᲘᲜᲐᲛᲓᲔ ᲐᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲡᲐᲮᲘᲡᲘᲡ ᲠᲔᲚᲐᲥᲡᲘ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ.

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲗᲐᲜ ᲛᲮᲐᲪᲕᲠᲔᲚᲘᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲠᲔᲜᲐᲡᲐᲜᲡᲘᲡ ᲓᲠᲝᲗᲐᲜ, მის ᲤᲘᲠᲛᲐ ᲬᲧᲝᲜᲐᲡᲗᲐᲜ და ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲒᲐᲛᲝᲛᲭᲘᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲒᲐᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲡ ᲒᲐᲜᲐᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲡ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲐᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲡ ᲛᲘᲜᲐᲛᲓᲔ ᲐᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲡᲐᲮᲘᲡᲘᲡ ᲠᲔᲚᲐᲥᲡᲘ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ.

ᲒᲐᲛᲝᲩᲔᲜᲘᲚᲘ ᲗᲘᲛᲔᲨᲘ ᲧᲕᲔᲚᲘ ᲜᲐᲬᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲪᲐᲒᲐᲡ ᲛᲮᲐᲪᲕᲠᲔᲚᲘᲡ ᲐᲠᲡᲘᲡᲐ და ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲘᲗ. ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ, მᲘᲡᲘ ᲓᲠᲛᲐ ᲠᲬᲛᲔᲜᲘᲡ, ᲐᲠᲐᲡᲐᲯᲔᲠᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲨᲔᲪᲘᲜᲐᲡᲐᲮᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲡᲐᲮᲘᲡᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲡᲐᲮᲘᲡᲘᲡ ᲠᲔᲚᲐᲥᲡᲘ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ. ᲔᲡᲐᲐᲠᲘᲡ ᲛᲝᲛᲘᲪᲔᲚᲘ ᲒᲐᲜᲘᲗᲮᲝᲕᲜ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხატვარი ჩიჩიდან გამოსახსნელ გზას ხედავს ტრანსნაციონალურ ორიენტაციაში — „ერთგვარ შუალედურ პოზიციაში კარჩაკეტილ ნაციონალიზმსა და ამორფულ ინტერნაციონალიზმს შორის“.

მხატვარი-მკვლევარი იმ აზრს ავითარებს, რომ თანამედროვე კულტურის შესწავლა უნდა ხდებოდეს არა დიდი კულტურებისა და ერების გლობალური სისტემებით, არამედ მცირე ერებისა და მათი ურთიერთმიმართების შესწავლით, თანამედროვე მხატვრობის იმ ელემენტთა შესწავლით, რომელთა საწყისი მცირერიცხოვან ერში უნდა ვეძებოთ. ამ თვალსაზრისით უნიკალურ მოვლენად მიაჩნია ქართული კულტურა და კონკრეტულად მხატვრობა. მკვლევარი ეზიგა ქართული ხელოვნების თვითმყოფადობის რამდენიმე ძირითად თვისებას, რომლებიც „რაღაცით მაინც ვანგასსხვავებს საფოველთაო ევროპეროვნებისაგან“, პირველ რიგში ჩვენს აბსტრაქტულ მხატვრობას, რომელიც ყოველთვის რეალისტური იყო, და კონკრეტულ-საგნობრივ, ფიგურულ-სახეობრივი აზროვნების შენარჩუნებას. „ჩვენი არსება შედარებით ზუსტად ღა სრულად ელინდება სწორედ სახეებით, ფორმახატებით, პლასტიკურ-ფერწერული ბატებით აზროვნებისას“.

ზოგადი სახასიათო ნიშნები, რომლებიც ქართულ ხელოვნებას გააჩნია თანამედროვე მხატვრობაში, „ბოლო ათწლეულებში განსხვავებულ სიტუაციაში განვითარდა და ჩამოყალიბდა სოცრეალიზმის ნაციონალური პოლიტიკის ფრთქვეშ“. და თუმცა ცენტრი მოკვდა, მისი ეგზეფითი ნრდილი ქართულ ხელოვნებაში კვლავ ცოცხალია.

მკვლევარის აზრით, ღღეს ჩვენი ეროვნული ხელოვნების განვითარებას სწორი კალაპოტით „კვლავ წინ ვლობენ მატერიალური და ფსიქოლოგიური პროვინციალიზმი და შეზღუდულობა, რომელსაც მეტად ეფექტურად ოყენენ „კულტურული აგენტურის“ წარმომადგენლები“. ეოფილმა ცენტრმა ღრმად გაიღვა ფესვები ჩვენს ხელოვნებაში და მკვლევარი მიმართავს რუსული ავანგარდის ქართველ ალეპტებს: „აუცილებელია ზუსტი გაცნობიერება ჩვენი ადგომარეობისა და ადებარეობისა მსოფლიო კულტურის არეალში, საკუთარი განსაკუთრებულობისა და მნიშვნელობის შენარჩუნის საფუძველიანი განვითარება“.

გია ხშირად მიმართავს ერთგვარ შემოქმედებით თვითკვლევას, თვითანალიზებას და დაკვირვებას: „სისუსტეცა და სიმუშეში უფლის ხმა და სიტეცვა ისმის და ის სოციალურ ურთიერთობათა და სოციალურ ხელოვნებაში ვანსაკუთრებული საშუალებითა და ხერხებით ცხადდება“.

გია ბუღაძეს თავისუფლად შეუძლია ვაიმეოროს ვან გოგის სიტყვები: „ერთხელ წამომცდა — მხატვარი ვარ-მეთქი. ამ სიტყვებში სულ ძიება და ვერ-ძიებება იგულისხმება. თუ რამე გამშვება, ჩემს სიტყვებში ეს აზრია: ვეძებ, ვიბრძვი და ამ ბრძოლას ხელსა და გულს ვწირავ-მეთქი“.

გია ბუღაძის მხატვრობა და თეორიული მოღვაწეობა აღმეჭდილია მაღალი ნიჭიერებით, მაგრამ ცხონალია, რომ ნიჭი ჯერ კიდევ არ ქმნის მხატვარს. აქ ვალამწყვეტია ალრეთვე შრომის უნარი და შრომისმოყვარეობა.

გია ბუღაძე უაღრესად მაღალპროფესიონალური მხატვარია. ამაში ვეარწმუნებს მის სახელოსნოში, ბინაში, ნათესავებსა და კერძო პირებთან გაფანტული მისი მრავალრიცხოვანი სუროათები. მაგრამ აქ დგება რაოდენობისა და თვისობრიობის საკითხი. და მე თამამად შემიძლია განვაცხადო, რომ გია ბუღაძის მთელი შემოქმედება აღმეჭდილია მაღალმხატვრული ოსტატობით, თემატური რეპერტუარის მრავალმხრიობით, ხელოვნების ეროვნული საფუძვლების ღაეცხრომელი ძიებით. მას მოაქვს ქართულ ხელოვნებაში ახალი ეემოვნება, ხელოვნების ახალი გაგება და ქმნის მთელ ეტაპს პლასტიკური აზროვნების განვითარებაში.

ასეთივე მრავალმხრიობით და ერუდიციით გამოირჩევა გია ბუღაძის თეორიული ძიებანი. მართალია, ხელოვნების ურთულესი საკითხები მის თეორიულ ნაარჩევში უმრავლეს შემთხვევაში უფრო დასმულია, ვიდრე გადაწყვეტილი, მაგრამ ყველაფრიდან იკრძნობა, რომ ალუბულია სწორი ორიენტირი ქართული ხელოვნების განვითარების ბეღსა და მომავალზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბადრი ჭოხონელიძე

გამორჩეული და სასახელო

ხალხური გადმოცემით, ახალდაბადებულს წერამწერალი თავის ბედს დაუწერს: შენ წერამწერალმა უზრუნველი და ჯანმრთელი ახალგაზრდობა, სახელის მოხვეჭა, ლამაზი ცოლ-შვილით, მეგობრებითა და ახლობლებით შემკული ცხოვრება და ყველასათვის გულსტკივნი, უდროოდ სიკვდილი დაგიბედა...

ვაი რომ, წერამწერალმა ასე გაგიმეტა!..

ვაი რომ, ყველას გული მოგვიკალი!.

შენ „ცისკრელებისათვის“ იყავი გამორჩეული და სასახელო „ცისკრელი“, — წლების განმავლობაში რედკოლეგიის წევრი...

შენი ყოველი გამოჩენა რედაქციაში სიხარულს იწვევდა, რადგანაც შუდამ სიყვარულსა და სითბოს ასხივებდი და თავზეც შუდამ ღვთაებრივი კეთილშობილების, სათნოების და ნიჭის აურა გადგა... შენმა მოთხრობებმა: „ოჯახი“, „ძმა“, „თანამგზავრი“, თავიდანვე მიიპყრეს ყურადღება. შემდეგ იყო ახალ-ახალი წარმატებები, მიღწევები.

ვაი რომ, ის სინათლე ჩამქრალა!..

ვაი რომ, ის სხივები დაწრეტილა!..

შენ ნათესავებისა და მეგობრებისათვის იმედის ციხე-სიმაგრე იყავი, გაჭირვებულთათვის — ხელის გამმართავი და წამშველებელი, კოლეგებისათვის — გვერდში მდგომი და გულისხმიერი.

ვაი რომ, ის ციხესიმაგრე ჩაშლილა!..

ვაი რომ, ის ლიბო-კუთხეც მორღვეულა!..

მაგრამ შენი სახელოვანი სიცოცხლე კვლავ გრძელდება შენი ლამაზი ბიჭების, შენი მშვენიერი წიგნების სახით.

ცისკრელები

ძმა

ნუთუ ყველაფერი ამნაირად თავდება — განა ასეთი მოკლე და უმწეო უნდა იყოს სიცოცხლე, რომელსაც ასე ძალიან უყვარდი!

მე არ მეგულება უფრო უკეთილშობილესი და მოსიყვარულე ძმა ჩემთვის, როგორიც ბადრი ჭოხონელიძე იყო.

ჩვენ ერთად ვიღვაწეთ კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მწერალთა შემოქმედებით გაერთიანებაში, ერთად ვწერდით სცენარებს...

არ დამავიწყდება ბატონ რეზო ებრალიძესთან, რევაზ ინანიშვილთან, გივი მაღულარიასთან ჩვენი ურთიერთობანი... და ბატონი რეზო თამბუკაშვილი!.. ახ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლა ისინი ყველანი გადახვეწილნი არიან ამ სამზეოდან... ეს შესანიშნავი სულები, როგორც ძველქართულ ქრისტიანულ სუფრაზე (ტაბლაზე) იყვნენ, იქნებიან შენი „შეკრბნი“, შეკვეკებიან და მიგიხუტებენ სიყვარულით! შენც მიუხვალ და მიემატები ამ ერთგულ მამულიშვილთა ღიდ საუფლოს, რომელიც შეუცნობელი იდუმალებით თვლემს და ზოგჯერ მაინც აგრძნობინებს ცოცხლებს, რა არის მათი საქმე და ვალი ამ საწუთროში.

დღევანდელივით მახსოვს შესანიშნავი მოთხრობა „ძმა“ რომ დაბეჭდე. მოვედი და მოგილოცე, მართლა სხვანაირად თბილი მოთხრობა იყო და მართლა გვიხაროდა ერთმანეთის ნაღვაწი. შენ ქუბა არ გიყვარდა — უხერხულად „გატვრენილი“ სიტყვას ბანზე ააგებდი, შენთვის იმ ყურადღების მეახლედაც არ ითხოვდი, რასაც სხვებს არგუნებდი. არც ერთი ნიუანსი, არც ერთი დეტალი არ გამოგრჩებოდა ჩვენი საძმოს საქმიანობიდან. წმინდა სანთელივით ყველას გვერდზე ედექი ჭირისა და ლხინის მონაწილედ.

მსოფლიო შემოქმედებით პროცესებს განუწყვეტლად ადევნებდი თვალყურს. თუ უცხო ჟურნალ-გაზეთებში ვინმე ახალი გამოჩნდებოდა, პირველი შენ ადმოაჩენდი. მახსოვს, მარკესის „მარტოობის ასი წელი“ შენ მოიტანე სტუდიაში (იქ იყო ჩვენი შესაკრებელი). „ინოსტრანნაია ლიტერატურაში“ დაბეჭდილი. პირადად მე მომიტანე ბერგმანის „მარწყვის მდელო“ (სცენარი) საჩუქრად...

მაშინ წიგნების კითხვის ჟამი იდგა და ვკითხულობდით.

იყო სცენარების წერის ჟამი და ვწერდით, ვსწავლობდით კინოსასცენარო ხელოვნებას, შესანიშნავ ფილმებსაც ვიღებდით! — იყო ცხოვრება, რომელიც სიზმარივით გარდავიდა, გახუნდა და თითქოს ჩაქრა.

ნუთუ ეს არის ყველაფერი ის, რისთვისაც ჩვენ მოვედით ამქვეყანაზე და მეტი არაფერი?! ეფემერული, სწრაფწარმავალი და წამიერი?..

მოსკოვში, „ბოლშევოში“ ათი დღე-ღამე ერთ ოთახში ვცხოვრობდით, მთელი საღამო უცხოურ ფილმებს ვუყურებდით, აქ იყო დრამატურგთა სემინარები, უფასო კვება დღეში ოთხჯერ, ბილიარდი, ჭადრაკი, ქალები... მაგრამ ბოლოდდე მაინც ვერ გავძელით, „ჩვენი სამშობლო მოგვენატრა, ჩვენი საწყალი“... იქ ერთი რუსი ებრაელი დავამარცხე ჭადრაკში. როდესაც ჩამოვედით, მთელ ქალაქს ამცნე ეს ამბავი — „იცით, ამ ხევხურმა რა ქნაო?“ ყველაფერი გულწრფელად გიხაროდა და გიყვარდა, რაც შენს შეგობრებში საყვარელი და კარგი იყო. სხვარიგი დაფასება იცოდი: კაცს მოანდომებდი, რომ უკეთესი ყოფილიყო!

ახლა რა გიშველო, ჩემო კარგო ძმაო! გული რომ გაგისკდა და ჩვენც გულები დაგვიბზარე, როგორ და რითი მოგეხმაროთ? როგორ დავდგეთ შენს საფლავთან და ჩამოგხედოთ...

ნუთუ სულ ეს არის ყოველივე ის, რისთვისაც მოვედით და რაც უნდა ყოფილიყო? ანდა შეიძლება ვთქვათ ასეთი რამ: რას იზამ, მოვა ზაფხული და მოვა წვიმა („იქნებ მოვიდე წვიმადა“), მოვა ზამთარი და მოვა თოვლი... და ჩვენ ერთად ვიქნებით ახლაც და მერეც (მოვალთ წვიმად და მოვალთ თოვლად), იქიდანაც და აქედანაც ვანუგეშებთ ერთმანეთს, გვეხხმეტა და გვექნება ერთმანეთის იმედი; არა მგონია, რომ უიმედო იყოს წამი საწუთროსი და დრო — მარადისი!..

ამინ! ამინ!.. მშვიდობით იარე უცნობ გზაზე, ჩემო ძმაო.

კობა არაბული

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაღრი ჯოხონელიძეს

მახსოვს საოცრად დიდი თვალები,
საოცრად მშვიდი, ნათელი სახე...
ამოკვმსილი გული იარით...
ახე უეცარ გარდაცვალებას,
სიკვდილს ვერაფრით დაარქმევ სახელს,
იქნებ სიკვდილიც ლამაზი არი? —
იქნებ ცხოვრება მხოლოდ ეს არი,
რასაც დღეიდან სიკვდილით ამხელ...
გიხმობს მარადი ორომტრიალი,
რომ გადაენთოს სიცოცხლესავით
მკვდარი ქალაქის ქუჩებს და ბაღებს
შენი ღიმილი და ხეტიალი...

ელგუჯა მარღია

1996 წ.

31 მარტი, შაბათი

ტექნიკური რედაქტორი ზიული სირაძე

ჩვენი მისამართი: თბილისი, 380026, ხიდის ქ. № 1. ტელეფონები: მთავარი რედაქტორი — 99.85.81; მთავარი რედაქტორის მოადგილე — 98.53.32; პასუხისმგებელი მდივანი — 98.47.62; განყოფილებები: 98.36.43, 98.43.75. საკორექტორო — 98.47.62.

გადაეცა ასაწყობად 5.02.96 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 17.05.96 წ., ქაღალდის ზომა 70x108¹/₁₆, ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10, პირობით ფორმათა რაოდენობა 14. სააღრ. სგ. თაბახი 14.07. შეკვეთა 114. ტირაჟი 1000.

ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლო", 380009, თბილისი, მ. კოსტავას 14.

n 39/1

ეროვნული ბიბლიოთეკა